



საქართველოს  
ხელმოწერის

ISSN 0132-1307

სოციალიზმის  
წარმატება

# საბჭოთა სელოვნება

1981 4

4/1981

# საბჭოთა სელსოვნიკი

## შინაარსი

მ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავი	
მომავლის რწმენა . . . . .	2
აფხაზური თეატრის 50 წელი	
დმიტრი ალექსიძე — აფხაზური თეატრის დღისასწავლი . . . . .	6
ალექსი არგუნი — აფხაზური თეატრის ნახევარი საუკუნე . . . . .	9
გიორგი შავგულიძე — 70	
ვახტანგ ბერიძე — მარალ მოსაზრებანი . . . . .	15
სესილია თაყაიშვილი — ბანუშემოქმედი პარტიური . . . . .	18
ბეჟან ბარდუღელიძე — იგმედი და მოთქმობა . . . . .	20
სანდრო თუმშალიშვილი — ქართული დოკუმენტური კინოს საღვინსო ამოცანები . . . . .	25
ნათელა ურუშაძე — რეჟისორი მინილ თუმანიშვილი . . . . .	29
შირა ფინჩაძე — ოპერა „მედიკი“ თბილისში . . . . .	41
აკაკი ხინთიბიძე — „ნარბიზოვანის“ სტრიკონები ხალხურ სიმღერაში . . . . .	44
გურამ შარაძე — ერთი ფურცელი იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებითი ისტორიისათვის . . . . .	45
ნოდარ კაკაბაძე — ბერძნულ ზრუბტი და მისი ქართველი თეატრალური ინტერპრეტაციები . . . . .	47
ვიორჯი ტატიშვილი — სახალხო არტისტი . . . . .	55
მიხეილ ჩირინაშვილი — ქორეოგრაფი ალექსანდრე დარახველიძე . . . . .	59
იოსებ ომაძე — ქრისტინა ლეზანია . . . . .	61
თამაზ ჩხენკელი — ასომთავროვლის „მრთიანი გრავიკული სისტემა“ . . . . .	67
მარინე კერესელიძე — ალექსი ბალაბუძე . . . . .	76
ციხანა კუხიანიძე — ლირიკოსი მხატვარი . . . . .	80
ეთერ შავგულიძე — ბჭის დასაწმინთან . . . . .	82
იონა ვაგელი — 80 . . . . .	86
პიტერ ბრუკი — ცარიელი სივრცე . . . . .	87
ნანა დრიაშვილი — სალომე მამბაკაძის კორტები . . . . .	97
ქეთევან ქურტუაშვილი — ლილი (პეესა) . . . . .	99
ძროწინა . . . . .	117

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
ქოველთვიური ჟურნალი

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
ჟორნალისტიკა

მთავარი რედაქტორი  
თამაზ შილაძე  
სარედაქციო კოლეგია:  
აკაკი შაქრაძე,  
ვახტანგ ბერიძე,  
ნოდარ ბაგუნიძე,  
ჯუზეპე თითოევიანი  
(კასტისმგებელი გლივანი),  
მანოელ შილაძე,  
ნოდარ მგალობლიშვილი,  
ზურაბ ნინუაძე,  
გიორგი მარტოვიანი,  
ნათელა ურუშაძე,  
რეზა ჩხეიძე,  
ანდრო წულუკიძე,  
ნიკო მამბაკაძე,  
ნოდარ მამბაკაძე

ვლადიმერ

ილიას ქ

ლენინის

დაბადების

111-ე წლისთავი!



უ. ჯაფარიძე

ე. ი. ლენინი

# მომავლის ჭეშმენა

სულ რალაც ორიოდ თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“ მოსმენისა და განხილვის შემდეგ ყრილობამ თავისი რეზოლუციით მთლიანად და სავსებით მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა; მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და წინადადება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციას თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში იმ დებულებებითა და ამოცანებით, რომლებიც წამოაყენა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხ. ნ. ა. ტიხონოვის მოხსენების განხილვის შემდეგ ყრილობამ ასევე მიიღო დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ დამტკიცების შესახებ. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი კი მოიცავს სასიცოცხლო საკითხებს საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა. როგორცაა: 1976—1980 წლების ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების

ძირითადი შედეგები; ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლების და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი ამოცანები; მეცნიერების განვითარება და ტექნიკური პროგრესის დაჩქარება; მრეწველობის განვითარება; აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარება; კაპიტალური მშენებლობის სოციალური განვითარება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება; ბუნების დაცვა; საწარმოო ძალების განლაგება; მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარება; საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარება; მართვის სრულყოფა, ეკონომიკის ყველა რგოლში მეურნეობრიობის დონის ამაღლება.

თანამიმდევრულად გამოქვეყნდა ყრილობის ყველა დოკუმენტი. პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ მთელ მსოფლიოს მიაწვდინეს საბჭოთა ქვეყნის კომუნისტების დიდი ფორუმის ყოველდღიური მუშაობის ანგარიში და ჭეშმარიტად ისტორიული გადაწყვეტილება. ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა ცოცხალი შთაბეჭდილებები გაუზიარეს თავ-თავიანთ ოჯახებს, ახმანაგებს, შრომით კოლექტივებს, პარტიის პირველად, რაიონულ, საქალაქო, საოლქო თუ რესპუბლიკურ ორგანიზაციებს, თავ-თავიანთი ქვეყნის მშრომელებს და ფართოდ გააცნეს სკკპ XXVI ყრილობის უმნიშვნელოვანესი მოვლენების მიმდ-

ნარეობა, ძირითად მიმართულებათა პროგრამა, მათი განხორციელების გზები და საშუალებანი.

ჩვენი მრავალწლოვანი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის მშრომლები ჯერ კიდევ სწამობთა მიმდინარეობისას თავიანთ მშობლიურ ენაზე გაეცნენ ყრილობის მასალებს. აქედან დაიწყო ამ მასალების საფუძვლანი შესწავლა. ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად. ეს პროცესი, ცხადია, ახლაც გრძელდება, ვინაიდან გამოქვეყნებული მასალების წარმატებით შესწავლაზე ბევრია დამოკიდებული მომავლისთვის.

სოფლისა და ქალაქის მშრომლები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, შემოქმედებითი კოლექტივები სწორედ ყრილობის მიერ შემუშავებული დირექტივების, მის მიერ ნაჩვენები გზებისა და საშუალებების მიხედვით გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, იძიებენ რეზერვებს, წარმართავენ მთელ შემდგომ საქმიანობას. ამიტომ ამჟამად დადგა პერიოდი ყრილობის დადგენილებათა არა მარტო შესწავლა-ათვისებისა, არამედ ამ წინასწარდასახულებათა თანდათანობით პრაქტიკულ განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისა. ეს კი მეტად სერიოზული ეტაპია ქვეყნის ცხოვრებაში და ასევე სერიოზულ მიდგომას მოითხოვს თვით ჩვეულებრივი საკითხების გადაჭრისას, რომ არაფერი ვთქვათ საეტაპო მნიშვნელობის მოვლენებზე.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევა ყრილობის დახურვისას წარმოქმულ სიტყვაში ხაზი გაუსვა სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის უდიდეს მნიშვნელობას და განსაკუთრებული ყურადღება მიაცქრა მეთერთმეტე ხუთწლიდის გეგმების უთუოდ შესრულების აუცილებლობას.

**„ამისათვის რა არის საჭირო? — განაცხადა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევა და თვითონვე უპასუხა, — უწინარეს ყოვლისა, დიდი პასუხიმგებლობის გრძნობა და მტკიცე, ნამდვილად კომუნისტური, შეგნებული დისციპლინა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არანაღებ საჭიროა ზარის აღმფრენა, სიახლის დაუცხრომელი ძიება, ამ სიახლის მხარდაჭერა. გეჭირდება მუდმივი ინიციატივა — ინიციატივა ყველგან და ყველაფერში.“**

წინა ხუთწლიდების ამოცანები მშრომელმა ადამიანებმა გადაჭრეს პარტიის წინამძღოლობით. XI ხუთწლიდის წინასწარდასახულობანიც მათი შრომითა და რუდუნებით უნდა აღსრულდეს. ამიტომ იყო, რომ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევა თავის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXVI ყრილობისადმი პირველ რიგში პატივითა და დიდებით მოიხსენია **საზოგადოების მთავარი, ფასდაუდებელი სიმდიდრე — საბჭოთა მშრომელი ადამიანები**, რომლებმაც თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს პარტიის ყოველი მოწოდება და ძალ-ღონე არ დაიშურეს სამშობლოს ეკონომიკური პოტენციალის გასაღებლად.

პარტიის დევიზი მუდამ იყო საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესება და მეთერთმეტე ხუთწ-

ლიდის უმთავრესი ამოცანაც ეს არის. **„მაგრამ ჩვენ სხვა რამეც ვიცით: კაცს მუქთად არაფერი ეძლევა. ცხოვრების პირობების ყოველგვარი გაუმჯობესება მხოლოდ და მხოლოდ თვით საბჭოთა ადამიანების მუყაითი გარჯის შედეგი შეიძლება იყოს.“** — თქვა ლ. ი. ბრეჟნევა სკკპ XXVI ყრილობის დახურვისას. ამრიგად, ქვეყნის იმედი და მთავარი ძალა ისევ და ისევ მშრომელი, შემოქმედი ადამიანია, რომლისთვისაც საარსებო მოთხოვნილება აქვს პარტიასთან მტკიცედ შეკავშირებას კომუნისტურად მიმავალ გზაზე. ვინაიდან პარტია და ხალხი ერთიანია, **„პარტიის ძალა ხალხთან ერთობაშია! ხალხის ძალა პარტიასთან ერთობაში, მის ხელმძღვანელობაში!“**

ამ მნიშვნელოვან მომენტს ხაზი გაესვა იმითაც, რომ საბჭოთა ხალხი პოლიტიკური აღმავლობის ერთარებაში შეხვდა პარტიის მორიგ ყრილობას, მას უძღვნა შრომითი მიღწევები, უპატივა ახალ-ახალი გამარჯვებები საყრილობო ვახტზე დგომისას. კომუნისტთა ფორუმს მისვალმა ურიცხვი წერილითა თუ დეკუსით. საბჭოთა მოქალაქეების პატრიოტული გრძნობების, პარტიის სიყვარულისა და მისადმი ნდობის ტყემარტივ გამომხატულებას ის ფაქტიც, რომ იგი სასვებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელობის, მთლიანად პარტიის სამშვიდობო საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

მათ შორის იყვნენ საქართველოს მშრომლებიც. ახალი წლისა და ახალი ხუთწლიდის დასაწყისიდან მრავალმა ნოვატორმა, რიგობა მუშამ თუ შრომითმა კოლექტივმა იკისრა პატრიოტული ვალდებულება — ყრილობის გახსნის დღისთვის შესრულებინა არა მარტო ორი თვის გეგმა, რაც თავისთავად ბევრის თქმელაა, არამედ მთელი კვარტალისაც. როგორც ყოველთვის, სიტყვას საქმე მოჰყვა. მანამდე კი, წინა ხუთწლიდში, ამხ. ე. ა. შვეარდნაძის ლაკონიური თქმისა არ იყო სკკპ XXVI ყრილობაზე, რესპუბლიკას არ გაუტეხავს **XXV ყრილობისათვის მიცემული სიტყვა**, რაც სათანადოდ აისახა ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში. ამ საგაბტებო სიტყვაში კი იგულისხმება რესპუბლიკის ანახლოვანი მუშაობა კლასის გმირული შრომა და თავდადება მრეწველობის გასავითარებლად, სოფლის მწურნეობის მუშაობა გარჯის შედეგად მონეულ საერკოორდო მოსავალი მთელ რიგ კულტურათა მიხედვით, ქართული მწვერლობისა და ხელოვნების არნახული გამარჯვებანი შინ და გარეთ გასული ხუთწლიდის მანძილზე.

მაგრამ ეს მიღწევა მხოლოდ პირველი ნაბიჯია, როგორც ყრილობაზე განაცხადა ამხ. ე. ა. შვეარდნაძემ, რომელმაც პარტიასა და პირადად ლ. ი. ბრეჟნეს ალუთქვა, რომ **„მეთერთმეტე ხუთწლიდში საქართველო კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს საერთო-საკავშირო დოკლამთა თვისინ წვლილის გადღების გზაზე“**. დადავ აპრობის შესრულების დროც, რომელიც ახლა, XI ხუთწლიდის პირ-

ველივე თვეებიდანვე, იწყება და უთუოდ მოიძიკის სათანადო ნაყოფს ხუთწლედის დასასრულს.

ყრილობაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ ჩვენი საბჭოელების სამოქალაქო წინააღმდეგობა და სოციალური ჯგუფის ერთმანეთთან დაახლოება, რომ პარტიისა და სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა მიზნად ისახავს უკლასო საზოგადოების შექმნას, რაც თანდათანობით, მტკიცედ ხორციელდება და ძირითადად მომნიშვნელო სოციალიზმის ისტორიულ ფარგლებში მოხდება. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევიმ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სულ უფრო იზრდება მუშათა კლასი რაოდენობრივად და მატულობს მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო და რჩება უკლასო საზოგადოების შექმნის წინაშე ძალად, ამასთან, „მისი რევოლუციური იდეოლოგია და მორალი, კოლექტივისტური ფსიქოლოგია, მისი ინტერესები და იდეოლოგია ახლა საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენის კუთვნილება ხდება“.

ღრმა ცვლილებები იჩენს თავს საკომუნურნო გლეხობის ცხოვრებაში, რაც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიალიზაციის შედეგად. მაგრამ, როგორც ირკვევა, საანგარიშო პერიოდში ყველაზე სწრაფად გაზრდილა საბჭოთა ინტელიგენცია. „ახლა ჩვენი ქვეყანაში, — ნათქვამია ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, ყოველი მეთის მუშაკი ძირითადად გონებრივ შრომასთან არის დაკავშირებული. არამარტო მეცნიერებაში, არამედ მატერიალურ წარმოებაშიც, საზოგადოების მთელ ცხოვრებაში ინტელიგენცია სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს“. ამიტომ არის, რომ პარტია დიდ იმედებს ამყარებს საბჭოთა ინტელიგენციაზე, რომელიც შეუძლია უდიდესი ზეგავლენის მოხდენა საზოგადოებაზე, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაზე, მის აღზრდაზე კომუნისტური სულისკვეთებით. ინტელიგენტი, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიური მუშაკია, რომელსაც ხალხთან მიაქვს პარტიის მართალი სიტყვა, მისი ზრი და პოლიტიკა. ეს კი ავალდებულებს მას იყოს ფხიზლად, ტრიალებდეს საზოგადოების შუაგულში და, რაც მთავარია, გამოირჩეოდეს ახლის გრძნობით.

საბჭოთა ინტელიგენციის ერთ-ერთი წარმმართველი ძალა შემოქმედებითი ინტელიგენცია, სახელდობრ, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა სახელობანი არჩია, რომელიც სულ უფრო ავალდებულებს და ამდიდრებს საბჭოთა საზოგადოების სულიერ ცხოვრებას.

ყრილობაზე საგანგებოდ გამახვილდა ყურადღება მათზე. გამოკვეთილად ითქვა, რომ საბჭოთა ხელოვნებაში ახალი მოქცევის ტალღა მოდის და უკანასკნელ ხანს საბჭოეთის ყველა რესპუბლიკაში შეიქმნა საგულენახლო ნაწარმოებები როგორც ლიტერატურაში, ასევე ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ამ ნაწარმოებთა ავტორებმა მკაფიოდ გამოიქმნეს ჩვენი თანამედროვეების ორიგინალური სახეები, ყურადღება გამახვილდა მხატვრული ლენინიანისა და რევოლუციური თემატიკისადმი, განსაკუთრებული ინტერე-

სი გამოიწვია ზნეობის საკითხებისადმი ლტოლვამ, ამაღლდა მხატვრული ოსტატობა და იდეოლოგიური ყოვლილება.

სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა აღინიშნა გ. მარკოვიმ კმაყოფილებით აღნიშნა ყრილობაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ხელოვანთა მხატვრული ზრი კი არ ჩამორჩება დროს, არამედ ზოგჯერ უსწრებს კიდევ მას და მომავალში იხედება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საბჭოთა ლიტერატურა სასხვებით განთავისუფლდა უმწიფარი, ზედპირული ნაწარმოებებისაგან, რაც არ გამოპარავს კრიტიკასა თუ მკითხველის თავს.

ასევე კრიტიკული სულისკვეთებით გამოირჩეოდა სსრკ კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივნის ტ. ხრენიკოვის გამოსვლა ყრილობაზე, რომელიც თავის სიტყვებში კონკრეტულად ილაპარაკა საბჭოთა მუსიკალური კულტურის მიღწევა-ნაკლოვანებებზე. კრძოდ იმხვე, რომ გვაქვს თვალსაჩინო, ტქმპარირებად საბჭოთა ადამიანის სულის თანამიერი მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებშიც მართლადან წარმორჩენილი ჩვენი ცხოვრების სინამდვილე, მაგრამ ასეთი ნაწარმოებები შედარებით ცოტაა. ამიტომ თანამედროვე თემისადმი, კომუნისტური მნიშვნელოვანი სახის, მისი სულიერი ცხოვრებისადმი მიმართვა მუსიკალური ხელოვნების ოსტატთა მოაჯარი ამოკლავს.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევიმ ვრცლად და საუფუძლიანად ილაპარაკა საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე, მის აქტიურ ზოზიციანე ზენდას სინამდვილეში, მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მომენტი, რომელიც ესება მხატვრული ნაწარმოების თემატურ და იდეურ მხარეებს. ამასთან დაკავშირებით ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მოითითებს: „დიდი მნიშვნელობა აქვს მიჯანოეთ იმას, რომ თემის აქტიულობით არ ამართლებდნენ მხატვრული თვალსაზრისით უღიმამო, უსუსურ ნაწარმოებებს“. და მეორეც: „უიდეობის გამოვლენაზე, მოსოფლმხედველობრივ განურჩევლობას, ცალკეულ ისტორიულ მოვლენასა და ფიგურას მკაფიო კლასობრივ შეფასებისაგან გადახვევას შეუძლია ზიანი მიაყენოს თვით უნიტიკის ადამიანთა შემოქმედებას“.

ამასთან, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მოუწოდებს შემოქმედებით კავშირებსა და პარტიულ ორგანიზაციებს — სწორ გზაზე დააყენონ ხელოვანი, თუკი მას ასედა. მაგრამ შეუწინარებლები უნდა ვიყოთ მათ მიმართ, ვინც ჩირქს სცება საბჭოთა სინამდვილეს. ეს მტკიცე პარტიული ზოზიციანა და ყველად უნდა იცოდეს — „პარტია არც ყოფილა და ვერც იქნება გულდრედი ჩვენი ხელოვნების იდეური მიმართულებისადმი“.

ჩვენდა სასახელოდ, განვიღო ხუთწლედში ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ მოიპოვა არ სეზებით ხასიათის წარმატებები. დაიწერა მნიშვნელოვანი პოეტური, პროზაული და დრამატული ნაწარმოებები; დაიდგა ახლა უკვე ჩვენი და საზღვარგარეთ ფართოდ აღიარებული მუსიკალური თუ დრამატული სპექტაკლები, კინოფილმები; შეიქმნა ეპოქის შესაბამისი ტილოები და ქანდაკებანი. მნიშვნელოვანი შე-

მოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა საქართველოს პანტომიმის თეატრმა (ერთადერთმა სსრ კავშირში), რომელმაც წარმატებით დადგა სპექტაკლი „მცირე მიწა“ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოების მიხედვით. ბარემ აქვე აღვნიშნოთ, რომ მის შემქმნელსა და მთავარი როლის შემსრულებელ ამირან შალიკაშვილს დამსახურულად მიენიჭა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია.

სიახაის გრძნობით გვაგებებს იმის გახსენება, რომ გასულ ხუთწლეულში მოიპოვეს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მოქალაქე მერაბ ბერძენიშვილმა, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივმა რეჟისორ ფილიპტ სტურუბის ხელმძღვანელობით, მხატვრული რომლის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ შემქმნელმა ჯგუფმა რეჟისორ ლანა ლოლობერიძის მეთაურობით.

ნოადა დუმბაძის სახით, პირველად ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ლენინური პრემია მიენიჭა ქართველ მწერალს.

X ხუთწლეულში სოციალისტური შრომის გმირის საპატიო ნიშნით დაინიშნა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეებმა — მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა, მსახიობმა ვერკო ანჯაფრძემ, მწერალმა აკადემიკოსებმა გიორგი და ირაკლი აბაშიძეებმა.

სულ ახლახან შეიქმნა მწერალი და რეჟისორ რეზო თაბუკაშვილის შესანიშნავი კინოდილოგია „ქართველები იტალიაში“ („კვილე ათალი“) — მიხილ თამარაშვილზე და „მალური ვარსკვლავი“ — შოთა თაბუკაშვილზე, რომელიც წარდგენილია ფორთა რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად.

გასული წლის ბოლოს დამთავრდა რეჟისორ გია ჭუბინარის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „საქართველოც, წინ და მალა“. იგი მიქმდნა საბჭოთა საქართველოს მე-61 წლისთვის და გამოირჩევა მისი ავტორისთვის დამახასიათებელი პოეტურობით.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკისა და საკავშირო ეკრანებზე რეჟისორ რეზო ჩხვიძის ახალმა ფილმმა „ემოლიონი ჩემო მიწაზე“ („რაიკობის მდივანი“), რომელიც უშუალოდ სკკპ XXVI ყრილობას ეძღვნება და ახალი ტიპის პარტიული მუსულის სახეს გვიჩვენებს.

ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატებმა თავი გამოიჩინეს წინასაყრილობა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე „ჩვენი ვაშენებთ კომუნისტს“, რომელშიც შეერგა უკანასკნელ ხანს შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებები.

მოხდა კიდევ ერთი სასიამოვნო მოვლენა, რომელმაც მიიპყრო საერთო ყურადღება — სწორედ ძველი და ახალი წლების მიჯნაზე თბილისში სახვიმოდ გაიხსნა ბავშვთა ნახატების გალერეა.

ცხადზე უცხადესია, რომ ზემოთ აღნიშნული წარმატებები და აღიარება დამსახურებული და კანონზომიერია. იგი მოპოვებულია დაძაბული შემოქმედებითი შრომის შედეგად და მშობლიური ხალხის საკუთილდლოდ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ახ. ლ. ი. ბრეჟნემ ახა-

ლი ხუთწლეულის გეგმების ხორცშესასხმელად დასახულ ღონისძიებათა შორის დიდ პასუხისმგებლობას გრძნობსათან, კომუნისტურ დისციპლინასთან — სახელოს დაუცხრომელ ძიებასთან, ამ სიახლის მზარდაჭერასთან და მუდმივ ინიციატივასთან ერთად დასახელა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი — აზრის აღმადგინა. ეს კი განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინოთ ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებმა, რომელთა ნაწარმოებებში მთავარ ყურადღებას უნდა იპყრობდეს სწორედ აზრის აღმადგინა, ცინცხალი სიტყვა...

ჩვენი რესპუბლიკა აღმავლობის გზაზეა. ეს საგრძნობია სახალხო მემორიალის ყველა დარგში, რასაც თვალსაჩინოდ გამოხატავს ზედიზედ მერვედ მონიჭებული საკავშირო გარდამავალი დროშაცა და ის აღიარებაც, რომელიც სკკპ XXVI ყრილობის მიმდინარეობისას გამოხატა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს კიდევ 5 თავდადებული მშრომელისათვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო ნიშნების მიწიჭებით. ხუთწლეულის ახალი გმირები გახდნენ: კოლმეურნეობის თავმჯდომარე მამია აბაშიძე, პარტიის რაიკომის მდივანი გურამ მგელაძე, საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ნაზო პეტრიაშვილი, მეჩხია ნორა საკანია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შვეარდნაძე.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა ემზადება დიდი ზემობის — საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის მე-61 წლისთავის აღსანიშნავად, რომელიც მისში გამოირთება. ამრიგად, ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ჩაინერება კიდევ ერთი დიდებული ფურცელი, რომლის დევიზი იქნება წინსვლა სკკპ XXVI ყრილობის მიერ ნაჩვენები გზებით.

XI ხუთწლეულში საბჭოთა საქართველოს აქვს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფართო სამოქმედო პროგრამა, რომელიც აისახა „ქირითად მიმართულებებში“; რესპუბლიკის კომპარტიას გააჩნია კონკრეტული გეგმები სამომავლად, რომელიც ასე ჩამოაყალიბა ახ. ე. ა. შვეარდნაძემ სკკპ XXVI ყრილობაზე: „საქართველოს კომპარტიას თავის საბრძოლო ამოცანად მიაჩნია ცენტრალური კომიტეტის, ლენინი ილიას ძე ბრეჟნევის მოთხოვნათა შესაბამისად ეძღვნება დივანის ისე, რომ ყველაზე და ყოველთვის ამკვიდრებდეს სამართლიანობის, პატიოსნების, შუამნიშობის, თავმდაბლობის, ლენინური პარტიულობის აწიდათაწიდა პრინციპებს, რათა შრომის უზენაესი ნიშნობით, ღრმადი დემოკრატიზმი და შეგნებული დისციპლინა, უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი მძლავრი კავშირის წინაშე გახდეს რესპუბლიკის კომუნისტთა სადარბაზო ბარათი“.

ეს საბრძოლო ამოცანა რესპუბლიკის თითოეული მშრომელის ღვიძლი საქმე უნდა გახდეს და მაშინ განრანტირებული იქნება მორიგი დიდი გამარჯვება, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ყრილობაზე ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ედუარდ შვეარდნაძე.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის ბრძანებულება**

აფხაზეთის ს. ი. ჰანანას სახელმწიფო სახელმწიფო  
დრამატული თეატრის „საპატიო ნიშნის“  
ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარება-  
ში დამსახურებისათვის აფხაზეთის ს. ი. ჰანანას სა-  
ხელმწიფო დრამატული თეატრი და-  
ჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ლ. ი. ბრძენიძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1980 წლის 18 დეკემბერი.

# აფხაზური თეატრის ღვთაუნაღბელი

## დიმიტრი ალექსიძე

საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე

ამ სახეობაში დღევანდელ აფხაზურ ხალხს აღნიშნავენ აფხაზეთის ს. ჰანანას სახელმწიფო დრამატული თეატრის 50 წლისთავს, მეც მათთან ვარ და უღრმესი გულითადობით ვულოცავ ამ შესანიშნავ თეატრალურ კოლექტივს, რომელთანაც მრავალი წლის მანძილზე მამულებს შემოქმედებითი მეგობრობა, დაარსებიდან 50 წლისთავს. დიდი სიხარულით ვიგონებ საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს მ. ზუხუბას, ა. აგრბას, რ. აგრბას, ვ. კოვეს, მის ვაჟივილს მ. კოვეს, ნ. უშას, ა. არლუნს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს, აფხაზეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს ვ. კოლონას, თეატრის მთავარ რეჟისორს დ. ქორდავას, ს. აგუშას, შ. ფაჩალიას, ხ. ჯოაუას და სხვ.

მიხარია ისიც, რომ აფხაზეთის თეატრის მსახიობთა და რეჟისორთა შორის ბევრი შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილია, ვამაყობ იმითაც, რომ ჩემი მოწაფეები ნამდვილი პროფესიული მსახიობები და რეჟისორები დადგნენ. ახლა ისინი ჩემი კოლექტივი არიან, მაგრამ მესხიერებას შემორჩა მოგონებები, როგორ ეუფლებოდნენ ისინი სამსახიობო და სარეჟისორო ხელოვნებას, როგორ ყალიბდებოდნენ ოსტატებად.

მაგონდება რეპეტიციები ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტ აფხაზთა ჯგუფთან. მათ ფანატიკურად უყვარდათ ხელოვნების არჩეული დარგი, სწავლობდნენ თავდავინყებით და დედულადავ მუშაობდნენ სპექტაკლის დადგმაზე.

მე მსიამოვნებდა მათთან ურთიერთობა, დიდ კმაყოფილებას განვიცდიდი, როცა მათ ვუზიარებდი ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას, რადგან აფხაზი ახალგაზრდები ბუნებრივი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი, თითოეულ მათგანს ერთდროულად მუსიკალურობაც ახასიათებდა, რიტმულობაც, პლასტიკურობაც, ემოციურობაც და იმპროვიზაციის ნიჭიც შესწევდათ. იმპროვიზაციის მსახიობები ამჟღავნებდნენ გაკვეთილებზე, გაუთავებელ რეპეტიციებზე. ჩვენ ვეძებდით ახალს, ვატარებდით ექსპერიმენტებს, თამაზად ვმუშაობდით, ვქმნიდით და ერთმანეთს დიდ პატივს ვცემდით.

„როდესაც მე ვმუშაობდი აფხაზ სტუდენტებთან ერთად მოლიერის „ვიტომ რქიანის“ დადგმაზე, აკაკი ვასაძე პარალელურად დგამდა დ. კლდიაშვილის „უბედურებას“. ორივე სპექტაკლი იმდენად საინტე-



რესო აღმოჩნდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ეს სპექტაკლები გასინჯვის შემდეგ პირდაპირ შეიტანა პროფესიული თეატრის რეპერტუარში და საზოგადოებამ ისინი დიდი აღტაცებით მიიღო. მოგვიანებით მე გამოვეუშვი აფხაზი სტუდენტების კიდევ ერთი ჯგუფი. ისინი თამაშობდნენ ჰერმან ჰეიერმანსის პიესაში „იმედის დაღუპვა“. ამ სპექტაკლის დადგმისათვის მე მომანიჭეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

მე ვამაყობ ამ წოდებით, ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცოდნისა, გამოცდილებისა და შრომის წვლილმა ხელი შეუწყო აფხაზეთის თეატრალური ხელოვნების აყვავებას. მე ვამაყობ ჩემი მონაწილეობით და იმითაც, რომ ჩემმა და ჩემი კოლეგების დაუღალავმა შრომამ აფხაზურ თეატრს ალუზარდა ნიჭიერი მსახიობები და რეჟისორები, შექმნა ის ბირთვი, რომელიც დღეს სათავეში უდგას აფხაზეთის დრამატული თეატრის შემოქმედებით კოლექტივს. აფხაზეთის თეატრალურ ხელოვნებაში ჩაქსოვილი ჩვენი ხალხების ღრმა კულტურული ტრადიციები სანინდარია

აფხაზი და ქართველი ხალხების ძმობისა და მეგობრობისა.

მამოჩენილმა აფხაზეთის დრამატული თეატრის გასტროლები ჩვენი დიადი ქვეყნის დედაქალაქში, მოსკოვში, სადაც, გარდა აფხაზი დრამატურგების პიესებისა, ჩაიტანეს აგრეთვე კლასიკური რეპერტუარის საფუძველზე შექმნილი სპექტაკლებიც, მაგალითად, ფრიდრიხ შილერის „დონ კარლოსი“. ამ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად და ცენტრალური პრესაც გამოეხმაურა.

გამოჩენილმა ესპანელმა დრამატურგმა, პოეტმა და მწერალმა გარსია ლორკამ ერთხელ თქვა, თეატრი ისეთი უნდა იყოს, როგორც ამ თეატრის შემქმნელი ხალხიაო. ჩემის აზრით, აფხაზური თეატრიც ასეთი უნდა იყოს, მან უნდა გამოხატოს აფხაზი ხალხის ხასიათისა და აზროვნების განუმეორებელი თვისებები. ამისთვის კი საჭიროა საკუთარი ხალხის წარსულის შესწავლა, აწმყოზე ფიქრი და მომავლის განსაზღვრა.

ვუსურვებთ აფხაზეთის ს. ტანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს და ახალ-ახალ წარმატებებს.

აშხაზური თეატრალური დასები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და მეცნიერი დიმიტრი გულია (სოხუშში) და პედაგოგი პლატონ შაკრილი (ოჩამჩირეში), პირველ ნაბიჯებს სცენაზე ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დგამდნენ და მენშევიკური მთავრობისგან დევნას განიცდიდნენ. ამ კოლექტივებს შემოქმედებითი წინსვლის საშუალება არ მიეცა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით იქცა აფხაზური თეატრი კავკასიის ერთ-ერთ საუკეთესო პროფესიულ თეატრად. არსებობის 50 წლის მანძილზე მის ფიციარნაგზე იდგმება არა მხოლოდ აფხაზი დრამატურგების, არამედ მსოფლიო კლასიკის საუკეთესო ნიმუშები, შექსპირის, შილერის, ევრიპიდეს, სოფოკლეს, გოგოლის, ლოპე დე ვეგას, გოლდონის, მოლიერის, ვარსია ლორკას, ოსტროვსკის, გორკის, ბრეხტის ქმნილებებმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი თეატრის რეპერტუარში.

აფხაზური საბჭოთა თეატრი, რომელმაც შეისისხლორცა ქართული პერიოდიული და რუსული რეალისტური თეატრის საუკეთესო ტრადიციები, არ გახდარა მათი მექანიკურად მიმბაძველი, იგი თავისი საკუთარი გზით მიიღოდა, ვითარდებოდა, მხრებს შლიდა. აფხაზი ხალხის გმირული სული, ამავე დროს, თავშესაქცევისა და იუმორისადმი მისი სიყვარული სცენაზე სახეირდებოდა.

თეატრმა ბევრი რამ გააკეთა აფხაზური დრამატურგიის განვითარებისათვის. მან ფართოდ გაუხსნა გზა დ. გულიას, ს. ჭანბას, ძ. დარსალიას, მ. კოეეს, შ. შინკუბას, მ. ლაჭარბას, ე. ავრბას, კ. ავუმას, ა. ლასურისას, შ. ფაჩალიას, შ. ჭკადუას, ნ. თარბას, შ. სანგულიას, რ. ჯოჰუას, ჯ. ახუბას, შ. ბასარიას, გ. გუძლიას, ა. მუქაბას, მ. ჩამაუას ნაწარმოებებს, სტუმართმოყვარულად გაუღო კარი ბევრ სხვა პოეტსა და პროზაიკოსს, რომელთა შემოქმედებითი ბედი სამუდამოდ დაუკავშირდა თეატრს.

აფხაზური თეატრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა კ. ძიძარიამ, დრამატურგიის პირველმა ორგანიზატორმა. აფხაზური თეატრის შექმნის დღიდან მის შემოქმედებით ატმოსფეროში ჩაერთო ბევრი ცნობილი დრამატურგი, რეჟისორი, მხატვარი, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას რესპუბლიკის ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეჟი-

# აფხაზური თეატრის ნახევარი საუკუნე

## ალექსი არგუნი

აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი

სორ ვასილ ივანეს ძე ლომოვაროვს და მის მოწაფეებს — აფხაზური ეროვნული რეჟისურის ფუძემდებლებს აზიზ ავრბას, შარახ ფაჩალიას, კადირ ყარალოვს. აფხაზური თეატრის განვითარებაში დაუფასებელი წვლილი შეიტანეს ქართული სცენის ცნობილმა ოსტატებმა, ქართველმა თეატრალურმა მოღვაწეებმა — ა. ხორავამ, ა. გასაქემ, დ. ალექსიძემ, ე. ვანაქემ, ი. თავზარაშვილმა, ი. თავაქემ და სხვებმა. მათ აფხაზური თეატრისთვის რამდენიმე თაობა აღზარდეს.

უკანასკნელ წლებში თეატრში მოვიდნენ ახალგაზრდა რეჟისორები, რომლებმაც უმაღლესი თეატრალური სასწავლებელი დაამთავრეს თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში. მათ შორის თავიანთი შემოქმედებითი მიღებით გვახარებენ ნ. ეშუა, დ. კორტაეა, მ. მარხოლია, ხ. ჯოჰუა, ე. კოეე, ნ. ჩიქოვანი და სხვ.

აფხაზური თეატრის არსებობის 50 წლის მანძილზე პროფესიულმა თეატრმა ცოტა შემოქმედებითი გამოცდილება როდი შეიძინა, დაამკვიდრა როგორც პერიოდიულ-რომანტიკული, ისე კომედიური სპექტაკლების დადგმის თავისი ტრადიციები. უფროსი და მომდევნო თაობების აფხაზი მსახიობები თან-

ბარი წარმატებით ასრულებენ როგორც პე-  
როიკულ, ისე კომედიურ როლებს. მათ ხე-  
ლოვნებაში მკაფიოდაა წარმოჩენილი პერო-  
იკულ-დრამატული და სატირიკულ-გროტეს-  
კული ტრადიციები.

აფხაზური სცენა სამართლიანად ამაუობს  
ისეთი გამოჩენილი მსახიობებით, როგორიც  
არის შარახ ფაჩალია, აზხ ავრბა, ლ. კას-  
ლანძია, რ. ავრბა, ე. შაქირბა, ა. არგუნ-  
კონოშოკი, მ. ზუხბა, მ. ფაჩალია, მ. კოვე,  
ი. კოკოსქირია, რომლებიც საქართველოს  
სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტე-  
ბის სპატიო წოდებას ატარებენ.

ამ შესანიშნავი ათეული მხარდამხარ აფ-  
ხაზურ თეატრში საშუალო თანხის ათობით  
მსახიობი იღვწის. ესენი არიან საქართველოს  
სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული  
არტისტები ს. აგუმა, ე. კოლონია, ვ. მაანი,  
აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტე-  
ბი შ. გიცბა, ა. თანია, ჭ. ჭენია, ნ. ლაკობა,  
ვ. აბლოთია, რ. ჯოჟუა, ა. ერმოლოვი,  
ღ. გიცბა, მ. ზუხბა, ს. საქანია, ო. ლავილევა,  
რომელთაც პყავდათ ნიჭიერი ახალგაზრდა  
კოლეგები, მათ შორის, ზ. ჭანბა, ს. ჩუაზი,  
ლ. ვანაჩა, ს. ნაჭყებია, ა. დუთია, ლ. ავიძ-  
ბა, ა. ბუჟაბა, ს. ვაგანიჩი, რ. დბარია, მ. გამგია,  
გ. თარბა და რუსთაველის სახელობის თბი-  
ლისის თეატრალური ინსტიტუტის სხვა აღ-  
ზრდილები.

აფხაზური თეატრისთვის ოციანი და ოც-  
დაათიანი წლები ხელოვნებაში თავისი გზის  
ძიების წლები იყო. მრავალი დრამატურგის  
მრავალი პიესა იდგმებოდა სხვადასხვა თემა-  
ზე. სცენის ფიქარნაგიდან გაიგონებდით  
სხვადასხვა ეპოქის, ეროვნების, მრწამსის  
გმირების ხმას. და მაინც, თეატრში წაყვავი-  
ნი იყო ეროვნული დრამატურგია, რად-  
გან ხალხს ყოველთვის წყუროდა, რომ სცე-  
ნაზე, უწინარეს ყოვლისა, თავისი წარსული,  
აწყო და მომავალი ენახა. სწორედ ამიტომ,  
თეატრი განსაკუთრებული გულსყურით ეკი-  
ვდებოდა აფხაზურ დრამატურგიას. პიესები  
გამოჩენილი აფხაზი პროზაიკოსის, დრამა-  
ტურგისა და საზოგადო მოღვაწისა სამსონ  
ჭანბასი, რომლის სახელსაც დღეს თეატრი  
ატარებს, — „აფსნი-ხანიმ“, „ამხაჯირი“, „ეი-  
არაზ“ თვალსაჩინო ადგილს იჭერენ თეატრის  
დრამატურგიაში. სცენაზე დაიდგა დამსა-  
ლიას „ღრმა წარსულში“, პ. შაფრილის  
„წყევლიაში“, მ. კოვეს „ინახუაჯაგუა“, ვ.  
ავრბას „ლიხნის აჯანყება“, გ. გულიას „ნნ  
წელი“, მ. ლაკრბას „საბილის ღობე“, რო-  
მელთა დადგმებიც აფხაზური თეატრის ის-  
ტორიაში საეტაპო მნიშვნელობისა იყო. იმა-

ვე წლებში თეატრმა დადგა გოგოლის „რე-  
ვიზორი“, ნ. ისტროვსკის „შემოსავლიანი  
ადგილი“, ლოპე დე ვეგას „სცხერის წყარო“,  
ს. შანშიაშვილის „ანზორი“, ა. კარნეიჩიუკის  
„ესკაიდრის დაღუპვა“ და სხვა, რომლებმაც  
მაყურებელს ბევრი სიხარული მოჰგვარა.

1941 წლის მარტში დაიდგა და დიდი  
წარმატებით მიიღოდა შექსპირის „ოტელიო“.  
რეჟისორმა ს. ჭელიძემ სპექტაკლს საფუძე-  
ლად დაუდო პუშკინის კონცეფცია იმაზე,  
რომ „ოტელიო“ ეკვიანობის დრამა კი არა,  
მიმნდობლობის ტრაგედიაა. ოტელიოს როლი  
შეასრულა ლ. კასლანძიამ, იაგოსი — შ. ფა-  
ჩალიამ.

დიდი სამამულო ომის წლებში აფხაზუ-  
რი თეატრის მთელი ძალ-ღონე მიმართული  
იყო გმირულ-რომანტიკული სპექტაკლების  
შექმნისკენ, რომლებიც აღბეჭდვდნენ საბ-  
ჭოთა ხალხის ბრძოლას ფაშისტი დაშპირებლ-  
ლების წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ ეროვნულ  
დრამატურგთა გულისყური გამახვილე-  
ბული იყო მტრის მიერ კავკასიის მიწის სოფ-  
ლების ოკუპაციასთან დაკავშირებულ მოვ-  
ლენებზე. მტრის წინააღმდეგ აღმდგარი აფ-  
ხაზი გლეხების შეუპოვრობა და შეუდრეკ-  
ლობა დაედო საფუძვლად ისეთ სპექტაკ-  
ლებს, როგორიც იყო გ. გულიას „გმირის  
კლდე“ (1943) და კ. აგუმაას „დიდი მიწა“  
(1945).

ომის წლებში თეატრი მარტო გმირულ  
სპექტაკლებს კი არ დამადა, ცდილობდა დაე-  
კმაყოფილებინა წყურვილი მაყურებლისა —  
ენახა კომედიური სპექტაკლები, მოესმინა  
სიცილი და თეითონაც ეცინა. ომისგან გაწა-  
მებულ ადამიანებს სურდათ ორიოდ საათით  
მაინც დაევიწყებინათ მტრის საშველ-  
სასიოცხლო ბრძოლაში მიტყენებული სუ-  
ლისეირი და ფიზიკური ტკივლები. აფხაზეთ-  
ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების  
დღეს, 4 მარტს, შედგა ორი მწერლის კომე-  
დიის „სასიოს“ პრემიერა. რეჟისორმა შ. ფა-  
ჩალიამ ეს კომედიური ხაზი განავითარა ქარ-  
თველი დრამატურგების ა. ცაგარელის „ხა-  
ნუმასა“ და ნ. მიქაეას „მსახიობი ქალის სი-  
ყვარულის“ დადგმებში.

პერიოდიკული თემა, ძლიერი ენებთაღელ-  
ვის ხასიათა ჭიდილი, მუდამ იზიდავდა აფ-  
ხაზურ თეატრს.

1947 წლის 27 ივნისს თეატრში შედგა  
დიდი გემინალი დრამატურგის შოლერის  
ტრაგედიის „ვერაგობა და სიყვარული“ (რე-  
ჟისორი შ. ფაჩალია) პრემიერა. სპექტაკლმა  
შესძლო გმირების რთული სოციალური ბუ-  
ნების, მათი მსოფლმხედველობითი ურთი-

ერთბრძოლის არის წარმოჩენა. შემოქმედებითა კოლექტივმა გვიჩვენა შინაგანი შეზღუდულობა და განწირულობა იმ სახელმწიფოს მმართველებისა, რომლებსაც თავიანთი სიბეცით საზოგადოებისათვის მხოლოდ ზიანი მოაკეთ.

ისეთი რთული სპექტაკლების შემდეგ, როგორცაა კ. აგუმაას „დიდი მიწა“, ბ. ლაერენციის „ვინც ზღვაშია, იმათ გაუმარჯოს“, და შილერის „ვერავობა და სიყვარული“, რომელთა ხორკშესხმასაც ძალზე დიდი ენერჯია მოხმარდა, რეპერტუარის გამრავალფეროვნებისთვის, რასაკვირველია, მაყურებლის მოთხოვნების გათვალისწინებით, თეატრმა ისევ კომედიურ ეპანის მიმართა. რეჟისორი და დრამატურგი შ. ფაჩალია მაყურებლის სამსჯავროს წარუდგა მზიარული კომედია — „დიდი ქორწილი“, რომელიც საკომედიურნო სოფლის სინამდვილეს ასახავდა. სპექტაკლი მთავრდებოდა მთავარი გმირების, გარდამავალი დროშის მოპოვებისთვის კონკურენტების ქორწილით.

ორმოციან წლებში თეატრმა დადგა ისეთი საინტერესო სპექტაკლები, როგორიც იყო ა. ლასურბიას „წრფელი სიყვარული“, მოლიერის „სკაპენის ოინები“, დ. გულის „მოჩვენებები“, შ. ფაჩალიას „სალუმანის ამოსვლის წინ“, გ. მდიანის „კეთილი ადამიანები“, გ. მუხტაროვის „ოჯახის ღირსება“, და მრავალი სხვა, რომლებიც დადგეს შ. ფაჩალიამ და ა. აგრბამ.

აფხაზური თეატრისთვის ორგანიზებული იყო სამშობლოს დაცეის, სიყვარულის, რევოლუციის, შრომის თემები, ერთი სიტყვით, თეატრი არასოდეს განდგომია ცხოვრებას, მას არასოდეს შეუქცევია ზურგი იმ სასიცოცხლო პრობლემებისთვის, რომლებსაც საბჭოთა მრავალრიოვნული დრამატურგია აყენებდა. ამიტომ საესეებით დამსახურებულად შეგვიძლია ჩვენ აფხაზურ თეატრს ჰეშმარითად ინტერნაციონალური თეატრი ვუწოდოთ. აფხაზმა მაყურებელმა, თავისი თეატრის მეოხებით მიიღო შესაძლებლობა ზიარებოდა მომე ხალხთა სულიერ სიმდიდრეს, მათ თეატრალურ ხელოვნებას.

როდესაც აფხაზურ თეატრზე ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოვკრჩეს მისი ლტოლვა სატრიკული ეპანისკენ. ძველი დროიდან მომდინარე ხუმარა-კომიკოსების გამოცილიბამ (აფხაზური თეატრის სათავეები) თავისი გარკვეული ადგილი დიკავა თეატრის რეპერტუარში.

1954 წელს თეატრი დგამს ბელორუსი დრამატურგის ე. მაკაიონოვის კომედიას „ქეები ღვიძლეს“ (რეჟისორი ა. აგრბა). დემაგოგი, დოყლაპია კარიერისტის კალიბეროვის როლი შესარულა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლ. კასლანდიამ. კალიბეროვის ცოლის, ანტონინას, მეშჩანი ქალის როლს ასრულებდა პროფესიულ აფხაზურ თეატრში





თვითშემოქმედებიდან მოსული ერთ-ერთი პირველი მსახიობი ქალი, დღეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ეკატერინე შაკერბაი. მლიქვნელისა და გაზეწრის, მოშკინის როლი ბრწყინვალედ ითამაშა აფხაზური თეატრის ერთ-ერთმა ყველაზე უფრო პოპულარულმა კომედიურმა მსახიობმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა რ. აგრაბამ. სუსტი ნებისყოფის, კოლმუერნეობის უბრინციო თამგდომობის, გორშევის როლი შეასრულა შ. ფაჩალიამ.

თეატრი დგამდა რევოლუციამდელი სიმამვილის ამსახველ პიესებსაც. დიდი წარმატებით განხორციელდა გორაკის „უკანასკნელისი“ დადგმა.

1954 წელს თეატრმა პირველად გამართა გასტროლები ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩერქეთის ავტონომიურ ოლქში. ჩერქეზეთის ქალაქებსა და სოფლებში თეატრმა უჩვენა ათობით სპექტაკლი, რომლებიც მყურებელმა გულთბილად მიიღო.

გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ თეატრი მუშაობას იწყებს ახალ რეპერტუარზე. თავდაუზოგავი შრომით კოლექტივმა წარმატებით დადგა შ. ფაჩალიას „გუნდა“, გ. გულიას ისტორიული დრამა „შავი სტუმრები“, განაახლა კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“.

ოქტომბრის რევოლუციის 40-ე წლისთავის დღესასწაულისთვის თეატრმა წარმოადგინა ნ. პოგოდინის „კრემლის კურანტები“



გულამი — ა. ტანია („მოჩვენებები“)

მარკოზი პოზა — შ. გიცია („დონ კარლოსი“)

ვ. ი. ლენინი — რ. აგრაბა („კრემლის კურანტები“)

სცენა სპექტაკლიდან „ალამისი“

სცენა სპექტაკლიდან „სედიყი“



(რეჟისორი ა. აგრბა). სპექტაკლში ლენინის როლი შეასრულა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა რ. აგრბამ. გავითი „სოვეტსკაია ახახია“ წერდა: „არტისტი დიდი შინაგანი დამაჯერებლობით, დიდი ისტატობით ხატავს ლენინის სახის ცალკეულ შტრიხებს. იგი ვერცხვენებს ლენინის რწვენის ხალხის ძალაში, რომელსაც ფრთა შეასხა, თავისუფლება მიანიჭა რევოლუციამ. ესაა რწმენა ნათელი მომავლისა, რომელიც მივიყვანს კომუნისმის საბოლოო გამარჯვებამდე. რ. აგრბამ შესწლო ურთულესი ამოცანის დაძლევა. მეტად მნიშვნელოვან გარეგნულ მსგავსებასთან ერთად, მან წარმოაჩინა ლენინის მძიებელი, ენერგიით აღსავსე, გულსყურიანი გამოხედვა“.



1957 წელი აფხაზური თეატრისთვის შემოქმედებითი გამოცდის წელი იყო. სწორედ ამ წელს, ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე უჩვენა მან თბილისის ბევრისმნახველ, მომთხოვნ მყურებელს თავისი ხელოვნება. ამ დეკადაზე აფხაზურ თეატრს დიდი წარმატება ხვდა წილად. მოვიყვანთ ერთ ადვილს ნ. შალუტაშვილის სტატიიდან: „აფხაზურმა დრამატულმა თეატრმა საქართველოს დედაქალაქის მყურებელს დეკადის დღეებში უჩვენა სამი სპექტაკლი: შექსპირის „ოტელო“, ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“, შ. ფაჩალიას „გუნდა“. სპექტაკლებმა ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა და ცხადყო აფხაზური თეატრალური ხელოვნების მრავალფეროვნება და სიმდიდრე. ყოველ სპექტაკლში იგრანობოდა მსახიობთა შემოქმედების ახალი წახნაგები, ახალი კუთხეები“.

სცენა სპექტაკლიდან „სიმღერა კლდეზე“  
შ. ფაჩალია — მეფე ფილიპე II („ღონ კარლოსი“)  
სცენა სპექტაკლიდან „სიმღერა კლდეზე“

თეატრი მიღწეულით არ დაკმაყოფილებულა, საქართველოს დედაქალაქში აფხაზური თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა — მსახიობთა და რეჟისორთა ოსტატობის დემონსტრირების შემდეგ, თეატრმა გაორკეცებული ენერგიით განაგრძო მუშაობა და წლის განმავლობაში რამდენიმე პრემიერა წარმოადგინა: ვიონიოვის „ქარიშხალი“ (რეჟ. ბ. სულიკაშვილი), ჯაკ-მეტის „დამანაშავის ოჯახი“ (რეჟ. შ. ფაჩალია), ა. კასლანძის და ხ. ჯოჰუას „სახლი № 12“ (რეჟ. გ. სულიკაშვილი), ს. ჰანანს და ვ. აგრბას „გამარჯვება“ (რეჟ. ა. აგრბა) და სხვა სპექტაკლები, რომლებიც მრავალნაირ ცხოვრებისულ პრობლემას ეხებოდნენ.



1959 წელს რეჟისორმა გ. სულიკაშვილმა აფხაზურ თეატრში დადგა ევროპიდეს „მედია“, რომელიც აფხაზური თეატრის შემოქმედებითი ძალების ჭეშმარიტ ტრიუმფად იქცა. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპიდეს „მედია“ საბჭოთა კავშირში ყველაზე ადრე აფხაზურმა თეატრმა დადგა. ამ საინტერესო

სპექტაკლმა ერთხელ კიდევ გამოავლინა აფხაზური თეატრის მსახიობთა და რეჟისორთა შემოქმედებითი ერთსულოვნება. საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მინადორა ზუნბამ შექმნა მედლის ღრმად ტრაგიკული სახე, იაზონის როლში კი წარმოავლინა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი შ. ფაჩლოა.

60-იანი წლების დასაწყისი აფხაზური თეატრისთვის შემოქმედებითი თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო. ახალგაზრდა რეჟისორი ნ. ეშმა დაგმას რამდენიმე ახალ სპექტაკლს. ესენია დ. გულის „მოჩვენებები“, რ. ებრაღიმის „თანამედროვე ტრაგედია“, ე. შვარცის „შვილი ხელმწიფე“, ნ. ჩამაგუას „ივანე აფხაზი“, ნ. თარბას „სიმღერის შეთხზვა ადიელი როდია“. ამ სპექტაკლებით აფხაზური თეატრის ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. ნიჭიერმა რეჟისორმა ნ. ეშმამ აფხაზური თეატრის მსახიობთა ნიჭიერების ახალი უნარიც გამოავლინა — ესაა, ჰეროიკული და კომედიური სახეების შექმნის უნართან ერთად, ფსიქოლოგიური, ღრმა ფილოსოფიურობით აღბეჭდილი სახეების შექმნის უნარი.

სამოციან წლებში თეატრი ქმნის მრავალ სპექტაკლს აფხაზურ ორიგინალურ დრამატურგიაზე დაყრდნობით. მათ შორისაა შ. ბასარიას „ნათელი ზეცა“, რ. ჯოპუას „ნაპარლი“ და „აქვეიმას ასული“, ა. ლაგვილავას „განთიადის წინ“ და სხვა, რომლებიც დადგეს რეჟისორებმა ა. აგრბამ, გ. სულეიაშვილმა და ხ. ჯოპუამ.

აფხაზური თეატრის არასოდეს გაუწყვეტი კავშირი მოწინავე დრამატურგიასთან. მისი რეპერტუარი გამდიდრდა ისეთი სპექტაკლე-

ბით, როგორცაა ლორკას „სისხლიანი ვირწილი“ (რეჟ. ხ. ჯოპუა), ნ. პიქმეთის „დაუ“ (რეჟ. ნ. ჩიქვინი), დ. პავლივის „სინდისი“ (რეჟ. მ. მარხოლია). 1967 წელს აფხაზური თეატრის სცენაზე პირველად ჩნდება ბ. ბრეტის პიესა. — ახალგაზრდა რეჟისორმა მ. მარხოლიამ დადგა „ბატონი პუნტილა და მისი მსახური პატი“. ამ სპექტაკლში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა საშუალო თაობის მსახიობების — ს. საქანაის (პუნტილა), შ. გიგბას და სხვათა შემოქმედებითი ნიჭიერება.

თავის შემოქმედებითი გაქანებით აფხაზური თეატრი, როგორც იქვეა, კავკასიის წამყვანი თეატრალური კოლექტივების რიცხვში შედის. უქანსკენლ წლებში იგი, თავის წინანდელ ტრადიციებზე უარის უთქმელად, სულ უფრო და უფრო აღრმავებს ძიებებს ადამიანის ფსიქოლოგიის, სამყაროსთან მისი მიმართების კვლევის სფეროში. ამის დამადასტურებელია უქანსკენლი წლების სპექტაკლები — მილერის „ღონ კარლოსი“, ბ. შინკუბას „სინდერა კლდეზე“, ლ. უკრაინკას „ტყის სიღერა“, ა. ოსტროვსკის „თოვლია“, ა. ვოლოდინის „უფროსი და“ (ნ. ეშმას დადგმით), ა. მუკბას „ალამისი“ (შ. ფაჩლოას დადგმით), ე. რობერის „მარი — ოქტომბერი“, რ. გაშაათვის „მოთელი ქალი“, რ. ჯოპუას „მათი“, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა!“ (დ. კორტავას დადგმით), იმენის „მოჩვენებები“, მ. ბაიაჩვიის „დუელი“, ა. არგუნისა და მ. მარხოლიას „სეიდიყი“ (მ. მარხოლიას დადგმით), რომლებიც წარმატებით მიდიოდა და მიდის თეატრის სცენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ლ. უკრაინკას „ტყის სიღერა“ (ნ. ეშმას რეჟისორობით) სათვალავით მიდიოდა და მიდის თეატრის სცენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ლ. უკრაინკას „ტყის სიღერა“ (ნ. ეშმას რეჟისორობით) სათვალავით მიდიოდა და მიდის თეატრის სცენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ლ. უკრაინკას „ტყის სიღერა“ (ნ. ეშმას რეჟისორობით) სათვალავით მიდიოდა და მიდის თეატრის სცენაზე.

აფხაზეთის თეატრალური ხელოვნების ისტორიაში ახალი ფურცლები გადაიშალა 1971 წელს თბილისში, შემდეგ კი კიევიში, დნეპროპეტროვსკსა და ნიკოლაევში, 1972 წელს ჩატარებული გასტროლებით. ამ გასტროლებმა გვიჩვენა აფხაზ სცენის ოსტატთა შემოქმედებითი სიმწიფე. უკრაინის თეატრალურ საზოგადოებაში აფხაზური თეატრის სპექტაკლების განხილვის დროს უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. კაჟესკიმ განაცხადა: „უკრაინის დედაქალაქში აფხაზური თეატრის კოლექტივმა გამოცდა ფრიაღზე ჩააბარა“.

1973 წელს აფხაზურმა თეატრმა პირველად გამართა გასტროლები მოსკოვში, სადაც აჩვენა თავისი რეპერტუარის საუკეთესო სპექტაკლები: ბ. შინკუბას „სინდერა კლდეზე“, მილერის „ღონ კარლოსი“, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა!“, ი. პაპასკივის



„ქალის ღირსება“, ა. ოსტროვსკის „თოვლია“ და ლ. უკრაინკას „ტყის სიმღერა“. აფხაზი ხალხის ხელოვნებას არა მარტო მოსკოველები, არამედ მოსკოვის მრავალი სტუმარიც გაეცნო. ამ გასტროლებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ აფხაზური თეატრი თავისი სპექტაკლებით ამკვიდრებს ზნობრივი სიწმინდის, პატრიოტიზმისა და მოქალაქეობრიობის იდეას.

აფხაზური თეატრის სპექტაკლებზე, მის წარმატებულ გასტროლებზე ბევრი თბილისეც ითქვა, რომელთაგან მოგვაქვს ციტატა გ. დანილოვის სტატიიდან („მოსკოვსკაია პრავდა“, 5 სექტემბერი, 1973 წ.): „რაც არ უნდა დადგას აფხაზურმა თეატრმა, რომელიც დრამატურგიასაც არ უნდა მიყიდოს ხელი, იგი თავის თავს, თავის იდეურ-მხატვრულ პრინციპებს არ ღალატობს. ესაა თეატრი, რომელსაც გორკისებურად სწამს ადამიანის გმირული დანიშნულება, მისი ღირს ზნობრივი ძალა, მისი უნარი, რომ ადამიანს ხალხის ბედნიერებისათვის გმირობამდე შეუძლია ამაღლდეს, ესაა რომანტიკული გზნების თეატრი, რომელიც შერქულია რეჟისორების, მსახიობების, მხატვრების ერთსულოვნებით“.

ახალ, 1970-74 წლების თეატრალურ სეზონში თეატრის სათავეში დგება აფხაზეთის ასრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კორტავა. უკანასკნელ წლებში თეატრმა დადგა რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი, რომლებმაც მაყურებლის მიწონება დაიმსახურა. ესენია ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირალები“, ტ. ულიამისის „ტრამპი მოიპარეს“, შ. ჭკადუას „ალუო ბრაზოსი“, შ. ფაჩალიას „ყოვლისშემძლე მავლოუ“, ე. ანუის „ანტიონე“, ა. მუქბას „მზის დაბნელებისას“, ა. არგუნის „გუდისა ლაზრბა“, გელმანის „პრემია“, სუხოვო-კობილინის „საქმე“ (რეჟისორი მ. მარხოლა).

თეატრის ცხოვრებაში საინტერესო მოვლენა იყო მისი დასის შევსება შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებით. მათ თეატრში რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი ჩამოიტანეს, რომლებმაც რეპერტუარში სიახლე დაამკვიდრეს. ესაა გერმანის „იზიდის დალუპი“. ესაა ადამიანთა რთული ურთიერთობის ამსახველი ფილოსოფიური ტილო, სპექტაკლი დადგა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, პროფესორმა დ. ალექსიძემ, ა. ხორავასა და ა. ვასაქსიან ერთად. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში აფხაზური თეატრისთვის კადრების მომზადებისთვის აქტიურად იღვწოდეს დ. ალექსიძეც.

1974 წელს აფხაზურ თეატრში სპექტაკლ „თეთრი ბაირალებში“ მონაწილეობა მიიღო

დიდმა მსახიობმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ, რომელიც შემდეგ, სპექტაკლით აღფრთოვანებული, წერდა: „მე უკვე დიდი ხნის ვარ, მაგრამ აფხაზ მეგობრებს ასე პირველად ვხვდები. რა სიმალეებს მიაღწია აფხაზურმა საბჭოთა კულტურამ! განსაკუთრებით თეატრმა. მე ერთი იმიათავანი ვარ, ვინც ამ თეატრის აღორძინებას ხელს უწყობდა. ამ თეატრის წინსვლაში მე დამაწმუნა სპექტაკლ „თეთრი ბაირალებში“ ნახაძე, აფხაზური სცენის ისეთი ოსტატების თამაშმა, როგორც არიან ვალერი კოვე, ნურბეი კამკია, რაზანბეი აგრა და სხვა არანაკლებ ნიჭიერი მსახიობები“.

უკანასკნელ წლებში თეატრმა დადგა რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი, მათ შორის ბ. შინკუბას „მეჩე... როგორც ვენებით“, ა. გელმანის „პრემია“, შ. აიხანოვის „წყაროს ხმა“, ნ. თარბას „შრის ხელი“, ე. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, ე. შვარცის „ჩრდილი“, ა. მუქბას „როცა ყველა კარი ღიაა“, სოფოკლეს „ელექტრა“ და სხვ.

1979 წლის დეკემბერში დაიდგა ბულგარელი დრამატურგის სტანისლავის პიესა „ნატის პიჯაკი“. ეს სატირული კომედია დადგა ბულგარულ თეატრალთა ჯგუფმა (დიდგემელი რეჟისორი დ. სტოიანოვი, მხატვარი ა. ველიანოვი, კომპოზიტორი ე. ჯამგივი).

აფხაზური თეატრს ბედმა გაუღიძრა, რომ მისი სცენის ოსტატები არაერთხელ დაუფიქროლებიათ ტაშით სხვადასხვა კონტინენტების მკვიდრთ, რომლებიც ისვენებენ აფხაზეთის კურორტებზე. არსებობს 50 წლის მანძილზე თეთრი თეატრიც არაერთხელ იმყოფებოდა გასტროლებზე მოსკოვში, თბილისში, კიევში, დნეპროპეტროვსკში, ნიკოლაევში, ჩერკასკში, ბათუმში, მახარაქსა და სხვა ქალაქებში.

დაუყოფიარი იყო თეატრისთვის უკანასკნელი წლების გასტროლები — შეხვედრები ოს მაყურებლებთან 1976 წელს, 1978 წელს — ხერსონშიანის შპროკლებთან და 1979 წელს — ქალაქ ჟდანოვის მაყურებლებთან. სოფოკლეს „ელექტრა“ და შ. აიხანოვის „წყაროს ხმა“ უკრაინის ტელევიზიით მილიონობით ადამიანმა ნახა.

აფხაზი მსახიობების, რეჟისორების, კომპოზიტორებისა და მხატვრების მიზანი ერთი — თქვენ სიმაართე ადამიანზე, სამყაროს გარდასაქმნელად მის ბრძოლზე.


აფხაზური თეატრის ყოველი სპექტაკლი, ისტორიულ თემაზე იქნება იგი აგებული, თუ თანადროულზე, ჩვენი ეპოქის შექმნაა განათებული. იგი პარტიის ერთგული თანაშემწეა მოწინავე საზოგადოებრივი იდეების პროპაგანდის საქმეში.

# 70

## მარად

## მოსაგონარი

ვახტანგ ბერიძე



გიორგი შავგულიძე

ბარბა ხანია, რაც გიორგი შავგულიძე აღარ არის, მაგრამ ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც უნახვს იგი სცენაზე, რა თქმა უნდა, ვერ დაივიწყებს. მის მიერ შექმნილი სახეები ჩვენთან ერთად ცოცხლობენ, როგორც რეალურად არსებულნი, თავისებურნი და განუმეორებელი. დრო მათ ვერაფერს აკლებს.

თეატრის მოყვარული, ბუნებრივია ხშირად იგონებს საყვარელ მსახიობებს — შორიდან მათი შემოქმედება ერთიანად წარმოგვიდგება, იკვეთება მსახიობის ყველაზე დამახასიათებელი თავისებურება, რაც გვეხმარება იმაში, რომ წარმოვიდგინოთ მისი, როგორც ხელოვანის, განზოგადებული სახე.

როცა გიორგი შავგულიძეზე ფიქრობ, პირველი, რასაც ცხადად ხედავ, მისი რაიმე თვისება, ან შემოქმედების საერთო ხასიათი კი არ არის, არამედ ნიჟის სტიქიურობა, რომელიც თითქოს ვერაფერს საზღვრებში ვერ მტეოდა.

ეს განსაკუთრებით ეროვნულ რეპერტუარში იგრძნობოდა, თუმცა მას ნათარგმნ

პიესებშიც ბევრი რამ საინტერესო აქვს შექმნილი. სამწუხაროდ, მე იგი ყველა როლში არ მინახავს, მაგრამ რაშიც მინახავს, მათგან აქ მინდა მოვიხსენიო ორი როლი, რომლებიც განსაკუთრებით აღმებეჭდა მეხსიერებაში. ერთია კოლმეურნეობის თავმჯდომარე პოლ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაში“, როლი რომელმაც იმათვეთვე განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა გიორგი შავგულიძეს, მეორე — პატარა უსიტყვო როლი მოცეკვავე კინტოს „მზის დაბნელებაში“.

ვისაც „კოლმეურნის ქორწინება“ უნახავს, დამეთანხმება, რომ მსახიობთა თამაშის ღონით ეს ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი სექტაკლთაგანი იყო იმათ შორის რომლებსაც ჩვენ მოვსწრებივართ. ყოველი სახე მკაფიოდ ჩამოყალიბებული, გამოკვეთილი იყო. და, არ, ამ ფონზე გიორგი შავგულიძემ განსაკუთრებული ძალით ბრწყინავდა. მე მაგონდება მაშინდელი განცდა — არა მარტო სიხარული და სიამოვნება, რომელსაც მაღალი ხელოვნება განიჭებს, არამედ გაოცებაც, რომ ასეთი რამ შესაძლებელი და მისაღწევი იყო.



კადრი ფილმიდან „ქეთო და კობე“

გ. შავგულიძე — საიათნოვა (სამეფო ერეკლე“)



მაშინ მე ორმა რამემ გამაყვირვა: ერთი იმან, რომ რჩებოდა სრული იმპროვიზაციის შთაბეჭდილება. ძნელი იყო დაჯერება, რომ მსახიობი სხვის დაწერილ ტექსტს წარმოთქვამდა, რომ ეს როლი წინასწარ იყო მომზადებული, რომ სპექტაკლს წინ უსწრებდა რეპეტიციები, რომ არსებობდა რეჟისორის ჩანაფიქრი, წინასწარ დაწყობილი მიზანსცენები. იქმნებოდა სრული შთაბეჭდილება, რომ ეს სახე აქვე, აი ახლა, შენ თვალწინ იბადება, იმდენად ორგანული და ბუნებრივი იყო ყველაფერი. სპექტაკლის მეორედ და მესამედ ნახვისას კი რწმუნდებოდი, თუმცა იმპროვიზაციის ელემენტი მართლაც შეჭმონდა მასში მაგრამ როლი მსახიობს თავიდან ბოლომდე ღრმად ჰქონდა გააზრებული.

და სწორედ ეს გააზრება იყო მეორე, რაც გაკვირვებდა. ძნელი წარმოსადგენია იმაზე უფრო გროტესკული სახე, ვიდრე შავგულიძისეული თავმჯდომარე იყო, გროტესკი, მიყვანილი თითქმის უკიდურეს მიჯნამდე: კიდევ ერთი პატარა ნაბიჯი და შეიძლებოდა გამოსულიყო ტლანქი, იაფფასიანი კარიკატურა, მაგრამ ეს მიჯნა შავგულიძეს არასოდეს გადაულახავს და დარჩა ეს განუმეორებელი, ერთადერთი სახე, რომელსაც ვერაფერი ვერ აღმოფხვრის მესხიერებიდან.

„მზის დაბნელებაში“ კი სრული ძალით გამოჩნდა გიორგი შავგულიძის კიდევ ერთი

თვისება: იშვიათი (ჟიშვათესი) პლასტიკურობა, სხეულის სრული დაუფლება. ესეც თანდაყოლილი იყო, ამის სწავლა არ შეიძლება... თითქოს ჩვენ თვალწინ გუდიაშვილია გაცოცხლებული პერსონაჟი მოძრაობდა (და მგონი, სწორედ გუდიაშვილმა შეასწავლა მას ეს ცეკვა).

ეს პლასტიკურობა, ყოველ როლში ყველაზე უფრო არსებითის მიგნების უნარი, პერსონაჟის ხასიათის გამოკვეთა არა „ნახევარტონებით“, არამედ კაშკაშა, ზოგჯერ მკვეთრი ფერებით, იუმორის მახვილი გრძნობა, სრული იმპროვიზაციული თავისუფლება, თანდაყოლილი არტიზმი-ყველაფერი ეს განსაკუთრებულ მომზიბღლობას ანიჭებდა გიორგი შავგულიძის თამაშს.

გამოჩნდებოდა თუ არა იგი სცენაზე მყისვე მყარდებოდა კონტაქტი მაყურებელთან, მთელ დარბაზში მაშინვე სიხარულისა და დღესასწაულის განწყობილება იქმნებოდა.

იშვიათად ღირსებია რომელიმე მსახიობს ისეთი გულითადი სიყვარული, როგორც შავგულიძეს ჰქონდა დამსახურებული.

მარჯანიშვილის თეატრის გამოჩენილ მსახიობთა თანავარსკვლავედში, რომელიც ამჟვენებს ჩვენი ეროვნული თეატრის ისტორიას, გიორგი შავგულიძე ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავთაგანია.

მან თითქოს მეტეორივით გადაიქროლა, მაგრამ მეტეორივით არ გამქრალა: ღრმა კვალი გააულო და მარად მოსავგონარი სახელი დაგვიტოვა.



გ. შავგულიძე—კეისარი (ანტონიუსი და კლეოპატრა)

სცენა სპექტაკლიდან „ლეონადა სიყვარულზე“. შირინი — დ. ჰიბინაძე, ფარხადი — გ. შავგულიძე



# განუხილელი პარტნიორი

ხშირად ვფიქრობ გარდაცვლილ ამხანაგებზე, ვუყურებ მათ ფოტოებს თეატრში, სადაც ისინი როლებში არიან წარმოდგენილნი და ვიცი, რომ თითოეულმა მათგანმა თან წაიღო ნაწილი თეატრისა, გავისხენოთ, თუნდაც, ვასო გომიაშვილი. ის ერთადერთი უკანასკნელი იყო ამ კორიფეებიდან, მხედველობაში მყვანან ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, ნიკო-გოციონიძე გიორგი იშხნელი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვა, — რომლებიც ამ ქვეყნიდან წავიდნენ და თან წაიღეს ის თეატრი, რომელიც აღარასოდეს განმეორდება. ჩემის აზრით, თავისი უცნაური თეატრი გიორგი შავგულიძემაც წაიღო თან.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ჩემი ბაღს ვემსახურები და ამ ხნის მანძილზე არ შემხვედრია ისეთი ნიჭიერი, თავისებური, იუმორით სავსე და მიზიდველი გარეგნობის მსახიობი, როგორც გიორგი შავგულიძე იყო.

ახლა არ იკითხავთ, როგორ უყვარდა მამა თავისი პროფესია? წარმოდგენა საღამოს 8 საათზე იწყებოდა, იგი კი 5 საათზე უკვე თეატრში იყო. ჩაიკეტებოდა თავის საგრიბიოროში, ერთი პატარა ოთახი ჰქონდა მეორე საოთულზე და იწყებდა გარდასახვას, ჰქმნიდა გასაოცარ სახეებს. ხშირად, როცა ოთახიდან გამოდიოდა, ისე ჰქონდა გარეგნობა შეცვლილი, რომ ვერ ვცნობდით. ვისაც იგი სცენაზე არ უნახავს, ძნელია ფოტოსურათებით მიხედეს, თუ როგორი იყო. ამის ახსნა მეც მიჭირს. მაგრამ ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მინახავს, მითამაშია მასთან ერთად და ამიტომ ვიცი: გიორგი შავგულიძე არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი იყო.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძალიან სჯეროდა ჩემი, როგორც კი გენერალური რეპეტიცია დამთავრდებოდა, დამიწყებდა ძებნას, მიმიმწყვედვდა ცარიელ კუთხეში და აზრს მეკითხებოდა. თუ შენიშვნას მიცემდი, უსათუოდ გამოასწორებდა ნაკლს, თუ შევაქებდი, ბავშვივით უხაროდა;

სესილია თაყაიშვილი

გ. შავგულიძე — ხარბტონი („ოკლმეტრინის ქორწინება“)



ნიერ, ლამაზ გიორგი შავგულიძეზე. დღეს მი-  
ნდა მხოლოდ ერთი დაუვიწყარი საღამო მოვი-  
გონო. მოსკოვში ვიყავით გასტროლებზე. ერთ  
დღეს გასვლითი წარმოდგენა გვექონდა. მაცუ-  
რებლისათვის „კოლმეურნის ქორწინება“ უნ-  
და გვეჩვენებინა. წარმოდგენა გაემართე-  
მოსკოვის გარეუბანში, პატარა კლუბში. სპექ-  
ტაკლის დაწყებამდე ვილაცას უნდა ეთარგმნ-  
პიესა რუსულად. პიესის თარგმანი დიდი ხვეწ-  
ნითა და მუდარით აკაკი კვანტალიანს დაევა-  
ლეთ. ახლა წარმოიდგინეთ თეატრალურ კოს-  
ტუმში გამოწყობილი, შეგრიმული აკაკი, რო-  
ბელიც ფარდის წინ გამოვიდა და თავისი რუ-  
სული თარგმნას შეუდგა. შეუძლებელია იმ-  
ის აღწერა, თუ რა ხდებოდა კელისებში. იატ-  
აკზე გამზლართული გიორგი შავგულიძე ფი-  
ცარს ურტყამდა თავს, ვიფიქრე რა დაემართა,  
ბომ არ გაგუჟდა-მეთქი? მივევარდი, ეუყვირე,  
წარმოდგენა იწყება-მეთქი! სიცილით წამოდ-  
გა და მითხრა, ნახე რა ოინს დაეატრიალებო  
დაიწყო წარმოდგენა, გიორგის არასოდეს  
უთამაშია ასე კარგად! მაგრამ რა გინდა, არც-

ერთი სიტყვა არ უთქვამს პიესიდან, ხან რა სა-  
ხელს მეძახდა, ხან — რას. მართალია, არცერთ  
რეპლიკას არ ტოვებდა, მაგრამ სულ სხვა სი-  
ტყეებს ლაპარაკობდა. ასე რომ სცენაზე სრუ-  
ლიაღ უტეხო ტექსტი ქვებდა. სიცილს ძლივს  
ვიკავებდით და ძალას ვატანდით თავს, რომ  
როგორმე დაგვემთავრებინა წარმოდგენა. ამ-  
ავე დროს, გიორგის ერთი წუთითაც არ უღა-  
ლატნია სახისათვის, ერთი ბეწო გადაჭარბე-  
ბა არ იგრანობოდა არც მოძრაობაში და არც  
პარტნიორთა დამოკიდებულებაში. როგორც  
იქნა, დავამთავრეთ წარმოდგენა. ალტაცებულ-  
მაყურებლები სცენაზე ამოცვივდნენ. გიორგი  
იღდა და ამყად გადმოგვეცეროდა ჩვენ საწყ-  
ლებს, მისგან დატანჯულ და გაუბედურებულ  
მსახიობებს.

დღეს გიორგი შავგულიძეს 70 წელი შეუ-  
რულდებოდა. ვერაფრით ვერ წარმოიდგენია  
ახლა იგი თეატრში შემოსულიყო და ჩივილი  
დაეწყო, ფეხები მტკივაო, წელი მტკივაო, ვე-  
ლარ ვიხედდებო, მესხიერება მღალატობსო.  
არა, მე ამის წარმოდგენაც კი არ შემიძლია!



# იველი ლა მოთინება

## ბეჟან ბარდაველიძე

ღაპით კლდისაშვილის გლეხკაცური რკალის თითოეული მოთხრობა („შერისხვა“, „მსხვერპლი“, „მიქელა“), აგრეთვე პიესა „უბედურება“, მცირე ფორმის ტრაგედია: მოქმედ გმირთა უბედური თავგადასავლით, დაძაბული წინააღმდეგობებით, მწვავე განცდებით, ტრაგიკული ფინალით. მიკითხველი მართლაც შიშითა და თანაგრძნობით აღვივებს თავის პერსონაჟთა ბედს, სიმპათიით იმსჯელება ცხოვრებისაგან გატანჯული, პირქუში, გულგავიწვებული, მაგრამ საკუთარ სიმაართელში ღრმად დარწმუნებული, მიზანსწრაფული გლეხკაცების მიმართ. მთავარი მანიკ ისაა, რომ არცერთ ამ ნაწარმოებში კონფლიქტი აგებული არაა კეთილისა და ბოროტის, მშენიერებისა და მახინჯის ტრადიციულ შეჯახებაზე. აქ არავინ არ სტყუის. კაცია საუფიქროლო ებრძვის ანდრია ჭურაშვილს და მისი სახით მთელს საზოგადოებას, თავისი მიწის იმ ნაკვეთისათვის, რომელიც კერძო საკუთრების ურყევი წესით და სახელმწიფო სამართლითაც მას ეკუთვნის. ასევე, მართალი არიან ანდრია ჭურაშვილი და სოფლის მოსამართლეები, რომლებმაც საზოგადოების საჭიროებისათვის კაცის მიწა ჩამოაჭრეს („შერისხვა“). მოხუცებული ფეფენა ებრძვის ლამაზ რაქსს, მარინეს, მის თაყვანისმცემელს, ყველას, ვინც მარინეს იცავს, რათა გადაარჩინოს ოჯახის სიწმინდე. თავის მხრივ, მართალი არიან ისინი, ვინც მარინეს იცავენ დედამითლის წრეგადასული ტირანისისაგან („მსხვერპლი“); თანაგრძნობას იწვევს მოხუცი მიქელა, რომელმაც ოჯახის ამოწყვეტის შიშით კარავში გაასახლა საიქიოდან ერთი წლის ვადით გამობრუნებული ავადმყოფი შვილიშვილი. მაგრამ საბრალოა სპირიდონაც, რომელსაც გოხზე გამობმული ჭურჭლით აწვილიან საჭმელს და საბოლოოდ ბუნების სტიქიის მსხვერპლი გახდება („მიქელა“); ცრუმორწმუნეობის წესის მიხედვით სწორად იქცევიან „ზეითლები“, როდესაც ანთებული სანთლებით თეიანით უბედურება უნდა „გადააულოცონ“ „ქვეითლებს“, მაგრამ ასევე სწორნი არიან „ქვეითელები“, რომლებიც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწე-

ვენ, რასაც მოჰყვება ახალი უბედურება — მკვლელობა („უბედურება“).

როგორც ჩანს, დ. კლდისაშვილი იცნობდა კლასიკური ტრაგედიის იმ პრინციპს, რომელიც ჩამოყალიბდა ჰეგელმა. ნამდვილ ტრაგედიაში „ერთმანეთს უნდა ებრძოდნენ ინტერესები, რომლებიც იდეალური ხასიათის შემცველი არიან, ასე რომ ძალა უპირისპირდება ძალას.“ ასეთ ინტერესებად, ფილოსოფოსის აზრით, გვევლინებიან რელიგიური და ზნეობრივი ურთიერთობანი (ოჯახი, სამშობლო, სახელმწიფო, ეკლესია, დიდება, მეგობრობა, წოდებრიობა, ღირსება, პატიოსნება, სიყვარული და ა. შ.). კლასიკურ მაგალითად მოყვანილია სოფკოლეს „ანტიგონე“. კერონი უარზეა, რომ პატივით დაკარგა ოიდიპოსის ამბოხებული ვაჟი, რაც გამართლებულია მმართველის ზრუნვით ქალაქის კეთილდღეობაზე. მაგრამ ასევე გამართლებულია ანტიგონეს მცდელობა, დაკარგოს ძმა, რადგან ამას მოითხოვს მოვალეობა ოჯახის წინაშე, მამა-პაპათა ტრადიცია.

დ. კლდისაშვილის გლეხკაცური რკალის მოთხრობებსა და პიესაში „უბედურება“, „მჩაგვრელი სიბნელის და შავბნელი ცხოვრების“ ფონზე ერთმანეთს უპირისპირდებიან ხასიათები, რომლებიც ცალ-ცალკე დადებითი ზნეობრივი იდეების მატარებელი არიან.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ამ ნაწარმოებთა პერსონაჟები არ არიან ტრაგიკული ხასიათები. ისინი იმ მსოფლიო-ისტორიული ტრაგედიის მოქმედი პირნი არ არიან. რომელიც კაპიტალიზმმა დადგა საქართველოში, მაგრამ ტრაგიკული გმირები არ არიან. ი. ბორევის დასაბუთებული მტკიცებით, მო-19 საუკუნის რეალისტურმა ხელოვნებამ საერთოდ ვერ შექმნა ტრაგიკული ხასიათები. რეალისტურმა ხელოვნებამ იცის ტრაგიკული მდგომარეობანი, სიტუაციები, ტრაგიკული ბედის პიროვნებები, მაგრამ არ იცის ტრაგიკული ხასიათები. რადგან „კაპიტალიზმმა ტრაგედია იმდენად „ჩვეულებრივ ისტორიად აქცია“, რომ მან დაკარგა რაღაც არაჩვეულებრივის, რაღაც განსაკუთრებული გაგება, ესე იგი, გაქრა ტრაგედია ამ სიტყვის ადრინდელი გაგებით.“ „ტრაგედია იქცა დრამის ელემენტად, ანუ, სხვა სიტყვებით, ტრაგედიის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის ნაკვალავი მოგვეჩინა ტრაგიკული როგორც ყველა ელემენტის ელემენტი, მათ შორის კომედიისა“ (ი. ბორევი „ტრაგიკულის შესახებ“).

„უბედურება“ კლასიკური რეალისტური ტრაგედიაა. „ღარისპანის ასაპირი“ ასევე კლასიკური რეალისტური კომედიაა, ტრაგიკული ელემენტით.

შემუსკრილი იმედის ტრაგიკული ცნადითაა აღბეჭდილი პიესა „უბედურება“, დავით კლდისაშვილის უკანასკნელი დიდი ნაწარმოები. ამ პიესის პირველი სურათით მთლიანად იმედისა და მოთმინების მოტივზეა აგებული. მკურნალი მთავარი გაძლებასა და გულმეგობრობას ურჩევს ილიას, რომელსაც ეჩვენება, „თითქოს ქვეყანაზე მწუხარების მტერი არა იყოს-რა.“ ილია: ნეტავი თქვენი! მე ეს არის, ყოველი იმედის დამკარგველი შევიქნენ! უკეთეს ცხოვრებას ვეძებდი და ეს შევიძინე! (ყვარულებზე). „მთავარი იმედდარკვეული მტერი გამყოფიან, ჩემი ბატონო, მტერი... იმედით ვართ ყველა, უნდა ჭირბო, იმედით, თვარა რა გავაძალებინებდა! „ილია: იმედი...

იმედი...“ მია: კი, ჩემო ბატონო, კი!.. იმედი და მოთმინება, შენი ჰორი შემეყაროს!“ „ილია: იმედი და მისთან მოთმინება, აჰ...“ მია: კი, ბატონო, კი! მით ვუძღბოდი ჩვენს ცხოვრებას... სხვა რა საშუალოა მოთმინება... და გვშევის... შენც ასე მოიქეცი!.. ბევრი მოგიტოვნია, კიდევ მოთმინე და ღმერთი და შენი სალოცებე კარგად გამოიხატე!..“ ილია: მამ ასე, მია, — მოთმინება და იმედი... მოთმინება და იმედიანად ყოფნა, აჰ...“ მია: სწორედ!.. რაც გავგეყნოს, მოგიტომინო... ვინ იცის საწინაოდ რა მოგვლის... დღეს ვწუხვარო, ხვალ ეგებ მიახლოდნი დღე გვიტონდება... ვინ იცის, ყველაფერი მისალმუნელია... გულს ნუ გვიცეხავთ... იმედს ნუ დაკარგავთ!..“

აქ უნდა შეეჩერდეთ. „უბედურება“ დავითის ბოლო სიტყვაა. ამ პატარა პიესაში მწერალმა მძლავრად გამოკვეთა ორი უმთავრესი მოტივი, რომელიც წლების მანძილზე გადადიოდა მოთხრობიდან მოთხრობაში, მოთხრობიდან პიესაში, პიესიდან პიესაში: „საერთო გავირევის“ მოტივი და „შემუსვრილი იმედის“ მოტივი.

თუ არც ყველაფერი უპირატესად სოციალურ პლანში წყდება, აქ ეს მოტივები ფილოსოფიური სიღრმითაა მიზარებული და განზოგადებული.

„ღმერთი მოგვეცემს, შეილა, თავის ვაჩინოს თავის ლუქმას გაუჩენს კიდევ“ — ამბობს „თმაგაბურძნული“ მოხუცებული ეკვრიანი და მოთხრობის ნაჩვენებია, როგორ კვდება შიმშილით მისი მამალი, ლეენა ქალწულმაქ.

„იმედი და მოთმინება!“ — აღადგებს მკურნალი მიაის ბავთვან ქრისტიანული მოძღვრება ხალხში საუკუნეობით გამჯდარი მცნება. სხვა ვერაფერი შეაგებდა მკურნალს მიაიმ მისთან შევლისათვის მოსულ გატახტულ ილიას. სინტერესია, რომ ორივე პერსონაჟი ამ კონტექსტში ტრადიციული, ერთბაშე გამკვირვებულ სიმბოლურს მიმართავს, რაც კიდევ უფრო ამძივრებს მათი საუბრის განზოგადებულ შინაარსს. აქ დაუთლია ის წესი, რომელსაც დავითი „მუსიაფში მოყოლილ სიტყვას“ უწოდებდა.

„მია: ცული ვაზაფხული გქმნაო, შენ გენაცვალა... ვერაფერმა ნაყოფმა ვერ იხივარა, ძალა ვერ გამოატანა დედამძიდან... თვარა ჩემი ბალახებით რამდენი და რაზნარი ავადმყოფი არ მოიპირჩენია!.. დღის ამბავი ქე მოვიტომინოთ, ხვალინდელ დღეზე იმედით ვიყვირო... ღმერთი უკეთეს ვაზაფხულს შეგვასწრებს და ყველას შუბლი გაგვესწრება... ყველას გვესაშუალება და შენც, ჩემო ბატონო, ჩემო სინათლე!.. ღმერთი ისე არ დატოვებს მისკან ვაჩინოს!“ „ილია: მოგესწრებთ კი ვაზაფხულს?“ მია: კი, მოვესწრებთ!.. ღმერთი ყველაფერს მოგვესწრებს — აესაც და კარგაც, ჩემო ბატონო!..“ „ილია: ოლონდ იმედით ვიყვირ?!“ „მია: ოლონდ იმედით ვიყვირ!..“ „ილია: ასე რომ, მია ჩემო, პირველი წამალი იმედი და მოთმინება ყოფილა, აჰ...“ მია: სწორედ!.. სწორედ!..“ განათლებაში ილიამ, ცხადია, იცის მიაის შეგონების ნამდვილი ფასი და ეს სურათი მთავრდება ილიას შენიღბული ირინით, რომელშიც შესასწავლადაა ასახული ამ კაცის აწრიალებული სული და მაძიებელი სკეპტიციზმი: „სწორედ რომ ნამდვილი მკურნალი ხარ, მია!... თუ შენი ბალახებით ვერ არჩენ, შენი ე მაგ სიტყვით... შენი ე მაგ ნათქვამის კილოთ, უნდა ვითხარა, სწორედ კურნავ ჩემისთანა გულდამწუხრებ-

ულს და აი ამიტომაც მიყვარს შენთან მუსიაფი და ამიტომაც არ შეგმედარავარ. როცა შენსკენ გამოვსული უხებულმა... რომ გამოვარა შენი ეს საუცხოო მოთმინება და იმედი!..“ იცოცხლე, იცოცხლე, მია! შენი ეს სიტყვები, მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდვილი წამალია!.. მაშ ასე, ჩემო კარგო მია, მოთმინება და იმედი!.. მოთმინება და იმედი!..

„უბედურების“ შემდეგ სურათში იმედისა და მოთმინების მცნებას ახლა უკვე ილია გაათამაშებს. იგი ტუფია, მიაის რძალს, რომელიც აერთევე უჩინოს მწუხარებისაგან გულის დასუსტებას, ტუცებს; „...დღეობითი ავჯერ გვერდით გაყავს, რომელმაც მაგის საწინააღმდეგო მშვენიერი წამალი იცის!..“ „ტუფია: რა წამალი ბატონო? რა წამალი?“ „ილია: რა და მოთმინება და მოთმინება... და იმედით ყოფნა!“

ილიას აქვს თავისი განსხვავებული პოზიცია. მისი აზრით, „ყველას თვ-თავისი გატარება თან ვაგაზავს, და ჩვენდა საუბედუროდ, ჭრჭვრობით ჩვენს გატირებას ჩვენ ჩვენი ძალღონით უნდა ვუკიდოთ, ჩვენი საკუთარი ძალღონით უნდა ვებრძოლოთ!“ მიხუცი ამირანას შეკითხვას, თუ აღარც ძალი მაქვს და აღარც ღონე, რა ვნა ჩემი ხნის ადამიანმა, ყველამ უნდა წამოიყოს, არავენ უნდა მომხედოს?.. — ილიამ „ქარგი და მაგარი“, „ყველასათვის საგულსხმო კითხვა“ უწოდა და უპასუხოდ დასტავა, უფრო სწორად: პასუხის გაცემა უკვე სხვა პერსონაჟებს დაეკისრა. ვახუტეული მუშაობისას ხანში წიქცა და სასიკვდილოდ ავად ვანდა მიაის ვეფი ანტონა. მეზობელი წესს მუშა კაცის ასეთ დროს წაქციდა: ანდენი სამუშეოვარი, ანდენი საქნარი, ყველაფერი უნდა გაიხრდესო. „დღეს ანტონას ასე მოუვიდა. ხვალ შეიძლება მეც ასე შემომთხვს, შენც, ერთმანეთს უნდა მივხედოთ და კიდევ მივხედავთ, კი, კი!“ — ამბობს პაველი. „ამ წუთისოფლის გატარებას, ბატონო, ჩვენც ეხვედებით, რომ ერთმანეთს თუ გვიცნათ, თვარა სხეებრ ვერას ვახვლებით!“ — კვერს უტრავს ლომინა. „ყველამ უნდა გვიხრობოთ ჩვენი მეზობლის გასაჭირი, ყველამ!“ — კვლავ ამბობს პაველი. „ხმები: კი, კი!“ ამ საერთო ჭიროში მზოლოდ ილიას ხმა გაისმის კენტად: „...ხშირად სიტყვა რჩება და საქმედ არა თუ არ იქცევა, სულ სხვანაირად მიიმართება“. განსაკუთრებით აქტიურობს პაველი. იგი ერთხელ კიდევ არწმუნებს ილიას, რომ ყველა ვაზიარებს მეზობლის ოჯახის გასაჭირს. მაგრამ როგორც კი ანტონას ოჯახი ავადმყოფობის „გადაროცვას“ დააპირებს, ხალხი სასწრაფოდ გაიყოფა „ჩვეთიულებად“ და „ზეთიულებად“ და თითოეული მზრგანი ცდილობს „გადაროცვა“ მოპირდაპირე მხარეს მოხდეს. ვნებები უქადურებად იძაბება და წყალბოლო შესხატბილებული მეზობლები გაათვრებულ მოწინააღმდეგეებად იქცევიან. ხოლო როდესაც სცენაზე შემოვა ავადმყოფის ცოლი ტუფია, ანთებული წმინდა სინალებით თითებზე, გნდასალოცავად ვაზაფხულად, რომელსაც უკან მისდევნა მია და რამდენიმე დედაკაცი, პალკია კეტირთ თავს გაუპიბოს სერაპიონს, რომელიც წინ უძღოდან ტუფიან: ქვეითელები და ზეითელები სამკვდრო-სასიცოცხლოდ დადევნიან ერთმანეთს.

ასე იქცა ეს ორი მოტივი — საერთო გატირების და

შემეტყვილი იმედის მოტივი — მწვევე შინაარსის ტრაგედია, რომელშიაც აისახა დიდი მწერლის მტან-  
ჯველი ფიქრი ადამიანის ხვედრზე, მის აწმყოსა და მომავ-  
ალზე.

ადამიანი მარტოა ამ მწუხარებით სავე წუთისოფელ-  
ში.

ყველას თავ-თავის გაკირვება თან ახლავს.

„საუბედუროდ, ჭრჭერობით ჩვენს გაკირვებას ჩვენ ჩვენი ძალ-ღონით უნდა ვეკუდოთ, ჩვენი საკუთარი ძალ-ღონით ვებრძოლოთ“.

ღმერთი გაკირვებულთ არაფერს აძლევს.

იმედით და მოთმინებით თავს ვერ გაიტან.

დავით კლდიაშვილამდე ეს საკითხები ასეთი სიღრმით და სიმწვავეით ქართულ მწერლობაში არავის დაუსვამს.

რა იყო ეს? ფილოსოფიური პესიმიზმი თუ ეჭვისტენ-  
ციალური გაუცხოების და მარტობის ქართული ვა-  
რიანტი? არც ერთი და არც მეორე.

როდესაც საყოველთაო გაკირვებას ასახავდა და არ-  
სებობისათვის ბრძოლაში ჩამბული ადამიანთა განკერ-  
ძობულობას უსვამდა ხაზს, ეს იყო დიდი მხატვრის თვალით დანახული სინამდვილე, რომელიც „საუბედუ-  
როდ ჭრჭერობით“ ასეთია.

როდესაც კერძო კაცის მცდელობაზე დამყარებული იმედისა და ქრისტიანული მოთმინების იდეის მსხვერვეს აჩვენებდა, ეს იყო მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიცია და ობიექტურად, ხელოვნების გარდუვალი კანონების მიხედვით, იგი საერთო გაკირვებასთან ადამიან-  
თა შეერთებული ბრძოლის იდეას ემსახურებოდა.

ამაშია დ. კლდიაშვილის შემოქმედების პროგრესული მნიშვნელობა.

აი, როგორი ნაღმი იღო „არაკეთილსამიედო“ ოფიც-  
რის დავით კლდიაშვილის ნაწერებში.

„აქვს რამე?“

ადამიანთა ურთიერთობას. მათ გუნება-განწყობილე-  
ბას, ზნეობას, დიდად განსაზღვრავს ფული, „ხელის ჭუ-  
ქი“. როგორც ასეთი, ფული დ. კლდიაშვილის ნაწერებ-

ში წარმოდგენილია ფატალურ ძალად, რომლის წინაშე უძლეურია პატიოსნება, სიყვარული, თანაგრძობა.  
პირველ ყოვლისა, პროზონებისაგან ფული უზრუნველ-  
სახელმწიფო და იგი, სახელმწიფო, აქ შევივლია და ულ-  
მობეჭი.

„ქამუშაძის გაკირვებაში“ დახატულია სურათი, რომე-  
ლიც თავისი ძალით არ ჩამოუვარდება სახელმწიფოსაგ-  
ან პროზონების დათრგუნვის ყველაზე კომპარულ კაფ-  
კასეულ ეპიზოდებს. დიდი შიმშილობისას ქამუშაძეებმა  
ნათლია სამადიასგან ცოტაოდენი სიმინდი ისესხეს და  
იმედი მიეცათ, რომ ერთ ორ თვეს მაინც ოჯახს ექნებო-  
და მჭადი, თუ გასაძლომი არა, კუქის დასამშვიდებელ  
მაინც, შემდეგ კი ისევ ღმერთზე რჩებოდა იმედი, რომ  
რამეს გამოუჩენდათ. „მაგრამ რა საშინელი, თავზარ-  
დამცემი შეიქმნა მათთვის, სხვებთან ერთად, როცა ხმა  
გავარდა, რომ სოფელში ბოქაული მოვიდა საადგილმა-  
მულო გადასახადის მოსაყრებად, და, ვისაც არ შეჰქო-  
ნდა ფული, ბელუსს უბეჭდავენო. ეკვირინე და ოტია  
ეცენს სამადიასგან მოტანილი სიმინდის ბელლიდან ამ-  
ოლაგებას სხვა ადგილას გადასამალავად. გაეკირვებით  
შეჭყურებადა სონია დედა-შვილის კალათებით აქეთ-იქ-  
ით რბენას და ვერ ხვდებოდა, აზრად არ მოდიოდა, თუ  
რას ნიშნავდა ეს ამბავი. ერთი ათიოდე კალათის გად-  
მოტანა თუ მოასწრეს, როცა ეზოში ჩამდენიმე ცხენო-  
სანი შემოვიდა. ეკვირინეც და ოტიაც გაქეპვდნენ. —  
მობრძანდით, ოტია! — წამოვიდა მისკენ ცხენიდან ჩა-  
მომხდარი მამასახლისი. ცოცხალკვადარი ოტია მიუახ-  
ლოვდა ბოქალს. — ფული რომ იფულება თქვენზე, სა-  
ხელმწიფო გარდასახადი, რატომ არ შემოგაქეთ, ყმაწვი-  
ლო?... ორჯერ დაბარებული იყავით ამის თაობაზე, ორ-  
ჯერ გადავიდევით, მაგრამ მაინც არაფერი გეშველია!..  
რატომ ნებულობით ამას?... თქვენს თავსაც იჭირვებთ და  
და ჩვენც პასუხისგებაში გვაგდებთ! — საყვედურით  
დაუხვდა ცხენიდან ჩამომხდარი პოლიციის მოხელე. —  
უცაქრავად ბატონო!... — უცაქრავად კი ბრძანდებით, იგ  
მეც ვიცია!... ეს ცოტაა... ფული წარმოადგინე! ოტია



სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლი-  
დან „სამანიშვილის დედინაცვალი“.

გაქავდა — არ გესმით თუ? ფული წარმოადგინებ ახლავ-მეთქი!.. — ოტია ისევ ხმაამოუღებლად იდგა. — არა გაქვთ? — არა მაქვს!... გზისთვის, ცოტა ხნით... — გადროვით... არა? ჰმ, არა, არა, უკაცრავად!.. ჩვენც მწარე დღე გვადგია ამის გულისათვის... აი, რა მოწერალობები ვუბნებლობთ და რა რიგ გვემუქრებიან!.. დრო გკონდაო!.. მეტრ აღარ შეიძლება... დაეკრებელი, მამასახლისო! — დაიბახა ბოქაულმა. მამასახლისი გაქანდა ბრძანების აღსასრულებლად. ოტია ამ ქვეყნად აღარ იყო. სონია გაფრთხილებული, სულგანაბელი, თათბის კარზე ამოვარებული, მისჩერებოდა იმას, რაც მის თვალწინ ხდებოდა. — ლუქი და ბექელი, ფილაზე! — უბრძანა მოხელემ მწერალს, — ეგებ ამ გზით მიწვევ დაგატანოთ ძალა!... — წიაღაპარაკა მან. ბელის დასაბუდევად მისულმა მწერალმა, სანამ დაეკრებოდნენ ბელის, კარი შეალო, ჩაიხედა შიგ და მოიხიბდა ბოქაულისაკენ მომღმირი სახით და შეჩერდა. ბოქაული მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს დიმილი მისი ხეივანის სახეზე: — სულ ერთია... სულ ერთია! მიაკარი ბექელი, მიაკარი! — დუძახა მან. მწერალი შეუდგა ბრძანების აღსრულებას. — შიშობილი გვეწყვეტო, ბატონო? შიშობილი გვეწყვეტო, ჩემო თვალის სინათლევე! — მიუახლოვდა ბოქაული გამრეტიანებული ეკირინე. მეც ძალა მადგია, ჩემო ბატონო! — ის ნებებო! ნუ ინებებო! — ძლივს ხმას იღებდა მოხუცებული ქალი. — ფული, ფული წარმოადგინებ და თავისუფალი იქნებით! არ შემიძლია, ნაბრძანები მაქვს, ყოველგვარი ზომა ვიხმარო ამ გადასახადის გადახდენიერებისათვის... ჩვენი ბრალი არაა! გათავითე! აბა ახლა ვინაა აქ მახლობლად კიდევ? — მწერალმა სია ვაშლა — ლევან ქაშუშაძე! — წაიკითხა მან შემდეგ. — აქა, ამ ლევანისა ვერ! — წამოიბახა მოხელემ და ცხენსანებმა ხმა-ამოუღებლად გადაიარეს ეზო, მხოლოდ ცხენების ფეხების თვალმა-თხლემუხი ისმოდა.

ამ ეპიზოდში მწერალმა მთლიანად გამოირცხა თბრობის ელემენტი და აქცენტურ გადაიტანა სახელმწიფო მოხელის მკაცრ, ბრძანებით კოლონო, რითაც კიდევ უფრო გააძლიერა პიროვნების სრული დათრგუნვისა და უმწეობის სურათი.

მასწავლი სოლომონ მორბელაძე ფულს „ხელის ჭუჭყს“ ეძახის. მაგარა სწორედ ამ „ხელის ჭუჭყის“ გამო დაძრწის იგი კარდაკარ, ცრუობს და „ძალის ყმას“ გამოიბამს ხოლმე. მოთხოვრების გვირგვინ ფულის გამო ბატყუნებენ ერთმანეთს, ანგარიშობენ თითოეულ კაცს და: სხვა დროს ზრდილობა-თავაზიანი, მკვახე და გულცივნი გახდებიან. გადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ „სოლომონ მორბელაძის“ გირთა სურთიერთობის გამსაზღვრელი მთლიანად ფულია: სოლომონმა უნდა იზოგოს ექსი თუმანი, საიდანაც ორი თუმანი მევალებს, პლატონს უნდა „გადაუდგოს“; ბესარიონს საქარაძემ უნდა მისცეს სამზითოე ქაიხოსროს ქათამაქეს ორმოცი თუმანი, რომელიც მას არა აქვს; ქაიხოსრო ქათამაქე თუ თანხას სრულად არ მიიღებს, შვილს ნებას არ აძლევს შეიერთოს ბესარიონის ქალიშვილი; ბესარიონი და სოლომანი მოატყუებენ ქაიხოსროს და მიაკლებენ ას მანეთს, რამაც კინადამ ქორწილის ჩაშლა გამოიწვია; საბოლოოდ, თავის მხრივ, ბესარიონი და ქაიხოსრო უარს ამბობენ ვასამარჯლოზე, სოლომანი ექსი თუმნის ნაცვლად მიიღებს

მხოლოდ ექვს მანეთს. ყველაფერ ამას მოთხოვრის გერსონავები აკეთებენ ცივი გონებით, სრული ანგარიშობის ნიშნით, ბუღალტრული სიზუსტით და ერთმანეთის მიმართ უღმობობით. თვით სოლომონიც კი, რომელიც მოთხოვრის ბოლოს ზოგადადამიანურ კაცმოყვარეობამდე უნდა ამიღლდეს, მოთხოვრის დასაწყისში, როცა საქმე ფულზეა მიმდგარი, მევალებს ეუბნებოდა თავის ცოლთან: „მიჩივებს და, კაცი არ ენებები, ორი იმოდენა, რაც მმართებს, ზედ არ დავახარჯვინო, სანამ ამოიგებს...“

პლატონმა, არისტონს დაიწინებო, საეჭირო უნდა წაართვას ღატაკ ბრეგაქეებს, რაც ბოლოს სინდისის აწვეს: „კანონიერად კი, მარა ხომ მაინც ართმევს მასზე უფრო გაჭირვებულთ, თითქმის მშვიგრებს; შეცოდების მაგიერად უქანასკნელ ლუქმას სტაცებს და ამისათვის ვის ჩაუყარა ხელში საცოდავები, ვის? კაცივითა გვერდევინებეს, ამ შეუბრალებელ კაცს?! და ღმერთი შეიბრალებდა-და! რასაცერველია, არა! — თავისთავად გაიხიზდა პლატონი და გულგახებთილი გვერდევანისას გაიქცა, რომ საქმე მოესპობინა ეთქვა, რომ გერაოში, კაცო კი უნდოდა, ბრეგაქეების გამოწართმევი. ამით აპირებდა პლატონი განრისხებული, შემოწყურალი უნჯან იმის მოგებას, თავის დანაშაულის გამოსყიდვას და ეფლანდობდა, რომ დაუბრუნდებოდა რასაც ხელიდან აცლიდნენ, რომ მის შეწყულებასთან ერთად მის დედინაცვალსაც მუცელი მოეშუქებოდა. გვერდევანისამ არ შეიწყალა პლატონის თხოვნა! ბევრიც იცნა პლატონის სიტუაზე ბევრი შრომა ჰქონდა გაწეული და რომ საქმე მოესპო, ხომ მოსალდენელი გასამარჯვლად დაეკარგებოდა. პლატონმა თვითონ იცისრა იმის გადახდა, ოღონდ კი საქმე მოსპობილიყო და ბრეგაქეებს არაფერი გადახდომოდათ. მან მისცა გვერდევანისც ექვსილი და გამობრუნდა სახლში...“ („სამ. დედ.“). როგორც ხედავთ, პლატონს სიბრაბული კი არ ამოძრავებს, არამედ სურს ღმერთის მისყიდვა.

გვერდევანისც პლატონმა „კაციკამა“ უწერდა. ეს იმიტომ, რომ ამ ტიპის ხალხი, ადვოკატები, არ ინდობენ მოყვასს, ყოველნაირად ცდილობენ სარგებლობა ნახონ „შეყმაონ“ ადამიანები. მაგ. ასეთია პორფირი ბიაშვილი: „...ცხოვრებისათვის საღსარი რომ მიუბოვებინა, მან გადასწყვიტა, კანტორა გაეხსნა არზების საწერად, დაეწყო სოფლებში ვეჭვობდა და ქალაქის ადვოკატებისა და სოფელთა უშამდგომლობა. პორფირი არ შემცდარა თავის დადაწყვეტილებაში: საქმე კარგად წყადდა, ფული რიგინად შემოუდიოდა. მუდამ ჰყავდა თითო სოფელ „საკმელად“. როცა ადგილი მოიჭებოდა, ანდა ხრიკით ადვოკატს, რომელიც ორსველ მხარეზე ჰყვარებდა, აბრუ გაუტყდებოდა და არავინ მიეკარებოდა, იგი ადგილს მოიხიზდებდა.“ („ქამ. გაც.“).

ცხადია, გვერდევანისცებოდა და ბიაშვილების უბრაბოლას თვისება სიტყვად და შეუბრალებლობაა. „ბეგრადგილას ისიოდა მისი (ბიაშვილის—ბ. ბ.). ორპირობისა და გაუტანლობის ამბები, კაცის შეუბრალებლობაც...“

იმავე ბუნებისაა სარდონი ქველიძეც, რომელიც ვაჭირებამ აიძულა სოფლის სასამართლოში ვეჭვობდა დაეწყო. „გაერია წინად ამაყი ზნაური გუბეზში, ჩარგო თავი მათ დაეიდარაბაში, მოშეებულ მეგლიეთ აღარაფერს აღარ ერიდებოდა, ოღონდ კი რამე უშოვა, რამე



გამორჩენოდა; უკან აღარ იხვედა, განგებ აეტეხნა სად-  
მე საჩივარი, რომ ერთ-ერთი გლეხი ხელში ეგდო და  
საპურედ ვახანდნა.“ (2, 165. ქკმ. გვკ.).

თავის მხრივ არც ქველდის ზოგავენ. ბეგლარ ჯინჯუ-  
რამც, რომელსაც უკვე დანიშნული ჰყავდა ქველდის  
ქალიშვილი, ნინო, მოულოდნელად რვაასი მანეთი მოი-  
თხოვა სამშობლო. გაიპარა გაჯიანურბედილი მოლაპა-  
რაკება, რომელიც ჩაერია ბეგლარის და, სონიდა, მა-  
გრამ არაფერმა გასჭრა, რადგან, ჯერ ერთი მას მიანწია,  
რომ ქველდი აქც ხრისკს მიმართავს და თავს ისაწყ-  
ლებს, მეორეც ბეგლარს უკვე გამაიანგარიშებელი ჰქო-  
ნდა, თუ როგორ მოიხმარდა ამ ფულს: „განაწილებუ-  
ლი ჰქონდა, რამდენს რა სარგებელს შემოატანინებდა  
როგორც ამაუშეებდა, რამდენად ვაზრდიდა ამ თავს ამ  
ოთხ-ხუთ წელიწადში, რამდენად აქცევდა ამ მოს შემ-  
ცირება გამოიწვევდა, დაკლებასთან ერთად, ამ ანგარი-  
შების გადაკეთებასაც; მათ გადასინჯვას, გადაცვლას და  
რისთვის, ვისთვის?“.

შესანიშნავია ეს „რისთვის, ვისთვის?“ საქმე იმაშია,  
რომ ბეგლარის საცოლედ, ნინო, ყოველი ღირსებით შემ-  
ცულ, ჰქვიან და მშვენიერი ქალიშვილია: „განსხვავ-  
ებულ სილამაშესთან, ბუნებას მისთვის განსხვავებულ...  
ხასიათი მიენიჭებინა: გულმობიერი, ნაზი, თავმდაბა-  
ლი, ხალისიანი, გრძნობიერი, იგი ვასაკვირველად იზი-  
დავდა ყველას, იახლოვებდა და ხიზლავდა, ვისაც კი  
გაეცნობოდა“. აი, ვის იმეტებენ ჯინჯურბედილი. „რვას  
მანეთს, შენ გენაცვალე, ვიგინდარები თხოულობდა და  
შენმა მამ ესეც აღარ აიღო?“ საშარტალი სიბაძა! —  
მხარს უჭერდა შვილს პეღიათა“. „კი მოახერხებს ქვე-  
ლიძე ფულის შოვას... იმას ისე უყვარს თავისი ქალიშ-  
ვილი, რომ თავს გაიხეთქვას და მოახერხებოს...“.

ქველდის ვერ მოახერხებს“ ფულის შოვას და მშვე-  
ნიერი ნინო გაუთხოვარი იქნება. „ცოტა ხანს კიდე გო-  
უძელი ჩვენს უგრძობლობას, ჩვენ გულქვაობასი“, —  
ემბუღებდა მას სონიდა და „ჩვენ“ ამ გონიერია ქალის ბავე-  
თავან წარმოითქვამო, უმძიმესი ბრალდება ამგვარებულ  
დამყარებელი მართლაც გულქვა და უღმობელი საზო-  
გადოებრივი ურთიერთობის მიმართ.

„არა, ჩემო დავო, უფულოდ ტყუილა იფქრა იმ თქვე-  
ნმა სარდიონმა... უფულოდ ქალიშვილს ხელს არავინ  
მოუკიდებს, შენც არ მომიტევი!.. ხა, ხა, ხა, ხა, ხა! —  
ხითხითებს და ხარხარებს პორფირი ბაშვილი. „ამის პი-  
როსი თითქო თავმოწონენ, უფრო ღონიერი ქალაქი დას-  
ცინოდა მისუსტებულ სოფელს, დასცინოდა, თავის გამა-  
რჯებას აქანდინდა და ემუქრებოდა მეტს დაჩაგრვას მას-  
თან ბრძოლაში“. ეს დასაკენა ხარხარებს, ავტორთან ერთად.

სიბერეოსა „ღარისპანის გასაჭირში“ სცენა. ერთ-  
მანეთის პირისპირ დგას ორი „მოწინააღმდეგე“ ბანაკი:  
ერთის მხრივ, უმშობლო ქალიშვილების ბატრონები —  
ღარისპან ქარსიძე და მართა; მეორეს მხრივ, ცოლათა-  
ხოვე ოსიკო და მისი მეურვე, ონისიმე. დიალოგი აგებული  
ა „მუსიაფში მოყოლილ სიტყვაზე“ და საკმაოდ გამ-  
ჭვირვალე ჭარბებზე. „ონისიმე: ჩემს რასას რომ მზი-  
თევი არ მოპყობოდა, სწორად არ შემოეუშვებდი სახ-  
ლში... ემპაწილდა თავი უნდა დიდფასოსი! მართა: ჩვენ  
ძველებურად ვირჩებთ, ბატონო ონისიმე!.. ახლანდელი  
ყმაწვილებს მოწონებას უყურებენ ბარტო. მოწონებთ

იციან საქმის გათავება... არა, ოსიკო ჩემო? ი შენი გი-  
რ/ დედა ნუ მოგიკვდება?“ „ოსიკო: (ღიმილით) ემპაწილდა  
ნო!“ მართა დიღებულ დიღობარტა, იგი კვლავ ავი-  
თარებს თავის აზრს და მოეკიდება კვლავ ოსიკის მო-  
იხმობს ხოლმე. ისიც ეთანხმება, მაგრამ ცოტა ხნის შემ-  
დეგ რიცა მარტო ონისიმესთან დარჩება, ლამაზი „კვირი-  
ტუნისა“, მართას ნათლურის ნატლიას შესახებ იკით-  
ხავს: „აქვს რამე?“ როგორც კი ბოძისაგან გაიგონებს, ნა-  
ტლიას ააზრეილი ცხვირისა, წვრილი ტანისა, შეღებ-  
ილი წარბებისა და მარდი დეხტების მეტი არაფერი გააჩ-  
ნია“. ოსიკო სასწრაფოდ მართას სცენას.

„აქვს რამე?“ ფულს, „შემღებას“ ეწირება ღირსება,  
სინდის-ნაშუის მშვენიერება, სიყვარული.

ფილიპე ბრბაქაძემ გამოიყენა თავისი უფლება რო-  
გორც მამამ და ღარიბ როდამიშვილზე შეყვარებული  
ირინე ძალად მიითხოვა შეძლებულ სალახანას, აბესალო  
სალამთაძეს. შედგებაც არ დაყოვნა: სალამთაძემ უსა-  
ფუძლო ეგვიპტისად გამო სსსკვილიოდ გაიწია ცოლ-  
ზე, ხოლო ერთ-ერთი გაიიანტი, მოჰკლა კიდეც იგი.  
(„ირინეს ბედნიერება“);

კარიდან კარზე „წაწალებენ“ როსტომ მანველიძის  
გაუთხოვარი ქალიშვილები, თუმცა „ქალიშვილები თამ-  
ამნი, ლამაზნი და მოხდენილი შეხედულებისანი იყვნენ“.

ასეთია ფულზე შეყვარებული საზოგადოების წესი.  
ეს გარეგობა ჰქონდა მხედველობაში ალ. წულუკაძეს,  
როდესაც 1895 წელს თავის ერთ-ერთ სტატიში წერდა:  
„უწინდელი ნაბურღული მეურნეობა ფულის მეურნეო-  
ბამ შეცვალა. საჭირო საგნის შესაძენად, არსებითი მოთ-  
ხოვნების დასაკმაყოფილებლად „ფულია“ საჭირო...  
ყველა მის მოპოვებას ცდილობს. ამ სურვილს საზოგადო-  
არა აქვს, იგი დღითი დღე მატულობს, მის დასაკმაყოფი-  
ლებლად ყოველნაირ საშუალებას იყენებენ. ზოგი ძა-  
ლით ცდილობს ამას, ზოგი შრომით და ზოგი ხერხით,  
„მოტყუებით“. „რდეს ფული, ფული და ფულია უპირ-  
ველესად საჭირო“, — ეხაუტება მას კიდეც ერთი მამუნი-  
დელი კრიტიკოსი ი. გომართელი. „ქალაქმა შეარყია  
დღეინდელი სოფელი. სააღმშენებლო, საგაჭრო ასა-  
რუნებზე გაიტაცა ჩვენს გლეხს და ერთი ნაწილი აზნა-  
ურებისა... ბრძოლა არსებობისათვის... ამუშავეს ჩვენს  
ცხოვრებაში სრულიად ახალ-ახალ ტიპებს, რომელთა  
ცხოვრება და სულიერი ბრძოლა თხოვლობს დიდს და-  
კვირებას, ნიჟს და შესწავლას. — წერდა „კრიტიკულ  
შენიშვნებში“ ხომლოლი და სწორად ამ უნარს ხედავ-  
და ახალგაზრდა დ. კლდიაშვილის ნაწარმოებში.

მარქსისტი ალ. წულუკაძე მაინც განსხვავებული აღ-  
ფრთხილებით შეხდა დ. კლდიაშვილის სამწერლო ასა-  
რუნებ დამკვირვებას და საგანგებო რეცენზიები უძღვდა  
„სამანიშვილის დღეინაცვალს“ და „ქაქუცაძის ვაჭირე-  
ბას“, რადგან მათში ახალი, კაბიტალისტური ურთიერ-  
ობის დამახასიათებელი ვითარების მართალი ასახვა  
დაინახა.

ფულის ძალა, მისი რეალური ზემოქმედება ადამიან-  
თა ურთიერთობაზე, მათ ხასიათსა და ცხოვრების წეს-  
ზე, ასეთი სიღრმით და სისრულთა ქართულ მწერლო-  
ბაში დღითი კლდიაშვილამდე არავის უჩვენებია.



# ქართული დოკუმენტური კინოს სადღეისო ამოცანები

სანდრო თუმშალიშვილი

დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინემატოგრაფი, (არა მარტო ქართული, საბჭოთა — საერთო, მსოფლიო კინოდოკუმენტალისტიკა), არასდროს ყოფილა ისეთ რთულ, „კრიზისულ“ მდგომარეობაში, როგორც სამოციანსა და სამოცდაათიან წლების დასაწყისში. ტელევიზიის ფენომენალური ოპერატიულობით, დამაჯერებლობითა და ყოვლისმომწოდლობით გაოგნებული, დოკუმენტური კინო საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოეგო გონს... ერთხანს იქცა ტელევიზიის სუსტ და ნაგვიანებ აჩრდილად, შემდეგ პრესის ილუსტრირებულ დანამატად... ჩვენში ამ რთულ პროცესს დამატა ეროვნული მხატვრული კინოხელოვნების არნახული აღმასკლავი, რამაც მყაყურებლის მანამდეც არცთუ მზუვრავლე ინტერესი და მხარდაჭერაც დაუკარგა ქართულ დოკუმენტურ კინოს...

ახლდღეობითი მატური საწყისების, გამოსახვის ხერხებიცა და სხვა კრიტიკურობების მიხედვით კინოს თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები — დოკუმენტური კინოწარმოების შექმნის არცთუ ახალ მავრად ერთადერთ სწორ გზაზე და-

ყენა. დაე, სხვამ თქვას, რომ სწორედ ეს კაცია გამარჯვებული, მაგრამ შენ დაუვეერიდი და განმარტე, თუ რატომ არის სწორედ ეს, და არა სხვა, სხვამ დადასწროს გამარჯვების ზეიმის ჩვენება, მაგრამ შენ შეისწავლე, ახვენი გზა ამ გამარჯვებისაკენ, სიღაღდე და გარღვევალობა ამ გამარჯვებისა, სხვამ აღწეროს, უფრო მეტიც — სხვამ აჩვენოს მოვლენა, შენ კი — მანქანები, რომელმაც ეს მოვლენა შვა...

წინამდებარე ექსკურსი, თითქოსდა, დღევანდელი ქართული დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინოს არცთუ სახარბიელო მდგომარეობის გასამართლებლად ითქვა.

პრობლემები და სასწრაფოდ გადასაჭრელი საკითხები მართლაც ბევრი დაუგროვდა ჩვენს კინოდოკუმენტალისტიკას, მაგრამ ამაზე შემდეგ.

დღეს, როდესაც ჩვენი სამეურნეო თუ კულტურული ცხოვრების ნებისმიერი დარგის წარმომადგენლები წინა წლებში მიღწეული წარმატებებით გულდაჭერებულნი, ახალი ხუთწლედის დავალებებს ეკიდებიან, ჩვენც შევხედოთ წინა წლებს — მეთაუ ხუთწლედის წლებს — ნუთუ ჩამოვრჩით, ნუთუ ვერ ავუბით მხარი ქვეყნის წინსვლას, ჩვენი ეროვნული კულტურის ესოდენ დიდ მიღწევებს?

შეგხედოთ და გაეხსენოთ, რომ საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტელდამ მეთერთმეტე ხუთწლედის ჯერ კიდევ 1980-ის ზაფხულში დაიწყო; გაეხსენოთ, რომ ორ საჯავშრო კინოფესტივალზე ზედოზედ მოიპოვა მთავარი პრიზები ქართული დოკუმენტალისტიკის წარმომადგენელმა რეჟისორმა ლეო ბაქრაძემ; რომ საჯავშრო ლენინური კომკავშირის პრემიის პირველი ლაურეატი კინემატოგრაფისტთა შორის ქართველი კინორეჟისორი ვახტანგ მიქელაძე გახდა, გაეხსენოთ რუსთაველის სახელობის პრემიაზე წარადგენილი რევავ თაბუკაშვილის ფილმების არნახული წარმატება, გაეხსენოთ სხვა ნამუშევრებიც, რომელთა ავტორებმა, მართალია, ვერ მოიპოვეს ჯილდოები და პრიზები, მაგრამ განუზომლად დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი ცხოვრების ფასდაუდებელი მატარანის შექმნაში, საბჭოთა საერთაშორისო წინსვლის ობიექტურ, სახოვან ასახვაში.

ასეთი მნიშვნელოვანი მიღწევების ფონზე თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა იყოს ქართულ კინოდოკუმენტალისტიკაში, ერთის შეხედვით, ვადაზე აღდრ სრულდება გეგმები, ვლბებლობით ჯილდოებს, პრიზებს... მაგრამ, გაცილებით მეტი აყისრია დღეს პარტიულ ხელოვნებას და კერძოდ — ვერანის ეურანდისტიკას.

სწორედ ამ თვალსაზრისით არის საგულისხმო ის დიდა ეურანდობა და ზრუნვა, რასაც იჩენს ქართული დოკუმენტური კინოხელოვნებისადმი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, და სწორედ ამ კრიტიკული შენიშვნების მიმართებით გვინდა წარგმართოთ ჩვენი თხოობა.

ჯერ კიდევ 1973 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმსჯელა ქართულ დოკუმენტურ კონიონო ხუთწლიდის სახალხო-სამურწო გეგმების შესრულებისათვის რესპუბლიკის შრომითა ბრძოლის ასახვის შესახებ, მიუთითა საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებს და ნაკლოვანებებზე, დასახა სერკრეტული გზები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სტუდიის შემოქმედებითა კოლექტივმა გამოიტანა სათანადო დასკვნა, ამიტომაც 1978 წლისათვის შესძლია გარკვეულად გაუმჯობესებინა მუშაობა გამოშვებული ფილმების იდეურ-მხატვრული დონის, საწარმოო-ეკონომიური და სამურწო ფინანსური მაჩვენებლების ასაძლიერებლად.

1973 წლიდან საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში შეიქმნა 500-მდე დასახელების დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული ფილმი და კინოფურხალი, რომელიც გამოირჩევა თემატური და ეპრობრივი მრავალფეროვნებით, ასახავს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან საფეროს, ამ ფილმებში გამოქვეყნულია რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმურენ გლეხობის, შემოქმედებითი ინტელიგენციის ბრძოლა მეცხრე და მათე ხუთწლიდების გეგმების წარმატებით განაღებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რესპუბლიკის შრომითა მხადება პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შესახვედრად. ამ ფილმებში სათანადო ასახვა პოევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისათვის გაწეულია საყველთაო-სახალხო შევირებად, მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებად, გმირული შრომითა ენთუზიაზმად. შეიქმნა მთელი რიგი ფილმების რევოლუციის ვეტერანებზე, კომუნისტური შრომის დამკურებზე, წარმოების ნოვატორებზე, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებზე, ჩვენს შესანიშნავ ხალგაზრდობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფილმების გარკვეულმა ნაწილმა მასურებლის მოწონება და აღიარება დაიმსახურა თემის აქტუალობითა და მაღალი იდეურ-მხატვრული დონით, ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება სტუდიის მიერ ამ პერიოდში გამოშვებული სრულმეტრაჟიანი ფილმები: „ხუთწლიდის ნაბიჯები“ (სცენარის ავტორები — გ. ლენინიძე, გ. ასათიანი, მ. სალქეაძე, რეჟისორები — გ. ასათიანი, რ. ჭიაურელი), „ბამი“ (სცენარის ავტორები — ნ. დროზდოვი, ვ. მიქელაძე, რეჟისორი — ვ. მიქელაძე), „წინ კომუნისტები არიან“ (სცენარის ავტორები — ვ. ალგენიძე, ა. სიგუა, ვ. მიქელაძე, რეჟისორი — ვ. მიქელაძე), „ქართველები იტალიაში“ (სცენარის ავტორი და რეჟისორი რ. თაბუაშვილი) და რიგი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმებისა.

ამვე დროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის საქმიანობაში ჯერ კიდევ შეიძინევა სერიოზული ნაკლოვანებანი იმ ან-

კანების გადაწყვეტაში, რომლებიც დგას დოკუმენტური კინმატორაჟის წინაშე.

დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კვლავინდებურად მწვავედ დგას სტუდიის შემოქმედებითი კოლექტივის პროფესიული დოსტატების საკითხი. ჯერ კიდევ ვერ გადაწევა კვალიფიციური შემოქმედებითი კადრების — სცენარისტების, რეჟისორების, რედაქტორების, ოპერატორების, ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედებითი ძალების მოზიდვის საქმე, რაც სტუდიის პროდუქციის დიდი ნაწილის აბალი მხატვრული დონის ძირითად მიზეზია.

გასაგებია, რომ ხუთსამდე დასახელების ფილმიდან, სტუდიის უქანსკენი წლების პროდუქციას რომ წარმოადგენს, ყველა ვერ იქნება უზნად ხელოვნების დიქში, მაგრამ აუცილებელია ვაკილებით მაღლა იდგეს სტუდიის მიერ გამოშვებული ფილმების საერთო საშუალო დონე. ჯერ კიდევ ბევრა ისეთი ფილმი, რომელიც ვერ პასუხობს სადღესიო მოთხოვნებს, არ გამოირჩევა თემის ორიგინალური გადაწყვეტით, სიღრმით, კინმატორაჟიული ხერხების სიმრავლით, პროფესიული ოსტატობით.

სტუდიის პროდუქციაში ერთეული მაღალმხატვრული, სრულყოფილი ფილმების გვერდით ვხვდებით ბევრ უფერულ და არაფრისმთქმელ სურათს, ფილმთა უმრავლესობა ემყარება უკონფლიქტობას, ზედაპირად, პასიურ ინფორმაციას.

ქართული დოკუმენტური ფილმების უმეტესი ნაწილი ვერ აცდა თხრობის ტრადიციულ მანერას — გამოსახულებას ვრცელი სადიტორი ტექსტით. ცოტა ვაფორისეული ხელწერით, მკვეთრი ინდივიდუალობით აღბეჭდილი სურათები. სხვადასხვა წლებში შექმნილი ფილმები ტყუილისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. ეს მსგავსება განსაკუთრებით შეიძინევა პორტრეტულ ფილმებში, რომელთაც არ გააჩნიათ დრამატურგიული ხაზი, მოქმედების, თხრობის განვითარების თანმიმდევრობა; ეპოზორების მონაცვლობა, ექსპოზიცია და ფინალი ხიზობა დრამატურგიას არ ექვემდებარება და ამიტომაც არც აზრისა და ემოციის გალიერებას უწყობს ხელს. გამოუყენებელია რეჟისურის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება — ინტეატური აზროვნება, რის გამოც ერთი კადრის მეორის შეცვლა ძირითადად მექანიკურია.

უხარისხთა დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების დიდი ნაწილის ტექსტუალური მხარე, სადიტორი ტექსტი ძირითადად უხეხ და ზედმეტად პათეტიკურია. სინწარსული ჩანაწერები ძალზე იშვიათია და მოვალეობის მოხდის მიზნით თუ დროის შესავსებად არის გამოყენებული.

სტუდიის რედაქტორატი და სამხატვრო საბჭო არ იწინებს საჭირო მომთხოვნობასა და პრინციპულობას ნაწარმოებების შეფასებაში, რის გამოც ქართული დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინმატორაჟი არ დგას იმ დიურ-შემოქმედებითი მოთხოვნების დონეზე, რომელსაც უყენებს მას პარტია, მასურებული, რომელსაც კარნახობს შემოქმედის პროფესიული ვალი.

სტუდიის თემატური გეგმები მრავალფეროვანია, მაგრამ ამვე გეგმის მიხედვით შექმნილი ფილმების უმრავლესობა ზერეულ და არასინტერესოა. ეს იმიტომ, რომ



შაბლონურია დაგეგმარების პრინციპი. ზშირად გეგმაში თემა შედის სადღესის პრობლემების მხოლოდ ზოგადი გათვალისწინებით, წლიდან — წლამდე ჰერის სამეცნიერო-პოპულარული ფილმებისათვის თემების მოიქმნა. მაშინ, როდესაც მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრი მიღწევა კინემატოგრაფიული ასახვის გარეშე რჩება. სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების თემატიკა ვერ მიჰყვება რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, ვერ აშუქებს მეცნიერების წინაშე მდგარ კარდინალურ პრობლემებს, მიუხედავად არა ერთი მიითთვისბას, სტუდიას არა აქვს დამყარებული საქმიანი კონტაქტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული ავტორთა კონტაქტების გასაფართოებლად, სტუდიას ჭრე კიდევ არა ჰყავს სცენარისტთა ისეთი კოლექტივი, რომელიც შესძლებდა დღევანდლობის მაღალი ნოზიციებიდან გამოდინარე თემატიკის მოწოდებას და ამ თემატიკაზე სრულფასოვანი სცენარების შექმნას. სუტად მიმდინარეობს მუშაობა დამწყებ ავტორებთან. არ ხდება პერსპექტიული ახალგაზრდობის მოწვევა. იშვიათია დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარულ სცენარებზე გამოცხადებული კონკურსები.

ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ლიტერატურული სცენარების შექმნა გარკვეული, მკორიციზი ხოვანი ჭფუფის მონოპოლია იქცა.აქ უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია იმ პიროვნებებზე, რომლებიც სასმსხურებრივი მოვალეობის გამო უშუალოდ არიან დაკავშირებული სტუდიის საქმიანობასთან.

ჩვენ არავერი ვგაქვს საწინააღმდეგო ავტორთა ნაყოფიერი, ზშირი თანამშრომლობისა, მაგრამ ცხადია, რომ განსხვავებულ თემატიკაზე შექმნილი მრავალი სცენარის ავტორები სათანადო სიღრმით არ იცნობენ მასალას, რომელიც შემდგომ ფილმის საფუძვლად უნდა იქცეს. ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი ფორმის ძიებაზე, დრამატურგული ხერხებზე, იშვიათია ორიგინალური ავტორისეული ხელწერა და ხერხის მიგნება.

ცნობილია, რომ დოკუმენტალისტ სცენარისტთა კადრები ჩვენში არსად არ მოხდებდა და ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ სტუდიამ იშუალოდ სცენარების უმრავლესობა კონდიციამდე არ არის მიყვანილი, ძალიან ზშირად, სცენარები, კარგი ინფორმაციული საწყისის მიუხედავად, ფილმის სრულფასოვან საფუძვლად არ ვარგა.

ასეთ ვითარებაში უდღესი როლი განუუთვინება სტუდიის რედაქტორატს, რომელმაც წესისამებრ, უნდა იმუშაოს ავტორთან სცენარის კონდიციამდე მისაყვანად. საშუალოდ, ასე არ ხდება.

სცენარზე მუშაობის ადრეულ ეტაპებზე, ავტორებს არ ყვლევათ წერილობითი სარედაქციო დსკვენები. რედაქტორები იფარგლებიან ზეპირი მიყვლობით, რაც ფრიად ართულებს ავტორებთან ურთიერთობას, არ ფესპირდება სცენარის შექმნისა და „მსვლელობის“ რეალური სურათი. პრაქტიკულად გამოირცხვლია რედაქტორის დასწრება გადაღებებზე. არ მოქმედება რედაქტორის მიერ სცენარში მითითებული ფაქტების სისწორე, სამეცნიერო-პოპულარულ თემებზე კი — მეცნიერების ამა თუ იმ მიღწევის რეალური დასუელობა და აქტუალობა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სტუდიის შემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებაში განსაკუთრებული სასმატერო საბჭოს, რომლის ძირითადი ფუნქციებში, როგორც შემოქმედებით-საწარმოო მაკორინირებელი ცენტრისა, შედის ყოველივე, რაც სტუდიის ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება — დაწყებული განცხადებისა და თემატიკის გეგმების დამტკიცების — შემოქმედებითი მუშაებისადმი ტარიფიკაციის მიმხრებელი კომისიის მუშაობაში მონაწილეობამდე.

კინოსტუდიის საქმიანობის ამ ქეშარიტად წარმართული ცენტრის მუშაობა წლების მანძილზე მნიშვნულადე იყო დაყვანილი. მხოლოდ 1979 წელს განახლდა სასმატერო საბჭოს მუშაობა, მაგრამ რაიმე პრაქტიკული შედეგი ამას ჭერ არ მოყოლა.

მეტ ურადღებს მოითხოვს კინოპერიოდიკა — პოლიტიკური ინფორმაციისა და მასობრივი ავტაციის ერთ-ერთი მძლავრ და ეფექტური საშუალება. ამჟამად, კინოსტუდია მხოლოდ ერთ კინოჟურნალს — „სასპობთა საქართველოს“ უშვებს და მასაც მხოლოდ თორმეტ ნომერს წელიწადში. კინოჟურნალების ასეთი შეზღუდული რაოდენობა საშუალებას არ იძლევა სრულყოფილად აისახოს ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი ცხოვრება, გაფართოვდეს მისი გეოგრაფია, როგორც ამას რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს. ამის გამო, ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა კინოდოკუმენტალისტების მხედველობის მიღმა რჩება რაც თავისთავად განაპირობებს იმას, რომ ჩვენს მომავალ თაობებს ღარიბი კინომატიანე დარჩებათ, კინოდოკუმენტალისტების უპირველესი მოვალეობა კი პირველი, მდინდარი და მრავალფეროვანი მატინის შექმნაში უნდა გამოიხატებოდეს.

კინოჟურნალები დაგვიანებით აღწევს მსყურებლამდე, არ არსებობს კინოჟურნალების დაგვიგმვისა და რევიზორზე წინასწარი განპიროვნების პრინციპი. არავითარ ინტერესსა და მომთხოვნეობას არ იჩენს ურნალის მიმართ სასმატერო საბჭო. ამის ბრალია, რომ ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა ვერ ელირას ეკრანულ ცხოვრებას, ვერ წარსდება ფართო მსყურებლის თვალწინ. ამას ემატება ისიც, რომ დოკუმენტური კინოს თავდაპირველი მოვალეობა — სინამდვილის ფაქტისა და მოვლენის სახოვანი, ხედვითი ასახვა, ოპერატიულობის უმედარბეული უნარის წყალბობი, დიდი ხანია ითავა ტელევიზიამ, მაგრამ კინოჟურნალს ქრონიკას თავისი ფუნქცია მიანიჭ შეჩრა. დღეს მას ყველაზე მეტი მსყურებელი ჰყავს ქალაქად თუ სოფლად და სწორედ მან უნდა დაიკავოს ის როლი ჩვენი თანამედროვის იდეურ-ესთეტიკურ აღზრდაში, რომელიც მას ჭერ კიდევ 60 წლის წინათ ვ. ი. ლენინმა მიაკუთვნა.

კიდევ უფრო არასასურველი მდგომარეობაა კინომატიანის შექმნის საქმეში. უყვე შეიღი წელია, რაც სტუდიას ყოველწლიურად ეძლევა 20 ათასი მანეთი და ოთხი ათასი მეტრი ფირი ამ მეტად საჭირო საქმისათვის, მაგრამ ჭერს ვერ მოხერხდა ქრონიკის ამ ფასდაუდებელი სახის წესრიგში მოყვანა, არ სდებდა გადაღების წინასწარი გეგმები, მასალის უმეტესი ნაწილი მოვლენითი ხასიათისა. იშვიათია მიზნობრივი გადაღებები, მომავალი თაობის ინტერესების პოზიციებიდან გამოდინარე საჭირო



სიუჟეტები. ზშირად სამატიანო ფონდში გადადის ფილმების ნარჩენები, მასალა, რომელიც წუნის გამო ვერ მოხვდა კინოურნალ „საპოპოთა საქართველოში“. მთელი სამატიანო მასალა ვადიდებულია სინქრონული ჩანაწერების გარეშე, რის გამოც მნიშვნელობას კარგავს ისეთი სიუჟეტები, რომელიც შეხვედრებს, იუბილეებსა და კონფერენციებს ასახავს.

სამატიანო მასალა ზშირად ძალზე დაბალ მხატვრულ დონეზეა ვადიდებული, რაც მის შემდგომ გამოყენებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. არადაამკაყოფილებულია ნეგატივის შენახვის ტექნიკური ჩარობები. არაა დამყარებული კოორდინაცია სატელევიზიო ფილმების სტუდიასთან, რომელიც ასევე იღებს სამატიანო მასალას. და არამართვ ამ საკითხში, არამედ საერთოდ თემატური გეგმების კოორდინაციის საქმეში.

კინომატიანის ასეთი მდგომარეობა დიდი დანაშაულია იმ თაულები წინაშე, ვისაც თითქმის არ ექნება საშუალება თაუღნათლივ ნახოს და იმსჯელოს წინაპართა საქმიანობაზე.

სტუდიის პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს დაკვეთილი ფილმები. საკავშირო და რესპუბლიკურ უწყებთა თხოვნით სტუდია ყოველწლიურად იღებს მთელ რიგ ე. წ. დაკვეთილ ფილმებს, რომელთა მიზანია კინოსაშუალებლით პროპაგანდა გაუქროს სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მიუწევებასა და რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მომდარ მოვლენებს, ამავე პრინციპით ხდება სასწავლო ფილმების ვადიდება. როგორც წესი, ზემოაღნიშნული ფილმების თემატკა დამკვეთი ორგანიზაციის სურვილითა და წინადადებებით ირჩევა.

გეგმითი პროდუქციის სიმცირის გამო, სწორედ დაკვეთილი ფილმების წყალობით ეძლევა სტუდიის საშუალება ეგრანზე ასახოს ჩვენს რესპუბლიკის ცხოვრების მრავალი საჭირო თემა და პრობლემა. ზშირდ, მნიშვნელოვანი სურათები იქმნება რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მოითებთა და დაფინანსებით. სწორედ ამ გზით ვადაილო სტუდიაში ფილმები: „ეს დიდი მცირე მიწა“, „პართელები იტალიაში“ (ორი ფილმი), „საქართველო ზემოთა“, „სერგანტინი“, „პარტიული ხელმძღვანელობის ინსტრუმენტი“ და მრავალი სხვა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ არ არსებობს დაკვეთილი ფილმების წინასწარი თემატური დაგეგმარების პრინციპი. ზშირად ამა თუ იმ თემის გეგმაში ჩანს რეჟისორთა და რედაქტორთა მონდობებაზეა დამოკიდებული. ამავე პრინციპით ხდება ფილმებზე აუტორთა განაწილებაც.

დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირის ყველა სტუდიის აერძალა ზეგეგმითი ფილმების წარმოება, დაკვეთილი ფილმებისადმი მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. საჭიროა უფრო მჭიდრო საქმიანი კონტაქტების დამყარება დამკვეთ ორგანიზაციებთან სათანადო ცენტრალიზაციის და კოორდინაციის ვათავალიწინებით, რათა დამკვეთი ორგანიზაციების ინტერესები, მატერიალური თუ მორალური, დამკაყოფილებული იქნას სახელმწიფოებრივი ინტერესების მაქსიმალური უკუგების ვათავალიწინებით.

კვლევ არდამამკაყოფილებელია სტუდიის შემოქმედებითი კოლექტივის პროფესიული მომზადების დონე.

ასე მაგალითად, სტუდიაში მომუშავე 29 რეჟისორიდან, უმრავლესობას თეატრალური განათლება აქვს. ჩვენის მატერიაფიის ინსტიტუტიდან კი მხოლოდ რამდენიმე რეჟისორია მოსული. აღსანიშნავია ისიც, რომ იმავე 29 რეჟისორიდან 21-ს სამეცნიერო-პოპულარული ფილმის რეჟისორის ტარიფიკაცია აქვს მიიწეებული და მხოლოდ 8-ს — დოკუმენტური კინოსი. სტუდია კი წელიწადში 8 სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს იღებს. დოკუმენტურს — 25-ს, ამ დისრიპორციის მიზეზი იმაშია, რომ სამეცნიერო-პოპულარული ფილმების რეჟისორის სამატიო ხელფასი უფრო მეტია, ვიდრე დოკუმენტურისა.

სტუდიაში წლების მანძილზე არ მოსულა სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე კინოოპერატორი. 31 შტატის ოპერატორიდან მხოლოდ 4-ს აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება. დანარჩენებს კი — მხოლოდ საშუალო. ოპერატორის 28 ასისტენტიდან 23 — საშუალო განათლების მქონეა.

სტუდიაში სათანადო სიმალღებე არ დგას კინემატოგრაფისტთა ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, აღზრდის საქმე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „შემოქმედების ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ“ ნათქვამია, რომ „ნებისმიერი ხელოვნების განვითარება წარმოდგენილია ახალი ნაკადის, თამამი მაძიებელი ახალგაზრდობის გარეშე“. მთელი რიგი ახალგაზრდა რეჟისორების, რომელთაც კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრეს, რესპუბლიკის სხვა კინოსტუდიებში მოღვაწეობენ. ამჟამად, როდესაც თეატრალური ინსტიტუტი გაიხსნა დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების რეჟისორთა გავლენ, სტუდიაში მეტი დანიტრესება უნდა გამოიჩინოს სტუდენტთა საქმიანობის მიმართ.

სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის შემოქმედებითი და საწარმოო საქმიანობა საქართველოს სსრ სახკინოს მუდმივი ყურადღების საგანია. კინოკომიტეტის კოლეგიამ არაერთგზის იმსჯელა სტუდიის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების შესახებ. საკამარისა აღინიშნოს, რომ 1978-1979 წლებში კოლეგიის სხდომებზე განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც-ცა სტუდიის შემოქმედებითი საწარმოო და სამეურნეო-დაფინანსო საქმიანობა, სტუდიის რედაქტორატის მუშაობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და მისი განმტკიცების ღონისძიებები, თემატური დაგეგმვისა და ფილმწარმოების პროექტის სრულყოფის ღონისძიებები, კადრებთან მუშაობა და ა. შ.


საქკინოკომიტეტის დადგენილებებსა და ბრძანებებში ვაკეთებულია სტუდიის ყველა ძირითადი საწარმოო-შემოქმედებითი რგოლისა და სამსახურის საქმიანობის სერიოზული ანალიზი, დასახულია არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებები.

ეკრძოდ: სულ ახლახანს საქართველოს სახკინოს კოლეგიამ მიიღო ღონისძიებთა გეგმა, რომელიც, ჩვენის აზრით, ბევრად დაგეგმარება სტუდიის არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაში, ხელს შეუწყობს ქართული დოკუმენტურ და სამეცნიერო-პოპულარული კინემატოგრაფის რათა დაიკავოს მისი მაღალი და სასპასხისმგებელი მისი-ის შესაფერი ადგილი ქართულ ხელოვნებაში.

60

# რეჟისორი მიხეილ თუშანიშვილი

ნათელა ურუშაძე



## ჯარისკაცი თეატრალურ ინსტიტუტში

სკოლის მერხიდან არ მოსულა — ფრონტის ხაზიდან მოვიდა 1944 წ.

სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა, სამხედრო სამსახურში რომ გაიწვიეს. ეს იყო 1939 წელს.

ომს საზღვარზე შეხვდა. მძიმედ დაპრილი სამხედრო ტყვეება ფაშისტურ ბანაკში აღმოჩნდა. გაიქცა. ფრონტის ხაზის გადმოლახვისას ისევ ჩაეარდა ტყვედ. ისევ გაიქცა. თავს უკრაინულ გლეხებთან აფარებდა. პარტიზანებს შეუერთდა. შემდეგ ისევ ჯარის ნაწილშია, კავალერიაში. იქ შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. მძიმე ავადმყოფი 1944 წ. დემობილიზებულ იქნა და შინ დაბრუნდა.

...მაღალი, გამხდარი, დიდრონი შავი თვალებით, გახუნებულ სამხედრო ტანსაცმელში, გაცვეთილ ჩექმებში... გულზე წითელი ვარსკვლავის ორდენი და გვარდიელის ნიშანი უბრწყინავდა. ასეთი მოვიდა ის მისაღებ გამოცდაზე და ჩაირიცხა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე (გ. ტოვსტონოგოვის კლასი).

თავის მასწავლებლისაგან მიიღო მან რწმენა იმისა, რომ ხელოვნებას საზოგადოებრივი მიზანი ასულდგმულებს, რომ მხატვრული ნაწარმოები იქმნება იმისათვის, რათა ადამიანები ცხოვრებაზე დააფიქროს, დაანახოს მნიშვნელოვანი, განაწყოს მისდამი, ააღელვოს. ამგვარი მისიის შესრულება კი შეუძლებელია, თუ შემოქმედი არ ფლობს კანონებს, საფუძვლად რომ უდევს მის ხელოვნებას.

## სტუდენტი — რეჟისორი

1948 წ. საკურსო სპექტაკლად იულიუს ფუჩიკის გახმაურებული ნაწარმოები აირჩია „რეპორტაჟი მარყუჟით ყელზე“. თვითონ გაასცენიურა და უწოდა „ადამიანებო, მე თქვენ მიყვარლით“. მხატვრულადაც თვითონვე გააფორმა, რადგან ხატავს კარგად.

არჩევანი არავის გაკვირვებია — ომის ქარცეცხლში გამოვლილისთვის მეტისმეტად ახლობელი და ძვირფასი

იყო ამ ომში გამოწრობილი გვირის სახე. დრო გამო-  
აჩენს, რომ შუახანსიც იტყვის მიხეილ თუმანიშვილი თა-  
ვის სათქმელს ომში დაღუპულ ახალგაზრდა გვარდიელ-  
ებზე.

ის სტუდენტური სექტაკალი კი ერთმოქმედებიანი იყო  
და სათანახევის მიმდინარეობდა უწყვეტლევ. ეპიზოდ-  
ებს წყვენიერ აერთებდა. არაფერი ზედმეტი. არცერთი  
ელემენტი: სცენის სიღრმეში შვია ხავერდის ფონზე ღი-  
ლ ეკრანი. მასზე სწრაფად ცვლიდნენ ერთმოქმედის მოქ-  
მედების ადგილების გამოსახულებანი. ყოველი მათგანი  
ერთი რომელიმე დამახასიათებელი და მნიშვნელოვან  
დეტალით იყო მინიშნებული — ფაქსიტური ემბლემა,  
ჩრინისბადეკრული ციხის სარკმელი, ლალისფრად მოე-  
ღვარე ვარსკვლავი, სინათლის წყაროც მხოლოდ ამ დე-  
ტალს აშუქებდა ხოლმე ხაზგასმულად.

ეპიზოდების ცელა შექვის წუთიერი გამოთქმით ხდე-  
ბოდა. ეს დიდდა უწყობდა ხელს მოქმედების დინების  
რეტმულ ზრდას და მისი თანდათანობითი განვითარების  
საჭირო დაძაბულობას. ეს აუცილებელი იყო ფუჩიკის  
ცხოვრების ტრაგიზმის საჩვენებლად.

ყოველი სცენა, ყოველი მნიშვნელოვანი დეტალი წინა-  
სწარი იყო გააზრებული და შეტანილი სარეჟისორო გეგმა-  
ში. ეს გეგმა მ. თუმანიშვილმა შესამოწმებლად ავიღებდა-  
ნა თავის მასწავლებელს, გ. ტოცსტონოვს, რომელიც  
იმ დროისათვის უკვე წასული იყო საქართველოდან. მო-  
სკოვიდან მიღებულ საპასუხო წერილში ეწერა: „...ძალ-  
იან გამაბარა თქვენმა წერილმა, განსაკუთრებით კი იმან,  
რომ მასში ნათლად ჩანს რამდენად გაიზარდეთ თქვენ ამ  
პერიოდში შემოქმედებითა, რა თამამ და დიდ ამოცა-  
ნებს აყენებთ საკუთარი თავის წინაშე. რაც მთავარია —  
უკვე ახერხებთ მათ გადაჭრას პრაქტიკულად თქვენს მი-  
ერ ორგანიზებულ ჯარსა და სივრცეში, ლიტერატურულ-  
ი მასალითა და ცოცხალ აქტივობათან. იმის მიხედვით,  
რასაც იწვევებთ თქვენ ფუჩიკზე და რაც აბზებუდითა  
სურათებზე, აშკარაა, რომ თქვენ შეგიქმნიათ რაღაც ძა-  
ლიან თამამი, სანტიმეტრი. სულთი და გულთი გილო-  
ცათ შემოქმედებითი ზღის ასეთ დაწყებას. ძალიან მო-  
მწონს თქვენი ჩანაფიქრი და თუ მოხერხდა მისი რეა-  
ლიზაცია (რასაკვირველია, გარკვეული ცვლილებებით  
მუშაობის პროცესში), ეს უდიდესი მიღწევაა. მე მო-  
მწონს თქვენი პრობლემების თავისებურება, მომავალი წა-  
რმოდგენის ხედვა და, რაც მთავარია, აზრის თამამი გაქა-  
ნება. ნუ დაკარგავთ ამ უნარს მომავალში. ეს თვისება  
რეჟისურის ბერძნულ დიდოსტატამ დაკარგა და ამიტომაც  
ასეთი უფეროლობა ზოგიერთ თეატრში. მომავალშიც  
ასე განაგრძეთ. მე მწამს თქვენი და ვისურვებდი,  
რომ თქვენგან მართლაც, გამოსულიყო თეატრის გამო-  
წინისი მოღვაწე, რომელიც ასე ესაჭიროება ახლა ქარ-  
თულ სასცენო ხელოვნებას“.

მოხდა ისე, რომ სტუდენტი რეჟისორის პირველსავე  
სექტაკალში გამოვლინდა თვისებებით, შემდგომ რომ მე-  
ლი სიცოცხლის მანძილზე იქნება დამახასიათებელი  
მ. თუმანიშვილისათვის: თამამი სწრაფვა თანადროული  
რთული შემოქმედებითი ამოცანებისაკენ, ჩანაფიქრის

მაკივობა, სცენური დროისა და სივრცის ორგანიზაციის  
უნარი, უდიდესი ყურადღება სექტაკლის საფუძვლის  
— ლიტერატურული პირველწყაროსადმი და მისი უშეა-  
ბრის განმარტოცილებლის — მსახიობის მიმართ. ეს იმ-  
დენად აშკარა იყო, რომ სარეჟისორო გეგმაშიც კი ამო-  
კითხა მისმა მასწავლებელმა.

1949 წ. მ. თუმანიშვილმა დაამთავრა თეატრალური  
ინსტიტუტი. ახალგაზრდა რეჟისორის შემოქმედებითი  
ცხოვრება იმთავითვე ორი გზით წარიმართა — თეატრი  
და თეატრალური ინსტიტუტი, რეჟისურა და პედაგოგი-  
კა. ასეა ეს დღესაც.

## რუსთაველის თეატრი

კოლექტივთან პირველი შეხვედრა რეჟისორის მარც-  
ხით დაშავდა. ვ. კარსანიძის პიესა „მარად მწვანე ქე-  
ლები“, რომლის დადგმაც მოუხდა სალიბრომო სექტაკ-  
ლად, დრამატურგიულად გაუმართავი ნაწარმოები იყო  
და ჯერ გამოუცდელი რეჟისორის მის ხარვეზებს ვერ მო-  
ერია. არც მომდევნო დადგმას — ეს ვიშნევსკის პიესას  
„დაუვიწყარი 1919“ — მოუტანია წარმატება.

აკადემიურ თეატრშიც რეჟისორი მ. თუმანიშვილი ის-  
ვე იულოა ფუჩიკის იმავე ნაწარმოების გაცოცხლებით  
დაიბადა. სექტაკალი „დამიანებო, იყავით ფხოზლად!“  
ფუჩიკის რეპორტაჟის ინსცენირების ახალი ვარიანტი  
იყო. ის ეკუთვნოდა მ. თუმანიშვილსა და კ. მახარაძეს.

ეს იყო სექტაკალი — სიმღერა, რომელიც მისი მაღა-  
ლი იდეების დასაცავად მოგწოდებდა. იგი თეატრის რე-  
პერტურული გეგმის გარეშე დაიდგა 1951 წ. და აერთი-  
ანებდა თეატრალური ინსტიტუტში აღზრდილ ახალგაზ-  
რობას. ესენი იყვნენ: მ. ჩახავა, ნ. ჩხეიძე, ერ. მანჯგალა-  
ძე, გ. გვეჯკორი, კ. მახარაძე და სხვანი. წარმოდგენის  
წარმატება მათი კოლექტიური გამარჯვების შედეგი იყო.

იმ დროს, როდესაც მ. თუმანიშვილი რუსთაველის თე-  
ატრში მოვიდა, თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი  
ა. ხოსარაძე იყო. ფაქტიურად ეს იყო ორი მსახიობის —  
ა. ხოსარაძის და ა. ვასაძის თეატრი. ასეთი შემოქმედებითი  
თავისებურების თეატრში მოვიდა ახალგაზრდა რეჟისო-  
რი, რომელიც თეატრალური ინსტიტუტში ანსამბლის  
თეატრის რწმენის ეხიარა.

თავის თაობის შემოქმედებითად ერთმორწმუნე ახალ-  
გაზრობასთან ერთად მ. თუმანიშვილი იწყებს რუსთავე-  
ლის თეატრში ანსამბლის პრინციპებისათვის ბრძოლას.  
ის იყო ამ თაობის ჭეშმარიტი მეთუთარი იმ დაუწერელი  
კანონით, რომელიც ერთმორწმუნეთა შორის უძლიერესს  
დააკისრებს ხოლმე წინამძღოლის მძიმე მოვლულობას.  
მით უფრო, რომ უძლიერესი, ამავე დროს, პროფესიო-  
რეჟისორი იყო — შემოქმედებითი მუშაობის მილიანი  
პროცესის წარმმართველი დღევანდელ თეატრში.

ახალი პრინციპების დამკვიდრებას წლები დასჭირდა.  
წინააღმდეგობა, რა თქმა უნდა, მრავალი იყო როგორც  
თეატრში, ისე მის გარეთ. განსხვავებული მიზნებით,  
მებრძოლთა რიგებს ზოგიერთები გამოაკლდა. მიუხედა-  
ვად ამისა, ახალმა თაობამ მ. თუმანიშვილის ხელმძღვანე-

ლობით, ფუჩიკის ინსცენირებიდან (1951) ვიდრე ანუის „ანტიგონემდე“ (1968), სპექტაკლებით: ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“, ნუშინის „ფილოსოფიის დოქტორი“, კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“, გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილები“, გ. ნახტარიშვილის „ქინჭრაქა“ და სხვა, რადიკალურად შეცვალა რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი სახე. ეს აღარ იყო ღია პათოსის გმი-

მით შორის ისეთი მნიშვნელოვანი სპექტაკლები, როგორცაა ი. ტურგენევის „ერთი თვე სოფლად“, ე. პეტროვის „მშვიდობის კუნძული, ა. ვერის „მეექვსე სართული“, ა. ვოლოდინის „კბილის ეჭმის თავგადასავალი“, მ. მრეველიშვილის „ხარატაანთ კერა“. ხელმძღვანელობდა აგრეთვე სარეჟისორო ფაქულტეტსაც.

მულამ მიაჩნდა, რომ სტუდენტმა-მსახიობმა თეატრში

სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „ადაშიანზე, იყავით ფხიზლად!“



რულ-რომანტიკული თეატრი, რომლის სიმძიმე ორ მსახიობს ეტვირთებოდა. ეს იყო ცხოვრების სიმართლის სიღრმეში მწვდომი ანსამბლის თეატრი, სადაც მსახიობები პარტიზორისათვის არსებობენ, სადაც ნაწარმოების დედაზრის ტვირთს ყველა მონაწილე ეზიდება, სადაც პერსონაჟთა მხატვრული სახეები მიზეზობრივ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან ღრმა და საინტერესო კავშირებით. ამ თეატრის ფუძისეული პრინციპი იყო — ორკესტრი. იდეალი — სოლისტების ორკესტრი!

### მასწავლებელი

1950-1967 წ.წ. თეატრალური ინსტიტუტის ქართულსა და რუსულ, დრამატულსა და მუსიკალური კომედიის ფაკულტეტების სტუდენტებთან მ. თუმანიშვილმა თერთმეტი საკურსო და სადიპლომო სპექტაკლი განხორციელა,

მისვლამდე, ინსტიტუტის სპექტაკლებშიც თავი უთუო მალალი მხატვრული დონის სპექტაკლებსა და სხვადასხვა ხასიათის როლებში უნდა გამოავლინოს. ამიტომ ინსტიტუტის სცენაზე განხორციელებული მისი წარმოდგენები მულამ გამოკვეთილი რეჟისორული გადაწყვეტით გამოირჩევა.

სცენის მომავალ ხელოვანებს ის სწავლების პროცესში აჩვენებს ლიტერატურული მასალის თავისებურებათა ძიებას, მწერლის პოეტური სამყაროს წვდომას და განსხვავებულ სპექტაკლის ყველა კომპონენტში.

მოწაფურიც მხატვრულის შექმნის ტენდენციით უნდა იყოს გამსჭვალული, მასში ყველაფერი გააზრებული უნდა იყოს, ვინაიდან ლოგიკისა და პარაწინის გარეშე არ არსებობს მხატვრული მოვლენა. ოსტატურიც უნდა იყოს — დამუშავებული, დახვეწილი, ზედმეტობისაგან თავისუფალი. დღევანდელი სტუდენტი მომავალში ხომ

მხატვრულად სრულქმნილი ნაწარმოების შემქმნელი ხელოვანი იქნება, მასხადამე, სწავლების პროცესიც ამ მიზნით უნდა იყოს წარმართული.

მ. თუმანიშვილის აზრით, სათეატრო სასწავლებელი უნდა ზრდიდეს არა ცალკეულ მსახიობებსა და რეჟისორებს, არამედ სცენის ხელოვნთა კოლექტივს, რომლის წევრებსაც გარკვეული შემოქმედებითი რწმენა აქვთ, გარკვეული მხატვრული პოზიცია. ამიტომ შეუძლიათ შექმნან საკუთარი თეატრი, შესაძლოა, პატარა, მაგრამ მაინც კოლექტივი რომელსაც საკუთარი სიტყვა აქვს სათქმელი ცხოვრებაზე.

1967 წ. მისი ინიციატივით თეატრალურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ე. წ. ექსპერიმენტული ჯგუფი. მისი შექმნის აუცილებლობა პრაქტიკამ აშოშაყენა — გამოირკვა რომ ახალგაზრდა რეჟისორებს ყველაზე მეტად მსახიობთან მუშაობა უჭირთ. უძნელდებოთ სპექტაკლის დედაზრის მსახიობის შემოქმედების საშუალებით გამოვლინება. იქნებ სარეჟისორო და სამსახიობო ჯგუფების შეერთებამ უშველოს საქმეს? პროგრამა თვითონ შეადგინა. მისი საფუძველი და გამჭოლი ტენდენციაა — სცენური სიცოცხლის უწყვეტი პროცესის შექმნის საიდუმლოს ამოხსნა და დაუფლება ქმედითი ანალიზის მეთოდის მომარკვებით.

მ. თუმანიშვილი ისეთი ხელოვანია, რომელიც მხოლოდ იმას ამტკიცებს, რაშიც თვითონაა დარწმუნებული. ასეთია იგი, როგორც მასწავლებელიც. ამიტომ სწავლის პროცესში ყველა მისი მოწაფე მისი რწმენის ერთგულია. მას აქვს იშვიათი უნარი ადამიანები საკუთარ შემოქმედებით რწმენას აზიაროს. განუსაზღვრელია მისი პედაგოგიური ავტორიტეტი.

უსასრულოა მისი გატაცება სცენის ხელოვნების კანონების შესწავლით. გულითაა მოწოდებული თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვასაც გადასცეს. უყვარს სადა, ნათელი, ზუსტი განსაზღვრები.

მისი გაკვეთილი არასდროს არაა გაკვეთილი ჩვეულებრივი გაგებით — ესაა სასცენო ნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანის ძიებები, რომლებსაც ან ესწრები, ან ჩართული ხარ მასში, როგორც მონაწილე.

თავისი დიდი ნიჭის წყალობით, გამოცდილებიდან სწორედ იმას მოიშველიებს, რაც დღეს ჭირდება გაკვეთილზე. ათასწიარ საშუალებას მიმართავს იმისათვის, რომ ახალგაზრდების ცხოვრება დატეირთული იყოს საინტერესო დაუალებებით, მოცანებით, რომლებიც უნდა ამოხსნან და გადაწყვიტონ.

თვითონ მუდმივ პროფესიული დაოსტატების გზაზე მღვამი, მოწაფეებისაგანაც იმავეს მოითხოვს. მასთან არც სწავლა ადვილი, არც მუშაობა. საქმისადმი თავდადება მოითხოვს, თავგანწირვას. მაგრამ ყველაზე მკაცრი და ყველაზე დაუნდობელი მაინც საკუთარი თავის მიმართაა. ამიტომაც არ იცის რა არის მოსვენება და სიმშვიდე.

#### რემისონრი და ღრამატურბი

მ. თუმანიშვილმა კარგად იცის, რომ სცენის შემოქმედების საფუძველი ღრამატული ლიტერატურაა. ის ეკუ-

თვის რეჟისორთა იმ კატეგორიას, რომელიც მიზნად ავტორთან თანაშემოქმედებას ისახავს, მისი ლიტერატურული ნაწარმოების წვდომა-ამოხსნას და შესატყვისი სცენური საშუალებების შეიხზვას. ეს სულაც არ ნიშნავს ტექსტის მონობას, მისდამი ბრმა მორჩილებას.



სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „ესანელი მღვდელი“.  
ლოპსი — მ. მანგალაძე, დიეგო — ე. აფხაიძე

მოხდა ისე, რომ თავისი შემოქმედებითი საქმიანობა მ. თუმანიშვილმა საკითხავად დაწერილი იულოუს ფუჩიკის ცნობილი ნაწარმოების გასცენიერებით დაიწყო. ცხადია, მოუხდა ტექსტში ჩარევა, გარკვეული ოპერაციის ჩატარება.

შემდგომშიც მიუმართავს ამ გზისათვის, ღრამატურგული ნაწარმოების ტექსტშიც ჩარეულა. ყოველ ცალკე-

ულ შემთხვევაში განსხვავებულად. ასე მაგალითად, თეატრალურ ინსტიტუტში განხორციელებულ ა. ეგრის „მეექვსე სართულზე“ მან დიქტორი შეიყვანა. მესამე ზარის შემდეგ დაბალში სინათლე ქრებოდა. სრულ სიბნელეში გიტარის ღებვალი ხმა მოისმოდა, მის ფონზე კი დიქტორის გულშიმარწყვლად სიტყვები: „პარიზი...მონმარტრი... ანტუანეტის ქუჩა №34 ... მეექვსე, უკანასკნელი სართული... აქ არასოდეს არავფიქრებ არ ხდება“...

ეს უხილავი აღმართი, რომელიც ავტორის მიერ გათვალისწინებული არ ყოფილა და სპექტაკლში რეჟისორმა შემოიყვანა, მოწმე იყო ყველაფერისა, რაც სცენაზე ხდებოდა. მეტისმეტად ფეიხვად და მორიდებით, მაგრამ მაინც ერაღა გმირის ცხოვრებაში. ის არ იყო მრავალსიტყვიანი, მაგრამ ის სიტყვები, რომლებსაც იგი ამბობდა, ავტორისეული რემარკიდან იყო ნასესხები და მ. თუმანიშვილის ეკუთვნოდა, ოღონდ ის იყო ნაქონიანი ავტორის მანერა, რომ ა. ეგრისა გვეგონებოდათ. დიქტორი იწყებდა და ამთავრებდა ეპიზოდებსა და მოქმედებებს. წარმოდგენა კი მისი სიტყვებით იწყებოდა და მთავრდებოდა: „...პარიზი... მონმარტრი... ანტუანეტის ქ. № 34. მეექვსე, უკანასკნელი სართული... აქ არასოდეს არავფიქრებ არ ხდება.“

საგარეოხალად შეამცირა მ. თუმანიშვილმა ა. არბუზოვის „ირკუტსკის ისტორიის“ ტექსტიც. ეს შემცირებანი ძირითადად, ორი მიმართულებით წარიმართა: სერდიუკისა და ლარისის ხაზის შეკვეცისა და ყოფითი ელემენტებისაგან განათვისფლების გზით. სერდიუკისა და ლარისის ხაზის შემცირებამ, რა თქმა უნდა, უფრო კომპაქტური გახადა პიესის სამი ძირითადი გმირის (ვალა, სერგეი, ვიქტორი) ურთიერთობის ხაზი, თუნდაც იმით, რომ უფრო იშვიათად წყდებოდა იგი.

ამ პიესაში მ. თუმანიშვილი სხვანაირადაც ჩაერია — განათვისფელა იგი ყოფითი ელემენტებისაგან. მაგალითად, ქორწილის სცენა ოთახიდან ნაევბში გადაიტანა. რატომ ზუსტად არ დაიცვა ავტორისეული რემარკები. რომელიც მიხედვით სტუმრები მაგიდას გარს უსხდნან. მღერიან, ოსმის ბაიანისა და ჰიქების მიუხედავად ხმა. სვამენ... ეს ხომ ვაკლებით უფრო ადვილი იყო, უფრო ახლობელი ავტორისათვის და, მასმასაღამე, ნაკლებად საკამათო?

რეჟისორმა ავტორის მიერ მითითებული მოქმედების ადგილი იმიტომ კი არ შეცვალა, რომ ავტორის განმარტბოდა, არამედ იმიტომ, რომ კიდევ უფრო მეტად მიახლოვებოდა მისი პიესის დედაზარს, რომელიც არ მეს ზედაპირზე. მ. თუმანიშვილმა თამაზად უარყო ყველა ქორწილისათვის ჩვეულებრივი ვარემო: ოთახი, მაგიდა, სკაპები, სასმელ-საშუქელი და უჩვეულო ადგილზე გადაიტანა იგი — მღირანზე, ნაევბზე. მართკ რომ დარჩინებ ვალა: და სერგეი, მაშინაც ნაევბი ისხდნენ და არა ოთახში, როგორც ჩვეულებრივ. მაგრამ ვანა ვალისა და სერგეის ქორწილ ჩვეულებრივი ქორწილი იყო?... არა, მათი შეფრთხვაც უფრო პოეტურად გამოიხატა სცენაზე, უფრო ფაქიზად.

სულ სხვანაირი იყო თავისი ბუნებით რეჟისორის ჩა-

რევა ა. ჩხაიძის პიესაში „ხილი“. აქ ხაზგასმით წინ წამოიწია ახალი თემა, რამაც ავტორის მიერ დასმული პრობლემა გააფართოვა და სწორედ ამით გააძლიერა იგი. ესაა ქალაქის პროკურორის ირაკლი რაზმაძის სახე, რომელსაც შესანიშნავად განახორციელებდა ერ. მანჯგალაძე. მისი სცენური სიციცხლე იმის მძევნებელი იყო, თუ როგორ იღებებეს სამართლიანობისათვის ბრძოლის სურვილი უკვე ხანდაზმულ, თავისთავად კარგ, მაგრამ კომპრომისებს შეუძლებელი აღმართნი იმის გამო, რომ მის გვერდით ნატო ჩორდინიშვილისთან ახალგაზრდა აღმოჩნდა. იცვებთა აზრი: მალწუნებობრივი პრინციპებით აღჭურვული აღმართნი მალწუნებლობა მხოლოდ მისი ლიბრეტით არ იფარგება — ამგვარი პიროვნების არსებობა სცენაზეც აღიქმებს კეთილ ძალეს. ასე გააფართოვა მ. თუმანიშვილმა პიესის იდეის მნიშვნელობა.

ლიტერატურული ნაწარმოების სხეულში ჩარევის ყველა ეს განსხვავებული შემთხვევა ერთი მთავარი მიზნითაა განპირობებული: რაც შეიძლება მკაფიოდ წარმოიჩინდეს ავტორის ჩანაფიქრი, დედაზარი, რომელიც ღირებულ პიესაში სულაც არა ადვილად მისაგნები და ამოსაჩიოს. მით უფრო, რომ წერის ავტორისეული თავისებურების რკალს მ. თუმანიშვილი არავითარ შემთხვევაში არ გადასახავს. იმიტომ რომ მწერლის საიდუმლო ამოხსნა და მისი ნაწარმოების სცენურად შეთხზვა მაინცა ურთულესა და ყველაზე საინტერესო ამოცანად თეატრალურ ხელოვნებაში.

### მხატვართან ერთად

მ. თუმანიშვილი მუდამ ღიდ ყურადღებას აქცევდა სპექტაკლის დეკორატიულ გადაწყვეტას, მხატვართან მუშაობას. ეს მისი სპექტაკლებისათვის საგანგებოდ გაფორმებული ამოვიზიდანაც ჩანს. მხატვართან მუშაობა უყვარს, ეხმარება. თვითონაც ხატავს. ამის ნათელი საბუთია მისი სარეჟისორო გეგმები. დაუზარებლად ეძებს ყველა წერტილს, რათა შემდეგ ისინი გმირთა ცხოვრების მსგელობაში ჩართოს.

რეჟისორს მაინცა, რომ მხატვართან ერთად შეთხზულმა სცენურმა გარემომ ნათელი უნდა გახალის მაყურებლისათვის რეჟისორის ჩანაფიქრი, მისი აზრია... სანკენო ნაწარმოები ხომ ხელოვნების ყველა დარგის აურაცხელი საშუალებით იქმნება. იმისათვის, რომ ეს საშუალებები გამოიყენო, უნდა ფლობდ მათ. ეს აუცილებელია, ვინაიდან სპექტაკლის ფორმა ერთი რომელიმე მასალით არ იქმნება, აქ ყველაფერი შედის — სიტყვაც, მოძრაობაც, ფეიცი, ხაზი, შუქიც, ხმაურიც... იგულისხმება მხატვრული, ხელოვანის მიერ შეთხზული ფორმა, რომელმაც ნათელი უნდა გახალის მაყურებლისათვის რეჟისორის ჩანაფიქრი.

მ. თუმანიშვილი ვერ დაიწყებ რეპეტიციას, თუ ზუსტად არა აქვს განსაზღვრული თამაშის პირობა ანუ მეტყველ საშუალებათა შერჩევის პრინციპი, რომელსაც სთავაზობს იგი მსახიობებს, მხატვარს, კომპოზიტორს, ქორეოგრაფს. შემდეგ კი, ყველა ერთად, ამ პრინციპს, ამ მხატვრულ პირობას მაყურებელს უსთავაზებენ.

ამ პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს ყველა, ვინც სპექტაკლში მონაწილეობს. ამ პრინციპმა ქალაქზე დაწერილი სცენაზე ცოცხლად წარმოდგენილად უნდა აქციოს, ლიტერატურული დინამია — სცენურ რიტმად, ლიტერატურული კომპოზიცია — ცოცხალი ქმედების, ცოცხალ ურთიერთობათა კომპოზიციად. საქმარისა გავიხსენოთ მ. თუმანიშვილის რამდენიმე სპექტაკლი, რომ ეს ნათელი გახდეს. გავიხსენოთ ამ სპექტაკლების მხატვრული გაფორმება, რომელიც მუდამ უშუალოდ და დაკავშირებული თამაშის პირობასთან, მთლიანად სპექტაკლის სახესთან.

რამდენაირ სამყაროში დაუსახლებია მ. თუმანიშვილის და მის მიერ არჩეულ მხატვრებს პიესის გმირები?

**ჯ. ფელტჩინი.** „სსპანელი მღვდელი“. მხატვარი და თავაძე.

იარსებოდნენ მზიარული საყვირები გვაუწყებდნენ, რომ წარმოდგენა იწყება. სწრაფად იხსნება თეატრის ფარდა, მის შემდეგ სპექტაკლის სპეციალური ფარდა და კულინებისგან პიესის მოქმედი პირები გამოდიან — „მოხეტიალე დასის“ მსახიობები. ისინი თავს აცნობენ მაყურებელს. ერთი წუთიც და კორდოვას მიყრუებულ კუთხეში აღმოჩნდებით: დიდი ხნის წინათ თეთრად შეღებულ პატარა სახლებს ფერი უკვე შეუცვლიათ, კედლებიც დახეთქილა და კრამიტით გადახურულ სახურავებზედაც ალაგ-ალაგ შავი სიღრმეები ჩანს, მინიატურული თაღები, პატარა ხიდეები და კიხტა კიბეები აკავშირებენ ერთიმეორესთან დეკორაციის სხვადასხვა ნაწილს და ერთ წრათულ დანადგარში აკერებიან. ამ წრეზე იშლება მოქმედ პირთა ცხოვრება.

სცენური წრე მსუბუქად ტრიალებს. ყოველი მისი შემობრუნება გმირთა ცხოვრების განვითარებით არის ნაკარნახევი. ამიტომ მბრუნავი წრე ხელს უწყობს მოქმე-

დების უწყვეტ დინებას. დეკორაცია ცოცხლობს მსახიობთან ერთად, მისთვის არსებობს. მისი კომპოზიციური ცენტრია ნახევარდადნარეული სამრეკლო და სიძველესაგან გადაბრუნებული ჭვარი, რომელიც მუდამ იყო და ყველა რაჟურსიდან მიჩანდა. ამიტომ იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მღვდლის ოინები თვით საიპირველმარყეული ქრისტიანული რელიგიის მიერ ღებულობენ ლიცვა-კურთხევას.

**ბ. ბაზაიძე.** „ამბაზი სიპვარშლისა“. მხატ. ო. ლითანიშვილი.

ღარაბაში შუქი ჯერ არ იყო ჩამქარალი. წარმოდგენის დაწყებამდე რალაც წუთები-ლა იყო დარჩენილი. დავიანებული მაყურებლები გადაციციებით ეძებდნენ თავის ადგილს. ამ დროს სცენის სიღრმედაც ყველასათვის ნაცნობი საფეხბურთო მარშის ხმები მოისმოდა. ამ მარშის უკანასკნელ ბეგრებთან ერთად ფარდაც იხსნებოდა და გაკვირებული მაყურებლის წინაშე სრულიად ცარიელი, მუქ ლურჯ ხავერდში გახეული სცენა მოჩანდა. ფეხბურთის კომენტატორის — ერ. მანგალაძის სიტყვებიდან მალე ირკვეოდა, რომ ჩვენ, მაყურებლები, თუმარე ფეხბურთის მატჩზე მოვსულიართ, მაგრამ ის არ შედეგება. მის ნაცვლად სტადიონზე წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი სპორტმწიფთა ცხოვრებიდან ახალგაზრდობისა და სიყვარულის შესახებ.

თითქოს ამის დასამოწმებლად, ზვიდან შეუმჩნეველად ეშვებოდა ალიუმინის მსუბუქი, კიხტა ჩარჩო. მის ერთ კუთხეს თეთრი მტრედებით მოფენილი ლაქაერდოვანი ფარდა ამშვენებდა, მეორე მხარეს კი ევტრიალური ისრებით განგმირული სამი გული. ეს ჩარჩო სურათიდან სურათში მიჰყვებოდა სპექტაკლს, საჭიროების მიხედვით იცვლებოდა მისი შიგა ნაწილი და უღარხმად ლაქონიური დეტალებით მიგვანიშნებდა მოქმედების ადგალს.

**ი. ვაკელი.** „სამშინანი ბაძი“. მხატ. დ. თავაძე

ფარის გახსნის მომენტიდან მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს მის წინაშე კარგად გაფორმებული სატირული ჟურნალის ყდაა გადაშლილი. ყოველი შემდგომი სცენა კი — ამ ჟურნალის საინტერესოდ მოფიქრებული ერთი გვერდი. ამის შესატყვისად, ყოველი მიზანსკენაც სატირული ნახატის მსგავსი იყო, ყოველი პერსონაჟის ჩაცმულობა, მსახიობთა პლასტიკა.

**ბ. ნახუცრიშვილი.** „პინურბაჰ“. მხატვრები:

ო. ქოჩაიძე, ა. სლოვისკი, ი. ჩიკვაძე.

რუსთაველის თეატრის მცირე სცენის მთელ სივანეზე თოკი იყო გაჭიმული. ზედ ფერადოვანი ხალიჩის მგავსი ხავერდის ნაჭრები იყო გავიდული და აგარაკზე გამართული წარმოდგენებისათვის სახელდახელოდ შერჩეულ ფარდას მოგვავანებდა. ასეთი იყო სპექტაკლის დადწყვეტა — ხუმრობა, მზიარული იმპროვიზაცია დროს გასატარებლად.

**შ. ანუში.** „სანტიმონა“. მხატ. გ. გენია.

ფარდა არ ქონდა ამ წარმოდგენას. გმირთა ცხოვრება მცირე ზომის ოდნავშემაღლებულ მრგვალ მოედანზე იშ-

სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „მზიარე სიყვარულისა“.



ლებოდა. სიღრმეში, ნახევარკალდ მოქმედი პირები ის-ხდნენ. მეორე მხრიდან — მკაცრები. თავისთავად იზადება ასოციაცია ასპარეზისა, სადაც ორთაბრძოლა მოსალოდნელი. მართლაც, იდეთა შერკინება იყო ეს წარმოდგენა, ანტიგონესა და კრონტის ურთიერთგამომრიცხველი ცხოვრებისეული თვალსაზრისების შერკინება.

„ახალგაზრდა გმარდიის სახელში“ მ. გვიას კომპოზიცია ა. ფადეევის რომანის მიხედვით. მხატვ. გამელაური. თეატრალური ინსტრუქტი.

სცენა ცარიელია. თეთრი ეკრანის ფონზე ეანგმოკიდებული რკინის ვიწრო, კლანკილი მიღებისაგან შეთხზული უჩვეულო ნახატი აღმართულია. ის არაფერს კონკრეტულს არ გამოსახავს, მოგვაგონებს ყუმბარებით შეთხზულ ხიდებისა და შენობების არმატურას, ხან რკინის ლიბებს, საკონცენტრაციო ბანაკის მავთულხლართებს, ხის ტოტებს... ამდენი ასოციაციის გამოწვევა ეანგიან რკინის მიღები წერილია, მაგრამ განსაცვიფრებლად მყარი; გამძლე... როგორც ის გოგონები და ჰებეუები, გაუგონარი ძალისა რომ აღმოჩნდნენ მტერთან ბრძოლაში.

მცირე დეტალის მოშვლებით, ეს უცვლელი დანადგარი მრავალი საკვირებისთვისაა გამოყენებული: როგორც ტოტი, რომელზედაც წამოსკუპებული ვალია ბორცი და ვაჭკერის გზას, საიდანაც გერმანულები უნდა მოვიდნენ. პატარა კიბე, სარკმლის ჩარჩო — და დანადგარი სარდაფია... თასით დამაგრებული თეთრი ფერდა და — დანადგარი სონისა ოთხად გადაიქცევა... თუ ბრუქერი თავის ზედა ტრანსკომლს ჩამოკიდებს — დანადგარი გერმანელთა შტაბად გადაიქცევა. თუ ზემუხუზი მის კუთხეში მოთავსდება — ციხის საყნაღ... ეკრანზე კი დროდარი ბავშვის ნახატები გამოჩნდება: 1942 წელი... გოგონა იისფერ ფონზე... ხელჩაიკიდებული ბავშვები... პაწაწინა ხელის ანაბეჭდი... მზე...

როგორც ვხედავთ, რეჟისორი თამაშის სრულიად განსხვავებულ პირობებს სთავაზობს მსახიობებსა და მსაყურებს: მოხეტიალე დასის სპექტაკლი, სტადიონი, სასამართლო, „წინაგის“ ფურცლები, მოყვარული გასართობი წარმოდგენა ავარაკზე, ასპარეზი ორთაბრძოლისთვის, თავგანწირვა დანგრეული შენობის არმატურის ხლართებში...

თამაშის ყოველ ამ პირობას, რასაკვირველია, ყველაზე საჩინოდ სცენური სივრცის მხატვრულ გადაწყვეტა გამეცნობს.

მ. თუმანიშვილისთვისაც მხატვართან თანაშემოქმედება უპირველესად ამ პირობის დადგენას და კონკრეტულ განხორციელებას ნიშნავს. სწორედ ამიტომ საკმარისია გაეჩინებოთ მისი სპექტაკლის გადაწყვეტა, რომ ნათელი გახდეს — ის მსახიობისაგან მოითხოვს, არა მარტო ცხოვრებისეულ სიმართლეს, არამედ ჩაიდნული საქციელის გარკვეულ, ამ სპექტაკლის სცენური გარემოს და მხატვრული პირობის შესატყვის ნახატსაც. მისთვის არ არსებობს საერთოდ კარგად ნათამაშები როლი —

ყოველი სცენური სახე კონკრეტული სპექტაკლის ორგანიზაციის ნაწილია და არ შეიძლება სხვა სპექტაკლსაც რომ ეკუთვნოდეს.

### ახალგაზრდა მსახიობისათვის

მართლაც, რომ ყველაფერი, ვინაიდან ყოველი ცალკეული სცენური სახის გადაწყვეტისას მ. თუმანიშვილისთვის უმნიშვნელოვანესია მისი შემსრულებელი მსახიობის ინდივიდუალობა. როლები განაწილებს დროს არჩევანი ვისზედაც შეჩერდება, მისი ინდივიდუალობაა შემდეგ გადაწყვეტი. ყველაზე მეტად ის იტყობა, როდესაც მისი ჩანაფიქრი მსახიობის საკუთრებად იქცევა და მისი ემოციების თავისუფალ დინებად ამოიფრქვევა, ბუნებრივად გამოიღვრება ქვეყნთა თანამშრომლობაში. თავის მხრივ კი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქციელში გამოვლენილი ეს ემოციები სცენური სივრცეში მოძრავი სხეულის თავისებურ ნახატად გამოიკვეთოს. და რადგან ყველა ადამიანის გუნებაგანწყობილება მუდამ ცვალებადია, მისი გარე გამოვლენის ნახატაც ცვალებადი უნდა იყოს, მრავალფეროვანი, განვითარებადი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავისებური ტენიონითა და თავისებური კავშირებით სხვა მოქმედ პირებთან. სარეჟიტორი პროცესის უმთავრესი შინაარსიც ამ შიშა მისთვის.

ვინაიდან რეპერტოციის დაწყებას მუდამ წინ უძღვის ზუსტი სარეჟისორი გეგმის შედგენა, ის კი პეისის ღრმა შესწავლისა და ანალიზის შედეგია, მ. თუმანიშვილისთვის ყველა ეპიზოდის დამუშავება რეპერტოციაზე ნიშნავს ზრუნვას იმ მთელის ნაწილზე, რომელიც მის წარმოსახვაში უკვე იცოცხლებს. პეისის ყოველი პერსონაჟის სცენური ცხოვრება ამ მთელის ნაწილია. რეჟისორმა კარგად იცის მისი დანიშნულება და აუცილებლობა დედაზრისათვის. ამიტომ მისთვის ყოველი პერსონაჟის ცხოვრებაა საინტერესო. ესაა იმის მიზეზი, რომ მ. თუმანიშვილი ყველა როლის შემსრულებელ მსახიობთან ერთნაირი ინტერესით მუშაობს — ორეკტორი ხომ ნებისმიერი ინტერესების ყოველნაირი ამმოვანებას თავისი ფუნქცია აქვს! მით უფრო, რომ მას აქვს უნარი ამოიცნოს და შეიგაძმოს ყოველნაირი ადამიანის ბუნება.

მ. თუმანიშვილს მუდამ გარკვეული აქვს ის კონფლიქტი, რომლისც ეპიზოდი ფუძნდება, გარკვეული აქვს თუ ვინაა აქტიური ძალა, ვის ეკუთვნის ინიციატივა, შემდეგ კი ვისთან, რა მიზეზით და რა გზით გადაინაცვლებს, როგორ შეცვლის ეს გადაინაცვლება მოქმედების დინებას, როგორ წარმართება ყველა მოქმედი პირის ცხოვრების ნაკადი ნაწარმოების ფენალისაკენ, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს მათ ურთიერთობათა ის თავისებური სისტემა, ამ სპექტაკლის მხატვრული მთლიანობის რომ ქმნის.

მ. თუმანიშვილის რეპერტოცია მუდამ საინტერესო, მოულოდნელობით აღსავსე, მუდამ საქმიანი — მეტისმეტად რთულია ანსამბლის თეატრი, სადაც უმთავრესი მსახიობია.

რა თქმა უნდა, მ. თუმანიშვილმაც გაიარა ის პერიოდი,

## მისი სპექტაკლების მუსიკა



სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლადან „ჰუნჯრაქა“. დევი — ს. ზაქარაძე, ქოსია — რ. ჩხეიძე

როდესაც განსაკუთრებით იყო გატაცებული ე. წ. დადებითი საშუალებებით ანუ არაკოცხალი საჩინო და ხმოვანი თეატრალური საშუალებებით, მაგრამ, ძალიან მალე მიხვდა, რომ მხოლოდ თანამშრომლებმა აწევის რეჟისორის შემოქმედებითი ზრდისათვის აუცილებელ სულიერ საყვეს — უნდა მიიღო რაღაც სხვა ხელოვანისაგან, განსაკუთრებით ნიჭიერი მსახიობისაგან. ის კი მხოლოდ მაშინ გასცემს, თუ შეუქმნი შემოქმედების შესაძლებლობას, თუ მის ცოცხალ ხელოვნებას არ გაუთანაბრებ არაკოცხალ მასალას ანუ თუ ყველაფერი მსახიობისთვის გინდა სცენაზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიქმნება ისეთი სცენური სახეები, როგორც **ს. ზაქარაძის** კაცი მანტიით, დევი კრონტი, **ე. მანჯგალაძის** პეშევი, ლოპესი, დათვი, გვადი, ირაკლი რაზმაძე, **მ. ჩხავაძის** ლიდა პლაზა, ამარანტა, მელა, **ს. ყანჭელის** პეტრუსოვა, ივლიტე, ვალია, **ზ. კვერენჩილაძის** ანტიგონე, **გ. ზემეკიორის** ბლაგოა, ექვთიმე ქათამაძე, მეგლი, **რ. ჩხეიძის** ქოსია მრჩევილი და სხვა. ყველა ეს სახე მ. თუმანიშვილის სპექტაკლებშია შექმნილი. და განა შეიძლება ჩვენი დროის ქართული თეატრის წარმოდგენა მათ გარეშე?

სწორედ სპექტაკლებს მუსიკა და არა მუსიკა მის სპექტაკლებში. ცალკე, მხოლოდ თანხლები მუსიკალური დანართი მას არასოდეს იზიდავდა. მუსიკა — დედაზრის სამსახურად. უთვალავ ვარიანტებში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუსიკით რაღაც მეტად საჭირო იქმნის, თანაც სპექტაკლის უმთავრესი მხატვრული პირობის გათვალისწინებით. მართლაც, განა შეიძლება, რომ სასამართლო, სატირული ეურნალი, საავარჯიო წარმოდგენა, ორთაბრძოლა და ა.შ. განსხვავებული ბუნების მუსიკას არ მოთხოვდეს?

ამიტომაც, ყოველი ახალი წარმოდგენის ჩაფიქრებისთანავე, მ. თუმანიშვილის წინაშე ხელახლა წამოიჭრება ხოლმე მუსიკის შინაგანი აუცილებლობის საკითხი, რათა ეს მუსიკა სპექტაკლის ცოცხალი სხეულის განუყოფელი ნაწილი იყოს, ჩაექსოვის მასში, როგორც აუცილებლობა.

თუ გავიხსენებთ მ. თუმანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლებს, ადილად დავადგენთ, რომ მუსიკის ძალა მუდამ მიმზიდველი იყო მისთვის. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების სამი ათეული წლის მანძილზე მას სპექტაკლში მუსიკის ჩართვის უამრავი ხერხისათვის მიუძღირდა. მაშინაც, როდესაც საგანგებოდ ამ სპექტაკლისთვის კომპოზიტორს იწვევდა და მაშინაც, როდესაც უკვე არსებულ მუსიკალურ ნაწარმოებზე შერჩევის გზას იადგებოდა. დროთა მანძილზე გარკვეული ტენდენცია გამოიკვეთა — მ. თუმანიშვილისთვის აღარაა საქმარისი სპექტაკლის მუსიკალური მხარის საინტერესო და მართებული გადწყვეტა, მისი სურვილია, რომ წარმოდგენა მთლიანად იყოს მუსიკალური. არა მუსიკალური ადგილების მოცულობისა და რაოდენობის გაზრდით, არამედ სპექტაკლის მხატვრული მთლიანობის ისეთი გამართული სტრუქტურით როგორც ეს მუსიკოსის სწევია, ის ისრუფვის სპექტაკლის ყოველი უჯრედის ისეთი სრულყოფით დამუშავებისაკენ, მიზანსცენის ნახატის ისეთი სიზუსტისაკენ, რომელიც დრამატული თეატრის წარმოდგენას მაღალმხატვრული მუსიკალური ნაწარმოების სიხადენს და დასრულებულობას მიაჩნებს.

დღეს ამ საზომით უდგება იგი დრამატულ თეატრში მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების თანაწილობის რთული პრობლემის გადაწყვეტას.

## თხილ სპექტაკლები

ხელოვნებას საზოგადოებრივი მიზანი ასულდგმულებს. მხატვრული ნაწარმოები იქმნება იმისათვის, რათა ადამიანები ცხოვრებაზე დააფიქროს, დაანახვოს საღიესოდ მნიშვნელოვანი, გარკვეულად განაწიოს მისდამი, ააღვლოს, ამოქმედოს.

ასეთი რწმენით მოვიდა იგი რუსთაველის თეატრში და აქტიურად ჩაება მუშაობაში. თეატრში მისი ცხოვრება არასოდეს ყოფილა მშვიდი, წყნარი და უღრტივნიველი. იმეტომ, რომ ძალიან ბევრი რამის შეცვლა იყო საჭირო

მისი დიდი მიზნის განსახორციელებლად. ეს ხომ არ იყო ის შემთხვევა, როდესაც „წვილები“ „მშობლებს“ გამოეყოფიან და ცალკე, დამოუკიდებლად იწყებენ ახალ ცხოვრებას. ასეთ შემთხვევაში ადრინდელის შეცვლის ძნელად განსახორციელებელი პრობლემა მოხსნილია ხოლმე, აქ კი სწორედ ეს პრობლემა იყო გადასაწყვეტი.

შეცვლა „შინიდან“ დაიწყო, სექტაკლზე მუშაობის დროს, სარეპეტიციო პროცესში. აქედან დაიწყო ანსამბლის პრინციპების დამკვიდრება. მით უფრო რომ რეპეტიცია მისთვის ყველაფერზე მეტად მომხიბველია. დღესაც შინაგანად მზადყოფი და მუდამ აღვლევებული მოდის რეპეტიციაზე, როგორც ლაბორატორიაში, რომელიც უამრავ ახალს, ჭრეთ უცნობს პირდება. მომავალა სექტაკლის ორგანიზმიც ხომ აქ იქმნება თანდათანობით, უჯრედ-უჯრედ. აქ ამოწმებს ის პრაქტიკულად შინ მოფიქრებულს, აქ ელოდება მსახიობისაგან ახალ სტიმულებს, აქ ადგენს ყველა ეპიზოდის არსს, მის ძრავას, მომდევნოსთან დაკავშირების უხილავ ძაფებს, იმ კაბილარებს, რომლებიც ამ მხატვრული ორგანიზმის ყველა ნაწილს დედაზრის სისხლით ავსებს და გააკოცლებს. აქ აყალიბებს სექტაკლის კომპოზიციას და მხატვრულ ფორმას. ძალიან რთულია წარმოდგენის ასე მზადება, ამიტომაც ძალიან ბევრს უჭირს მ. თუმანიშვილთან მუშაობა; ეს იმიტომ, რომ არც თეატრის ასეთი ფანტიკური სიყვარულია ადვილი. არც ეს შეუძლია ყველას. მას კი სწორედ ახალი, უჩვეულო და სახიფათო იზიდავს მუდამ. ამის საბუთია ყველაფერი, რაც მას დაუღვამის და რაც დაუწერია.

### მისი წიხნი

1968 წ. შექმნა მ. თუმანიშვილმა, ზენის ფიქრით, თავისი მხატვრულად ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოები,

სექტაკლი „ანტიგონე“, რომელიც ცნობილმა საბჭოთა რეჟისორმა ა. ეფროსმა სვიატოსლავ რიხტერის დაკვრას შეადარა.

თუკი მიაღწევ ასეთ დონეს ხელოვნებაში, გაქვს უფლება, უფრო მეტიც — მოვალე ხარ შენი ცოდნა და პირადი გამოცდილება წინადა მიანდო იმით, ვისაც სცენის ხელოვნება აინტერესებთ. არსებითად, ამ წლებში დაიწყო მან მუშაობა თავის წიგნზე „სანამ რეპეტიცია დაიწყება“, რომელიც 1977 წ. გამოვიდა.

შემოქმედებითი გამოცდილების წინადა ქვეყას, უმკველია, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ხელოვნებაში მ. თუმანიშვილის ცხოვრება, როგორც ზევითაც ითქვა, ორი არხით წარიმართა — რეჟისურა წმიდა სახით (თეატრში) და პედაგოგიკა (მსახიობის ოსტატობა და რეჟისურა თეატრალურ ინსტიტუტში). ვინაიდან ეს ორივე მიზანი საბოლოოდ მაინც სცენის ხელოვნებაში ერთიანდება, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთმანეთს ავსებენ და ამდიდრებენ. სწორედ ეს ორარხოვნება აიძულებს პედაგოგ მ. თუმანიშვილს რეჟისორის გამოცდილება გადასცეს ახალგაზრდობას, ვაენოს მას ის კანონები, რომელთა გარეშეც ხელოვნების ეს სახეობა არ არსებობს. მით უფრო, რომ მ. თუმანიშვილი მუდამ იყო დაინტერესებული მსახიობის ხელოვნების ფუძისეული კანონების შესწავლით. ამიტომაც ინსტიტუტში მუშაობა არასდროს არ ყოფილა მისთვის სათეატრო მოღვაწეობის დანამტი, მისთვის ესაა სათეატრო მოღვაწეობის ერთ-ერთი, მეტად სერიოზული, რთული და წარმტაკი სახეობა.

მისი წიგნი ამის დასტურია. საკმარისია თვალა გადაავლო ამ წიგნის სარჩევს, რომ გაცოდ — თურმე რამდენი რაისი ცოდნა და შეძლებაა საჭირო იმისათვის, რომ რეჟისორმა პირველ რეპეტიციაზე შესვლის უფლება მოიპოვოს (სანამ რეპეტიცია დაიწყება) და რომ დაიწყება.

სცენა რუსთაველის თეატრის სექტაკლიდან „ანტიგონე“. კრონტი — ს. ზაქარაიძე, ანტიგონე — ს. ჰიაურელი





სკენა კონსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს სპექტაკლიდან „საქმე“. ვარაიანი — მ. ჭინორია, ტარელკინი — ზ. ყიფშიძე.

შემდეგ? ამის პასუხს, ალბათ, მ. თუმანიშვილის მომდევნო წიგნში ამოვიკითხავთ.

შემოქმედის ცხოვრებაში დგება ხოლმე დრო, როდესაც ნაფიქრი და განცდილი იმ ზომითაა დაგროვილი, მხოლოდ სპექტაკლებით ვერ გამოავლენ. მით უფრო, რომ ყველა სურვილი სპექტაკლში ვერ ხორციელდება. ასეთ დროს იგი იწყებს წერას. მ. თუმანიშვილიც წერს. მამასადამე, ფიქრობს იმაზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანად მიაჩნია, რაც აწუხებს, აღელვებს... ის ხომ თეატრით ცოცხლობს... მაშინაც, როცა ირჩევს პიესას, როცა სარეპერტიციო დაბაზში შედის, როცა საღამოს მორიგ სპექტაკლს ესწრება, რათა დასასრულ მსახიობებთან ერთად განიხილოს მისი ღირსება-ნაკლოვანებანი, როცა გვიან ღამით შინ ბრუნდება და მომავალი წიგნის ახალ ფურცელს თხზავს...

სასკენა ხელოვნების სამყაროში არსებობის ეს უწყვეტობა მის შემოქმედებით წარმოსახვას და ზღვრებებსა მუდმივ ტრეზაჟში ამყოფებს. მისი მზარდი ოსტატობის საფუძველიც აქაა — იზრდება იმ ამოცანათა სირთულე, რომლებსაც ის თვითონ აყენებს საქუთარო თავის წინაშე და ცდილობს გადაჭრას იმ თეატრის სცენაზე თვითონ რომ შექმნა.

## მისი თეატრი

1978 წ. 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, საქართველოს კიდევ ერთი თეატრი შეემატა — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო.

ახალი კოლექტივის ძირითად ბირთვს შეადგენს საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ მსახიობთა ღრეცისორთა ჯგუფი (რესპ. სახალხო არტისტ, პროფ. მ. თუმანიშვილის კლასი). მათ ინსტიტუტი 1974-75 წ.წ დაამთავრეს მეტად გაზაფხურული სპექტაკლით. ეს იყო ა. ფადეევის რომანის მიხედვით შექმნილი ლიტერატურული კომპოზიცია სახელწოდებით „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. თავისი ელერადობით ის გასცდა სასწავლო წარმოდგენის ფარგლებს, მოგვლენა იქცა იმ სეზონის ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში და ღირსეულად მოიპოვა მაღალი ჯილდო — საქართველოს ლენინური კომპაგმიის სახელმწიფო პრემია.

ამ ახალგაზრდული სპექტაკლის წარმატება შემთხვევითი არ იყო. ის კანონზომიერად გამომდინარეობდა მრავალი წინაპირობიდან. მათ შორის უმთავრესი იყო ის ექსპერიმენტი, რომელიც მ. თუმანიშვილმა ჯერ კიდევ 1967 წ. დაიწყო — როცა გაერთიანა სამსახიობო და სარეცისორთა ჯგუფები, რათა მომავალი მსახიობები და რეცისორები ერთად დაუფლებოდნენ სათეატრო ხელოვნების ყველაზე დიდ საიდუმლოს — სიცოცხლის უწყვეტ პრაქტიკის შექმნას სცენაზე.

ექსპერიმენტული ჯგუფების მიერ ინსტიტუტის სცენაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი სპექტაკლები: ელუარლო დე-ფილიპის „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი“, ა. ჩეხოვის „თოლია“, შ. დადიანის „გუშინდელი“, პ. მერიმეს „შემთხვევითობა“, ა. ჩაიხის „ხილი“, დ. კლიაშვილის „მსხვერპლი“, ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“, მ. ფერმოს „კარგებს აჯახუნებენ“, ა. ფადეევის მიხედვით „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“

ანსამბლურობის პრინციპებზე აგებული ეს ახალგაზრდული სპექტაკლები, არსებობდა, მ. თუმანიშვილის თეატრი იყო, მისი შემოქმედებით მრწამსის დამამკვიდრებელი თეატრი თეატრალურ ინსტიტუტში. ეს კოლექტივი მიიჩნევს საქართველოს კინემატოგრაფისტიკაში კინომსახიობთა მომავალი თეატრის სასურველ ბირთვად.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ტერიტორიაზე არსებული ერთი ნაგებობა თეატრად მათთვის გადაკეთდა.

ახალი თეატრის ცხოვრება დაიწყო ლ. ჭელიძის სცენარის საფუძველზე განხორციელებული სპექტაკლით „ესმერალდა“. ეს ნაწარმოები ამყვინდებს აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანები მაღალხელოვნობივ კატეგორიებში უნდა ცხოვრობდნენ და ამით უნდა იყვნენ შეკავშირებულნი. გაერთიანებული უნდა იყვნენ საზოგადოებრივად სასიცოცხლო საქმიანობით, სამშობლოს სიყვარულით, შრომის სიყვარულით, როგორც არ უნდა იყოს იგი. თუ ცხოვრების გზას ასე გაივლი, მის დასასრულსაც, სიბერე



შიაც ძლიერი ხარ შინაგანად იმდენად, რომ ახალგაზრდა-ზე, მომავლის ადამიანზე შეგიძლია ზემოქმედება მოახდინო.

ეს საპექტაკლო იმის საბუთია, რომ მ. თუმანიშვილს ამჯერადაც იტაცებს ხასიათების სიღრმეი წვდომა, აღნიშნა შორის რთული კავშირების ამოხსნა და მაყურებლის ყურადღების ამ გზით დაპყრობა. პერსონაჟთა სცენური ცხოვრების ფსიქოლოგიური ნაწიზი იმდენად ნათელია და დახვეწილი, რომ ყოველი მთავანის შინაგან-ყაროში მომხდარი უფაქრესი სულიერი ძვრა იკითხება.

ამ საპექტაკლოში მ. თუმანიშვილმა კინოპროექცია გამოიყენა. ეს იმას ნიშნავს, რომ მაყურებლისათვისაც და მსახიობისათვისაც განსაზღვრულია სცენური ცხოვრების გარკვეული ხერხი. როგორც ყოველთვის, ის ამჯერადაც მხატვრობაში ჩანს ძალიან ნათლად (მხატვარი თ. გერენე). სცენაზე მეფობს თეთრი ფერი — ეკრანის ფერი. თეთრი და შავი — ჩვენ ცნობიერებაში უკვე ტრადიციულად დამკვიდრებული კინოს ფერები. ყველა შტრიხი კინემატოგრაფიულად მკვეთრია და სადა. ამ საპექტაკლოში საერთოდ ყველაფერი კინემატოგრაფიულია თავისი ბუნებით. მაგრამ მოქმედების მსვლელობის დროს ამ სამყაროში პერიოდულად იჭრება ხმაურითანი ინტერმედების ღია, შეგნებულად ხაზგასმული თეატრალიზა.

„ესმერალდას“ მოჰყვა რამდენიმე სტუდენტური, ადრე ინსტიტუტში განხორციელებული საპექტაკლო ალდგენა ნაწილობრივ შეცვლილი შემადგენლობით, ვინაიდან ზოგიერთ როლზე დაინიშნა უფროსი კინომსახიობი. ეს საპექტაკლებია: „სისხლიანი ქორწილი“, „კარებს აჯახუნებენ“, „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. მ. თუმანიშვილს მიაჩნია, რომ ერთი შემოქმედებითი მრწამსით გაერთიანებული სხვადასხვა თაობის მსახიობები უთუოდ გაამდიდრებენ ერთმანეთს. ახალგაზრდები უკვე შევიდნენ ასეთ შემოქმედებით კავშირში ერ. მანგალაძესთან, კ. დღუშ-

ვილთან, დ. წეროძესთან, თ. კობერიძესთან, ივ. საყვარელიძესთან და ა. შ. ელოდებთან ს. თაყაიშვილს, ლ. აბაშიძეს, ს. ჭიაურულს, ყველა საინტერესო შემოქმედს.

უკვე დაიდგა ორი რეჟისორის სადიპლომო საპექტაკლო — ნ. ბაგრატიონმა დადგა მ. მრველოშვილის „წამები დედოფლისა“ (იაკობ ცურაბეველის მიხედვით), ც. ნაკაშიძემ კი — ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“.

მომდევნო სეზონში მ. თუმანიშვილმა ა. სუხოვო-კობილინის „საქმე“ დადგა — შესანიშნავი საპექტაკლო, რომელიც ნათესაობს, თუ როგორ იზრდება ახალგაზრდა კოლექტივი, როგორ თამამად ეკიდება რთულ თეატრალურ ფორმებს. უახლოეს მომავალში მაყურებელი იხილავს მოლიერის „დონ ეუანსა“ და თ. ჭილაძის პიესას „როლი დამწყები მსახიობი გვგონასათვის“.

კოლექტივი მტკიცე რეჟიმით ცხოვრობს. მისი მიზანია შეუპოვარი ბრძოლა ჯერეთ მოუპოვებელისთვის და მოპოვებულის შენარჩუნება. სისტემატური ვარჯიში მზარდი სირთულის შემოქმედებითი ამოცანების დასაძლევად. დაუღალავი ძიება თანამედროვე თემაზე დაწერილი ნაწარმოებისა, უპირატესად მიინც იმ პრობლემებზე, ახალგაზრდობას რომ აწუხებს. მოლოდინი კინოსცენარებისა, რომლებიც ეკრანზე გასვლამდე ამ უჩვეულო საცდელ ლაბორატორიას გაივლიან...

უამრავი სურვილი, საიდუმლო ოცნება, ყველას თავისებური ოღონდ უთუოდ მთავარ არხში მიმდინარე—თეატრისა და კინოს ერთობლივ, მწვევედ თანდართულ პრობლემათა არხში, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვენ.

რითაა ამისათვის შეიარაღებული ეს კოლექტივი? იმის გულწრფელი რწმენით, რომ ანსამბლის თეატრის პრინციპები ურყევია. რომ საუკეთესო თეატრი ესაა თეატრი,

სცენა თეატრალური ინსტიტუტის საპექტაკლოდან „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“.



სადაც მაღალი დონის რეჟისურის სპექტაკლში მსახიობი მეფობს.

შეიარაღებულია ადამიანისადმი სიყვარულით. იმის რწმენით, რომ ამოუნურავია, უღვრია ის სულიერი ძალა, რომელიც აქვს ადამიანს სიკეთისათვის ბრძოლაში.

ამის საბუთია ამ კოლექტივის ყოველდღიური ცხოვრება. ამის დასტურია მისი ხელმძღვანელის პასუხები ჩვენს შეკითხვებზე:

ოცდაათი წელია, რაც თქვენ ქართულ თეატრში მოღვაწეობთ, უპირატესად, რუსთაველის თეატრში. სამი წლის უკან კი შექმენით ახალი თეატრი. რისთვის?

მ. თუმანიშვილი: მე ხომ წავიდი რუსთაველის თეატრიდან. ეს არ იყო ადვილი. არ შეიძლება ადვილი იყოს იმ კოლექტივის მიტოვება,

ნებიც ჰირდება. იქნებ, უკვლას არა, მაგრამ ზოგიერთს ხომ ჰქონდა ადამიანები რატომაც ხომ დაღიან თეატრში?

რატომ უწოდებთ თქვენს თეატრს „თეატრალური წესქესის“?

მ. თუმანიშვილი: სახელისონ — ესაა ადვილი, სადაც მუშაობენ, ცდიან, ამოწმებენ, სადაც აღამიანები იკრებიან იმისათვის, რომ ერთად იყვნენ, რაღაცას შეეცადონ, იქნებ, დამარცხდნენ, მაგრამ მაინც კიდევ შეეცადონ. სახელისონში, ჩვეულებრივ, არის ხოლმე ოსტატი და შეგიადები (ან სიტყვების საუკეთესო მნიშვნელობით), რომლებსაც სწამთ მისი. სათეატრო საქმიანობისათვის ასეთი სახელწოდება საერთოდ არაა ახალი. დიდი ხნის თვის თეატრს უწოდებდა ოსტელიესი“; რაც სახელისონის ნიშნავს. ამგვარი რამ ქართული თეატრის წარსულშიც ყოფილა. სახელისონ — ესაა სკოლა, სადაც სწავლობენ ახალგაზრდები და ხანმოშუსულებიც. თუ ჩვენ სახელისონში სანახევრედ აღარ მოდიხარ, არ გქონია იქ საქმე. სახედინეროდ, ჩვენს ახ-



მიხეილ თუმანიშვილი რეჟისორიაზე

რომელთანაც ცხოვრებისა და შემოქმედების ოცდასამი წელი გაიყვანა. წავიდი იმიტომ, რომ დაირღვა ჩვენი თაობის ადრინდელი ერთობლიობა, ჩვენი შემოქმედებითი გზები გაიყარა.

ჩემი ძველი მოწაფეები თეატრში დატოვე და ახლების აღზრდას შევედი.

მე მუდამ მადლებდა პრობლემა ერთმორწმუნე კოლექტივისა, სადაც უკვლა ერთობლივი შემოქმედებითი ინტერესებითა და საზრუნავით სულდგმულობს. დღესაც მიმანია, რომ ესაა უშუალოდ პრობლემა.

წლების მანძილზე ვზრდიდი ახალგაზრდა მსახიობებსა და რეჟისორებს თეატრალურ ინსტიტუტში. აქ აღმოცენდა კოლექტივი, რომელიც ერთი სკოლა გაიარა, რომელსაც აქვს საერთო პოზიცია ხელოვნებაში და სურს იცხოვროს შემოქმედებითი რეჟიმითა და პრინციპებით, თითონ რომ გამოიმუშავა.

ეს კოლექტივი არავისთან სააკეპროდ არ შექმნილა — მის საკუთარი სიტყვა აქვს სათქმელი ცხოვრებაზე. რამდენად მოხერხდა ეს, ძნელი სათქმელია. ჯერ გავსი ვართ. ვნახობ, რას მოგვიტანს ზეადინდელი დღე.

ზედნიერ ვარ იმით, რომ ჩემს გვერდით ცვლიდაც დგანან ახალგაზრდა რეჟისორები. ერთმორწმუნეთა ამ კოლექტივზე ზრუნვა მომავალში მათ გადაეცემა. მათ შეუძლიათ ტვირთონ ასეთი ამოცანა, თუკი არა დაკარგვდა ერთმანეთს, როგორც ეს ჩემ თაობას დაემართა. ეს არაა ცოტა!

რისთვის შექმენით ჩვენი თეატრი? იმისთვის, რომ ავსახობ ჩვენი სინამდვილე. უკველი ხელგაყანი ხომ ამას თავისებურად აკეთებს, საკუთარი ოცნებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობებისაგან გამომდინარე. ასეთი თეატრიც საჭიროა, საზოგადოებას ჩვენნაირი ხელოვნ-

აღგაზრდობისა და გამოცდილ კონომსახიობებს კარგი მეგობრობა აქვთ და უკვლა მუშაობს. ამას გარდა, სახელისონ — პატარა თეატრია. პატარა თეატრში უფრო ინტიმური, უფრო შინაურული გარემოა. ასეთ თეატრში მსახიობს ახლო ხედვებ, მსგავსად კინოსი. ხოლო რაც უფრო ახლო ხარ მსახიობთან, მით უფრო მღიერია შობაბეჭდილება. რა თქმა უნდა, თუ ეს კარგი მსახიობია. თუ მსახიობი არაა კარგი, რაც შეიძლება უნდა დაშორი ის მყურებულს. დიდ მოედანზე უნდა გაუშვა, სტადიონზე — იქ შესძლოა, არც გამოჩნდეს მისი უვარებისობა.

როგორ წარმოგიდგენია ხატოვანება დღევანდელ თეატრში?

მ. თუმანიშვილი: 70-იანი წლების თეატრს შეიძლება რეჟისურის თეატრი ვუწოდოთ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დიდი ნაბიჯია გადადგმული წინ. შეიერაზოდის დადგმები მე არ მახსოვს, მაგრამ ჩვენი საუკუნის მიმდინარე ათწლეულმა ჩვენს პროფესიას უამრავი მტკველი საშუალება შესძინა. ჩვენ, საერთოდ, სულ სხვანაირად ვუწერებთ ახლა რეჟისურას. რეჟისორის პროფესიამ, ბოლოს და ბოლოს, მოიპოვა უფლება, რომ ის შემოქმედებით პროფესიად იყოს მიჩნეული. ახლა რეჟისორი აღარ „იკვება“ მსახიობს და ეს ძალიან კარგია. მაგრამ, ჩემის ფიქრით, მსახიობში სიყველზე უარის თქმამ მისი შემოქმედების ერთგვარი დაორგუნველ გამოიწვია. პირადად მე შეიძლება, რომ სარეჟისორო ხელოვნების ასეთი პროგრესის შედეგად მიუღწეველად აღმოცენდა საშხახო ხელოვნების ახალი, მეტად მნიშვნელოვანი პრობლემები. ეს ტრადიციები ჩემი აზრით, ერთგვა-

რად სახეობაა. ამიტომ მიმართა, რა თქმა უნდა, ზედმეტი პანიკის გარეშე, მაგრამ მაინც საჭიროა განგაშის ნიშანი.

და მეორე, მეტად მნიშვნელოვანი: რევისორული მეტაფორების თეატრს ყველა არ უნდა ეუბნებოდეს. ყოველ შემთხვევაში მოდის მიმდევრები მაინც, ვინაიდან ისინი ვერ შეიძარბებენ სარევისორო ხელოვნების სირთულეთა ბუნებას. მათ არა აქვთ ამის ნიჭი. რევისორი ხომ საგანგებო ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანია.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ჩემს აზრით, კრიტიკულ ვალდებულთა თავის ძირითადი ყურადღება რევისორული სცენოგრაფიდან მსახიობის შემოქმედებაზე გადაიტანოს. განიხილოს მსახიობთა მიღწევა-მიუღწევლობა ისე ღრმად და ისე დაწვრილებით, როგორც ეს ადრე ხდებოდა ხოლმე. დღეს მსახიობთა თეორეტიკოსთა ყურადღების მიღმა არიან. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მსახიობის ხელოვნებას. ჩემს ფიქრით, კრიტიკოსები დაიბნენ ახალ სიტუაციაში და არ სურთ აღიარონ, რომ მათ სცენოში ყველაფერი რიგზე არ არის. აღარავის სურს რევენუების წერა, ყველა თეატრის ისტორიითა დაკავებული.

მიმართა, რომ საქართველო ვაგრძელებს ბ. ბრეხტის გენიალური აღმოჩენის არსს: ის კი სრულიად არ ვარაუდობდა მსახიობო ხელოვნების დონის დაქვეითებას (გავიხსენოთ თუნდაც ვაიკელი, შალი, ბუში), პირიქით, უმაღლეს ოსტატობას მოითხოვდა. თუ თეატრის თეორიასა და პრაქტიკაში ბრეხტი — ანშტაინია, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ არსებობს კიდევ ნიუტონის კლასიკური ფიზიკაც, რომელსაც გვერდს ვერავინ აუღლის. არც არავის უცდია მისი უარყოფა.

ჩვენ უნდა ვაპყვიდრებდეთ მაღალ, ღრმად შენარჩუნებულ, სულისშემძვრელ ხელოვნებას. უნდა შევადგინოთ ყველას, რომ პროფესიონალი მსახიობების გარეშე გადაღებული ფილმი სულაც არ უდრის ცუდი მსახიობების მიერ განმარტებულ სპექტაკლს. თეატრის სული ხომ მაინც სცენური არსებობის ნამდვილობაა, ნამდვილობა სცენური ბრძოლებისა, რომლებიც მიმდინარეობს სხვადასხვახელოვნებას მსახიობებს შორის, და არა მხოლოდ რევისორული გადაწყვეტა სპექტაკლისა, რაგინდ ნიჭიერადაც არ უნდა იყოს იგი დამუშავებული. სამწუხაროდ, ზჭირად მსახიობი მოვაკვირებს ქუჩებულს, რომელსაც ავხვს რევისორი. ამ გზით ხომ თანდათან შეიძლება გარდონ კრეკის ზემარინოეტის შესახებ ოცნება განვახორციელოთ!

აუცილებელია, რომ მსახიობის ხელოვნება თეატრის კერადაც ვაქციოთ. ეს ხელოვნება უნდა გახდეს უშუალო, გრძობაზეა ბრძედში გატარებული, ვარდსახების გზით ამაღლებულ ხელოვნების ღრმად. მსახიობები კი სახლაც მიიქიანან. ჩვენი ვალა მივებმართო მათ სიმშვიდის მოპოვებაში. მხოლოდ მაშინ დაიბადებინათ თეატრის რიტორები.

როგორ წარმოვიდგენიათ რევისორის თეატრის წიაღში აღმოცენებულ სამსახიობო ხელოვნება?

**მ. თუმანიშვილი:** როგორც ორკესტრი, რომელიც შედგება შესანიშნავი პროფესიონალი მუსიკოსებისაგან, ნიჭიერი დირიჟორი რომ ხელმძღვანელობს. მე მომხრე ვარ ბრწყინვალე რევისორული თეატრისა, კაშაში მეტაფორული თეატრისადმი ფრანსისა, რომელსაც განახორციელებდნ ისეთი ოსტატები, სცენაზე ადამიანის სულისა და სხულის სიყოფის შემქნა რომ შეუძლიათ — სცენის გარდასახვის ოსტატები, მაყურებლის სულის შეჭრის ძალის მქონეები.

მე წინააღმდეგე ვარ ისეთი აქტივობის კოლექტივებისა, რომლებიც მსგავსად მოყვართა სასტაროდ ანსამბლებისა, ერთმანეთს მგვანან იმით, რომ არც ერთს არა აქვს ხმა, ვერ მღერის, ვერ მოძრაობს, ვერ ფლობს მუსიკისა და სიმღერის საიდუმლოს, კოლექტივებისა, რომლებსაც ერთმანეთისაგან ახსავებს მხოლოდ სახელწოდება.

რევისორის ამოცანაა — მოეხმაროს მსახიობს გამაოგანდის თავისი შესაძლებლობანი. ჩვენის ფიქრით, გამაოგანდის ერთეულების გარდა, ბუნებით ძალიან ნიჭიერი ჩვენი მსახიობები დღეს იმის ნახევარსაც ვერ ავლენენ, რაც შეუძლიათ. ესაა მოვარა.

რომელი პრობლემა მიგანინათ საღლისოდ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემა?

**მ. თუმანიშვილი:** პროფესიონალი მსახიობებისა და რევისორების აღზრდა. ისეთი სპექტაკლის დაღმა, რომელზეც მაყურებელი მსახიობთა სანახავად მოვა. კარგი რევისორული თეატრი — ახელი თეატრია.

# ოპერა „მედიუმი“ თბილისში

მირა ფიჩხაძე

ამერიკაში ოპერა შედარებით ახალგაზრდაა. შესამჩნევ კვლი მის ფორმირებასა და განვითარებაში დღევანდელი გამოჩინდა კომპოზიტორმა მენდელსონმა, რომლის საუკეთესო ნაწარმოებები — მუსიკალური დრამა „კოსტელი“, მუსიკალური ტრაგედია „მედიუმი“, კომიკური ოპერა „ტელეფონი“ იდგება მსოფლიოს ცნობილ თეატრებში.

წარმოშობით იტალიელი ჯან კარლო მენოტი უკვე დიდი ხანია შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ნიჭიერი რევისორი, დრამატურგი, თითქმის ყველა თავისი ოპერის თეატრატოთა ავტორი, მენოტი კარგად იცნობს ლაბრალურ ხელოვნების კანონებს, ახლებურად იაზრებს ოპერის ტრადიციულ ენარს. თავის ნაწარმოებებში იგი ასახავს აქტუალურ, ცხოვრებისეულ მოვლენებს, აყენებს მწვევე სოციალურ პრობლემებს. მისი ოპერების თემები ყოველთვის სანატრესოდ და საჭიროებოტოა, იტალიის მსმენელს ღრმა ფსიქოლოგიზმითა და დამატული კონფლიქტურობით.

მენოტი სადა, გასაგები, ბუნებრივი და მისაწვდომი მუსიკის მომხრეა. ვიდრე ამ ჰუმანიტარულად დარწმუნდებოდა მან რთული შემოქმედებითი ღონისძიების გზა ვანგლო, გატაცებულ იყო მოღუერი სისტემებით, ულტრაანამული ორვე მიმართულებებით. რამდენიმე წლის წინ, ახალი ოპერის „ტამუ, ტამუ“ („სტუმრები“) დადგამასთან დაკავშირებით, რომელშიც გად-

მოკმეულია ერთი ინდონეზიური ოჯახის ტრაგედული ბედი, მენოტიმ განაცხადა:

„მე გადავწყვიტე ამიერიდან მხოლოდ მელოდიური და გასაგები მუსიკა ვწერო. სრულიად არ მეშინია, რომ პრიმიტიულობას დამწამებენ. მე არ ვთვლი, რომ სირთულე თავისთავად ღირსებაა. ვფიქრობ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია რთული აზრები სადა ენით გამოხატო“.

იგი აღიარებს, რომ იტალიელებთან ერთად, მისი შემოქმედებითი სტილის ფორმირებაზე, გავლენა იქონია მუსორგსკიმ. ეს აშკარად იგრძნობა „მედიუმშიც“, ოპერის ფსიქოლოგიურ ეპიზოდებში, განსაკუთრებით კი რეჩიტატივებში.

მენოტის ოპერები უაღრესად სცენური, თეატრალურია, ისინი შემსრულებლისგან მოითხოვს აქტიურულ ოსტატობას, ექსტის გამომსახველობასა და პლასტიკურობას, მუსიკისა და ტექსტის შერწყმის ხელოვნების დაფუძვლას. ამავე დროს, კომპოზიტორი უპირატესობას ანიჭებს სიმღერას, ვოკალს, რომლითაც განსაკუთრებული სიფაქიზით ვადმოსცემს რთულ სულიერ განცდებს. შემთხვევითი არ არის, რომ მენოტი ორგანიზატორია ცნობილი საერთაშორისო ფესტივალისა, სახელწოდებით „ორი სამყაროს ფესტივალი“, რომელიც მის შობილიერ ქალაქ სპოლეტოში ტარდება, მასში ევროპისა და ამერიკის გამოჩენილი მომღერლები იღებენ მონაწილეობას.

მენოტის ოპერა „მედიუმის“ წარმოდგენა თბილისში ვასილი წლის მუსიკალური სეზონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ეს ოპერა, თეატრ „მეგობრობის“ მოწვევით ჩამოიტანა ჩვენთან ლენინგრადის მცირე

თეატრის ოპერისა და ბალეტის კამერულმა ჯგუფმა, რომელიც უკვე შეიდი წელია არსებობს. ჯგუფი ახალგაზრდა ენოლზისატებისგან შედგება — ისინი ეძებენ ახალ, გაუქვალავ გზებს, მიმართავენ ნაკლებად ცნობილ სიოპერო და საბალეტო რეპერტუარს. მათი მიზანია დაუბრუნონ მსმენელსა და მაყურებელს დაუმსახურებლად მივიწყებული ნაწარმოებები, ძირითადად კამერული მეგვიდრეობა. ამგვარი ტენდენცია დღეს კვლავ თეატრში შეიმჩნევა, რაც პატარ-პატარა კოლექტივებს ბადებს. თანამედროვე მსმენელი ინტერესით ესწრება ამ სპექტაკლებს.

ლენინგრადელებმა საბჭოთა კავშირში პირველად განახორციელეს „მედიუმის“ დადგმა. პრემიერაზე ფილადელფიიდან ჩამოფრინდა კომპოზიტორი მენოტი, რომელმაც იგი ვალად შეფასება მისცა ამ სპექტაკლს და მალე ერთ საუკეთესო დადგმად აღიარა.

თბილისში ეს სპექტაკლი დაიდგა ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლის სცენაზე. ეს პატარა სცენა შემთხვევით არ იქნა ამორჩეული. „მედიუმი“ კამერული ოპერაა, რომლის მწვავე ფსიქოლოგიური სიუჟეტი ჩასმულია ერთი ამერიკული ოჯახის ოთახის ინტერიერში. მასში თამაშდება რამდენიმე ადამიანის სულიერი დრამა.

ექვსი პერსონაჟი და მცირერიცხოვანი ორკესტრი, რომელიც შორს, სცენის მიღმა ზის, ასახვენ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ-ერთი სოციალური ფენის ცხოვრებას.

მადამ ფლორა, ქალი — მედიუმი სპირიტუზმის სეანსებს ატარებს და ოჯახს ამით არჩენს. იგი მკვდარი ბავშვების სულებს იხმობს. ამ



სცენა სპექტაკლიდან  
„მედიუმი“

საშინელი ბოროტების მსხვერპლნი ხდებიან არა მარტო საბრალო მშობლები, არამედ ფლორას ოჯახის წევრები — ქალოშვილი მონია და ყრუ-მუჩვი მსახური ტობი, თვით ფლორაც რომელსაც ბავრობს შიში, დევნის მოჩვენებები, სამუდამოდ ჰკარავს სულიერ სიმშვიდეს.

...ნელ, უფანჯრო ოთახში აქა-იქ, უაზროდ განუვლია წიგნები. შუაში დღას მრავალი მავალი, რომელზეც ყოველ საღამოს თამაშდება სპირიტისმის სენსაციები. ეს მაღალ ფლორას სამფლობელოა და ამიტომაც ასე ბუნებრივი-მის გამოჩენა და ცხოვრება ასეთ მდგომარეობაში. ოთახში წელი, მძიმე ნახევრით შემოდის ქალი — მედიუმი, მაღალი, ხმელი თავიდან ფეხებამდე შავებში ჩაცმული, ახეჩილი თმებით, თითქოს ცბიერი ძეგალი. თავიდანვე გაძნობ მის სიკვებს, დაუდღლდაოდ რომ ამსხრევს და ანადგურებს ყველაფერს, რაც კი გაზაზე ხვდება.

მგვრამ, უეცრად სულ რამდენიმე წამით წყვილადში შემოიჭრება მზის სხივი — ნახი, ჰაეროვანი, ქერათმიანი გოგო და სახეგაბრწყინებული ტობი — ნდობით რომ ეკრობიან ერთმანეთს.

კონტრასტი მუსიკალური და სცენური ხაზგასმულია და გამოკვეთილი განათებით, რომელსაც ამ სპექტაკლში რიგი აზრობრივი დატვირთვა აქვს. ვანათება სხვა კომპონენტებთან ერთად ემსახურება ძირითადი იდეის გამოხატვასა და გამოვლენას. სპექტაკლში დამყარებულია კონტრასტი მუსიკალურ დრამას, სცენურ მოქმედებასა და განათებას შორის. განათებული ოსტატურად წარმართავს თავის საკამოდ როულ როლს. იგი აძლიერებს კონტრასტს ბოროტებასა და სიყუთეს შორის, მედიუმის გარემოცვასა და პოეტურ ოცნებათა სამყაროს შორის.

იგივე ამოცანას ისახავენ მიზნად მხატვრები კ. პრისი და ე. ოკუნევი. მათ მიერ შექმნილი დეკორაციები, კოსტუმები, რეკვიზიტი ერწყმის მოქმედებას, მონაწილეებს დსიქოლოგიურ დრამაში, ხელს უწყობს სიტუაციების დამაბებს. სპექტაკლის მსვლელობის დროს თავის დუნქიას ასრულებს, მრავალმხრივად თამაშდება მხატვრული გაფორმების თვითონეულ დეტალ.

ემოციური განცდების მაქსიმალური დაძაბვა და სცენური ეფექტების მინიმუმი — ასეთია მხატვრების და რეჟისორის შემოქმედებითი ამოცანა, რასაც ისინი ჩინებულად ახზორციელებენ კიდევ.

კომპოზიტორი მენოტი, რომელიც ამავე დროს ჩინებული რეჟისორიცაა, იშვიათად ანდობს სხვას თავისი ოპერების დადგმას. თითქმის ყოველთვის ჩადის იმ ქვეყანაში. სადაც იღებება მისი ნაწარმოებები. შარშან, როცა

იგი ლენინგრაფში ჩამოვიდა და ნახა ახალგაზრდა რეჟისორის ა. პეტროვის სპექტაკლი ხარბული იყო, რადგან დარწმუნდა, რომ ლენინგრაფელებმა მკვეთრად და ზუსტად განასახიერეს მისი ჩანაფიქრი.

ა. პეტროვის ნამუშევარი ზედმიწევნით შეუწია და გამომსახელი. მას დეტალურად შეუსწავლია მუსიკალური პარტიტურა, კარგად ერკვევა მუსიკალური თეატრის სპეციფიკაში, აზროვნებს თანამედროვე, როგორც ჩანს, რეჟისორი დიდ ანგარიშს უწყებს მსახიობის ავტორიტეტს და საშუალებას აძლევს მას მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი. პეტროვის მიზანია საოპერო სცენაზე გამოიყვანოს ისეთი მომღერალი, რომელიც ვოკალისტიცაა და დრამატული მსახიობიც. მან იცის, რომ სხვაგვარი იგი ვერ განასახიერებს თანამედროვე საოპერო რეპერტუარს.

მსახიობებიც მოპყვებიან მას — არა მარტო გამომსხველად მღერიან, არამედ ჩინებულადც თამაშობენ. „მედლიუმში“ მაღალ შედეგებს მიაღწია აქტიორულმა ანსამბლმა. ექვსი მსახიობი სპექტაკლში მონაწილეობს მთელი დატვირთვით, უკომპრომისოდ. ისინი უერთმანეთოდ არ არიან ერთმანეთს, მაშინაც კი, როცა უშულოდ არ არიან ჩართულნი მოქმედებაში.

ნამდვილი დრამატული ნიჭით არის დაჯილდებული მომღერალი ნ. რომანოვა (ქალი — მედიუმი). მას ეფუძვება „გარეგნობა, ხმა, დიქცია, აქტიორული ქცევები — ხელს უწყობს უაღრესად ვეგეტირი, შთამბეჭდავი სახის შესაქმნელად. თავისი გვირის როულ სისხლის იგი ხსნის თანდათან, ძერწავს როლს ლაკონური, სხარტი შტრიხებით. მისი სიმღერა, როგორც გამოიღო ვოკალურ ნომრებში, ისე ფსიქოლოგიურად დაძაბულ რეჩიტატივებში უაღრესად ექსპრესიულია, ნ. რომანოვა ქმნის მასშტაბურ, განზოგადებულ სახეს, რომელიც არა მარტო განსახიერება ბოროტებისა, არამედ მისი მსხვერპლაც არის. ფინალში იგი ტრაგიკული გზებით გადმოსცემს ქალი — მედიუმის წრეგადასულ განცდებს, რითაც თანაგრძობასაც კი იწვევს. ამით ნ. რომანოვს მიერ შექმნილი სახე სოციალურ ელერადობას აღწევს.

მაღალ ფლორას სრული ანტიპოზია მისი ქალიშვილი მონია. ამ როლის შემსრულებელ ტ. დომნიკოვა ქმნის ნახ, თბილ, ლირიკულ სახეს. ნ. რომანოვს დაბალ, ობერტონებით მდიდარ, ფართო დიაპაზონის, შინაგანი ძალითა და ტემპერამენტით აღსავსე ხმას უპირისპირდება ტ. დომნიკოვას ნათელი, წმინდა, ჰაეროვანი სიმღერა, რომელიც განსახიერება განუზოცილებელი, მიულწეველი ოცნებინა. მედიუმის საწინააღმდეგოდ მონია სცენაზე კი არ დადის, არამედ თითქოს დაფრინავს

კეთილი ანგელოზივით. ამ სუსტ არსებას შესწევს დიდი სიყვარულის უნარი.

მონიკა თავისი სიყვარულით ასაჩუქრებს საწყალ, ყურ-მუნჯ ტობის, რომელიც ამის გამო უსახუროდ ბედნიერია. ამაში გვარწმუნებს ბალეტის სოლისტის გ. სუდაკოვის საოცრად გამომსახველი უსიტყვო თამაში, გაბრწყინებული სახე, დიდრონი თვალები. გ. სუდაკოვი შესანიშნავი მსახიობია. მან თავისი ნიჟის წყალობით ეს უტყვი „არამიმეგობანი“ როლი სპექტაკლის ერთ-ერთ ცენტრალურ პერსონაჟად აქცია.

არანაკლებ შთამბეჭდავია დანარჩენი სამი მოქმედი პირი — მაიად ფლორას მომსცელები: ტ. რომანოვა, ტ. სამიგინა და ვ. რომანოვი, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების ერთი სოციალური ფენის ტიპური წარმომადგენლები არიან. მათი ჩაცმულობა, თავდაპირის მანერა, ქცევები ვასტკალულია მუხანათურ სულით. ასეთივე შთაბეჭდილებას სტოვეებს მათი ეოკალური პარტიები შემდგარი წყვეტილი, მცოცავი ფრაზებისგან; უფერულია მათი ინტონაცია, უსახო პარმონიული ენა, საორკესტრო თანხლება.

მსმენელსა და მაყურებლისთვის შეუმჩნეველი არ დარჩა მსახიობთა პლასტიკურობა. ისინი შესანიშნავად ფლობენ თავის სხეულს, რაც ეხმარებათ რთული ეოკალურ-სცენურ

სახეების გახსნაში. ეს რეჟისორ კ. ჩერნოზე-მოვის დამსახურება გახლავთ.

მსმენელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლენინგრადის საოპერო თეატრის მეცირიციტოვანმა ორკესტრმა (14 მუსიკოსი), ანსამბლურობით, სტილის შეგვრნებით, განსაკუთრებით კი მომღერლებთან დამყარებული ნამდვილი შემოქმედებითი კონტაქტით. მით უფრო, რომ მუსიკოსები ისხდნენ არა ჩვეულებრივ საორკესტრო ორმოში, არამედ სცენის საპირისპირო მხარეს, დარბაზის მეორე ბოლოში, იარუსზე. მიუხედავად იმისა, რომ დირიჟორი და შემსრულებლები ერთმანეთს ვერ ხედავდნენ ყოველი ინტონაცია, პაუზა, ნიუანსი, სინქრონულად სრულდებოდა ორკესტრისა და მომღერლების მიერ. ასეთი პარმონიულობა, პირველ რიგში, დამსახურებაა დირიჟორ პ. ბუზელნიცივისა, რომელიც სპექტაკლის დადგმის პირველვე დღიდან მთელი სერიოზულობით მუშაობდა ორკესტრთან და მომღერლებთან. ამიტომაც იქცა წარმოდგენა საშემსრულებლო პროფესიონალიზმის შესანიშნავი ნიმუშად.

თბილისი პირველი ქალაქია, რომელსაც ლენინგრადის მეორე საოპერო თეატრის კამერული ჯგუფი ეწვია ენოტის ოპერით „მედონი“. ჩვენი საზოგადოება გულბობილად შეხვდა სტუმრებს და მათ მაღალი შეფასება მისცა.

## „ნარგოზოვანის“ სტრიქონები ხალხურ სიმღერაში

### აკაკი ხინთიბიძე

...1963 წელს მუსიკალურ-ფოლკლორულმა ექსპედიციამ პროფ. გ. ჩხვიჭავაძის ხელმძღვანელობით სოფ. წყიფლშიაში (შემოქმედების თემი) რამდენიმე ძველი სიმღერა ჩაიწერა. მღეროდნენ სიმე-ცოლრა ისინი ძმა სილევან ციკარიძე და ვარლამ ხინთიბიძე მეზობელ ელისე ჭიჭიჭიანთან ერთად.

ხალხური სიმღერები საყურადღებოა არა მხოლოდ მუსიკით, არამედ ტექსტითაც. კერძოდ, ერთ სატრფილო სიმღერაში — „სონა, შენმა ვახაჩებამ“ პირველ ხანას მოსდევს ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი „ნარგოზოვანის“ სტრიქონები:

რა აქლემი ცასა ზომდეს, ზაქმა  
სიბრძნე იჩინოსა,

ვირი მღეროდეს, მგელი  
მღვდელობდეს, დათვი მომღერად  
იდგენოსა.

მელი ლომსა, ჩიტი გნოსა,  
მწვერი სდევდეს მიზინოსა.

მამინ მიხვედ შენსა მხესა,

შესაყრელად სალხინოსა.  
სიმღერის ტექსტი ოდნავ განსხვავებულია: „მელა ლომსა, ტურა მგლობდეს, დათვი მღვდლობდეს“, მაგრამ ყველა სხვა სიტყვა თავის ადგილზეა და, რაც მთავარია, ხელუხლებელია სტროფის სტრუქტურა. სასიმღერო რეფრენი აგებულია ოთხის ეფვიონურ საყრდენზე — „ნოსა“ ან კიდევ „სანახავად სალხინოსა!“

შინარსობრივად ზემოხსენე-

ბული სტროფი ხალხური სიმღერის ორგანული ნაწილია. უშუალოდ მისდევს და ეხმარება წინა ხანის სტრიქონს — „მე უშენოდ რა მაიციტლებს.“

საიდან უნდა მოხვედრილიყო ელექსი ხალხურ სიმღერაში?

„ნარგოზოვანი“ XVIII თუ XVII საუკუნის თხზულებაა გარკვევან ჩოლოყაშვილის თუ იესე ბარათაშვილის მიერ დაწერილი. იგი რიკული ლექსების კრებულია, ყურადღებას იქცევს მსუბუქი სატრფილო მონარსით და ენობრივ-მუსიკალური დახვეწილობით („ჩემი საყვარლის თვალები სანადაგოდ დგობალაღები“). ამგვარი ლექსები ადვილად უპოლობენ შესავლენ ჰანეს. უდავოა, „ნარგოზოვანის“ ლექსები ფართოდ იქნებოდა გავრცელებული და ადრევე გახდა გავრცელებული ხალხური სიმღერის საყურებმა (1936 წელს, როცა აქად. ა. ბარამიძემ „ნარგოზოვანი“ გამოსცა, ამ სიმღერას ამ ტექსტით უკვე მღეროდნენ).



# პირთი უპრცალი ნიკობ ნიკოლაძის უპეოქედეზბითი ისტორიისათვის

## გურამ შარაძე

**ამბს** წინათ, იაკობ ნიკოლაძის სახლ-მე-  
ზეუმის დირექტორმა, მოქანდაკის ქალი-  
შვილმა მიაი ნიკოლაძემ მამის არქივიდან  
ორი ძველი ფოტოსურათი გადმომცა, რომ-  
ელზედაც აღბეჭდილია ახალგაზრდა იაკობ  
ნიკოლაძე (ასე, 1910-იანი წლების პერიოდის-  
ა) და მისი უცნობი ქანდაკება — შიშველი  
მამაკაცის ფიგურა, რომელსაც მარჯვენა ხე-  
ლში ვაზის მტევანი უჭირავს, ხოლო მკლავ-  
ზე მოსასხამი აქვს გადაკიდებული, ხელით  
კი გრძელ ჭოხს ეგრდნობა. ფეხებთან მო-  
ჩანს ვეფხვის, ხოლო მარჯვენა მხარეს სხვა  
ფიგურები. ქანდაკების ზომა შეგვიძლია წარ-  
მოვიდგინოთ იმის მიხედვით, რომ ფოტოზე  
გამოსახული თვითონ იაკობ ნიკოლაძე მთელა  
ტანით მას წელამდეც კი ვერ წვდებოდა.

სამუშაობრდ, იაკობ ნიკოლაძის ამ ნამუ-  
შევარზე მოქანდაკის შემოქმედების შესახებ  
დღემდე არსებულ გამოკვლევებში ვერაიე-  
თარ ცნობას ვერ ვხვდებით. ჩვენ ვფიქრობთ,  
რომ იგი უნდა იყოს „დიონისეს ლხინი“,  
რომელიც ი. ნიკოლაძის დაკარგულ ნამუშე-  
ვართა შორის მოიხსენიება (თ. სანიციძე,

გადაწყვეტით ფოტოსურათი გაგვედიდ-  
ბინა და მასზე წარმოდგენილი გამოსახუ-  
ლებანი უფრო გავვემკვეთებინა (რაც  
ჩვენი თხოვნით შესრულა ცნობილმა ფო-  
ტოხელოვანმა იგორ გილგენდორფმა), რომ  
უფრო დეტალურად გავგვეჩია იგი და ვაჩ-  
ვენეთ იაკობ ნიკოლაძის ადრეული შემოქ-  
მედების მცოდნესა და კოცხალ მიწმეს  
პროფ. დიმიტრი გედევანიშვილს. ადრე სწო-  
რედ მისი დახმარებით მოგვეცა საშუალება  
დაგვედგინა, რომ რუსთაველის პროსპექტზე,  
ე. წ. მელიქჯაზრანის სახლზე შემორჩე-  
ნილი ჭვეფური ბარელიეფები ეკუთვნის  
იაკობ ნიკოლაძეს, რაც გამოვაქვეყნეთ კი-  
დეც ეურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1980  
წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილ წერილში  
„არქეოგრაფიული ეტიუდები“.

ახლაც პროფ. დ. გედევანიშვილი გულდა-  
სმით გაეცნო ჩვენს მიერ ნაჩვენებ ფოტო-  
სურათს და მასზე წარმოდგენილ იაკობ ნი-  
კოლაძის უცნობ ნამუშევარს, რის გარშე-  
მაც ძლიერ საინტერესო მოგონება მოგვა-  
წოდა:

1912-1914 წწ. ჩემს ძმას კოტეს (გარდა-  
ცვალა 1922 წ. 20 წლისა) და მე ძერწვის და  
ხატვის მასწავლებლად გყავდა იაკობ ნი-  
კოლაძე (შემდგომ წლებში, უკვე ლევანოვ-  
სკის გიმნაზიის ბოლო კლასებში ხატვას  
გვასწავლიდა გამოჩენილი მხატვარი სარია-  
ნი, სახლში კი ჩემს ძმას კოტეს ხატვას ას-  
წავლიდა ვ. სიდამონ-ერისთავი. კოტეს მხა-  
ტრობის ნიჭი ჰქონდა და მისი ნახატები და-  
ცულია). იაკობ ნიკოლაძე იყო მამაჩემის,  
ეკიმისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავ-  
ჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამომცე-  
მელ-რედაქტორის მიხეილ გედევანიშვილის  
მეგობარი. მასთან დაახლოებული იყო კომ-  
პოზიტორი ანდრია ყარაშვილიც. გაცვეთი-  
ლების ჩასატარებლად ი. ნიკოლაძე და ა.  
ყარაშვილი, რომელიც მუსიკას გვასწავლიდა,  
ჩვენთან სახლში მოდიოდნენ: ძერწვა-ხატე-  
სათვის მამაჩვენმა სპეციალური ოთახიც გა-  
მოვიკეთე ფლიგელში. ამ საშინაო გაცვეთი-  
ლებისთვის მამა მათ გასამრგელოს უხდიდა,  
რითაც საშუალება ეძლეოდა მატერიალურად  
დახმარებოდა იმ დროს გაჭირვებაში მყოფ  
ჩვენს გამოჩენილ ხელოვან-ინტელიგენტებს  
(ამის გარეშე ისინი, ცხადია, მატერიალურ  
დახმარებას არ მიიღებდნენ)!

ერთ დღეს, ეს იყო პირველ მსოფლიო  
ომამდე, იაკობ ნიკოლაძემ მიიწვია მამაჩემი  
ჩვენთან ერთად თავისი ახალი ნამუშევრის  
დასათვალიერებლად. ეს ნაწარმოები მოთა-  
ვისებული იყო გეოლოგიის პროსპექტზე ახ-  
ლადამთავრებული „ტფილისისკი კრუჟო-  
კის“ (ამჟამად ოფიცერთა სახლის შენობა

რუსთაველის პროსპექტზე)\* მესამე სართულის დიდ დარბაზში და აქვე იყო შექმნილი (მაშინ ი. ნიკოლაძეს სახელოსნო აქ ჰქონდა!). ი. ნიკოლაძე მას უწოდებდა „მოსავლის აღებას“, რომელშიც (ვგონებ, თიხიდან) გამოძერწილი იყო მრავალი ფიგურა (შიშველი ადამიანების), ბევრ მათგანს ხელი მოხვეული ჰქონდა ლომ-ვეფხვზე, რომლებიც აქა-იქ ჩართული იყო კომპოზიციაში. თავისუფალი ადგილები შევსებული იყო ვაზით, ყურძნის მტევნებით, რომლებსაც ჰკრეფდნენ ადამიანები...

მამაჩემს (და ჩვენც, რასაკვირველია) ძალიან მოგვეწონა ქანდაკება და საუბარში ი. ნიკოლაძემ გვიამბო და გვაჩვენა კიდევ მის მიერ შექმნილი უკვე ჩამოსხმული კარიატიდები, რომელიც ამ შენობას აშვეენებდა და დღესაც აშვეენებს. საუბრიდან გავიგე აგრე-


\* როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, ეს შენობა არქიტექტორ დ. ჩისლივის პროექტით მართლაც ამ დროს, 1910-იან წლებში აშენდა. იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, ტ. 11, თბ., 1963, გვ. 83.

თვე, რომ მელიქ-კაზარინის ახლადამთავრებულ სახლზე ბარელიეფები მის მიერ არის შექმნილი და ამ სახლის ფრონტონისათვისაც დაახლოებით ისეთივე კომპოზიცია აქვს დაკვეთილი, როგორც „ტილისსკი კრუეკისათვის“. ამისათვის საკმარის გასამრჯელოსაც იღებს... მაგრამ ეს ნამუშევრები არ დაიდგა შენობებზე — დაიწყო პირველი მსოფლიო ომი...“.

რაც შეეხება ფოტოსურათზე შემორჩენილ ქანდაკებას, პროფ. დ. გელევანიშვილმა დაგვიდასტურა, რომ იგი ზემოაღწერილი კომპოზიციის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის წლებში, როგორც ჩანს, დაიღუპა.

აღნიშნული ფოტოსურათები, რომელიც 1910-იან წლებშია გადაღებული, ჩვენთვის ორმაგად არის საინტერესო: ჯერ ერთი, მასზე წარმოდგენილია ახალგაზრდა იაკობ ნიკოლაძის უცნობი ფოტოპორტრეტი და მეორეც — მან შემოგვიჩანა დიდი ქართველი მოქანდაკის ადრეული შემოქმედების ერთერთი საინტერესო უცნობი ნამუშევარი, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, დაკარგულია.

იაკობ ნიკოლაძე სახელოსნოში



# გერბოლბ გრეჰბი დე მისი ქართველი თეატრალური ინტერპრეტაციები

ნოდარ კაკაბაძე

ბრმბტბმ ქართულ თეატრში ძალიან დივივიანა (და არა მარტო ქართულ, არამედ საერთოდ საბჭოთა თეატრში). ამ გერმანული დრამატურგისადმი ჩვენი დამოკიდებულება ძალიან გევივიონებს ჩვენსავე მიმართებას პაბლო პიკასოსადმი. ორივეს სავსებით ვენდობით მსოფლმხედველობის სფეროში, მაგრამ „გევივიონებდა“ მათი მეთოდი, რომელიც ასე რადიკალურად განსხვავდებოდა ყოფითი, ემპირიული, მიმეტური რეალიზმის მეთოდისაგან. ბრეტის „მემოშევივის“ ჩვენს თეატრებში, ალბათ, ისიც უშლიდა ხელს, რომ ჩვენში ძალიან ძლიერი იყო მარჯანიშვილის, ახმეტელის, ხოლო რუსეთში სტანისლავსკის ტრადიციები და ინერცია (თუმცა რუსეთის მეიერხოლდიც ხომ ჰყავდა!), ხოლო ბრეტის თეატრალური ესთეტიკა რადიკალურად უპირისპირდებოდა ზემოთ ნახსენებ მიმართებების თეორიას და პრაქტიკას. უფრო მეტიც: ბრეტს დიხანს არ აღიარებდნენ და არ წყალობდნენ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსებიც. თითქოს განსხვავებული თეატრალური სკოლებისა და სტილების თანაარსებობა საზიანო იქნებოდა თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის?! ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ პერიოულ-რომანტიკული და ყოფით-რეალისტური თეატრის აღებებში ძალიან დიხანს ჩიუტად უკეტავდნენ ბრეტს ჩვენი თეატრების კარებს.

მას შემდეგ მრავალმა წყალობა ჩაიარა თბილისის ხიდებტევე და ახლა საქართველოში ბრეტს არათუ უბრალოდ იცნობენ, არამედ ის დღესდღეობით თითქმის ყველაზე წარმატებული დრამატურგია ჩვენში და ეს, უპირველეს ყოვლისა, რეჟისორ რობერტ სტურჯანს დამსახურებაა, რომელმაც აღზარდა ახალი თეატრის მსაყურებელი, ძირითადად დამლია ჩვენი თეატრალების, თეატრ-

მცოდნეებისა და, რაც მთავარია, მსაყურებლების ესთეტიკური კონსერვატივიზმი, შეარყია თავისებური ესთეტიკური „იმუნიტეტი“, ნაწილობრივ „უმკურნალა“ ჩვენში ანტირეტეტულ „სინდრომს“ და ახალ თეატრალურ მიმართულებას, ახალ, ანტიილუზიურ და ანტიმიმეტურ თეატრს ჩაუყარა საფუძველი. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ ბრეტის საქართველოში პირველად შემოყვანის პალობა რეჟისორ დიმიტრი ალექსიძეს ეკუთვნის.

1966 წელს გდრ-ის ერთ-ერთ ჟურნალში დიბეჭდა ამ ჟურნალის რედაქტორის საუბარი ერთ-ერთ ქართველ გერმანისტთან, საინტერესოა ამ საუბრის ერთი ადგილი. „რედაქტორი: საქართველოში ბრეტის საერთოდ ცნობილია?

გერმანისტი: ბოლო ხანებში ის გაიცნეს, აქამდე ნაკლებად იცნობდნენ, გაიცნეს მეტნაკლებად მისი დრამატურგია, პეესები — მისი ლირია და პროზა თითქმის მთლად უცნობია. „სამგროშიანი ოპერა“ ჩვენთან დაიდგა. სექტეკლმა დიდი გამოხმაურება პპოვა ჩვენს მსაყურებელში. ახლა ზოგიერთი ბრეტს მბაძეს კიდევ... „კავკასიური ცარკის წრე“ ქართულად თარგმნილია, მაგრამ არ დაუდგამთ.

მაგრამ არც ისე უნდა წარმოვიდგინოთ საქმე, რომ თითქმის ახლა საქართველოში ბრეტისა და ახალ თეატრალურ სტილსა და მიმართულებას თითქმის მთლად უღრუბლო ამინდი დაუდგა და თითქოს მას აღარავინ უყურებს აღმაცერად და მტრულად. ბრეტისა და ახალ თეატრს სხვადასხვაგვარი, სხვადასხვა კატეგორიის მოწინააღმდეგეები ჰყავს და მათი წინააღმდეგობის მოტივები და ზოგჯერ აწკარა, ზოგჯერ შენიღლები მიზეზები სხვადასხვაა. ზოგი გულწრფელია ბრეტისადმი სიძულვილში, ბრეტის

და მისი თეატრალური სამყარო მისთვის მართლაც სავსებით უცხოა. ზოგი კი რობერტ სტურუას სპექტაკლის საოცარმა წარმატებამ აქცია ბრეტის მოძულე. ზოგიერთებს, რობერტ სტურუაზე სხვადასხვა მიზეზით გავლენიანულთ, თავიანთი ბრაზი ბრეტზე ვადავთ. მაგრამ ეს ამ ადამიანთა სისუსტეზე მეტყველებს და მათი „კომპლექსებისა“ და „დაბოღმილობის“ გაანალიზება ძალიან ადვილია, ვაკლებით საინტერესოა არიან პირველი კატეგორიის ანტიბრეტებიანები, რომელთაც გულწრფელად არ მოსწონთ, ვერ გაუგიათ ბრეტის, მისი თეატრალური სტილი, ვერ იღებენ მისგან ესთეტიურ სიამოვნებას, ერთი სიტყვით, ისინი და ბრეტის სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მათ ერთმანეთისა არ ესმით... და აქაც იყოფიან გულწრფელი ანტიბრეტებიანები უფრო გულწრფელ და ნაკლებად გულწრფელ ანტიბრეტებიანებად: ერთნი არ ფარავენ თავიანთ აღშფოთებას, თავიანთ პროტესტს ბრეტისა და მისი პიესის მიხედვით განხორციელებული სპექტაკლის მიმართ. მეორენი კი ვითომც აღიარებენ ბრეტის სიდიადეს, თითქოს ბრეტს თავისას მიუზღავენ, მაგრამ ადასტურებენ მის ვარჯისანობას მხოლოდ ევროპისათვის, საქართველოში კი ბრეტის და მისი თეატრი (იგულისხმება სერთოდ თანამედროვე ანტიილუზიური, ანტიმიმეტური თეატრიც) ვერ იხიერებენ, რადგან სულ სხვაა ჩვენი ტემპერამენტი, ჩვენი მენტალობა, ჩვენი თეატრისა და საერთოდ ქართული ხელოვნების სპეციფიკაო (მათი მსჯელობა დაახლოებით ასეთია: კი, ბატონო, ბრეტის დიდი დრამატურგია, მისი თეატრიც საინტერესოა, ამას ჩვენც არ უარყოფთ, მაგრამ ჩვენ, ჩემო ბატონო, ქართველები ვართ, ბოდიში და, ჩვენ სხვა ტემპერამენტი, სხვა გაქანება, სხვა შემართება, სხვა ბუნება, სხვა ისტორია და ა. შ. გვაქვს და ბრეტის ჩვენ არ გამოგვადგება: ქართული თეატრის გზა არ შეიძლება ბრეტის თეატრის გზას რომ დავთხოვესო და ა. შ.).

ყოველი ახალი, უჩვეულო, ის, რაც არ ეხმიანება, არ ეფარდება მასურბელის დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებულ ესთეტიურ გემოვნებას, ბუნებრივია, იწვევს ფარულ და აშკარა წინააღმდეგობას, პროტესტს, აღშფოთებასაც კი.

ბრეტს რომ გაუფო და მის პიესასა და სპექტაკლს „გემოც“ რომ ჩაატანო, საჭიროა ბრეტის დრამის თეორიისა და მისი თეატრალური პრაქტიკის ცოდნა და, რაც მთავარია, ანტიილუზიური, ანტიმიმეტური თეატრით ტეოზის ჩვევა და ძველი, ტრადიციული ილუზიურ-მიმეტური, პერიოკულ-რომანტიკული, მელოდრამატიული და ა. შ. თეატრის მიხედვით შექმნილი ესთეტიური კატეგორიების ადომობა.

ბრეტს რომ გაუფო, ბრეტის ენა უნდა გვსმოდეს, უნდა იცოდებ ბრეტის დრამის „თამაშის წესები“.

საქართველოში ანტიილუზიურ, ანტიმიმეტურ თეატრს არავითარი ტრადიციები არ ჰქონია. ჩვენში აქამდე ერთპიროვნულად ბატონობდა ილუზიური თეატრი, განსაკუთრებით ამ თეატრის პერიოკულ-რომანტიკული და მელოდრამატიული განსტობა. (უნდა თქვას, რომ ქართულ სცენაზე არავრთხელ შექმნილა ამ განხრის შესანიშნავი სპექტაკლები: „ცხვირის წყარო“, „ყაჩაღები“, „ჟრიელ აკოსტა“ და სხვ., მაგრამ განა ეს იმას გვაელებდა, რომ სხვა მიმართულების თეატრი ანტიქართულად

ლაღ გამოგვეცნადებინა და მისი პარალელური დრამისათვის ხელი შეგვეშალა?).

ბრეტის ტრადიციულ მასურბელს ურღვევს ჩვეულ, ბავშვობიდანვე ათვისებულ თეატრალურ ესთეტიკას, წარმოდგენებს, ნამდვილობის ილუზიის რღვევას ის ყველაზე ნაკლებად ეგუება. მისთვის რადიკალურად უცხოა თამაშში თამაში, ფიქციაში ფიქცია — მას ნაწარმოები მით უფრო მაღალმატერული ჰგონია, რაც უფრო გარეგნულად მიმსგავსებულად გამოსახავს საგანს — მკვეთრი



სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან „კავკასიური ცარკის წყე“

დღეორმაციები მისთვის მიუღებელია. მას სურს, მხატვარმა ისე დახატოს ალუბალი, რომ ბელურბები კი მიიზიდოს ასაკენკავად. მას უნდა, რომ გულამოსკენილი ტიროდეს სპექტაკლის მსვლელობის დროს და სჯეროდეს, რომ სცენაზე ყველაფერი ნამდვილად ხდება (ზოგიერთი მსახიობი ტრამახობს იმით, რომ მისი თამაშის დროს მოელი დარბაზი კეთინებს), ემოციური თანაგანცდის, კათარისის საკუთარი თავის მოქმედ პირებთან იდენტროციობის გარეშე უქრის სპექტაკლის აღქმა და ყოველივე ეს თეატრალური წარმოდგენის აუცილებელი ატ-

რიბუტი ჰგონია (ბერკტი უარყოფდა, როგორც კათარისის, ასევე რელაქსაციას — ე. ი. „განმახვას“, მოშვებას, დაძაბულობის მოხსნას, უშუალო თანაგანცდის, გარდასახვის ტრადიციული ვაგებით და ა. შ. ეს ანბანური ქეშმა-რიბება ყველაათვის, ვისაც კი ოღესმეო რაიმე წუქეთი, ხავს ბრეტკისა ან ბრეტკზე, ანდა ერთხელ მაინც უნახავს რომელიმე ბრეტკისეული სპექტაკლი, ბრეტკისა და აგრეთვე რობერტ სტურუას რეჟისორული ხელწერის ზოგიერთი შენიღბული მოწინააღმდეგე კათარისისს, თანაგანცდის და ა. შ. უარყოფას ბრეტკს კი არ მიაწერს, არამედ თეატრისაგან შორს მდგომი, არასპეციალისტ ლიტერატორებს, რომლებიც ბრეტკს მხოლოდ მიწვევით უწოდებენ, რომენაც არ მოუსმენიათ თეატრალურ ინსტიტუტში ლექციები და ისე წყურენ რობერტ სტურუას სპექტაკლები დადებითი რეცენზიებს.

ერთი გერმანელი ავტორი თავის წერილში — „შიში თანამედროვე ხელოვნების წინაშე, გოეთედან პიკასომდე“ — წერს: „სანატრესო სახანაგია, თუ რას ვანიჭებთ ამ გამოთვლის მნახველები ამ ნამუშევრებს მიმართ, რომლებიც მათ არ ესმით. თითო ყველაზე წყნარი და უწყინარი ადამიანებიც კი კარგავენ მოთმინებას და იწყებენ ნერვოზობას უჩვეულო, ახლებურად შესრულებული ფერწერული ნამუშევრის წინ მდგარნი, ისინი შფოთავენ და ისე იქცევიან მუწჯი სურათის წინაშე, თითქოს მათთვის პირადი შურტაცხყოფა მიუყენებინათ. დაახლოებით გულწრფელად არიან აღშფოთებულნი და გაგულანებულნი“.

ავტორი ცდილობს ახსნას ადამიანთა ეს უცნაური საქციელი, ამ სპონტანური აფექტის მიღმა, მისი აზრით, მოქმედებს შემდეგი ფაქტორი: მასურბელი ბრეტკა, აღმოვლილება იმის გამო, რომ მას არ ესმის ეს ნაწარმოები. ეს კი მასში შიშს ბადებს, აღშფოთება და გაბრაზება — ეს თავის დაცვის საშუალებაა, ადამიანის უწყინარი ზეგომებისაცაა. თუ მას ნაწარმოები არ აგონებს მეორე, სხვა ნაწარმოებს, უკვე ნაცნობსა და ნანახს, თუ მას არ შეუძლია მისი სხვასთან მიმსაგისება, უკვე ნახანათად და შეჩვეულთან შედარება, მაშინ მას შიში ეუფლება, შემდეგ კი ბრაზი. ისევე, როგორც აღზრდის სხვა შიდეგები, ესთეტიკური გემოვნებაც, ადამიანში ბავშვობიდანვე ჩანებრებული, ძველი დასამორჩილებელია, ძველი „მოსათვისებელია“. მაყურებელმა იცის, რომ ვიღაც სადღაც (განსაკუთრებით სპეციალისტები და ე. წ. მცოდნენი) ამ ნამუშევარს დიდად აფასებენ, მას კი აბსოლუტურად არ მოსწონს, აბსოლუტურად არ ესმის, ნამუშევარზე, მას რაღაც შინაგანი ნაკლი აქვს, მაგრამ ამის შეგნება, აღიარება და ამასთან შერიგება ძალიან ძველია, და ადამიანს თავისი ნაკლი გარეთ გამოაქვს და სურათს „ადანაშაულებს“ და ამით თითქოს უფლებს თავს. მაგრამ ეს განთავისუფლება მას ხელოვნებას აშორებს.

კარგად მახსოვს ერთი სცენა, რამაც თავდაპირველად გამოაოცა. ერთი ჩემი ნაცნობი ერთ-ერთი დრანავალი ფილმის დემონსტრირების შემდეგ კინოთეატრის განსაკუთრებით იცა და ვაისსხილავიბული თვალბრუნებისას და: ვინც იტყვის, რომ დიდიმ მოეწონა, თავს გავუპობო. მაღე მის გარშემო თავი მოიყარა აღშფოთებულ თანამო-

აზრთა გჯუფმა. ისინი ფეხებს აბაკუნებდნენ, თვალს აბრალბდნენ და იგინებოდნენ.

ისინი მათთვის უჩვეულო, ახალი გამოშახველი საშუალებებისა და გაუგებარი შინაარსის შემცველად ფილმმა შეაზინა და მათ „არასარულფასოვნების კომპლექსი“ გაუჩინა, რისგანაც თავი სხვებზე გაბრაზებით გაინთავისუფლეს.

ასევე ემართება ტრადიციულ მასურბელს ბრეტკთან შეხვედრისას, ეს იყო პირველი სიძინელე, რომლის წინაშეც აღმოჩნდებოდნენ ბრეტკის დამდგმელი ქართველი რეჟისორები და რასაც ანტიბრეტკიანელები უქმნიდნენ მათ.

მეორე სიძინელეს რეჟისორის წინაშე თვითონ ორთოდქსალური ბრეტკიანელები ქმნიან, რომლებიც ძველ კერპებს ამსხვრევენ, მაგრამ ბრეტკს ახალ კერპად აქცევენ, მოითხოვენ ბრეტკის არა მარტო არის, არამედ მისი თითოეული „ასისა“, ყოველი „დოგმის“ ერთგულებას მოითხოვენ ბრეტკის სპექტაკლების უცვლელ ან მიმსგავსებულ გამეორებას (ბრეტკი ყოველგვარი ფერწერისაგან წინააღმდეგე იყო, მაგრამ ბედის ირონია ის არის, რომ თვითონ ბრეტკი აქციეს ფეტქმად). ამიტომ მოხდა, რომ ბრეტკის თეატრი კარგა ხანია დღას თეატრეუფე, ნავტალნიწყარო თეატრად ანდა სულაც თეატრ-სასაფლაოდ გადაქცევის ხიფათის წინაშე, სადაც პომპეზური მონუმენტებია აღმართული და აღარ ქრის სიხალისი მაცოცხლებელი სილა.

ამიტომ იყო, რომ რობერტ სტურუამ თავისი „კავკასიური ცარცის წრით“ ზოგიერთი დოგმატიკისი და ფანტეტიკისი ბრეტკიანელის გულისწყარობაც კი დამისახურა გდროში.

...1964 წელს ქართულ სცენაზე პირველად წარმოადგინეს ბრეტკის პიესა. ეს იყო რეჟისორ დიდი ალექსიძის მიერ აღმუშავებული „სამგროშინი ოპერა“, განხორციელებული რუსთაველის თეატრში.

1975 წელს, ე. ი. 11 წლის შემდეგ რობერტ სტურუამ, რომელიც აქამდე გაბედულ ექსპერიმენტს აყენებდა თავისი სპექტაკლებით („ხანუმა“, „ყვარყვარე“, „სიჩხინე“ ე კითხილ ადამიანი“, და სხვ.) ერთბაშად სპეციალისტები აღაპარაკა ბრეტკის „კავკასიური ცარცის წრის“ ახალი ინტერპრეტაციით, რომლის დიდება მარტაცდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მექსიკაში ნამდვილი ფურორი მოახდინა.

ჩვენად საბედნიეროდ, არ გამოთლდა ბრეტკის მეფელისა და სხვადივანი მისახიბნი, აგრეთვე ზოგიერთი ქართველი გერმანისტის ვარაუდი, რომ ქართულ თეატრში ბრეტკის „კავკასიური ცარცის წრე“ თითქოს წინასწარ მარცხისათვის იყო განწირული. რობერტ სტურუამ პიესას ისეთი ვახალები მოარგო, რომ არათუ ჩვენი ზოგი ბრეტკოლოგის, არამედ თვით ელენ ვაიციელის კატეგორიული განცხადებაც კი გაბათილა.

მიუხედავად დ. ალექსიძის და რ. სტურუას რეჟისორულ-შემოქმედებით ინდივიდუალობებს შორის მკვეთრი განსხვავებისა (დ. ალექსიძე უფრო ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრის წარმომადგენელია, მათ რამდენადმე ერთი და იგივე გზა აირჩიეს და ბრეტკის

დრამატურგიას მეტნაკლებად მსგავსი გასაღები მო-  
არგეს. ორივე შეეცადა ბრეტის დრამატურგია რამ-  
დენადაც კი შეიძლება რომელიმე თეატრის ტრადიცი-  
ებზე დაეყრდნობა, მაგრამ მხრივ, რადგან ბრეტის პიესე-  
ლა ქართული მათემატიკისათვის (აგრეთვე ბრეტისეუ-  
ლი სპექტაკლებიც) მეტსმეტად პირქაში და „გაუცინა-  
რია“, აქცენტი დასვეს ნაწარმოების კომედიურ ასპექტ-  
ზე, რითაც მეტნაკლებად შესაძლებელი გახდა ტრადიცი-  
ული პლანი (ბრეტის ყოველი პიესა ტრადიციულია: ის არა-  
სოდის არ არის წმინდაწილის კომედია ან წმინდაწილის  
ტრავედი).

შეიძლება ითქვას, რომ დ. ალექსიძემ პირველი ნაბი-  
ჯი გადადგა ბრეტის ქართული რეცეფციის საქმეში, მან  
რამდენადღე შეაშადა ქართული მათემატიკის ანტილი-  
ზიზი, ანტიმიმეტური თეატრის აღქმა-მიღებისათვის,  
შეაჩვია მეტნაკლებად ემპირიული ნამდვილობის დამრ-  
ღვევ, ანტილიზიზი „ცოც დასვარა“ ზონგები, წარწერ-  
ები დაფიქრებულ, პირობითი დეკორაციები, დისტანცი-  
რები მეთოდ, გაუცხოების ეფექტი, მოქმედების შეწყვე-  
ტა, მოქმედების კომენტარება, უშუალო კონტაქტი მათე-  
მატიკისა და სხვ. დ. ალექსიძემ ჩაატარა ბრეტის გა-  
განმარტვის, ბრეტის სპექტაკლი აღქმისათვის, თუ  
შეიძლება ასე ითქვას, „პრობლემატიკული“ სამუშაო;  
მან მათემატიკის ბრეტის, და საერთოდ თანამედროვე,  
ანტილიზიზი თეატრის დარგში ელემენტარული, და-  
წყებითი განათლება მისცა. პირველად მან გასტეხა ამ  
მხრივ ნაესი. ეს იყო საქართველოში ბრეტის რეცეფციის  
პირველი საფეხური, პირველი სტადია. ალექსიძემ შესა-  
რულა გზის გაკვეთის, პიონერის მძიმე და ძნელი ყოველი-  
შეა.

და ერთი გერმანული ანდაზის არ იყო, ყოველი  
დასაწყისი ძნელია. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ  
ეს იყო არა მარტო პირველი ქართული, არამედ საერთოდ  
ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ბრეტის სპექტაკლი.  
„სამგროშიანი ოპერა“ დაიდგა აგრეთვე მოსკოვის სტანი-  
სტლასკისა და ლენინგრადის კომკავშირის თეატრებში,  
აღარგება რა ამ სპექტაკლებს რუსეთის თეატრის  
„სამგროშიანი ოპერას“, დასავლეთგერმანული თეატრა-  
ლური ყურნალის „თეატრ პოიტეს“ კორესპონდენტი აღ-  
ნიშნავდა, ბრეტის ამ პიესის საბჭოთა დადგმებს შორის  
დ. ალექსიძის სპექტაკლი ყველაზე ბრეტისული იყო (თე-  
ატრ პოიტე“, 4 აპრილი, 1976, გვ. 40).

დ. ალექსიძემ, რასაკვირველია, შეინარჩუნა კურტ  
ვალის მუსიკა, რადგან ეს მუსიკა ორგანული ნაწილია  
ბრეტის პიესისა, ამ პიესის ტექსტებზე შექმნილია მუ-  
სიკამ მთელი მსოფლიო მითარა და „სამგროშიანი ოპე-  
რის“ ზონგებს პიესის გარეშეც ასრულებენ ამერიკისა და  
ევროპის (განსაკუთრებით პოპულარულია ე. წ. „შორი-  
ტატი“, ე. ი. ქაჩის მომღერლის სიმღერა ყაჩაღ მეკობრე,  
რასაც ლუი არმსტრონგიც ასრულებდა). მხატვრობა ფარ-  
ნა ლაბაშვილი ეკუთვნოდა, დეკორაციები ძუნქი იყო,  
პირობითი, ბრეტის; მხატვრის ერთ-ერთი იღბლიან  
მიგნებას წარმოადგენდა სცენაზე ჩამოკიდებული ბაწრე-  
ბი, რომლებიც თავისებურ ფარდას ქმნიდნენ.

აღსანიშნავია, რომ „სამგროშიანი ოპერა“ ბრეტის  
შედარებით ადრეულ პიესადაა, ამას გარდა, იგი დრა-  
მატურგის შემოქმედებაში გარდამავალ საფეხურს წარ-  
მოადგენს, სადაც ჯერ კიდევ არ არის სრულად „ეპიკურული

თეატრის“ თავისებურებანი გამოვლენილი. ამიტომ „სამ-  
გროშიანი ოპერა“ თავისი ცეცხლოვან-მხველვითი სი-  
სიცი, პიკანტურ-ექსცენტრიული სიუჟეტის უზალო-  
დება მიუხედავად ბრეტის ვანიტედა, რომ ისინი, რო-  
მელთა წინააღმდეგაც იყო მიმართული ეს პიესა, სიამო-  
ვნებით უყურებდნენ და უსმენდნენ „სამგროშიანი ოპე-  
რას“. ქართული „სამგროშიანი ოპერა“ კიდევ უფრო დაუ-  
ახლოვდა მიუზიკალს და სიუჟეტული პიესის პერსონაჟე-  
ბის მიმართ, აღმფთვება მათ გამო, კიდევ უფრო შესუს-  
ტავდა. პირიქით, ჩვენი მათემატიკის სიმპათიით განმს-  
ჯალენე ყაჩაღ და კაცისმკვლელ მეკატისადმი, რადგან  
რამაზ ჩხიკავამ თამაშობდა არა ამპარზუნ, საზარელ ბო-  
როტოქმედს, არამედ მომხიბლავ, ცოტა დემონურ, მო-  
ხერხებულ, დარღმინად, მრავლისმანახველ და მრავლის-  
განცდელ, ქაღების მოყვარულ მამაკაცს, რომელიც თავისი  
მუდმივი წარმატებითა და ჩასანდობით ოზი-  
დადა მათურბერბა მასას.

დასავლეთ გერმანული თეატრალური ყურნალის ჩვენს  
მიერ უკვე დასახელებული რეცენზენტი ამის თაობაზე წე-  
რდა: „რამაზ ჩხიკავამ მეკი მესერის როლში უმაღ კავა-  
სიური ფოლკლორის ყაჩაღ ჰავდა, ვიდრე სოპოს ცი-  
ნიუტრ ვანგსტრის, მათურბელე მომხიბლველ ზემო-  
ქმედება, მხიარული იყო და მამაკი და ყველა მის მიერ  
ჩაღვნილი სიმბაღლე მხოლოდ მოჩვენებით გათამაშე-  
ბულ ყალბადადობას ჰავდა. მეძაგები ისე იქცეოდნენ,  
როგორც წესიერი ოჯახების ეკლუცი ქალიშვილები,  
რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ ღამის ცოტა თავისუ-  
ფალ წვეულებაზე...“

დასავლეთ გერმანული თეატრალური ყურნალის რე-  
ცენზენტის ანალოგიურ შენიშვნებზე დოლო ალექსიძის  
უპასუხნია (თუკი რეცენზენტი ზუსტად გადმოსცემს  
რეცისორის ნაიქაქას): „ეს ჩვენი ეროვნული მხანათობა  
განსაზრებელი; ქართველი მათურბელები შესიფლნი  
არაინ რომანტიკულ, ხალხურ, თუნდაც რეალისტურ, მა-  
გრამ უაღრესად ზნეობრივ თეატრს; ქართული თეატრი  
ვერ იგუბებს უწმარურ ოხუჯობას, ეროტიულ ქარავებებს,  
უხე სლენებს.“

...დოლო ალექსიძე არ ყოფილა ბრეტის პიესის უბ-  
რული „ილუსტრირატი“, მას დრამატურგიული მასალა  
უკვლად არ გადმოიტანია სცენაზე, რეცისორი თავის  
ჩანაფიქრს უმორჩილება როგორც პიესის ტექსტს, ასე-  
ვე მის კომპოზიციასაც. მაგალითად, მან მიზანშეწონი-  
ლად მიიჩნია, რომ მსოფლიოში განთქმული სიმღერა ყა-  
ჩაღ მეკატზე მის სპექტაკლში თითონ მეკის ემღერა და  
არა, როგორც ბრეტის პიესაშია, მეარლენს.

რეცისორმა სპექტაკლში შემოიყვანა სრულიად ახალი  
პერსონაჟი, სპექტაკლის თავისებური წყაყყანი, ავტო-  
რის ტექსტისა და რემარკების პერსონიფიკაცია (მსახიო-  
ბი თ. ზაუტაშვილი), რომელიც გროტესკული მანერით  
მოკლედ აჯამებდა და კომენტარს ურთავდა მოქმედებას  
მიმხდარსა და მოსახლეს.

ბევრი საინტერესო მიგნება ჰქონდა რამაზ ჩხიკავამს  
მეკი მესერის როლში. განსაკუთრებით ბრწყინვალედ ას-  
რულებდა იგი სცენებს სასატირიოში, გალასა და ვა-  
ლიეს გარეთ: „ორ ცეცხლს“, ორ მეტექსტ-ქალს შორის  
მყოფი (პოლი, „მთხოვრების მეფის“ პიჩემის ქალიშვი-  
ლი — მსახიობი მ. ლომიძე-პაქვირია და ლუცი, შერთ



ბრაუნის ქალიშვილი, რომლის როლს ორი მსახიობი და-  
რულებდა: ლ. ჭავჭავაძე, და ე. დღვალიძე — აღსანიშნა-  
ვია, რომ დედანში ბრაუნის ასულს ლუცი ჭკვია და ასე  
წარმოიქმნებოდა კიდევ გერმანელები ამ სახელს, ქართულ  
თარგმანში ლონდონის პოლიციის უფროსის ქალიშვილი  
ლუისის სახელით მოვევლინებ. რ. ჩხიკვაძე ცდილობს  
ლაიკურებას ორ მეტოქე-ქალს შორის, მოტყუებით, ტკიბ-  
ლი სიტყვით, ერთხელ კი, სიმპოლოური წყლის შხაბის გა-  
მყოფებით უნდა მათი დაშორებულბა... ნუნესმასხვილე-  
რია მეკის საპატიმროდან გაპარვის სცენა. ორიგინალური  
იყო მეკის გამოსვლა სცენის სიღრმიდან, ისე მოდიოდა,  
ისე ესალმებოდა უდარდელად და დარდიმანდულად აქ-  
ეთ-იქით უზიარებ ადამიანებს, თითქმის პრემიანდებე  
გამოსული ბულვარში, ნამდივილად კი საპატიმროში მიპ-  
ყავდათ. აქად და შემდეგ სახრჩობელაზე ასვლის დრო-  
საც რ. ჩხიკვაძე — მეკი არხეიანდ „შეყირობს“, თითქმის  
სიტუაციისათვის შეუფერებლად აუღლევებელი და უდ-  
არდელია — სწორად მის მიმართ შეიძლება გამოვიყი-  
ნითი ცნობილი გერმანული გამოთქმა: სახრჩობელის ჰუ-  
მორი აქვს, ე. ო. ძალიან მძიმე მდგომარეობაშიც კი  
არ ჰკარგავს ჰუმორის გრძნობას, რადგან მეკი ქვეშეცნე-  
ულად გრძნობს: ამა ქვეყნის ძლიერი, მას — ყაიღას  
და მპარცეკვლს — როგორც „სოციალურად ახლობელ  
ეღუმენტს“ — სასიკვდილოდ არ გამოეტებენ და საბოლო-  
ოდ მართლაც ასე ხდება.

...რობერტ სტურუამაც ბრეტის პიესა უფრო მეტად  
კომიკურ, ჰუმორისტულ, კომედიურ პლანში წარმოართ. უნ-  
და ითქვას, რომ ამის საშუალებას „სამგროშოანი ოპერა“  
უფრო მეტად იძლეოდა, რადგან, როგორც უკვე აღვნი-  
შნეთ, ჯერ კიდევ 1928 წ. ეროპ ენგელის მიერ აღდგმული  
და შემდეგ აღდგენილი „სამგროშოანი ოპერა“ ბრეტის-  
დაუნებულად მიუზიკლს უახლოვებოდა. მაგრამ ისიც  
უნდა ითქვას, რომ მოწოდული ბრეტის პიესებს ბრეტის  
რომანტიზმიც უკვე სრულადაა გამოვლინებული შორის  
დრამატურგის თავისებურებაში, „კავკასიური ცარცის  
წრე“ ყველაზე ოპტიმისტური და მხიარული, ყველაზე  
პაროდიულია.

ბრეტის ნათქვამი აქვს: „ცხოვრება სერიოზულია, ხე-  
ლოვნება კი ილიმება“. რ. სტურუა თითქმის „სიტყვაზე  
იჭერს“ „კავკასიური ცარცის წრის“ ავტორს და თავის  
სპექტაკლს იმ მიმართულებით წარმოართავს, რის შესაძ-  
ლებლობასაც ეს გამონათქვამი იძლევა. აქ რამდენიმე  
გარემოება უნდა გავითვალისწინოთ.

რეჟისორი — რობერტ სტურუა არ არის ბრეტის  
უფროსი „გადამთხრობელი“, „გარდამტყუებელი“, მისი პი-  
ესის სცენაზე მექანიკური გადამტანი — რობერტ სტურ-  
უა სუვერენული რეჟისორია და მის მიზანს არ შედ-  
გენს დრამატურგის ტექსტის, პიესის სიტუური გამოირე-  
ბა, მხოლოდ სცენური რეპროდუქციება.

რ. სტურუას სპექტაკლი არ არის და არც უნდა იყოს  
ბრეტის თეორიისა თუ შემოქმედებითი პრაქტიკის მექა-  
ნიკური უპრობლეტირება. ქართული რეჟისორი ქმნის  
ბრეტის პიესის ახალ, მისეულ, ქართულ ინტერპრეტა-  
ციას, თავისი ინდივიდუალულობის მექედს ასევე ამ სპექ-  
ტაკლს. რობერტ სტურუა ბრეტის არც ორთოდოქსული,  
არც ეპიგონური და არც „მუხუშუმური“ ინტერპრეტა-  
რია. უფრო მეტიც, ბრეტის რ. სტურუას იმპულსს, სტიმ-

ულს აძლევს, აღძრავს „თანამოქმედებისთვის“ „მეცნიერ-  
ქართული რეჟისორი, იყენებს რა დრამატურგის „სიტუ-  
რატურულ მასალას, თავისი გზით მიდის, ბრეტის საგრძ-  
ნობლად შორდება — და ეს საკესებით გამოვლენბულია,  
რადგან ბრეტის თეატრი არ არის არც მუხუშუმი, რომ  
ყველა „ექსპანონატი“ უცვლელად, ხელუხლებლად შევი-  
ნარჩუნებთ და არც „ეკლესია“, რომ ყველამ ერთხანით  
ეწიროთ. ყოველი ნამდივილი რეჟისორი დრამატურგის  
თანავტორი, თანაშემოქმედი და, ამავე დროს, რადიკალი-  
რად მისი ოპონენტიცაა. იგი დრამატურგის მასალაზე  
ქმნის ფაქტურად ხელოვნების ახალ ნაწარმოებს, რად-  
გან ჰიესა და სპექტაკლი ორი სხვადასხვა სამყაროა.

რობერტ სტურუა, უპირველეს ყოვლისა, ქართული  
რეჟისორია, თავისი გენეტიკური ფესვებით მჭიდროდ  
დაკავშირებული ქართულ კულტურასთან, ქართულ ხე-  
ლოვნებასა და თეატრთან, ქართულ ეროვნულ სახისთან  
და მენტალობასთან, ამიტომ, ბუნებრივია, იგი ბრეტს  
ქართულად კითხულობს, „კავკასიური ცარცის წრეს“  
უფლებს ქართულ ტემპერამენტსა და ხელისუფლებას,  
თუმცა, ქართულ ეთნოგრაფიულ ხარკს არსად უხდის.

რობერტ სტურუა საკუთარი ხელწერის, დამოუკიდ-  
ებელი მსოფლმხედველობისა და ესთეტიური მრწამსის  
მქონე რეჟისორია, ამასთან ერთად, ის ქართული რეჟი-  
სორია, რომელიც ქართული თეატრის ტრადიციებიდან  
გამოიღის არსებითად და ამიტომ, ცხადია, იგი ბრმად,  
დოგმატურად ვერ გაკვევბოდა ბრეტის რამის თეორი-  
ისა და მის რეჟისორულ პრაქტიკასაც. ქართული რე-  
ჟისორი ახდენს ბრეტის მასა-  
ლის ადაპტაციას ქართული ეროვნ-  
ული ხასიათისა და აგრეთევე, სა-  
კუთარი რეჟისორული ესთეტიკის  
მიხედვითაც.

აქ კიდევ ერთი გარემოება გასათვალისწინებელია:  
ყოველივე ამის გარდა, რეჟისორს, ჩემი აზრით, ერთი  
ტრაქტაციური მოსაზრებაც ამოპრავებდა. ქართული მათე-  
რებლისათვის თეატრი მაინც დღესასწაულია, ფერითე-  
ლი სახანაბო, თვალის სივრცე უპირატესად — და რობერტ  
სტურუა ცდილობს ჩვენს მათურებელ ანტილუბურში,  
ანტიმიმეტური, „არაარისტოტელური“ თეატრი ამ მზრი-  
დან შეაპროს. ქართული რეჟისორი შეფაფრით, „ემშა-  
კრდას“ ცდილობს ქართული მათურების გადამბრე-  
ბას, შეტყუებას თვისობრივად ახალ თეატრალურ სამყა-  
როში, სადაც პაროდია, გროტესკი, უკიდურესი პირო-  
ბითობა და სიმბოლიკა ბატონობს.

რობერტ სტურუა ცოტა „ახალისებს“, ცოტა უფრო  
მეტად „აღიმიმებს“, ავრაციულებს და აელეგანტირებს  
ბრეტის უსამყალო, უმუქურთმობ, ასკეტურ“ და „ულ-  
დაშალო“ თეატრალურ წარმოდგენას. მაგრამ, იმის მიუხე-  
დავად, რომ ქართული სპექტაკლი უფრო „დარდიმანდუ-  
ლი“, ლამაზი და „მუხუშუნაა“, ვიდრე ბრეტის პიესების  
მიხედვით თვით ბრეტისა და მისი თეატრის რეჟისორ-  
ბის მიერ შექმნილი თეატრალური წარმოდგენები, მაინც  
რ. სტურუას სპექტაკლს არა აქვს დაკარგული სოცია-  
ლურ-პოლიტიკური სიმახვილე და გამომწვლბობა.

რობერტ სტურუა თავის სპექტაკლს ავებს როგორც  
ხალხურ-კომედიურ, „ბალავანურ“-თეატრალურ და სა-

კარნავალო სანახაობას, მასში ჭარბად შეაქვს მიუზიკლის, რევიუს, შოუს ელემენტები. აქ დომინანტა კომედიურ, კომედიანტურ ტენდენციას ენიჭება, ამის გამო პიესის ტრაგიზმი შენიღბული და ზოგან მთლად გამქრალა. ყოველივე ამის შედეგად „კავკასიური ცარცის წრე“ მიახლოებულია „სამგროშიან ობერასთან“. და საგულისხმოა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „კავკასიური ცარცის წრის“ სპექტაკლი მიუზიკლად და „სამგროშიან ობერის“ თავიებურ სახესხვაობად თუ ვარაიციად აღიქმეს.

აქ მოვიყვანთ იქაური გაზეთების რეცენზიების ზოგიერთ ნაწყვეტს:

ლოვე „სამგროშიან ობერასთან“. შეიძლება ვეღვთ ქართულ რეჟისორს ბრეჰტის გვიანდელი პიესის დასეთი მანერის, ასეთი სტილის, ასეთი ინტერპრეტაციის შერჩევისათვის მაგრამ რაც რეჟისორის მიერ მიზნადა დასახული, ის სრულქმნილადაა განსახიერებული.

რობერტ სტურუას სპექტაკლი რიტმული, მძაფრად დინამიკურია, რაც, ალბათ, უფრო შეეფერება ქართულ ეროვნულ ტემპერამენტს; ქართულ სპექტაკლში არსად არ იგრძნობა მონოტონურობის ხიფათი. ბრეჰტის ერთი ძველი მეგობარი იხსენებს: ბრეჰტის ბინის კარზე გაკრული იყო „სამინაო შინაგანწყესი“ ასეთი მინაწერით: სტუ-



სცენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლად „სამგროშიანი ობერა“

„დიუსელდორფში ჩამოიტანეს ბრეჰტი როგორც მიუზიკლი“.

...„ბრეჰტის „ცარცის წრე“ გადაქცეულია ჯაზურ-როკულ მიუზიკლად“.

„სტურუამ ერთმანეთს შეურწყა ფოლკლორი და დასავლური ელემენტები — ეს გამოვლინდა როგორც კოსტუმებში, ასევე მუსიკაში, ჩართო იმპროვიზაციები, თანამედროვე შოუს ეფექტები და კომედია-დელარტეს გამომსახველი საშუალებანი“.

„რანიეიშე პოსტი“ ჩვენს „კავკასიურ ცარცის წრეს“ „ბობოქარ სამკაპიკიან ობერას“ უწოდებს, რომელსაც მაყურებელი 10 წუთის განმავლობაში აღტაცებული უკრავდა ტაშო. „სამკაპიკიანი ობერა“ „სამგროშიანი ობერის“ ანალოგიითაა ნაწარმოები (ჩვენში გროშის მიახლოებით ეკვივალენტი ხომ კაპიკია) და ამით ხაზგასმულია რობერტ სტურუას სპექტაკლის თვისობრივი სიახ-

მრებს ვთხოვ დაცვან ჩვენი შინაგანწყესი; სულ ქვემოთ კი ეწერა: მაგრამ მასპინძელი იმ აზრისაა, რომ წესები მხოლოდ მაშინ ცოცხლობენ, თუკი მათ ზოგჯერ არღვევენო.

იგივე ითქმის, სამართლიანად დასძენს მისი მეგობარი, ბრეჰტის თეატრალურ წესებზეცო.

რობერტ სტურუა თითქოს ბრეჰტის ამ „პოსტკრიბიტულის“ მიხედვით მოქმედებს თავის რეჟისორულ პრაქტიკაში: იგი ბრეჰტის „კავკასიურ ცარცის წრეს“ დგამს ანტიილუზიურად და ანტიმიმეტურად, მაგრამ იგი ერთგულია თავისი რეჟისორული ინდივიდუალობისა და ქართული თეატრის წიაღიდანაცაა გამოსული, ამიტომ მას ბრეჰტის „წესების“ დარღვევაც უხდება.

მე ვფიქრობ, როგორც ბრეჰტის თეატრიც, ასევე რ. სტურუას ეს სპექტაკლიც რეჟისორის თეატრისა და სპექტაკლის ნიმუშია. უმთავრესად რეჟისორის დამსახურე-



ბას უნდა მიეწეროს, რომ სპექტაკლში მონაწილე მსახიობები ანტიილუზიური, ანტიმიმეტური თეატრის სკოლავალელო გეგონებთა, ისე სუვენერულად ფლობენ ისინი როლისაგან განსეუ ვადგომის, გვერდთანე ყურების, გაუხეხებობის, განსახიებებუ პერსონაჟისადმი მიმართება-დამოკიდებულების დამყარების, პათეტიკის, გონიზამორიების „ჩაქრობის“, „გამავილებლბა“ და შოკისმიზმებში მათთვის ჩვეული და დამახასიათებელი გარდასახვის, იდენტიფიცირების, მიმესისის (ემპირიული ცხოვრების, სინამდვილის მიმაქვის) მეთოდთ კი არ მუშაობენ, არამედ მიმართავენ თამაშის, თხრობის, ჩვენების მეთოდს. ისინი თამაშობენ ქუნწად, „უსამკალოდ“, თითქოს განსახიებებულ პერსონაჟებს თვითონვე დასცინიან და როლულში, პერსონაჟულში არ ითქვიანებინან.

პაროდულიზა, პაროდულიზ-ირონიული პლანა და ასპექტი ბოლომდე გასდევს მათ თამაშს; თითქოს საკუთარ თავს უხეობ, გარეშე პირის თვალთადა უყურებენ. თითქოს ამ პერსონაჟს კი არ ანსახიებებენ, არამედ მასზე მოვეთხობენ გარეშე დამკვირებლის პოზიციიდან, გარედან, გვერდლდან. ამ სპექტაკლის სცენური მოქმედება და მსახიობების თამაში მაყურებელში არ იწვევს ჩვეულ ესთეტიკურ სიამოვნებას: მაყურებელს ეგონა არ უხეოდება, არც უკიდურეს აღფრთოვანებას განიცდის, მოქმედებაში არასოდეს ისე არ არის ჩართული, რომ დისტანცია მოეშალოს სცენურ მოქმედებასთან. მსახიობები ემოციებს იწვევენ, მაგრამ არსებითად განსხვავებულ ემოციებს, ვიდრე მათ ტრადიციული თეატრი იწვევდა: ეს არის არა სცენაზე წარმოსახულ ცხოვრებაში თანამონაწილეობის ილუზიით გამოწვეული სიამოვნება, არამედ ესთეტიკური სიამოვნება, რასაც მაყურებელი ღებულობს ემპირიული ნამდვილობის დამორყევი, ანტიილუზიური „ცივი შხაბებით“, რომელნიც პაროდულიზ და ირონიული პლანში რეალიზდებიან. პერსონაჟი, რომელშიც მსახიობი „ჩასახლდება“, რომელსაც იგი „შთავირობობს“, რომლის ხასიათსაც შეერწყმის, რასაკვირველია, მაყურებელსათვის გაცილებით ინტიმური, თბილი, გულითადი, მიმოიდელო ხდება. ქართული მაყურებელი ამას იყო შეჩვეული, სხვაგვარად მას ვერ წარმოედგინა. და უცებ რიბნერ სტრუქტურა ქართულ მაყურებელს შესთავაზა სპექტაკლი, რომელიც თავიდან ბოლომდე სინამდვილის ილუზიის დამრღვევი, ანტიილუზიური საშუალებებითაა აგებული.

საერთო მხრივ, ისიც უნდა აღენიშნოთ, რომ სპექტაკლის მეორეო მიმართულებას, საერთო სტილის შესაბამისად მსახიობთა თამაშშიც კომედირ-კომედიალური განხიზრა მიიღო და მათ შესრულებაში ჰარადი, უფრო მეტად, ვიდრე სატირიული გროტესკი, შეიტირა, შარგი, ბურლესკი, ბუფონადა, არლენინადა, რაც აბსოლუტურად არ არღვევს სპექტაკლის საერთო „ტიონალობას“.

ასევე, მხოლოდ კომიკურ პლანშია „გახსნალი“ აზღავის როლი რამაზ ჩხეკვიას როლი — შიძლება ბრეტის რომელიმე ორიოდოქსული მიმდევარი არ დავთახნბის მას და რეჟისორს აზღავის როლის ავარი ინტერპრეტაციისში, მაგრამ ის, რაც მათ მიზნად დაისახეს, ბოლომდე უზადლოდა ხორცშესხმული. ჩხეკვია-აზღავის გონებაშახილობა და ენამისწრებულობა (ზოგჯერ ნორმოვიზაციუ-

ლიც), მისი ირონია სხვების მიმართ საყარნავალო თიერვერკად ელვარებს სცენაზე.

ბუფონადული მანერით ასრულებს გურამ საღარაძე ეფერეტირის როლს (ერთ-ერთი გდრ-ელო თეატრკოდენის აზრით, საღარაძე-ეფერეტირი მეტრსმეტად „სიმამთიურია“), ხოლო ყაზბეგისა და ბერის განსახიებებისას იგი სატირიულ გროტესკს მიმართავს და საერთოდ მის ამ მსახიობულ „სამასახიებნაში“ თავისი აქტიურული ნიჭის მოულოდნელ შესაძლებლობებსა და წახანაგებს ამკლავებს. ყაზბეგე-საღარაძე ამაზრუნენი და საშეშია; საღარაძე-ბერი ცინიკოსია, თუმცა კარგად იცის საკუთარი თავის ფსი და შეფარული თვითირონიით საკუთარ სიმდაბლუზე ამკლავებს ახერხებს, საღარაძე — ეფერეტირი თითქოს გარეწარია, მაგრამ „სიმამთიური“ გარეწარია — მისი გარეწარობის თითქოს არ გვეყრა და მისი არც „გვეშინია“. ასევე „სამასახიებნად“ მოგვევლინა კახლი საკანდელიძე ამ სპექტაკლში: ბოლომდე ამაზრუნენი, ადამიანობისაგან დაღლილი, ტატიური ბრეტული პერსონაჟია იგი მეტრსმეტე ვლუხის როლში; თავისებური თეატრალური, ბურლესკული მინიატურის პირდაპირ შედეგის ქმნის იგი ლამზირა ჩხეიძესთან ერთად გაყარის მოსულ სცენურული მოხუცი ცოლ-ქმრის როლში; მეტრსმეტად გაშარებულთა საკანდელიძისა და რეჟისორის მიერ მტარვალი, სახეფათო, მრისხანე დღიე მთავრის ჯანდიერის სახე, რომელსაც რადომლაე კობიზმის შექმნის მიზნით გარეწული მომოსტესტულიერი ნიშნები მიეყრება. „ორსახიენიანია“ სპექტაკლში ჯემალ დღანაძე: ბრწყინვალია იგი გრუშეს ძმის, ლავრენტის როლში. ორიგინალურია და სპექტაკლის საერთო სტილს შეესაბამება ღღანაძისეული როლის შესრულების „ქერეოვგრაფიული“ მანერა, როლის ტემპით, ავგნებით შესრულება. ერთი მხრით, ცოლის ყურბოქირილი მონა, „გამოქერილი“ ქმარი, ცოტა მახიბსტური მადრეკლებელი რომა აქვს და, მეორე მხრივ, სხვების მიმართ დაუნდობელი „მშველი, ცოლის ვულის მოსაგებად ღვიძლ დასაც რომ გაიმეტებს ძალღიებით ვართ ვასაგდებად. დიდებული რეჟისორულ-მსახიობური მივგებაა ჯემალ ღღანაძის მიერ და ქართული ცეკვის თანხლებით გათხოვება. ლავრენტის როლის ღღანაძისეულ შესრულებაში ვე ვგედავ, ერთი მხრით, ცხადია, კომიკურ პლანში, ქართული პლასტიკურობის, გრაციულობის გამოვლენას, ხოლო მეორე მხრივ შეფარულ ირონიას ქართული კულაბზიკობის, თავმომწონებობის, ბაქიაობისა და „ბრეტის“ მიმართ.

რაც შეეხება მამამთილის როლს, ის თითქოს იჩრდილება და ხუნდება ლავრენტის როლიდან შედარებით — მე მგონია, ღღანაძე მამამთილის როლში ვერ პოულობს ახალი, ორიგინალურ გამომსახველ საშუალებებს. მოლონადე რეჟისორისა და მსახიობ ეანრი ლოლაშვილის გამოძერწილია მთხრობელის, წამყვანის სახეც, რაც ბრეტის პიესის მომღერლის არაკად ჩეიბის (ჩეიბის) სრული მეტამორფოზის შედეგ წარმოადგენს. ლოლაშვილ-წამყვანის არა თუ დისონანსი არ შეავსს სპექტაკლში, არამედ თავისებურად ამთლიანებს და კრავს მოქმედებას და პიესის ორი მთავარი მოტივი — გრუშესა და აზღავის მოტივები თითქოს საბოლოოდ მისი მეშვეობით ხუნდებიან ერთმანეთს. მთხრობელი იწვევს სპექტაკლს, შემდეგ ვანუწყვეტლივ, უწყვეტად ჩართულია სცენურ



ქმედებაში, ზოგჯერ გვერდზე გადავბა და ობიექტური დამკვირვებლის პოზიციას ირჩევს, და ბოლოს — ისევ მთხრობელი ამთავრებს, კრავს სპექტაკლს. მაგრამ მთხრობელი მოქმედების მონაწილე არ არის და მათურზე-ღერ მისდამი ნეიტრალურია. ამ როლში კიდევ ახალი ფერებით ავლენდა ქანრი ლოლაშვილის თვითყოფადი ნიჭი.

ჩემთვის სასიამოვნო აღმოჩნა იყო ვია ფერაძის აქტიურული ნიჭის კომპიური ასპექტი: მას თავისი როლი ბუფონადისა და ბურლესკის „ბეწვის ხიდზე“ მიჰყავს, საქმარისია კიდევ ოდნავი ვადაპარება და იოსების (დედნის: იუსუპოვი) როლის შემსრულებელი ცირკის კლოუნის სფეროში შეიჭრებოდა, მაგრამ ვია ფერაძე ამ ხიფათს ოსტატურად ირიდებს და მისი მხიარული „არღუენადა“ არსად თვითმიზნური არ ხდება, ყველგან თან ახლავს აზრობრივი, შინაარსობრივი დეტაირთვა.

ლამაზ, მაცდუნებელ, მაგრამ დემონურ, ვამპირ-ქალს ანსახიერებს მარინა თბილელი ნათელა აბაშვილის სახით: თბილელის დამოკიდებულება აბაშვილისადმი მუდამ კრიტიკულია, დისტანციურებული, პაროდიული. მსახიობი ასახიერებს უსულგულო დედას, მშობელს — რომლისთვისაც შვილი საშუალებაა და არა მიზანი, თავისებური „საქონელი“, სასარგებლო, მომგებიანი ნივთი და არა ღვიძლი ცოცხალი არსება, საყუთარი სისხლი და ხორცი, მარინა თბილელს ჩვენს თვალწინ ახსურადმდე დაჰყავს ადამიანთა შორის რაციონალური, ანგარიშიანი დამოკიდებულება. მარინა თბილელმა ამ როლით მკაფიო სტრიქონები ჩაწერა ქართულ ბრეტანაში.

ტიპიური ბრეტული პერსონაჟია ლეილა ძიგრაშვილის მიერ განსახიერებული იოსების დედა — იგი „პუბლებურ“ დონეზე იმერებს ნათელა აბაშვილის მოტვის: მისთვისაც შვილი საქონელია, ყიდვა-გაყიდვის ვაჭრობის ობიექტი. ძიგრაშვილის განსახიერების მანერაში ბურლესკს ჭარბობს სატირული გროტესკი. დედა-ძიგრაშვილი იმდენად ამხარზენია, რომ კომიკურ ეფექტს არ იწვევს, კვალიფიკურ მათურებელს არ ეცინება მასზე მისი ვაისიგან განსხვავებით.

იზა გიგოშვილის გრუმე ვაჩანაძე (დედნის: ვახანაძე) ბოლოსათვის იმიტომ შემოვიჩნახეთ, რომ მას პიესისა და სპექტაკლშიც თვისობრივად განსხვავებული, განსაკუთრებული ფუნქცია აქვს: ის არის სულიერად მახინჯი, უყუთური ადამიანების ამ „პანდემონიუმში“, „ავსულთა“ ამ სამყოფელში თითქმის ერთადერთი ნათელი ფიგურა, ნათელი ადამიანი.

გიგოშვილის გრუმეს შემოაქვს „ჯოჯობეთში“ სინათლე, ჰაეროვნება, სწომინდე, პოეტურობა, ლირიკულობა, გულითადობა — ის თითქოს თავის გარშემო წმენდს არა ადამიანობით, ვერაგობით, ბოროტებით, დამძიმებულ ატმოსფეროს. მას თითქოს თბილედ არ ეკარება ცხოვრების ჭუჭუყი და სიმდაბლე.

ერთმა გდრ-ლმა თეატრმცოდნემ აღნიშნა, რომელსაც გრუმეს როლის პირველი შემსრულებელიც ენახა, რომ ანგელიკა ჰურეცი უფრო მოწიფულ ქალს, დედას, დარბაისელ მატრონას თამაშობდა, ხოლო იზას გრუმე გაცილებით ჰაეროვნაია, პოეტური, ქალწულმებრივი და ლირიკული.

ჩემის აზრით, ბრწყინვალეა ვაგი მესხიშვილის ნახტაკი კრობა. მუწწი, ასტრაქტული, პირობითი, დიდი ტექსტურული და გემოვნებით შესრულებული, მთლიანად თავისუფალი ენოგრაფიზმისაგან. უნდა ვიღიარო, რომ რ. სტურუას „კავკასიური ცარკის წრის“ აქტის პირველ ეტაპზე ბრეტის ორთოდოქსული მიმდევრის პოზიციასზე ვიდეკი და სპექტაკლისათვის შეუფერებლად მივიჩნევი გ. ყანჩიელის მუსიკასა და ი. ზარეციის ქორეოგრაფიას (იხ. „ცოცხალი“, №11, 1976). მაგრამ თანდათან ემოციურად აღვიქვი და დავერწმუნდი, რომ რობერტ სტურუასეულ ინტერპრეტაციას სწორად ასეთი მუსიკა და ქორეოგრაფია შეეფერებოდა — პაულ დესაუს დისონანსებისა და გროტესკულობის შემცველი მუსიკა შეუფერებელი აღმოჩნდებოდა უპირატესად კომედური განხრით წარმართული და მიუზიკლს მიახლოებული სპექტაკლისათვის.

რ. სტურუას სპექტაკლი ერთ მთლიანობას წარმოადგენს — იგი უნდა მივიღოთ ისეთი, როგორც არის, ერთი კომპონენტის ამოღება ანდა შეცვლა კი მთელის დაშლას გამოიწვევდა.

...შეიძლება, რასაკვირველია, რობერტ სტურუას სპექტაკლს გაკრიტიკება მიმეტური, ილუზიური, ყოფითორეალისტური თეატრის ანდა ბრეტული ორთოდოქსის პოზიციებიდან (ე. ი. მიახლოებით და პირობითად რომ ვთქვათ, კრიტიკა მარჯვნიდან და კრიტიკა მარცხნიდან), მაგრამ, აღბა, ვერავენ ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ რობერტ სტურუას ეს სპექტაკლი ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ეტაპის, ახალი სტადიის დაწყებას მოასწავებს.

ქართული რეჟისორის დიდი გამარჯვებაა, რომ მან ახალ თეატრს მრავალი მათურებული მოუპოვა, რომ მან მთელი თავისი რეჟისორული შემოქმედებით ახალი მათურებელი აღზარდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ თეატრში ანალოგიური ცდები მანამდეც იყო. მაგრამ ყველაფერი ეს ცალკეული ელემენტებისა და ტენდენციების დონეზე დარჩა და მათ დასრულებული სრულქმნილი სახე ვერ მიიღეს და ახალ თვისობრიობაში, ახალ ხარისხში ვერ გადავიდნენ. ზოგ შემთხვევაში ეს იყო მოდისადმი მხოლოდ ხარკის გაღება, ახალ გამოსახილველ საშუალებათა თვითმიზნური, სნობისტური გამოყენება, რაც არ გამოიღწიარებოდა თვით დრამატურგიული მასალის შინაარსიდან.

სწორედ რობერტ სტურუაში სრულქმნა, ჩამოყალიბდა და დაგვირგვინდა, ცხადია, ქართულ ნიადაგზე, ახალი თეატრალური მსოფლმხედველობა და მეთოდი. „კავკასიური ცარკის წრის“ სპექტაკლში ჩვენ უკვე თვისობრივი ნახტომის მოწამენი შევიქენით.

# ს ა ხ ა ლ ხ ო ა რ ტ ი ს ტ ი

## გიორგი ტატიშვილი

საქართველოში არ მეგულება ადამიანი, ვახტანგ ნინუას რომ არ იცნობდეს. ყველას უყვარს, ყველა პატივს სცემს, მის დანახვაზე ყველას სიხარულის ღიმილი ეფინება სახეზე, მის გამოჩენას სცენაზე მხურვალე ტაშითა და მხიარული შემახილებით ეგებება მაცურებელი, მის მიერ შექმნილი სახეები თეატრში თუ ეკრანზე დიდი ხანია ხალხის კუთვნილებად იქცა. დიდია მისი დამსახურება მშობლიური ხელოვნების წინაშე. 35 წელია ამშვენებს მარჯანიშვილის თეატრს მისი ხალასი კომიკური ნიჭი!

...1945 წლის შემოდგომაზე მარჯანიშვილის თეატრში მოვიდა ახალგაზრდა მსახიობი, მაღალი იყო, გამხდარი, აწონილი, ერთი შეხედვით, თითქოს მსახიობის არაფერი ეცხო, მხოლოდ თვალები... თვლებში რაღაც ეშმაკური ნაპერწკლები უციმციმებდა, რომ შეხედავდი, უნებლიედ გაგელიმებოდა კინოსტუდიის სამსახიობო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და რამდენიმე ფილმში ეპიზოდური როლები შესრულებინა.

პირველად სპექტაკლ „დავით აღმაშენებელში“ სახალხო სცენაში თავი არაფრით გამოუჩენია... მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მიდიოდა „კოლმეურნის ქორწინება“, მეორე მოქმედებაში ხარიტონის (გ. შავგულიძე) მონოლოგის შემდეგ ახალბედამ ისე შეჰკვივლა და შემოჰკრა ტაში, რომ მაცურებლის ერთსულოვანი რეაქცია გამოიწვია, სპექტაკლს უყურებდნენ შ. ლამბაშიძე და ს. ჟორჯოლიანი. „ნიჭიერი კაცი მოვიდა თეატრში“, — თქვა შ. ლამბაშიძემ. „გამოდგება, ნამდვილად გამოდგება“, — კვერი დაუკრა ს. ჟორჯოლიანმა.

კ. მარჯანიშვილის თეატრში მაშინ მოღვაწეობდა ქართული საბჭოთა თეატრის ბრწყინვალე აქტიორთა პლეადა. ეს მათ შექმნეს ჩვენი თეატრის დიდება და რესპუბლიკის გარეთ გაიტანეს. ისინი მკაცრნი იყვნენ, მაგრამ სამართლიანი. მათ ხელგაშლილად მიიღეს ნიჭიერი ახალგაზრდა თავიანთ კოლექტივში და დიდ შემოქმედებით ასპარეზზე გამოიყვანეს. ვ. ნინუას დაეკისრა დათვიოს როლი ოლიას „კაცია-ადამიანში?“ (რეჟისორი ვ. ყუ-

შიტაშვილი), მცირე ხნის შემდეგ კი ბელადის როლი ითამაშა ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელში“ (რეჟისორი გ. დენინაშვილი). აღსანიშნავია, რომ ორივე სპექტაკლში ვახტანგი დიდი ვასო გოძიაშვილის პარტნიორი იყო. ბელადის როლში ვ. ნინუა ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში და დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა მასურებელს. როლს როლი მოჰყვა, წარმატებას წარმატება, სერ ენდრიო ემჩი—შექსპირის „მეთორმეტე ღამე“ (რეჟისორი რ. ჩაიურელი) კუკური— ვ. გაბესკირიას „უფსკრულთან“ (რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე (ბუბუტი — კ. კალაძის „ლალი“ (რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ორი შესანიშნავი სახე, რომლებიც სამართლიანად შევლენ ქართული საბჭოთა თეატრის ოქროს ფონდში. ორივე სახე რეჟისორ ლილი იოსელიანთან შემოქმედებითი თანამშრომლობით შეიქმნა: სანდალა (ვ. გაბესკირიას „გაზაფხულის დილა“) და გაიოზ ხავთასი (რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“). ამ ორ როლში გამორჩნდა ვ. ნინუას მდიდარი შემოქმედებითი შესაძლებლობა, მისი დიდი დიაპაზონი. ვ. ნინუა მკვეთრად ჩამოყალიბებული კომიკოსია და, თითქოს, რადიაპაზონებზე შეიძლება იყოს ლაპარაკი!

საქმეც ისაა, რომ ამ კომიკოსს დრამატული ნოტებიც უხვდა აქვს და თუ

„რაიკომის მდივანში“ იგი დაუნდობლად ამითრახებს შემთხვევით დანინაურებულ პარტიულ მუშაკს, მის გონებაზეზღუდულობას, ყოყოობას, სიბრყველს, სამაგიეროდ სანდალა — სცოდავი, პატიოსანი, არაპრაქტიკული ადამიანი, კეთილი და სათუთი მასურებლის დიდ თანგრძნობას ინვევდა, („რაიკომის მდივანში“ პრემია მიიღო როლის საუკეთესო შესრულებისათვის). დიდი წარმატება და აღიარება ხვდა ვ. ნინუას ჯემალას როლში (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი). ამ როლით მან რამდენიმე ქალაქში ჩაატარა გასტროლები და კინო-ფილმშიც მიიღო მონაწილეობა. მსახიობის ყოველი რეპლიკა, ყოველი მოძრაობა ისეთი გულწრფელი, უშუალო და კომიზმით აღსავსე იყო, რომ მისი სცენები გაუთავებელ სიცოცხლარხარში მიდიოდა.

ცალკე უნდა გამოვყოთ მისი დახუნდარა ტურაბელიძე კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“. ეს მეტად დასამახსოვრებელი და კოლორიტული სახეა. ამ როლში გამოჩნდა ვ. ნინუას კიდევ ერთი თავისებურება: თვით ზნედაცემულ, თითქოს საბოლოოდ დაღუპულ და გახრწნულ ნადაიკენარშიც აღმოაჩინოს რაღაც ადამიანური, საკუთარი სიბოთი გაათბოს და გააკეთილშობილოს.



კლარი ფილმიდან „განაჩენი“. ვ. ნინუა — ახმახი.

ვ. ნინუა — დახუნდარა („კოლხეთის ცისკარი“)

ვ. ნინუა — სანდალა („უფსკრულთან“)

ვ. ნინუა — პარმენ კამკამიძე („როცა ქალაქს სძინავს“)

ვ. ნინუა — აპრაქუნე („აპრაქუნე კომედი“),

1972 წელს მოსკოვსა და ლენინგრადში წარმამატებით ჩატარდა მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები. გამარჯვება ხვდა წილად ნ. გოგოლის „ქორწინებასაც“, რეჟისორი დ. აღუესიძე, სადაც ვახტანგი ვევაკინის როლს ასრულებდა. პრესაში და გასტროლების შემაჯამებელ განხილვაზე გამოსულნი ერთხმად აღიარებდნენ, რომ ვ. ნინუა ნამდვილად გოგოლის რეპერტუარის მსახიობია, რომ მას აქვს უნარი ღრმად ჩასწვდეს გოგოლის გმირებს, მათ „ცრემლნარევ სიცილს“ და დამაჯერებლად მოიტანოს სცენაზე. ეს შეფასება ვ. ნინუას შემოქმედების დიდი აღიარება იყო.

მრავალი შესანიშნავი სახე შექმნა ვ. ნინუამ მარჯანიშვილის თეატრში — გავისხენებ კიდევ რამდენიმეს: ნესტორი (რ. თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი“) I კაცისმკვლელი (შექსპირის „რიჩარდ მესამე“), სანდრო (მ. ბარათაშვილის „მარინე“), ჯაბულო (გ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი“), ფირან განგია (ა. ზაკისა და კუზნეცოვის „ორი ფერი“), ილიკო — (ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), ბენედიქტე („მე ვხედავ მზეს“), ლეონატო (შესპირის „აურზაური არაფრის გამო“), პეტრე (რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“), დიდი ყაჩაღი (ა. გენაძის „ყარამან ყანთელაძე“), გვანჯ აფაქიძე (კ. გამსახურდიას „მთვა-





კადრი ფილმიდან „რაც ვინახავს ვეღარ ნახავ“.

ვ. ნინუა — ქვიშა „შიაა წინეთელი“



რის მოტაცება“), კონია (შ. დადიანის „გუ-  
შინდენლი“), აპრაკუნე (ი. ვაკელის „აპრა-  
კუნე“), გოსტაშაბი (პ. კაკაბაძის „კახაბე-  
რის ხმალი“), პარმენი (ალ. ჩხაიძის „რო-  
ცა ქალაქს სძინავს“). ამ როლმა მიიღო  
თეატრალური საზოგადოების პრემია მა-  
მაკაცის როლის საუკეთესო შესრულები-  
სათვის), რუბენ მინდელი (კ. ბუაჩიძის  
„ეზოში ავი ძაღლი“) და მრავალი სხვა.  
ყოველი მისი როლი გამოირჩევა ადამი-  
ანურობით, მაღალი პროფესიული ოსტატო-  
ბით, ცხოვრების ღრმა ცოდნითა და დაკ-  
ვირვებით, გულწრფელობით, მიმზიდვე-  
ლობით, შემართებითა და ტემპერამენტით,  
ხალასი, კამკამა იუმორით!

თავისი ნიჭის მაღლი ვახტანგ ნინუამ კი-  
ნოხელეონებაშიც შეიტანა, კინოში მას  
50-ზე მეტი როლი აქვს ნათამაშებში. რომე-  
ო ერთი ჩამოვთვალოთ, თუნდაც მოურავი  
(„პალიასტომის ტბა“), თავადი („რაც  
ვინახავს, ვეღარ ნახავ“), შაქრო („ჩრდილი  
გზაზე“), შოთა („ქალიშვილი ხიდობნი-  
დან“), ხაფიჩია — („ბედნიერი შეხვედრა“),  
ლეგანი („მწვერვალთა დამპყრობნი“),  
პროფესორი ლორთქიფანიძე („ორი ოკეა-  
ნის საიდუმლოება“) ახმახი (განაჩენი“),  
პარმენი („ლიმილის ბიჭები“), ნიკოლოზი  
(„უდიპლომო სასიძო“), ტერენტი უკლება  
(„გლადიატორი“) და მრავალი სხვა.

ვ. ნინუას დიდი ღვაწლი მიუძღვის ესტ-  
რადის წინაშეც, კონცერტებით შემოვლი-  
ლი აქვს მთელი საქართველო, მისი ყოვე-  
ლი კუთხე-კუნჭული. მსახიობის გამოჩენა  
ყოველი რაიონის მშრომელებისათვის ზეი-  
მია.

ბედნიერია შემოქმედი, ვისაც აქვს უნა-  
რი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს მა-  
ყურებელს, წარბშეხრილს გული გაუხსნას,  
ცხოვრების ხალისი და ხვალინდელი დღის  
რწმენა ჩაუნერგოს. ასეთი ბედნიერი კა-  
ცია სახალხო არტისტი ვახტანგ ნინუა,  
ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახი-  
ობი საქართველოში, უტყუარი და უღალა-  
ტო, კაცური კაცი, იუმორითა და სიკეთით  
აღლავსე ადამიანი!


# ქორეობრაუი

## ალექსანდრე ღაკასხელიძე

მიხეილ ჩირინაშვილი

**ქართველი** ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცეკვის ხელოვნებას, რომელიც ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე და რომელშიც მალაღმბატურული განსახიერება ჰპოვა ქართველი კაცის ზნეობრივმა თვისებებმა, ადათ-წესებმა, ჩვენი ქვეყნის გმირულმა წარსულმა, მისმა ისტორიამ, ეთნოგრაფიამ, რომანტიკულმა მსოფლშეგრძნებამ... ცეკვა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების სარკედ იქცა ისევე, როგორც ჩვენი დიდებული სიმღერა-საგალობლები.

ჩვენს ხელთ არის უმდიდრესი ქორეოგრაფიული მემკვიდრეობა, ალბეჭდილი ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, ეროვნული თვითმყოფადობით, პლასტიკური სინატივითა და ხატოვნებით... ქართული ხალხური ცეკვებიდან გამოსჭვივის რაინდული სული და ვაჟკაცური შემართება, გრძნობათა პოეზია და კეთილშობილება... ცხადზე უცხადესია, რომ ამ უნიკალურ კულტურას, მის ტრადიციებს სჭირდება მოვლა-პატრონობა, დაცვა, განვითარება. მაგრამ ეს პროცესი ყოველთვის სწორედ და მართებულად არ მიმდინარეობს, თუმცა ხალხურ საცეკვაო შემოქმედებას ჰყავს მრავალი გულშემოტიკვიარი, ჩვენ ვიცნობთ ამ საქმის ჩინებულ სპეციალისტებს, რომლებიც თავდადებით, უანგაროდ ემსახურებიან მშობლიურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას, მნიშვნელოვანი წვლილი შეუქმნენ მისი ტრადიციების პოპულარიზაციასა და პროპაგანდაში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ქორეოგრაფი ალექსანდრე დაარახველიძე, რომელსაც ახლახანს 50 წელი



შეუსრულდა. მისი ოცდაათწლიანი მოღვაწეობა მშობლიური კულტურისადმი პატრიოტული დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია.

ალ. დაარახველიძის ბავშვობიდანვე გამოჰყოლია ქართული ხალხური ცეკვების სიყვარული. იგი დღესაც დიდი პატივისცემით იგონებს მოცეკვავეთა წინა პლედას. რომელმაც გაუღვიძა მას ქორეოგრაფიული ხელოვნებისადმი ლტოლვა და ინტერესი. მათი წყალობით ა. დაარახველიძე 1943 წელს ჩაირიცხა თბილისის პიონერთა სასახლის ქორეოგრაფიულ წრეში, სადაც მისი პირველი მასწავლებელი იყო ცნობილი ქორეოგრაფი — პედაგოგი ანტონ ჩიხლაძე, რომელმაც მას ქართული ხალხური ცეკვის საწესები ასწავლა. ამ ღვაწლმოსილ ადამიანს ა. დაარახველიძე ყოველთვის დიდი მადლიერებით იხსენებს.

ალ. დაარახველიძის შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო 1944 წელს, როცა იგი მოცეკვავედ ჩაირიცხა საქართველოს კულტურის ცენტრალური სახლისა და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ქორეოგრაფიულ კოლექტივში, რომელმაც იმდროისათვის უკვე სახელმწიფო ქორეოგრაფი რომან ჭოხონიძე ხელმძღვანელობდა.

1947—48 წლებში ალ. დაარახველიძე შემოქმედებითად დაუკავშირდა სახელმწიფო ქორეოგრაფს, საქართველოს სახალხო არტისტს ბუხუტი დაარახველიძეს, რომელიც იმ ხანად სათავეში ედგა კოვბაჭრობის კულტურის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს. 1948—50 წლებში კი ა. დაარახველიძე თავის საშემსრულებ-

ლო ოსტატობას სრულყოფდა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ქორეოგრაფები ჯ. ბაგრატიონი და ა. თათარაძე.

ზემოთაღნიშნულ კოლექტივებში, სახელგანთქანი ქორეოგრაფების შემწეობით ა. დარახველიძემ განწყო ნამდვილი სკოლა, დაეუფლა ქართული ხალხური ცეკვების შესანიშნავ ტრადიციებს, მრავალფეროვან პლასტიკურ ილიეთებს. ეს ცოდნა გამოადგა მას ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში, სადაც 1952 — 53 წლებში მოღვაწეობდა. როგორც სოლისტი-მოცეკვავე. ნიჭისა და ოსტატობის წყალობით მან სწრაფად აითვისა საოპერეტო ფანრის სპეციფიკა. განსაკუთრებული წარმატებით ასრულებდა იგი კლ. ხუციშვილთან ერთად, ზანგურ რუმბას, რომელიც მასურებულს ძალიან მოსწონდა.

მაგრამ ა. დარახველიძის მოწოდება მანინც ქართული ხალხური ცეკვა იყო. ამ ლტოლვამ 1952 წელს მიიყვანა იგი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობენ გამოჩენილი ქორეოგრაფები, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი. ამ სახელოვან ანსამბლში ცეკვა ა. დარახველიძისათვის საამაყო იყო, მაგრამ მან აქ ვერ განაგრძო მოღვაწეობა, რადგან სულ ცოტა ხანში იგი განწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. ა. დარახველიძეს არც აქ უღალატია თავისი მოწოდებისათვის. საბჭოთა არმიის მყოფის დროს იგი ქართველ ჩაუდგა სამხედრო ნაწილის ქორეოგრაფულ კოლექტივს და კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რისთვისაც დააჯილდოვდა დიპლომებითა და სიგელიებით.

ა. დარახველიძის დამოუკიდებელი ქორეოგრაფიული მოღვაწეობა დაიწყო 1951 წელს, როცა იგი VII რესპუბლიკურ ოლიმპიადასთან დაკავშირებით გაეგზავნა აბაშაში, სადაც მან მოამზადა კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელმაც ოლიმპიადაზე მეორე ადგილი მოიპოვა. VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე (1954 წელს) ა. დარახველიძემ გამოიყვანა კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც მეორე ხარისხის დიპლომი მიენიჭა. IX რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე კი (1958) თავი აჩვენა ა. დარახველიძის მიერ მომზადებულმა უპუკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, რომელმაც

შემდეგ წარმატებით იმოგზაურა საქართველოსა და ბელორუსიის ქალაქებში.

1957 წელს ა. დარახველიძე საბჭოთა მოცეკვაების ჯგუფთან ერთად გაიგზავნა უნგრეთში, სადაც განსაკუთრებული წარმატება ხვდა ქართველ მსახიობებს, რომლებსაც ლისტის სახელობის მედალი გადაეცათ.

დიდი წვლილი მიუძღვის ა. დარახველიძეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში. მან ქართული ხალხური ცეკვები შეასწავლა თბილისის პირველ და მე-6-ე საშუალო სკოლების მოსწავლეებს, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე. თბილისის პირველი სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა მოიპოვა ოქროს მედალი, მე-6-ე სკოლა კი ვერცხლის მედალი დაჯილდოვდა.

თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ა. დარახველიძის მიერ მომზადებულია მრავალი კოლექტივი (მათ შორის ანსამბლები „ია“, „მერცხალი“, „ჩირაღდანი“ და სხვა), რომლებიც წარმატებით გამოსულან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში — მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, კუბიშევი, რივა, მინსკი, ტაშკენტი, აგრეთვე საზღვარგარეთაც — უნგრეთში, ბულგარეთში, რუმინეთსა და შვეიცარიაში. ა. დარახველიძის კოლექტივები მონაწილეობდნენ ისეთ მნიშვნელოვან საკავშირო თუ რესპუბლიკურ ღონისძიებებში, როგორცაა 1958 წელს მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნების მეორე დეკადე, მოსკოვის საკონცერტო დარბაზის „როსიას“ გახსნა, პრეკავშირების XV ყრილობა, თბილისის სპორტის სასახლისა და დინამოს სტადიონის გახსნა, თბილისის 1500 წლისთავისა და რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ზემიები.

ამ ჩამოთვლიდანაც ჩანს რომ ა. დარახველიძის მიერ აღზრდილია ქართველ მოცეკვავეთა თაობები, რომლებიც ნაყოფიერად მოღვაწეობენ ჩვენი რესპუბლიკის პროფესიულსა თუ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ კოლექტივებში და თავის მხრივაც ანივთარებენ ეროვნულ ქორეოგრაფიულ ტრადიციებს.

ა. დარახველიძე გახლავთ რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატი. მიღებული აქვს წარჩინებული მასწავლებლის სამკერდე ნიშანი.

ნაყოფიერი და ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის ა. დარახველიძის მიენიჭა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაის საპატიო წოდება.

# ქრისტესია ლებანიძე

## იოსებ ომაძე

სამართმევლის სახალხო მხატვრის ქრისტესია ლებანიძის ბოლოდროინდელი ნამუშევარი — კინოფილმ „ინტერგიუ პირად საკითხებზე“ მხატვრობა, ფილმის შემქმნელი ძირითადი კოლექტივის წევრთა ნამუშევართან ერთად, 1980 წლის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა და ეს დიდი დაფასება მეტყველებს 70 წლის ხელოვანის შემოქმედების მნიშვნელობაზე. ქრისტესია ლებანიძის ჭეშმარიტ პროფესიონალიზმს, გემოვნებასა და ალღოს უნდა ვუმადლოდეთ, აგრეთვე, ბევრი სხვა აღრინდელი მხატვრული ფილმის სახეითი მხარის მაღალ დონეს.

ქრისტესია ლებანიძემ მხატვრობისადმი სიყვარული და მისწრაფება ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში გაამყარა. მისი შემოქმედებითი მონაცემების გამოვლენას უთუოდ შეუწყო ხელი იმან, რომ აქ, ხატვის ჯგუფებში, მას ასწავლიდნენ ალექსანდრე მრეკელიშვილი და ბორის ზებუევი. 1926 წელს, სკოლის დასრულების შემდეგ, ქრისტესია ლებანიძე მუშაობდა მზომელად, მუშად, ნახაზების გადამღებად, საღამოობით კი მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში დადიოდა. 1930-1935 წლებში იგი უკვე თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტია. სწავლობს დავით კაკაბაძის, მოსე თოიძის, ეეგენი ლანსერეს, იოსებ შარლემანის, ვალერიან სიდა-

მონ-ერისთავის ხელმძღვანელობით. ერთდროულად სწავლობდა და დაამთავრა აკადემია და საქართველოს „სახეინმრეწვთან“ არსებული მხატვარ-ოპერატორების ექვსთვიანი კურსებიც. აქაც მის დაოსტატებას ხელი შეუწყო ისეთ ხელოვანთა ხელმძღვანელობით სწავლამ, როგორიც იყვნენ მიხეილ კალატოზიშვილი, ალექსანდრე დილმელი, ალექსანდრე ბოლიკევიჩი, პროფესორი ალექსანდრე დიდებულძე და სხვები.

„ფრთოსანი მღებავი“ იყო პირველი კინოფილმი, რომლის გადაღებისას ქ. ლებანიძე ოპერატორ დავით კანდელაკის თანამემუშის მოვალეობას ასრულებდა (რეჟისორი: ლეო ესაკია).

იმავე, 1935 წელს რეჟისორი დავით რონდელი შეუდგა მოსამზადებელ სამუშაოებს კინოსურათ „დაკარგული სამოთხის“ გადასაღებად (სცენარის ავტორები გიორგი მდივანი და დავით რონდელი). დამდგმელ მხატვრად მიწვეული იყო დავით კაკაბაძე, რომელმაც ქრისტესია ლებანიძე აიყვანა ასისტენტად, ხოლო ფილმზე მუშაობის პროცესში იმდენად მოიხიბლა მისი შემოქმედებითი ნიჭითა და პროფესული თვისებებით, რომ ფილმის თანადამდგმლობა დააყარა. შემდგომში მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა მათი მეგობრული ურთიერთობა. დავით კაკაბაძეს უმაღლეს ქრისტესია ლე-

ბანიძე კინომატრობაში მის დაოსტატებს და საერთოდ კინოში შემოქმედებით მუშაობას. 1935 წელს ეურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ № 2-ში გამოქვეყნდა ლებანიძისეული ორი ესკიზი ფილმისთვის „დაკარგული სამოთხე“ (გველა“ და „ლზარია და მამალი“). ეს ესკიზები რედაქციისათვის მიუწოდებია დავით კავახაძეს, რომელმაც, თურმე, წინასწარ არაფერა უთხრა ამის შესახებ ახალგაზრდა მეგობარს.


ქართული კინოკომედიის ამ შესანიშნავ ქმნილებაზე მუშაობა ქრისტესია ლებანიძისთვის მეორე აკადემია იყო. მხატვარი იგონებს: „ბევრი რამ ვისწავლე მომთხოვნი და დისკოლინის მოყვარე დავით რონდელისაგან და ახლაც ვიტყვი, რომ რონდელის სკოლა მაქვს გავლილი —მეთქი. გამოცდილი კინოპერატორი ბორის ბურაკილოვი თვითონაც კარვად ხატავდა და ბევრი საინტერესო კომპოზიცია შექმნა, მრავალი სიახლე შექმნიდა სურათის გადაღების პროცესში... ნატურის გადაღებები წარმოებდა ბაღდადში. იმერეთში ეს პირველი გამგზავრება იყო ჩემი და გამოცა პეიზაჟების საოცარმა დამოხვევამ. დავით კაკაბაძის წამუშევრებთან“. დამწყები კინოხელოვანი ყველსაგან სწავლობდა — მსახიობებისგან, კომპოზიტორ ანდრია ბალანჩიძისგან, რიგითი ხელსნებისა თუ უბრალო იმერული გლეხებისგან, რომელთა გამოიმკვრივლობის უნარი სწორედ რომ გასაოცარი იყო დეკორაციების აგებისას. მაშინ „სახკინოწევი“ არ არსებობდა არც არქიტექტურულ-საკონსტრუქტორო ბიურო და არც სამუშაოთა მწარმოებლები თუ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. თვით ქრისტესია ლებანიძეს მოუხდა თავისი ესკიზებისა და ნახაზების მიხედვით დეკორაციის („აზნაურთა გაპარტახებული სახლი“) მშენებლობის ხელმძღვანელობა. პრაქტიკული გამოცდილება მას შემდგომ-

ში ეხმარებოდა მეტად რთული დეკორაციების აგებაში.

დღემდე ქრისტესია ლებანიძემ ოთხ ათეულზე მეტი ფილმის შექმნაში მიიღო მონაწილეობა. ყოველ მათგანზე მუშაობა თავისებურებით ხასიათდებოდა, ახალ-ახალი შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტას მოითხოვდა, თუმცა ზოგიერთი ფილმი მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისთვის.

„დავით გურამიშვილზე“ მხატვარი ცნობილ ხელოვანთა გვერდიგვერდ იღწურა. სცენარის ავტორები იყვნენ პოეტი სიმონ ჩიქოვანი, კ. ორლოვი, ნიკოლოზ სანიშვილი და იოსებ თუმანიშვილი; დამდგემლი რეჟისორები — ნიკოლოზ სანიშვილი და იოსებ თუმანიშვილი, ოპერატორი — დიმიტრი ფილდმანი, კომპოზიტორი — ანდრია ბალანჩიძე, ფილმის კონსულტანტი იყო ნიკო ბერძენიშვილი. ამ რთულ ისტორიულ-ბიოგრაფიულ სურათზე სამუშაოდ დამდგემლ ხატვრებთან — ქრისტესია ლებანიძისთან, ლეო მამალაძესა და ა. უტკინთან ერთად კონსტუმების მხატვრულ მიწეული იყვნენ თამარ აბაყელია, ნინო მანჯგალაძე და ე. ელიკოვი. ფილმი მოქმედება მრავალ ადგილას წარმოებდა. განსაკუთრებით რთული გადასაღები იყო ეპიზოდი „გახტანგ მეფის გემებით გავლა ასტრახანში“. მკვინეარებდა სამაშულო ომი. ამიტომ იძულებულნი იყვნენ ეს ეპიზოდი ჭალადიღში, რიონზე გადაედით. ქრისტესია ლებანიძის ხელმძღვანელობით, თანამედროვე პატარა გემებისა და კატარღების მორთვით XVIII საუკუნის იალქნაჩი გემების მთელი ფლოტილა შექმნეს და მაშინდელ პირობებში ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა წარმატებით დაძლიეს.

ომის შემდგომ, ორმოციან წლებში, ქრისტესია ლებანიძემ რამდენიმე ფილმზე იმუშავა: 1946 წელს — რეჟისორ გიორგი მაკა-



როვთან ერთად კინოსურათზე „მანანას მოტაცება“, ნადეჟდა ქურდიანთან თანამშრომლობით გააფორმა მან „ბედნიერი შეხვედრა“. (რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი, ოპერატორი დავით კანდელიანი).

ათზე მეტი წლის განმავლობაში (1962 წლამდე) ქრისტესია ლებანიძე თითქმის მხოლოდ სამეცნიერო-პოპულარული ფილმების გაფორმებაზე მუშაობდა. ამ დარგში იგი ახალბედა როდი იყო — ჯერ კიდევ ომამდ რეჟისორმა ამირან გაბუნია მიიწვია „საქართველოს ძეგლების“ (სცენარის ავტორი ერასტი სუბატაშვილი) მხატვრად. ფილმი გადაიღო ოპერატორმა ბორის ბურაღლიოვმა, მუსიკა ეკუთვნოდა კოტე მელიქიანისთვის. სურათის შექმნის პროცესში მხატვარმა გადაიღებ ჯგუფთან ერთად მოიარა მთელი საქართველო, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე ბეთანიის ფრესკებმა, ვარძიამ და სხვა ხუროთმოძღვრულმა ძეგლებმა. ფილმის კონსულტანტებთან, ივანე ჯავახიშვილთან და სიმონ ჯანაშიასთან ურთიერთობა დაუვიწყარი დარჩა ახალგაზრდა მხატვრისთვის.

ოცი სამეცნიერო-პოპულარული ფილმის შექმნაში მიიღო მონაწილეობა მხატვარმა. ენერჯულად და თემატურად მრავალფეროვან კინონაწარმოებებზე მუშაობა აფართოვებდა შემოქმედის თვალსაწიერს, ხვეწდა მის გემოვნებას, უფითარებდა გამოცდილებას. ამ კინონაწარმოებებს შორისაა საწარმოო თემატიკისადმი მიძღვნილი („მალი ძაბვა“, „ერთ დეპოში“, „სიგნალიზაცია“), სოფლის მეურნეობის ამსახველი („მევენახეობა“, „მებაღეობა“, „საქართველოს ციტრუსები“, „საქართველოს მეჩაიეები“), ფილმი-კონცერტი („მუსიკალური მოგზაურობა“), ფილმი მეცნიერულ პრობლემებზე („აღბეჭდილი აზრი“, „დარტყმა ღრუბლებზე“), მიმოხილვითი ხასიათისა თუ ხედვითი სურათები




კინოფილმი „ჩემი მეგობარი ნოდარი“. დეკორაციის ესკიზი.

კინოფილმი „რამდენიმე ინტერესუ პირად საკითხებზე“. დეკორაციის ესკიზი.

კინოფილმ „მთვარის მოტაცების“ დეკორაციის ესკიზი.

კინოფილმ „ლონდონს“ დეკორაციის ესკიზი.



(„საქართველო დღეს“, „თბილისის 1500 წელი“). განსაკუთრებული ვატიკები მუშაობდა მხატვარი ხელნაწერებისადმი მიძღვნილ ფილმებზე („სვეტიცხოველი“, იაკობ ნიკოლაძე“, „ოკტე მარჩანიშვილი“, „ქართული ლითონმშენაკვებლობა“). 1959-1962 წლებში იგი საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და ქარბრაკალურ-დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის მთავარი მხატვარი იყო.

1962 წელს ქრისტესია ლუბანიძე უბრუნდება მხატვრულ კინემატოგრაფს. — დიმიტრი თაყაიშვილთან ერთად მხატვრულად აფორმებს კინოფილმს „თეთრი ქარაიანი“. დიდი შემოქმედებით სიხარული მოუტანა მას ნიჭიერი ახალგაზრდებთან თანამშრომლობამ. — სცენარის ავტორთან მერაბ ელიოზიშვილთან, რეჟისორებთან — ედილარ შენგელაიასა და თამაზ მელიავესთან, ოპერატორებთან — ლუონიდ კალაშნიკოვსა და ვიორჯი კალატოზიშვილთან, კომპოზიტორ ირაკლი გვაქაძესთან.

სურათის ავტორებმა ფილმის ქანრი განსაზღვრეს როგორც კინომოთხრობა. ყოველი უბრალოდ, შეუღლამაზებლად ვადმოცემა, ფსიქოლოგიური კოლოზიების უშუალოდ, მეცხვარეთა ხასიათების სიმართლით გამოკვეთა ახასიათებს ამ ნაწარმოებს, რომლის ერთიანი სტილისტიკა, მეტყველი სახიერება მთელი შემოქმედებითი კოლექტივის ურთიერთგაგების ნაყოფი იყო.

ქრისტესია ლუბანიძის ესკიზები ფილმებისათვის ცხადყოფენ, რომ მხატვარი ისწრაფვის — ყოველ ფილმს მოუწახოს მისი ქანრის შესატყვისი სახებით გადაწყვეტა, რომელიც შენასატყვისება კინონაწარმოებში ასახავს ეპოქის ხასიათს, მოქმედების ემოციურ ატმოსფეროს, მოქმედ პირთა ინდივიდუალობას, ურთიერთდამოკიდებულებას. ყოველი კონკრეტული ფილმის ესკიზები ხასიათდება სტილური მოლიანობით, სხვა ფილმების ესკიზებისგან მკვეთრი განსხვავებულობით, რამდენადაც მოძიანობა სახეობრივ-იდეური გადაწყვეტის სხვადასხვა, ინდივიდუალური „ვასალები“. მიმავალი სურათის შინაარსში ღრმად და ყოველმხრივ წვდომის რთული და ხანგრძლივი პროცესის დროს მხატვარი გველენება როგორც მკვლევარი, რომლის ძიებანი მოიცავს ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს. იგი პირველი „დავამს“ ფილმს — წარმოსახვით ქმნის სამოქმედო სივრცეს, აყალიბებს მოზანცენებს, არჩევს ვანათეპას და ვადანებს წერტილებს სხვადასხვა რაჟარსში და ა. შ. ვადანები ვაჯუფის სხვა ვაჯუფის წერებთან აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობით ესკიზების სერიაში მხატ-

ვარი საბოლოოდ ირჩევს მიმავალი ფილმის სახით გადაწყვეტას.

ესკიზებში მხატვარი ვაურბის ნატურალისტიკურ სინუსტეს, მისთვის მთავარია შთამბეჭდავად, „კონცენტრირებულად“ ასახოს ფილმის ზოგადი იდეაც და კონკრეტული ეპიზოდის ატმოსფეროც, მოქმედ პირთა ვაწყობა. რასაკვირვოა, უშუალოდ დეკორაციების შექმნისას იგი ესწრაფვის რაც შეიძლება ზუსტად ვადმოსცეს მასალის ფაქტურა, მიღწევის ვარემოს ბუნებრიობას, ნატურალბას. ნახატებში ვათვლისწინებულობა და შერწყმული ტექნიკური და მხატვრული ამოცანები — მხატვარი არ ივიწყებს, რომ მათ საწარმოო დანიშნულებაც აქვთ. ამასთან, რა ქანრის ფილმზეც უნდა მუშაობდეს ქრისტესია ლუბანიძე, მის ესკიზში, რომელიც ხშირად საშუალო ზომის დახვეწი სურათს წარმოადგენს, მუდამ ვადმოსტეივის პოეტურობა, თვითი, ჩანაფიქრით შემოქმედებითი ვატიკება, რაც ნიშანდობლივია მისი წინამოსამახლებელი კინონაწარმოებებისათვის.

1965 წელს ვერანებზე ვამოვიდა მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მიქელა“, ვადანებულ დავით კლდიაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით (სცენარის ავტორი და რეჟისორი ედილარ შენგელაია, ოპერატორი ალექსანდრე რეხვიაშვილი, კომპოზიტორი ირაკლი გვაქაძე). ქრისტესია ლუბანიძის მიერ ამ სურათისთვის შექმნილი ესკიზები მღელავებ ექსპრესიულობით ვადიორჩევა. ვრავიველად ვამოკვეთილი მუქი კონტურებითა და შტრიხებით მიღწეულია შეუქმნადილის მკვეთრი კონტრასტები, რაც ქმნის შინაგანი დახატულობის, ჭილილის ვანწყობილებას. ბუნებდა თითქოს ამ ტანჯული ადამიანების უმოკიერი მდგომარეობის თანამოზარეა, ისიც დრამატულად დამბეჭდულ, ტრავიკულ ატმოსფეროს ვსმინება. ამ ვერანიაკიაზე, როგორც სახვითი ვადანევეტის მხარე ვრად საუკუნადღებო ნიშნზეც, ვაპარაკია ვინგ-ალბომში „საბავთა კინოს მხატვრები“. აღნიშნულია ქართული კინოს სიმდიდრე შემოქმედებითი კადრებით, ოსტატა მისწრაფება ვამომსახველობითი ხაზრების სახალსკენ, ვართო თემატური დიპაზონი. მაღალი შეფასება ექვლ რევეზ მიზნაშვილის, ნიკოლოზ ყაზბეგის შოთა ვოგოლაშვილის, ქრისტესია ლუბანიძის შემოქმედებას. ალბომში დაბეჭდილია მისი ესკიზი კინოფილმისთვის „მიქელა“.

სულ სხვაგვარადა ვადანევეტილი ესკიზები „ლონდრესთვის“ (1966 წ. რეჟისორი: თამაზ მელიავე, სცენარის ავტორი თთარ ჭილაძე, ოპერატორი ვიორჯი კალატოზიშვი-



ლი, კომპოზიტორი ირაკლი გეგაძე). ქრისტესია ლებანიძისთვის ეს პირველი ფერადი ფილმი იყო (თუ არ ჩავთვლით ერთნაწილიან სარეკლამო ფილმს „ეს მხოლოდ სიამოვნება არ არის“, 1958 წ.). ამ კომედია-ზღაპრისთვის შექმნილი ესკიზები გამოირჩევა მსუყვე ფერადოვნებით, შესრულებულია გუჟებით შვად ტონირებულ ქაღალდზე. მუქი ფონისა და ცისებრი ფერების კონტრასტი, სამოქმედო ვარემოს (როგორც ინტერირების, ასევე ექსტერიერების) სივრცობრივი და კომპოზიციური აგებულება, ზოგჯერ სავანთა ერთგვარი დეფორმაცია მთამბეჭდავ დეკორატიულ იერს აძლევს ესკიზებს და ფილმის ეანსს, მის ხასიათს ესადაგება.

მომდევნო ფილმებში „ჩემი მეგობარი ნოდარი“ (1967 წ. სცენარის ავტორები რეზო ჭეიშვილი და დავით რონდელი, რეჟისორი დავით რონდელი, ოპერატორი ველიქს ვისოკი. კომპოზიტორი რევაზ ლალიძე) და „წყაღილიბა“ (1970 წ., სცენარის ავტორები არჩილ სულაკაური და თეიმურაზ გოშაძე, რეჟისორი თეიმურაზ გოშაძე, ოპერატორი ნიკოლოზ სუხიშვილი, კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე) მხატვარი მსგავს ამოცანებს ქრის. პირველ ფილმში იგი წარმოსახავს ქუთაისის განუთავობებელ კოლორიტს, მეორეში თბილისის ძველი უბნის. — რაყის თავისებურ მოზიხველვობას. რთული აღმოჩნდა „წყაღილიბაზე“ მუშაობა. მხატვრის ხელმძღვანელობით აიგო ძველენურის სახლების მთელი კომპლექსი, წყლის მისქევილი მტკვარი... კინოდეკორატიული გელოვნების ოსტატის მიერ განხორციელებული მხატვრობა მარტოოდენ ფონი, სამოქმედო არე კი არ იყო, იგი აქტიურ როლს თამაშობდა ფილმის ემოციურ გამომსახველობაში.

შემდგომ წლებში ქრისტესია ლებანიძემ გააფორმა ორი მოკლემეტრაჟიანი კომედიური ფილმი: „ქვევრი“ (სცენარის ავტორი რეზო გაბრიაძე, რეჟისორი ირაკლი კვიციანი) და „უპისკოპოსი ნადირობაზე“ (სცენარის, ავტორი და რეჟისორია ლიანა ელიავა, ოპერატორი შოთა კილაძე). კახური და იმერული სოფლებისთვის დამაჩასიათებელი გარემო ამ ფილმებში კოლორიტულად იყო წარმოსახული.

ქრისტესია ლებანიძეს მუდამ იზიდავდა ახალგაზრდა რეჟისორებთან თანამშრომლობა, ოსტერიაანი ფილმის „მთვარის მოტაცების“ (1972-1973 წწ) შექმნისას თამაზ მე-

ლიავა და ის მესამედ შეხედნენ ერთმანეთს (სცენარის ავტორები კონსტანტინე მუსხელიანი, ხურდია, გიორგი ხუბაშვილი და თამაზ მელიავა, ოპერატორი რომან წურჭუბია, კომპოზიტორი სულხან ნასიძე). მხატვარმა გუჟებით შეასრულა ფართო ციკლი შესანიშნავი ესკიზებისა. მისთვის ჩვეული ლაკონიურობით, ხატოვანად ასახა რთული ფსიქოლოგიური კოლიზიებიცა და მასობრივ-სახალხო სცენებიც. მახვილი კომპოზიციური ალლო კარნახობდა მას კადრის გაბედულ აგებას, ხოლო ვეჯიზად გააზრებულ ფეროვანი გადაწყვეტა მთლიანად მოქმედების ემოციური აბსოლუტის განხსნას დაქვემდებარა, შეეისიტყვა მოქმედ პირთა სახეებს, მათ რთულ შინაგან ბუნებას. სცენების დეკორატიულ გადაწყვეტაში მხატვარი ისწრაფვოდა გამოველნივანა ყველაზე მთავარი ამა თუ იმ მოვლენაში.

რეჟისორის, ოპერატორისა და მხატვრის მჭიდრო თანამშრომლობამ განაპირობა „მთვარის მოტაცების“ პლასტიკური ენის ღრმა გამომსახველობა, ეპოქისა და ყოფის ჭეშმარიტი, ცხოვრებისეული სახის შექმნა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ამ მასშტაბური ფილმის იდეურ-ესთეტიკური კონცეფციის პოეტურად გადმოცემას. 1974 წელს მხატვარსა და ოპერატორს, ფილმის საუკეთესო სახითი გადაწყვეტილების, ქართული ფილმების პირველი რესპუბლიკური ფესტივალის დიპლომები მიენიჭათ. მხატვრის ნამუშევარს მაღალი შეფასება ხვდა პრესაშიც. 1974 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მერვე ნომერში დუდარ მარგივეი აღნიშნავდა: „ფილმის მხატვარმა როგორც ნატურაზე, ისე პავლიონებში, დეკორაციების მეტყველ გადაწყვეტას მიაღწია. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს დეკორაციების კვრა, მოხერხებული აგება და გამომსახველი მოპირკეთება. განსაკუთრებით ეს იტყმის „შერვაშიძის სახლსა“ და „სასტუმროზე“, სადაც კედლებს მოსართავად, პირველად ჩვენს სტუდიაში, გამოყენებულ იქნა ჩითის ქსოვილები. ფილმში არ იგრძნობა ბუტავორია. გულმოდგინედ და დიდი მხატვრული გემოვნებით არის შერჩეული რეკვიზიტ და ინტერიერის მოხატულობა“. ე. ლინდინა გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“ (17-IX-74 წ.) წერდა: „სურათი გადაიღო ოპერატორმა რ. წურჭუბიამ. დამაფიქრებელია მხატვარ ქ. ლებანიძესთან ერთად ის ეკრანზე ქმნის

გასაოცარ, თბილ და მომხიბვლელ სამყაროს, მშობლიური საქართველოს ხატს... ასევე, გააზრებულია ინტერიერების ფეროვანი გამა, რომელშიც ყოფილი დეტალები, მათი ბუნებრიობისა და სიმშვიდის წყალობით, არა მარტო დამაჩერებლად გადმოსცემენ რეალურ სამყაროს, არამედ გვაგრძობინებენ კიდევ წარსულთან დამშვიდობების რთულ მოტივებს“.

მოქმედება ფილმებში „გაქცევა განთიადისას“ (1975), „სინემა“ (1977) და „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (1979), ქალაქში წარმოებს; პირველ ფილმში — ქუთაისში, დანარჩენ ორში — თბილისში. ეს კინებზეც უმთავრესად ქუჩებსა და ინტერიერებს ასახავს, მაგრამ მხატვარმა ფილმების სახვითი მხარე სულ სხვადასხვაგვარად გადაწყვიტა.

კინორამა „გაქცევა განთიადისას“ (სცენარის ავტორები სიკო დოლიძე და რეჟისორები რეჟისორი, რეჟისორი სიკო დოლიძე, რეჟისორი ვლადიმერ ვისოკი, კომპოზიტორი დავით თორაძე) ქუთაისის ციხიდან სიკვდილიმსილი რევოლუციონერის გაქცევის ამბავს მოგვითხრობს. მხატვრის წმინდა გრაფიკულ ესკიზებში ბატონობს მკვეთრი რიტმიკა, შეფთვითის ელემენტი. ფერებით შესრულებულ ესკიზებში ქარბოს მოლურჯო-მოცისფრო ტონალობა, რაც სიმბოლურად მიგვანიშნებს დროის ატმოსფეროს, ხიფათით აღსავსე დამატულობას, შიშსა და იმედს.

რეჟისორ ლ. ელიავას მიერ დადგმული ფილმი „სინემა“ (სცენარის ავტორი ლევან კვიციანი, ოპერატორი დავით სიბრტაძე, კომპოზიტორი გია ყანჩელი) წარსულს ეძღვნება. მხატვარი ამყარდაც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ისტორიული გარემოს შესწავლას. თუმც კარგად ახსივს რევოლუციამდელი თბილისი, სადაც მისმა ბავშვობამ გაიარა, მაინც დიდი წინასწარი სამუშაო ჩატარა — გაეცნო უმარავ ფოტომასალას, ძველ ეურნალ-გაზეთებს, აფიშებს, რეკლამას, შეისწავლა იმდროინდელი ყოფის წვრილმანები, ჩაქმულობა და ა. შ., რაც მყარი საფუძველი შეიქნა ესკიზებში მოქმედების ატმოსფეროს გადმოცემისთვის. გრაფიკულად შესრულებულ ესკიზებში გაცოცხლებულია მშობლიური ძველი თბილისი, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩებით, გოლოვინის

პროსპექტი, რესტორანი „სიმპათია“, მუშტაილისა და ალექსანდრეს ბაღები... ამ გარემოში მოქმედებს ფილმის გმირი სოსიკო, — მეოცნებე, ქართული კინოს პიონერი, დევნილი და დამარცხებული, მაგრამ გეგმას, რომ მისი საქმე საბოლოოდ მაინც გამარჯვებულია.

მხატვრის ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარში „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (სცენარის ავტორები ზაირა არსენიშვილი, ერლომ ახვლედიანი და ლანა ლოლობერიძე, დამდგმელი რეჟისორი ლანა ლოლობერიძე, ოპერატორი ნუგზარ ერქომაიშვილი, კომპოზიტორი გია ყანჩელი) სამოქმედო გარემო ძირითადად ისევ თბილისის უბნები და ქუჩებია, ამყარად თანამედროვე თბილისისა. ეურნალისტი ქალის სოფიკოს ცხოვრება ნაჩვენებია დედისთან, ქმართან, შვილებთან ურთიერთობაში. თავისი პროფესია მას მრავალ ადამიანთან შეახვედრებს. ამიტომ მოქმედების არცე ფართოა. ქრისტესია ლებანიძემ ფილმისთვის შექმნა ოთხმოცამდე ესკიზი. თითოეულში უნდა აესახა არა მხოლოდ ამა თუ იმ ინტერიერის გარეგნული სახე, არამედ ოთახის პატრონის პროფესიაც, მიდრეკილებანი, ხასიათი... ტუშით შესრულებულ ესკიზებში ყოველი საგანი „ლაპარაკობს“ მის მგლობელზე, „თამაშობს“.

ფილმის საერთო მაღალმხატვრულმა გადაწყვეტამ ავტორებს დიდი აღიარება მოუტანა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სახელმწიფოში, რაც სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

ხანდაზმული ხელოვანი კვლავ ენერგიულად ემსახურება საყვარელ საქმეს. დასრულდა მუშაობა რეჟისორ პავლე ჩარკვიანის ფილმზე „კარიერი“ და ახლა უკვე რეჟისორი დევი აბაშიძე იღებს სურათს, რომლის ტიტრებში კვლავ წავიკითხავთ: „დამდგმელი მხატვარი ქრისტესია ლებანიძე“. უკან დარჩა ნატურის შესარჩევი მოგზაურობა, სამუშაო ესკიზების დამუშავება. წინ კი უფრო დიდი და რთული სამუშაოა — დეკორაციათა ესკიზების, რეკვიზიტის შექმნა პავლიონებსა და ნატურაზე დეკორაციების აგების ხელმძღვანელობა, თვით გადაღების პროცესში ათასი მოულოდნელი წერილმანის მოწყობილობა... სიმწელთა გადაღება და შემოქმედებითი მღელვარება — აი, რით სულდგმულობს დღესაც ხელოვანი.

# ასომთავრულის „ერთიანი გრაფიკული სისტემა“

თამაზ ჩხენკელი

ყოველი ანბანი გარკვეული რაოდენობის ასონიშნების ერთობლიობას წარმოადგენს და როცა ანბანზე ვლარააკობთ, უწინარეს ყოვლისა, სწორად ეს ასონიშნები წარმოგვიდგება თვალწინ. ასონიშნების ეს ერთობლიობა თავისთავად, გარკვეული რიგით დალაგებულ სიმრავლეს გულისხმობს და ვინაიდან ეს სიმრავლე სასარგებლოა, ანბანი იწყება პირველი ასონიშნით და თავდება უკანასკნელი ასონიშნით. მაშასადამე, მას აქვს თავი და ბოლო ანუ დასაწყისი და დასასრული. ყოველ ანბანში, თავიდან ბოლომდე, ასონიშნები თანმიმდევრულად არის განლაგებული, ყველა ასონიშნის თავისი უთვისილი ადგილი აქვს ამბანურ რიგში, რაც იმას ნიშნავს, რომ ანბანი **მოწესრიგებულ სიმრავლეს** წარმოადგენს და, ამდენად, **ერთიანი სტრუქტურით** არის აღბეჭდილი.

მეორე მხრივ, ანბანში შემავალი ყოველი ასონიშანი მცირე ზომის **გრაფიკული ფიგურა** და ამ ფიგურების მოხაზულობა იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ თვალს მკაფიოდ და თავისუფლად აღიქვამს ამ ურთიერთსხვაობას. მაგრამ, ამავე დროს, ეს ფიგურები ანუ ასონიშნები ერთმანეთთან გარკვეულ მსგავსებასა და ერთიანობასაც ამჟღავნებენ, რაც იმის მიზანიშნებელია, რომ თვითთელი ასოს მოხაზულობა ანბანის **ერთიან გრაფიკულ სისტემას** ექვემდებარება. ანბანის გრაფიკულ სისტემაზე ვლარააკობთ იმას ნიშნავს, რომ ანბანის ყოველი ასონიშნის მოდელი **ერთიან გრაფიკულ პრინციპს** ექვემდებარება, რომ ასონიშნათა შორის გარკვეული კავშირი და ურთიერთშესაბამისობა არსებობს და რომ ამდენად, თვითთელი ასოს მოდელი მოცემული ანბანისათვის დამახასიათებელი გრაფიკული **კანონზომიერებით** არის დასახლებული და ამ კანონზომიერების **კონტექსტში** ამჟღავნებს თავის ინდივიდუალობას. ასონიშნის, რომელიც თავიდან თავის მოდელს არ შეიცავს, შეუცნობელი და უფორმო რასმე წარმოადგენს. ყოველი ასონიშნი სრულფასოვან რაობას მხოლოდ სხვა ასონიშნებთან მიმართებაში იძენს. ასონიშნის გრაფიკულ არსს **მთელის კონტექსტის** განსაზღვრავს...

ჩვეულებრივ, ნაკლები ყურადღება ექცევა იმას, რომ ესა თუ ის ანბანი, გარდა იმისა, რომ ტიპოლოგიურად განსხვავებული გრაფიკულ სისტემას ასახიერებს, ამავე დროს, გარკვეული **მხატვრული** მთლიანობითაც არის აღბეჭდილი და, ამ აზრით, ხელოვნების ნიმუშაც წარ-

მოადგენს. ყოველ ანბანს საფუძვლად უდევს მხატვრული აზროვნების სხვადასხვა პრინციპი, რომელთა ფესვიც განსხვავებული კულტურების რელიგიურ-ფილოსოფიური და ესთეტიკური მსოფლმხედველობის წიაღშია საძიებელი. მაშასადამე, ყოველი ანბანი ესთეტიკური ფენომენიცაა და ამდენად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, განუმეორებელი **მხატვრული სტილით** არის აღბეჭდილი.

ძველი ქართული ანბანი „ასომთავრული, როგორც თვით სახელიც ცხადყოფს, მთავარი ანუ დიდი ასოების სახელი უნდა ყოფილიყო... ძველ დროს ტერმინი „ასომთავრული“ თვით დამწერლობის ისეთი გვარყოფისათვის იხმარებოდა, როდესაც ნაწერი მთლად დიდი ასოებით იწერებოდა და ამავე მნიშვნელობითვე უნდა იხმაროთ ეს ტერმინი დღესაც“ — წერდა ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძვ. წ. I და ახ. წ. V საუკუნეებს შორის, რომის იმპერიაში გავრცელებულ მთავრულ წარწერებს ეწოდებოდა **Capitales quadrata seu monumentalis**, ე. ი. კვადრატული მთავრული ანუ მონუმენტური. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „ტერმინი **litterae capitales** და **quadratae** შემოღებული იყო პირველად **ლათინურ პალეოგრაფიაში**, შემდეგ სხვა ერთადამწერლობათმცოდნეობაშიც შეითვისეს, მაგ. ბერძნულში... ქართულად ამგვარი დამწერლობის აღსანიშნავად და **შესატყვის ტერმინად „ასომთავრული“** იხმარებოდა... მაშასადამე, „**ასომთავრული**“ და „**კაპიტალური**“ (მონუმენტური) ექვევალენტური შინაარსის ტერმინებია. ქართულ ასომთავრულში, წერს რამაზ პატრიძე, „განზოცილებულია მონუმენტური დამწერლობის ზოგადი ბერძნული პრინციპები (ხაზგასმა ყველგან ჩვენია, თ. ჩ.), მაგრამ ამ პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბებულია სრულიად განსხვავებული გრაფიკული სახეობის მონუმენტური დამწერლობა... ასომთავრული ღრმად გააზრებული გეომეტრიული სტილის სრულყოფილი გრაფიკული სისტემაა და ამ თვალსაზრისით იგი ბერძნულ მონუმენტურ დამწერლობას ეტოვება“. მოკლედ: ძველი ქართული ანბანი იცუტუნის კაპიტალური ანუ მონუმენტური ანბანების „გვარეობას“ და მისი სახელიც აქედან მოდის — **ასომთავრული...**



● „დამწერლობას იგონებენ“ — წერის რიპარდ ჰარდერი თავის შრომაში „ბერძნული დამწერლობის შექმნა“ (1942 წ.), ამიტომ „ყოველ დამწერლობას წინ უძღვის სისტემის შექმნის აქტი“ (ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დებულებაა: სისტემა განსაზღვრავს დამწერლობას). და შემდეგ: „მართალია, ნაოლთმოსილი გინება უნდა ჰქონიდა მას, ვინც ქრისტეს დაბადებამდე დაახლოებით პირველი ათასწლეულის დამდეგს ბერძნებს დამწერლობა შეუქმნა... ანბანის ბერძენმა გამოამკვინებელმა აღმოსავლური დამწერლობის სისტემებიდან უტყვევონიო თანმიმდევრობით გამოიყვანა დახვეწილი ასოები და ცუდად შეკოწიწებული, მოუქნელი, ჭრილა მანქანა ძალიან მარტივად სახმარი იარაღით შეცვალა“... ეს „ახალი ხელოვნება“ (ე. ი. ანბანი, თ. ჩ.) თანდათანობით იცვლებოდა, იხვეწებოდა, „უფრო და უფრო უმჯობესდებოდა, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი ძირითადი იდეა და ძირითადი შემაღდენლობა. დამწერლობის წარმატება ვასცდა საბერძნეთის საზღვრებს, გავრცელდა აღმოსავლეთში და დასავლეთით, მცირე აზიისა და იტალიკურ ხალხებში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ იგი მიიღეს რომაელებმა. ამის შედეგად დღეს მთელი დასავლეთი ბერძნულად წერს“.

ბოედერის აზრით, ბერძნულ ანბანში (როგორც ვენახით, „ბერძნულში“ იგი ლათინურსაც გულისხმობს) „ასოები გეომეტრიული კანონის თანახმად ფორმდება“. ეს ასოები „სულგერთია, ვიწრო იქნება ასო თუ განიერი, ერთმანეთის გვერდით დგანან. დაწერილი სიტყვა უჩინარ სწორკუთხა მინდვრებადაა დაყოფილი ისე, რომ თვითუღეს ასოს თავისი საკუთარი ერთიანობი სიდიდის სახლი ანუ საკუთარი გეომეტრიული ადგილი აქვს... გერმანულ ქართველოლოგს ვინფრიდ ბოედერს თავის გამოკვლევაში „ძველი ქართული ანბანის ანალიზისათვის“ (1975 წ.) გეომეტრიული ნახაზითა აქვს ილუსტრირებული ჰარდერის ეს დებულება. ოთხაღმყოფილი კვადრატები (ორმავი მინდორი) და ორადგაყოფილი ვერტიკალური



ნახევარკვადრატი (მარტვი მინდორი) არის ის „ერთიანობი სიდიდის სახლი“, რომელზეც ლაპარაკობს ჰარდერი და რომელშიც იხაზება თვითუღეს ბერძნული და ლათინური ასო.

ასოთა გეომეტრიული სტრუქტურა, მათი კვადრატში გამოყვანა თანხარად ანახანსაიათებელია კლასიკური ბერძნული და ლათინური დანახანსაიათების. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. III — II საუკუნეებში, ებრაელებმა ასოთა სიგრძე-სიგანის დასასაზღვრავად გამოიყენეს ეს კვადრატული თარგი, რის გამოც მათ ანბანს „ებრაული კვადრატული“ — „ქება მერუბა“ — დაერქვა. მაგრამ ბერძნულ-ლათინური ანბანებისაგან განსხვავებით ებრაული კვადრატული დამწერლობის ასოთა მოხაზულობას კვადრატის შუგლით არ გააჩნია გეომეტრიული სტრუქტურა.

ეს საეტალონი კვადრატი (ორმავი მინდორი), ეჭოფილზეც ლაპარაკობს ჰარდერი და რომელშიც ეგეომეტრიული კანონთა შესაბამისად იხაზება ბერძნულ-ლათინური ანბანების ასოები, ქართული ასომთავრული გრაფიკული სტრუქტურის კვლევადა პირველად ხელოვნებამდებენ ეუნებ მაჭავარიანმა გამოიყენა. 1970 წ. გამოცემული „ქართული ხელნაწერების“ წინასიტყვიში მას ჩამოყალიბებული აქვს თავისი თვალსაზრისი ძირითადი დებულებები: ასოთა მოხაზულობა ჩაწერილია უხსნავ ჩაჩნობა, რომელიც კვადრატს წარმოადგენს. წრიული ასოების დიამეტრი და ვერტიკალურად აგებული ასოების დიამეტრი კვადრატის ზღვრის სიმაღლეა, ხოლო მასთან წარწყმული ეუნებნებში ზომით ამ ზღვრის სიმაღლის ნახევარია. ნაწილი ასოებისა ჩაწერილია სრულ კვადრატში, ნაწილი კი ნახევარკვადრატში. შემაღდენულ ეუნებნებში მრავალგვეროვანი კომბინირება სტილისტურად ეთითან გრაფიკულ სისტემას ჰქმნის... ქართული ასომთავრულის გრაფიკაზე გამოთქმულ ელ. მაჭავარიანის ამ თვალსაზრისს დღეს ყველა მკვლევარი იზიარებს (იხ. რ. პატარია, „ქართული ასომთავრული“, 1980 წ., გვ. 158). ეს უაღრესად მნიშვნელოვანი თვალსაზრისია, მე ვიტყვი, ფუნდამენტური თვალსაზრისი, რომლის გარეშე მკვიდრ ხელნაწებზე ვერ წარბირობება ასომთავრულის გრაფიკის კვლევა.

ე. ბოედერის ზემოთ აღნიშნულ გამოკვლევაშიც ყურადღება კვადრატზეა გამახვილებული: „ქართული ასომთავრული დამწერლობა იმგავრია, რომ ცალკეული ასოები, თუ მათ დაუმხინვრებელი დავეწერი, ავსებენ კვადრატს ან მის ნახევარს“. ბოედერის ასომთავრულის გრაფიკის ძირითად ელემენტებზე „ხაზი და ნახევარწერ“ მიაჩნია (ელ. მაჭავარიანს „ხაზი და წერა“), რომლებიც დასაზღვრავს აზიან სიდიდით, პოზიციით და შეფიციების წესებით (კომბინატორიკა).

იგი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ ასოებზე, რომლებსაც „შეიცავენ“ სხვა ასოები. ლაპარაკობს ერთმანეთის მსავალი წრიული გრაფიკების „ბუნებრივი კლასიკა“... ბოედერის აზრით, „ასომთავრული და ბერძნული მთავრული, მოგვიანებით ხმარებული ნუსხურისა და მხედრულის საპირისპიროდ, მსგავსებას ამჟღავნებს და ფრიალ ადვილად შეიძლება დავასაბუთოთ ჯერ კიდევ ადრე გამოთქმული აზრი: ელემენტები ერთი და იგივეა“ (შესალოა, ბოედერი აქ გულისხმობს კ. კეკელიძის აზრს: „ქართული ასოების ელემენტები უფრო ბერძნულიდან გადმოღებულად შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე არამეულ-სომხურიდან“... ქართული ლიტერატურის ისტორია, 1923, გვ. 28). „მე მიმაჩნია, — დასძინს ბოედერი, — რომ მას, ვინც ასომთავრულს ტრადიციული სახე მისცა, ბერძნული განათლება ჰქონდა მიღებული და ამიტომ კარგად იცნობდა ბერძნულ შესახებ კლასიკურ მოძღვრებას“...

„საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებულ წერილში (1977, № 8) „ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა“, აღნიშნული გვაქვს: „ქართული ასომთავრული დამწერლობა ბერძნული და ლათინური კამბიტალური დამწერლობის ანალოგურად ასოთა ამოსავალ გეომეტრიულ თარვად კვადრატს იყენებს, რის გამოც მოულოდნელი არ უნდა იყოს ისიც, თუ ზემოხსენებულ ანბანების ასოთა კონფიგურაციისა და მათი ელემენტების უფრო ერთკომბინირებაში საერთო კანონზომიერებას შევნიშ-

ნავთ... ასომთავრული ანბანების გრაფიკული სტრუქტურა კვადრატის თარგში გამოყვანილი და მათი ასონიშნების კონფიგურაცია გეომეტრიულ კანონთა შესაბამისად არის აგებული" (სამუშეხაროდ, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცნობდი პარდერისა და ბოედერის შრომებს). სხენებულ წერტილში ჩვენ ყურადღება გვაგამახილთ ასონიშნების არქიტექტურა ანუ პირველად მოიხელბე და აღენიშნეთ, რომ რეაქტიურად არსებულ წარწერებში ასოებს **მოდელიდან გადახრის** ტენდენცია აქვთ, თუმცა ისინი თვით უციდურეს შემთხვევაშიც არ კარგავენ თავიანთი გეომეტრიული სტრუქტურის **პირვანდელ** სახეს. მათში ყოველთვის გავმოიკნობა **არქიტექციის** განმსაზღვრელი ინერცია..."

ზევით აღენიშნეთ, რომ ასონიშანი, რომელიც თავის სავე მოდელს არ შეიცავს შეტყობილი და გაურკვეველი მონახაზი. (მავრამ რა არის მოდელი? „მოდელი, უფროალოდ რომ ეთქვას, ნიმუშია და ამასთანავე სუბიექტო ანდა იდეალური ნიმუში. ამ აზრით, მოდელი უპირისპირდება ასლს. მოდელი ნიმუშია ასლისათვის, ხოლო ასლი მოდელის ტვიფარა, მოდელის მიზანაკა“ (ა. ფ. ლოსენგი). მოდელი იდეალური წინარეხატვან პირველხატია (არქიტექტორი) და იგი ყოველთვის, ან უმრავლეს შემთხვევაში, ძალმად ჰქვიის რეალურად არსებულ ასონიშნის მონახაზულობაში, ურობლისოდაც ასო მოუხელბეთე მონახაზად გალაიქცოდა. ასონიშნის ამ მოდელს თითქმის ყოველთვის უტოლობდა აღიქვირებეს ვიზუალური აღქმა. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართული პალეოგრაფიაში“ ასო „თანხე“ მსჯელობისას წრეში ჩახაზულ მის ასეთნაირ სურათს გეთავაზობს (**ნახაზი 1**), და იქვე განმ-



რტავს, რომ „ქართული ასომთავრული „თანხე“ ასწერივით ორად გაჭრილი წრის მარცხენა ნახევარს წარმოადგენს. რომელსაც შუაში პატარა მარჯვნივ წარმოადგენს ხაზი აქვსო“ (გვ. 209). ასო „თანხე“ ელ. მაკეაბიანიც ანალოგიურად აქვს ჩახაზული კვადრატში, თუმცა რეალურად არსებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, მაგალითად, ბილნურ, პალესტინის მონაიყურ და მცხეთის ჯვრის წარწერებში „თანხის“ დიაშტრის რამდენიმე გათრეული ჩანს მარჯვნივ, ე. ი. მისი ნახევარწრიული კორპუსი რამდენიმე **სრულია** გეომეტრიულ ნახევარწრესთან შედარებით. ეს მომენტს შენიშნული აქვს ელ. მაკეაბიანს: „რელიეფური კვეთის შემთხვევაში „თანხის“ ნახევარწრე ზოგჯერ ნალისებურ ფორმას იღებსო“ („სახატოთა ხელოვნება“, № 10, 1977). მავრამ არა მარტო „რელიეფური კვეთის“ შემთხვევაში! როგორც აღენიშნეთ, პალესტინურ **მოხაიკურ** წარწერაშიც „მსუქანი“ ნახევარწრიული კორპუსი აქვს „თანხს“ და ძველ პალესტინურებშიც ასევე „მსუქანია“ მისი ეს კორპუსი. როგორც ჩანს „მასალის სპეციფიკას“ არ უნდა მიეწეროს ეს, ვინაიდან როგორც **ქვაზე**, ასევე **ეტრატზე** და **მოხაიკით** შესრულებულ წარწერებშიც „თანხის“ ნახევარწრიული კორპუსი არ ეტევა თავის

გეომეტრიულ სახლებში. მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილისა და ელ. მაკეაბიანის ნახაზებშიც ეს ასეა. გეომეტრიულ ნახევარწრედ არის წარმოადგენილი. რატომ? იმიტომ, რომ ამ ასონიშნის **გეომეტრიული მოდელი** მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს. ასოს **არქიტექცია** განსაზღვრავს მის ემპირიულ სურათს, **მოდელი** ბატონობს რეალურ მონახაზულობაზე (ეს რომ ასე არ იყოს, ერთი და იმავე ასონიშნის ემპირიული სახეხატობის ქართულ სიმრავლეში ჩავიხივებოდით და ვერასვებით ვერ მოვიხილეთ დიდი მის ქმშარტ გრაფიკულ ხატს). ამ წინამძღოლად უნდა ამოვიღოთ, როცა ასომთავრულს ერთიან **გრაფიკულ სისტემაზე** ვლაპარაკობთ ხოლმე. „სისტემაზე“ ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ მხედველობაში ასონიშნების სწორედ ეს იდეალური **გეომეტრიული მოდელი** გვაქვს, რომელიც მენტრალუბი სიცხებით ცნაურდება ემპირიული ძეგლებსა თუ პალესტინურებში შემონახულ ასოთა ემპირიული მრავალსახეობით არსებულ მონახაზულობაში.

მავრამ რატომ „უწინამძღოვებთ“ ემპირიული ასონიშნის თავისავე იდეალურ გეომეტრიულ მოდელს? ემპირიული ასონიშანი იდეალური მოდელის ასლია და როგორც ასეთი ყოველთვის უპირისპირდება პირწმინდად ზუსტ, ზედმიწევნით პროპორციულსა და სიმეტრიულ მოდელს, რომელიც **შეხველი აბსტრაქტულობით** ამჟღავნებს ხოლმე გეომეტრიულ სტრუქტურას. მაგალითად, „თანხის“ შემთხვევაში მნიშვნელობას იძენს მის ფაქტი, რომ გეომეტრიული სიზუსტით გამოყვანილი ნახევარწრე „სახეფათოდ იქნებოდა ბალანსირებული ერთ წერტილზე“ და მის დიამეტრს ვერ გააწინაშესრულებდა მარჯვნივ წარხაზული მის კორპუსთან შედარებით გრაფიკულად სუსტი, სწორხაზოვანი ელემენტი. „დამჯდარი“ (ნალისებური) „თანხის“ კონფიგურაცია კი ბეჭიქედ არის ბალანსირებული, რითაც, ამავე დროს, „ანხის“ კონფიგურაციასთან ამჟღავნებს ანალოგიას...

საერთოდ, ესთეტიკური ფენომენი (და ასეთია ანბანი თავისი შემადგენელი თვითიული ასოთა) ყოველთვის გულისხმობს მოდელიდან ან სტანდარტიდან **აუცილებელ გადახრას**. გერმან ვეილს თავის წიგნში „სიმეტრია“ მოაქვს ნაწყვეტი თომას მანის „ჯაღოსნური მითადა“, სადაც მანს კასტროპის მსჯელობაა გადმომცემული ფიგურებზე: „ყოველი მათგანი ამჟღავნებდა **უხვეფული პროპორციულობას, ცივ სიმეტრიულობას**, და ამაში იყო რაღაც აუბედობი, **ანტიორგანული, სიცოცხლისადმი მტრული**. მეტამეტად სიმეტრიულები იყვნენ ეს ფიგურები. სიცოცხლისათვის განკეთილი სუბსტანცია არ შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო, რადგან სიცოცხლედ ძრწის ასეთი **სიზუსტის**, ამ **აბსოლუტური სისწორის** წინაშე და მას მომავლინებულ საწყისად, თავად სიცოცხლის საიდუმლოდ აღიქვამს. და მან კასტროპს მოეჩვენა, რომ მან ვაიგო, ძველი ხელოთმოძღვრები ტაძართა აგებისას შენებდნენ. თმეძი, ეს სხვების უჩემრად, რატომ არუდგენდნენ სვეტების ვალაგების სიმეტრიას...“ „კასტროპისეული“ აზრია გამოთქმული ლ. ვულისა და ბ. ვიგარის წიგნებშიც, რომელთა ზ. კიკნაბ მიუთითებს წიგნში „შუამღიანური მითოლოგია“, სადაც ლაპარაკია ზიქურათების კვლევის შემუშავებულ გამობურცულობაზე, რითაც „მიხიორგანულად“ ამოზრდილობის“ ეფექტია მიღწეული“ (1976, გვ. 126). არწივების აზრით, მკაცრ სიმეტრიასა და

ფორმის სიზუსტეს ხელოვნების ნაწარმოებში მეტად იშვიათად და უდიდესი სიფრთხილით იყენებენ, ვინაიდან როცა მეტრიკული დიდი მნიშვნელობა ენიჭება წესრიგს, როგორც ასეთს, **„ეცობალი სუსტაციის“** რაოდენობა მცირდება. ხელოვნების იმ ქმნილებაში კი, სადაც სიმეტრიის აუცილებლობას თვითონ შინაარსი განსაზღვრავს, მისი სიმკაცრე **„გამაცოცხლებელი გადაბრები“** არის ხოლმე შერბილებული...


რა თქმა უნდა, ეს სიმეტრიის უფლებეულობადაც არ უნდა მივიჩნიოთ. ვიქლის აზრით, „სიმეტრია იმ იდეას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ადამიანი საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა შეეცნო და შეექმნა წესრიგი, სილამაზე და სრულყოფილება“. ზემოთმოყვანილ მაგალითებში ლაპარაკია **ანტიროგანულ** და მასთანაღმდეგ, არაბუნებრივ, არაადამიანურ **„სისრულზე“** და **„სიზუსტეზე“**, რაც ხელოვნების არცერთ ნაწარმოებს არ ახასიათებს. აქ, ვიქლის მიერ აქცენტირებულია სტანდარტიდან ანუ მოდელიდან სწორედ ის **„აუცილებელი გადაბრა“**, რომლის გარეშე ბუნებრიობას და ცხოველყოფილობას ვერ შეიძენს ხელოვნების ვერცერთი ქმნილება, რაკ იგი **ადამიანური** ქმნილებაა.

ამრიგად, მოდელის აბსტრაქტულ გეომეტრიზმს და აბსტრაქტურ სიზუსტეს უპირისპირდება მის საფუძველზე ხიარტყმისმული ესთეტიკური ასლის **ბუნებრიობა და ცხოველყოფილობა**. ეს ჯერ კიდევ პლატონისათვის იყო ცნობილი. „პლოტინთან სიმეტრია და პროპორცია ადგილს უთმობს ცხოველყოფილობას. ცხოველ (მოტიკობა) მანდაცხებებს, თუნდაც რომ მთლად სიმეტრიულნი არ ყოფილიყვნენ, მის თვალში მეტი სილამაზე ახადია“ (ა. ფ. ლოსივი). ანანაშოც ასევე, სწორად აბსტრაქტული მოდელიდან **„გამაცოცხლებელი გადაბრა“** (არჩქეში) ანიჭებს ასოებს სილამაზესა და თბილ ცხოველყოფილობას, თუმცა ამ მოდელს დაკვირვებელი თვალს უშემატსწილად ცნობს.

„ქართული ასომთავრულის გრაფიკული სტრუქტურის მთელი სისტემისათვის **კვადრატის პრინციპია** ამოსავალი“, რის გამოც „ასის საერთო მოხაზულობა კვადრატის ფარგლებიდან არ უნდა გამოვიდეს“ (ელ. მაჭავარიანი), მაგრამ ამ პრინციპს ზემოთაღნიშნული კანონზომიერების გამო წოველთვის არ ექვემდებარება ამა თუ იმ ასონიშნის რეალურად არსებული გამოსახულება თვით უძველეს ეპოგრაფიკულ ძეგლებშიც. მაგალითად, „ანისა“ და „ჯანისა“ თავსარქმენი ხაზის მარცხენა კიდურს თითქმის ყოველთვის რამდენიმე სცილებულ კვადრატს ფარგლებში „ონის“ კუდიც ყოველთვის, როგორც წესი, გადის კვადრატის საზღვრიდან. მოდელის აბსტრაქტულ გეომეტრიზმს სავეტინო არც „რავს“ ლერძის მარჯვენა მდებარე ელემენტი ექვემდებარება, თუმცა ასომთავრულის ერთიანი გრაფიკული სისტემიდან თუ ამოვალთ, შეუძლებელია იგი „რავს“ მარცხენა მდებარე ელემენტის ექვივალენტური არ იყოს. აქ ყველაგან **„შაბტეტილი ელემენტი“**, ესთეტიკური სტილიზების კანონი მოქმედებს, რომელიც ასონიშნის ანანაშოც ბტის ბუნებრიობასა და ცხოველყოფილობას უნარჩუნებს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ იდეალური მოდელიდან ასონიშნების „აუცილებელი გადაბრის“ მოძენას, ასომთავრულის „ორხაზოვნად

ბადეც“ აღარ შეგვრჩება ხელო, რომელსაც იგი ჯავისიერილიდან დღემდე ყველა მკვლევარი აღიარებს; ვინაიდან მართლაც „წილის“ ფხი, არამედ „კანისა“ და „ცანის“ კულდ-ტის თითქმის ყოველთვის „არღვევენ“, ჩვეულებრივ, მტკიცედ დასაზღვრულ ორხაზოვნებას (იხ. **ანანაშოც 2**). იგივე



უნდა ითქვას მთლიანად ასომთავრულის შუა პორიზონტალზე, რომელიც ორთაზნაბარ ნაწილად ჰყოფს ასონიშნების ზედა და ქვედა მეოთხედკვადრატულ ელემენტებს. ეს პორიზონტალიც ყოველთვის **იდეალური გეომეტრიზმი** არ არის დატოვებული, მაგალითად, ეპოგრაფიკულ წარწერებშიც და საცილფესტებშიც „ვიინის“ ლერძს რამდენიმე მაღლა ჰკვეთს პორიზონტალური ხაზი, რის გამოც „ვიინის“ ვერტიკალური მხარეი ოდნავ დამოკლებულია (ასევე, ყოველთვის არა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ოდნავ დამოკლებულია „ვიინის“ და „ჟლასის“ ზემო ვერტიკალური ხაზი). ამასთან დაკავშირებით საინტერესო უნდა იყოს ამერიკელი ესთეტიკოსის რუდოლფ არჩქეშის წიგნიც მოყვანილი ჰერბერტსონდის ლუნდელის ასეთი დაკვირვება: „ვიინის რომ სხხოვით ყოველგვარი გაზომვის გარეშე შუაზე გაყოს ვერტიკალური ხაზი, გამყოფი ნიშანი უსათუოდ შეუჭრებელი რამდენიმე ზეგით აღმოჩნდება. ხოლო თუ ხაზს ზედმიწევნითი სიზუსტით გაყოფთ, ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი, რომ ზედა ნახევარი ცოტათი გრძელ არ არის ქვედაზე“. ასეთ შემთხვევაში, დასქენს არჩქეში, ქვედა ნახევარს **დაგრძელება** მოქმედებს როგორც კომპენსაცია. ასეთია „ეოზუალური განსის“ შედეგი, რომლის შესაძლო მიზეზად მას გრაფიკატის ძალა მიიჩნის. ასე რომ არაფერია უჩვეულო იმაში, რომ „ვიინის“ ლერძს რამდენიმე მაღლა ჰკვეთს პორიზონტალური ელემენტი, რის გამოც მისი მარჩბივი „ფრთები“ ოდნავ დამოკლებულია და რითაც იმ ასონიშნის ესთეტიკური ბუნებრიობაა შენარჩუნებული.

ყველა ზემოთაღნიშნული „დაბარკოლების“ მიუხედავად ასომთავრულის თვითნებულ ასონიშნის კონფერაციაში თვალსაჩინოდ ცნაურდება პირგანდელი მოდელი ანუ არქეტიპი და ეს, ჩვენი აზრით, გაპირობებულია იმ აშკარა ფაქტით, რომ ასონიშნისა საერთო კონტექსტში მკვეთრად გამოიყოფა გრაფიკულად **ერთგვაროვანი ელემენტები**, რომელთაც გარკვეული თავისთავალობა ახასიათებთ, — მცირე წრე, პორიზონტალურად ორიენტრებული ნალსიგებელი ელემენტები, ე. წ. კრალები და სხვ. და აქ აუცილებელია განვიხილოთ **„კუშმარტი ნაწილები“**, ე. ი. ის მონაკვეთები ანუ ელემენტები, რომლებიც ცალკეული ნაწილის **ერთობლივ კონტექსტში** გამოხატვენ მთელს, და „არაქვეშმარტი ნაწილები“, ე. ი. ის მონაკვეთები ანუ ელემენტები, რომლებიც მხოლოდ **ადგილობრივი, დასაზღვრული კონტექსტის** ფარგლებში გამოიყოფა და არა ერთობლივი მთელის კონტექსტში...



თავის ბუნების შესაბამისად, „ექვშობრივ ნაწილს“ გარკვეული თავისთავადობა აბაძია და რაც უფრო მაღალია ნაწილის თავისთავადობის ხარისხი, მით უფრო მეტი დამახასიათებელი თვისება შეეძება მას მთელს კონტექსტში“ (რ. არნჰეიმი)...

„ექვშობრივ ნაწილებზე“ ყურადღებას ამჩვენებს ენერჯი, რომელიც მათ „ძირითად სტემენტებს“ უწოდებს (იხ. ვ. ბოედერის დასახ. შრომა). ა. ფ. ლსევი „ნაწილს“ უწოდებს მთელს შემადგენელ დამოუკიდებელ მოაზრებულ ერთეულს, ხოლო „ელემენტს“ იმ ნაწილს, რომელიც მთელს კონტექსტში მოიაზრება. მაგრამ აქ მთავარია ტერმინის შინაარსი: არნჰეიმისთვის, ედენისა და ლსევისთვისაც „ექვშობრივი ნაწილები“ ანუ „ძირითადი სტემენტები“ (ელემენტები) ის **თავისთავად ერთეულებია**, რომლებიც მთელს კონტექსტში **ურთიერთკავშირისა და შესაბამისობის** ნიშნით არიან აქცენტირებული.

უსათბურეთი მთელს „ექვშობრივი ნაწილი“ არ შეიძლება გარკვეული მთლიანობით არ იყოს აღბეჭდილი, ე. ი. არ შეიძლება მთელს ენერჯიას არ ატარებდეს. ასეთი „ნაწილი“ ანუ „ელემენტი“ მართალია, გეომეტრიული ნახაზის მეშვეობით სახეიერება და თავისთავად **გეომეტრიული დაშლადი** ერთეულია, მაგრამ ასეთი დაშლის შემთხვევაში იგი კარგავს **ესთეტიკურ** მთლიანობას და მთელს კონტექსტში აღარ „წაიკითხება“. ამიტომ გაუმართლებელია მეოთხედეკარატულ და მეთუემეტს, მერვედეკარატულ **ნახევარწრეებზე**, **„ჰატარა ხაზებზე“** და ე. წ. „**რკადლებზე**“ ლაპარაკი, როცა ისინი ესთეტიკური მთელს გრაფიკული ენერჯიით არ არიან აღბეჭდილი და მთელს კონტექსტში **ესთეტიკური კავშირებისა და ურთიერთშესაბამისობის** ნიშნით არ გამოიყოფიან.

ასომთავრულის ერთიან გრაფიკულ-გეომეტრიულ სისტემაზე ლაპარაკისას უპირველესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ ასონიშნის **ესთეტიკური ხატის მლიან სტრუქტურებს**, და ამ სტრუქტურაში შემაჯავ სწორად იმ ელემენტებს, ე. ი. „ექვშობრივ ნაწილებს“, რომელთაც გარკვეული თავისთავადობა აბაძია. ამ ელემენტების **ურთიერთკავშირმა და ურთიერთშესაბამისობამ** უნდა საზინოპყოს ასომთავრულის, როგორც ერთიანი გრაფიკულ-გეომეტრიული სისტემის ფაქტი.

აქ, ერთხელ კიდევ უნდა დაუბრუნდეთ „კვადრატს“, რომელიც ასომთავრული ანბანის ერთიანი გრაფიკული სისტემის „**ამოსავალი პრინციპია**“ (ელ. მაკვარიანი).

რას წარმოადგენს კვადრატს, რომელმაც დასახლგრა ბერძნულ-ლათინური კლასიკური დამწერლობის ასოები და რომელიც ამოსავალ ეტალონად იქცა ქართული ასომთავრულისათვის?

კვადრატის კონტური, როგორც ცნობილია, ოთხი თანატოლი გვერდისაგან შედგება. მაგრამ კვადრატის ამ კონტურის შიგნით მოქმედებს ძალსმიერი ველი, რასაც კვადრატის შიდა სტრუქტურა ჰქონის **დიაგონალური და ვერტიკალურ-ჰორიზონტალური** ღერძების მეშვეობით. ამ ძალთა ცენტრი წონასწორობის მდგომარეობაშია, ვინაიდან იგი ღერძების გადაკვეთის წერტილს წარმოადგენს.

კვადრატში სწორედ ეს ცენტრია უძლიერესი წერტილი. შედარებით სუსტია კუთხის წერტილები, ხოლო კვადრატის კალური და ჰორიზონტალური ღერძებით გადაკვეთილი კვადრატის წერტილები კუთხის წერტილებზე სუსტია. კვადრატში „შევილი“ ადგილებიც მოინახება, მაგრამ მათს სიმძიმედ იმის არ ნიშნავს, რომ ისინი დამუხტვლენი არ არიან აქტიური ენერჯიით. მაგალითად, კვადრატის ცენტრის „მკვდარი წერტილი“ სინამდვილეში არ არის მკვდარი. აქ რამენაირი მიზიდულობა იმითი არ იგრძნობა. რომ ამ ცენტრალურ წერტილში ყოველმხრივ მიმართული მიზიდულობის ძალა წონასწორობის მდგომარეობაშია. ცენტრალური წერტილის ეს წონასწორობა ჰქმნის სწორედ დაძაბულობას, რის გამოც იგი ცოცხლებდა ჩვეს თავლში. წარმოიდგინეთ უძრავობა ბავიერისა, რომელსაც საპირისპირო მიმართულებით ერთნაირი ძალით ეწევა ორი კაცი. დაძაბული ბავიერი არ იძვრის, მაგრამ ენერჯიამ ლამის გარეთ გამოხეთქოს... ასე აქვს აღწერილი კვადრატს ამერიკელ ფსიქოლოგსა და ხელოვნებში ესთეტიკოსს რუდოლფ არნჰეიმს.


უძველესი ქართული ანბანის ასოები კვადრატშია გამოყვანილი და ანბანის შემოქმედ შეუძლებელია არ სცოდნოდა კვადრატის ეს ფაქტული სტრუქტურა, ვინაიდან ასომთავრულის ორი უმნიშვნელოვანესი ასონიშნი სწორედ დიაგონალური და ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ღერძებით არის კონსტრუირებული: „**ჩანის**“ მოდელი დიაგონალური და „**ჰანის**“ მოდელი ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ღერძებით.

კვადრატის კონტურში ჩახაზული ეს ღერძები და მათი მეშვეობით დაყოფილი კვადრატის შიდა სივრცე განსახლგრეს ასონიშნებისა და მათი შემადგენელი ნაწილების საზღვრებსა და თანახმოებებს, ხოლო კვადრატში ჩახაზული სრულკვადრატოვანი წრე და მეთოხედკვადრატული წრეები, კვადრატის **კონტურთან** და აღნიშნულ ღერძებთან ერთად, ასონიშნების შესაძლებელი ესთეტიკური მოდელის განხორციელების საფუძველს ჰქმნის. ამიტომ ასონიშნები, როგორც თავისთავადი სტრუქტურის მქონე ერთეულები, **საკუთრივ გეომეტრიული ელემენტები** კი არ უკავშირდებიან ერთმანეთს, არამედ გეომეტრიული კანონები დასახლგრესი, მაგრამ **ესთეტიკური ხატის** მქონე „ექვშობრივი ნაწილები“. ასეთა გეომეტრიზმი ხსენებული ესთეტიკური ხატის განსახიერების **ტექნიკურ ასპექტს** წარმოადგენს მხოლოდ და ამდენად, საესთეტიკო ექვემდებარება ამ უკანასკნელს.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ ასონიშნათა საერთო კონტექსტში გამოყოფა **გრაფიკულად ერთგვაროვანი** ელემენტები, რომელთაც გარკვეული თავისთავადობა აბაძათ. წარმოადგენს თუ არა ეს ელემენტები ესთეტიკური ხატის მქონე „ექვშობრივ ნაწილებს“, ე. ი. მთელს კონტექსტში ურთიერთკავშირისა და შესაბამისობის ნიშნით აღბეჭდილი ნაწილები?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთგვაროვანი ელემენტები **კვადრატის მეოთხედში** არიან განლაგებული. ასომთავრული ანბანის გრაფიკულ სისტემაში უცილობლად ფაქტად უნდა ვალაგებოდ არსებობს, რომ ასონიშნები კვადრატის და ვერტიკალურ ნახევარკვადრატშია გამოყვანილი, არამედ ისიც, რომ ყველა ასონიშნის ნაწილები, წრიული გრაფიკებისა და „ჩანის“

გარდა, კვადრატის **მეოთხედშია** ჩახაზული ან მეოთხედი კვადრატის კონტურის შემეგობით არის განსაზღვრებული. ამას ადასტურებს ისიც, რომ ასონიშნები მარტო ვერტიკალურად ორიენტირებულ ნახევარკვადრატში კი არ იხაზება, არამედ დიაგონალურად, ზევიდან ქვევით და ქვე-



ვიდან ზევით ორიენტირებულ ნახევარკვადრატშიც. ეს დიაგონალურად ორიენტირებული ნახევარკვადრატები ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ გამოყოფილი ორი მეოთხედკვადრატისაგან შედგება და იმაზე უფრო ვითობებს, რომ **მეოთხედი კვადრატი** ასონიშნების შემადგენელი ნაწილებიანი გეომეტრიული „სახლი“ ანუ ამოსახული პრინციპია, მაგალითად, თუ „ფონის“ და „ონის“ წრიული კორპუსები სრულ კვადრატშია ჩახაზული, „ზენ-კან-ლას“ — შინის“ წრეები კვადრატის მეოთხედშია ჩახაზული. ეს იმდენად აშკარაა, რომ ამზე არცაა ღირს ლაპარაკი. მაგამა აქ სხვა მთავარი. სამეც არის, რომ ზემოთ ხსენებული ოთხი გრაფემის ეს წრიული ელემენტები სრულკვადრატოვანი „ღონ-ონის“ წრიული კორპუსების **მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციებია**, მამასადლე მათი გეომეტრიული ნახაზი **იდენტურია**, სხვაობა მხოლოდ **სიდიდშია**. ამრიგად, ეს სრულკვადრატოვანი და მეოთხედკვადრატული წრეები სრულ შესაბამისობასა და ურთიერთკავშირს ამქონებენ. მხოლოდ ამიტომ და ამ აზრით — შეიძლება ვუწოდოთ მათ ასონიშნების „ქუშმარტი“ ნაწილები...”

მაგამ არსებობს თუ არა ანალოგიური კავშირი და შესაბამისობა სხვა ასონიშნების სრულკვადრატოვან კორპუსებსა და მეოთხედკვადრატულ ნაწილებს შორის, და თუ არსებობს, რა ხასიათისაა იგი?

„საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებულ ჩვენს წერილებში „სამოთავრული ნაწილები“ სტრუქტურა“ და: „ფარნავაზ — 666“, შესაძლებლობა გეჟონა აღვენიშნოდა, რომ „ღანის“ კონფიგურაციას-მეოთხედკვადრატულ მოდიფიკაციით და ანალოგიურ- პოზიციით იმორტებს „ნარის“ მეოთხედკვადრატული ელემენტი, ხოლო „ჯანის“ სრულკვადრატოვან კონფიგურაციას ასევე მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციითა და ანალოგიური პოზიციით იმორტებს „ჟანის“ მეოთხედკვადრატული ელემენტი („ფარნავაზ — 666“, № 2, 1979). იქვე აღნიშნული გეჟეტს. რომ „ჟან“ გრაფემა თავის მხრივ „ონ“ და „ჟარ“ გრაფემება იშლება და მამასადლე, მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციით განსაზღვრული „ან“ გრაფემაც, შესაბამისად, ორ ნაწილად იშლება, „ანის“ თავსაქმელ ხაზად (კვადრატის ზედა ვერტი) და გვერდზე გადაწვენილ „ღანის“ ანალოგიურ ნალისებურ კორპუსად. ასე რომ ამ გეომეტრიული ოპერაციის შემეგობით, ერთი მხრივ ის ცნაურდება, რომ „ანის“ ნალისებური კონფიგურაციის მქონე კორპუსი გეომეტრიულად „ღანის“ კონფიგურაციის იდენტურია (განსხვავებას მხოლოდ **პოზიცია** ანუ კვადრატში **მდებარეობა** ჰქონის), და მეორე მხრივ, ის ცხადდება, რომ „ჟარ“ გრაფემის მეოთხედკვადრატული ელემენტი სხვა არაფერია თუ არა „ნარის“ იგივე მეოთხედ-

კვადრატული ელემენტი, რომელიც ამ შემთხვევაში, პორიზონტალურ, ე. ი. 90°-ით მიბრუნებულ პოზიციისა გვეკლენება და დასაბამს აქლეს „ჟარის“ ან, რაც იგივეა, „ბანის“ ტიპის გრაფემებს (იხ. შესაბამისი ნახაზები ჩვენს ზემოთაღნიშნულ წერილებში).

ამრიგად, „ღანის“ კონფიგურაციისა და „ანის“ ნალისებური კორპუსის გეომეტრიული ნახაზი იდენტურია, „ღანის“ კონფიგურაცია ვერტიკალურად ორიენტირებულ „ანის“ ნალისებურ კორპუსს წარმოადგენს ისევე, როგორც „ნარის“ მეოთხედკვადრატული ელემენტი წარმოადგენს „ბანის“ ტიპის გრაფემების შესაბამისი ელემენტების ვერტიკალურად ორიენტირებულ ხაზს.


წერილში „სამოთავრული გეომეტრიული სტრუქტურა“ აღნიშნული გეჟეტს, რომ „ჟე-ცანის“ წრიული კორპუსები მარცხნივ-და მარჯვნივ პირგახსნილ და ამიტომ პორიზონტალურად ორიენტირებულ წრეებს წარმოადგენს. მათი გეომეტრიული ნახაზი იდენტურია. ისინი მხოლოდ კვადრატში მდებარეობთ განსხვავებით: 180°-ით მიბრუნებული ერთიანი გრაფემის წრიული კორპუსი მეორე გრაფემის ასეთვე კორპუსს განსაზღვრებელია. მაგამ რა გეომეტრიული ოდენობით არის „ჟე-ცანის“ წრიული კორპუსები პირგახსნილი, არის თუ არა რაიმე გეომეტრიული მოცემულობა თვითონ ანაზნში, რომელიც ნათელიყოფდა ამას? არის. ეს არის „ჯანის“ დიაგონალური ლერქები, რომლის ნაგულისხვევი ხაზები განსაზღვრავს „ჟე-ცანის“ წრიული კორპუსების გეომეტრიული ოდენობას. „ჟე-ცანის“ კორპუსები წრის 3/4-ს წარმოადგენს. ამრიგად, „ჯანის“ სტატკურად მდგარი კონფიგურაცია განსაზღვრავს **ბრუნვითი სიმეტრიით** დეკავშირებულ „ჟე-ცანის“ წრიულ კორპუსებს...

„რე-სან-ჰარის“ მეოთხედკვადრატული ელემენტები და „წლის“ ქვედა მეოთხედკვადრატული ელემენტი „ჟე-ცანის“ წრიულ კორპუსებს იმორტებენ მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციით: განსხვავებას ჰქონის მხოლოდ „რე-სან-ჰარ-წილის“ ამ მეოთხედკვადრატული ელემენტების **პოზიცია**, რაც 45°-იანია, „ბრუნვითი“ განსაზღვრება. მამასადლე, აქაც შესაბამისობა და ურთიერთკავშირი სრულკვადრატოვან და მეოთხედკვადრატულ კორპუსებს შორის.

ამრიგად, „ანისა“ და „ღანის“ ნალისებური კორპუსები, „ღონ-ონის“ სრულწრიული და „ჟე-ცანის“ წრის სამი მეოთხედისაგან კონსტრუირებულ კორპუსები განსაზღვრვენ ასონიშნების გარკვეულ ჯგუფის მეოთხედკვადრატულ ელემენტებს, რომლებიც ანალოგიური ან სხვა პოზიციით, მაგამ უსათოდ მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციით იმორტებენ სრულკვადრატოვანი გრაფემების ზემოთაღნიშნულ, გეომეტრიული მითანონობით აღბეჭდილ, კორპუსებს. ისინი (როგორც სრულ კვადრატში ასევე ნახევარკვადრატში ჩახაზული გრაფემები) ერთი და იმავე ესთეტიკური ხატის მატარებელი „ქუშმარტი“ ნაწილებია“ არიან კონსტრუირებულნი. სწორედ ამიტომ და ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ სამოთავრულის **ერთი-ან გრაფეულ სისტემაზე**, რომელსაც მთლიანად და საეგვიტო ექვემდებარება ასონიშნების ყველა ელემენტი.


მაგამ სამოთავრულში არის სწორიხაზოვანი მეოთხედკვადრატული ელემენტების ერთი ჯგუფი, რომელთაც არა ჰყავთ „სრულკვადრატოვანი წარმომადგენელი“. ეს არის

ბერძნული „პის“ მსგავსი (თუ მას სრულკვადრატოვან კონფიგურაციად წარმოვიდგინო) მეოთხედკვადრატული მრღიფიკაციის მქონე ელემენტი. ფაქტიურად იგი კვადრატია, რომელსაც ერთი გვერდი გახსნილი აქვს და რომელიც ასონიშნების მოდელში სხვადასხვა პოზიციას იკავებს (იხ. ნახაზი 3)...



A — გრაფემის მოდელი აშკარას ხდის იმას, რომ ეს თავისთავად, დამოუკიდებელი ელემენტია. B — გრაფემის მოდელში იგი ვერტიკალურ ღერძთან არის ერთი გვერდით შერწყმული და A — გრაფემის საპირისპირო ორიენტაციით სახიერდება. CP — გრაფემის მოდელში ეს ელემენტი ორნაირად გამოიყოფა, როგორც ზევით გახსნილი (C) და მარჯვნივ გახსნილი (D) მეოთხედი კვადრატია. რა თქმა უნდა, ერთი და იმავე CP გრაფემის მოდელში ისინი რიგრიგობით გამოიყოფიან, როგორც ერთი გვერდით ღერძთან შერწყმული ელემენტები. ერთერთი ელემენტის ვიზუალური გამოყოფა იმდენად პასიურს ხდის მეორე ელემენტის ვიზუალურ აღქმას, რომ იგი ფაქტიურად, ინთქმება მთლიანი აღქმის ფონზე. და მიუხედავად ამისა, მათ დამოუკიდებელი თანარსებობის უფლება აქვთ. ამ „უფლებას“ შესაბამისი ელემენტების კონტექსტი ჰქონის, ვინაიდან სხვა ასოების კონტექსტში იქნენ ელემენტი სრულკვადრატოვან გრაფიკულ ღირებულებას, და იგივე კონტექსტი განსაზღვრავს მისი თავისთავადობის ხარისხს.

ახლა დაეკვირდეთ ამ ასონიშნების მოდელს (ნახაზი 4)...



ა-გრაფემის მოდელში ღერძის ხაზს მხოლოდ ერთი ელემენტი, — გვერდგახსნილი მეოთხედი კვადრატის კონტური ერთვის. ბ-გრაფემის მოდელი სრულად „შეიცავს“ ა-გრაფემის მოდელს, მაგრამ მას ღერძის მარცხენა მდებარე ქვედა მეოთხედკვადრატში ემატება „ბანის“ ტიპის ნალისებური ელემენტი. გ-გრაფემის მოდელი, თავის მხრივ, ზუსტად იმეორებს ბ-გრაფემის მოდელის ქვედა პორიზონტალური ნახევარკვადრატის ნახაზს, მაგრამ მას კიდევ ერთი ელემენტი ემატება მარჯვენა ზედა მეოთხედკვადრატში — მეოთხედკვადრატული წრე. ასე რომ აქ, ასომთავრულის ე. წ. კუმეარტი ნაწილების მატების გრადიენტთან გვაქვს საქმე. მით უფრო საკულისხმოა, სამივე — ა, ბ, გ. გრაფემებში დადასტურებულია ერთსა და იმავე პოზიციასში მდგარი გვერდგახსნილი

ლი მეოთხედი კვადრატის კონტური, რაც ისევ და ისევ იმაზე მიგვიბრუნებს, რომ იგი ასონიშნების „კუმეარტი“ ნაწილია. აქედან კი ეს ენურდება, რომ ა, ბ, გ-ასონიშნების ანალოგიურად, გ-გრაფემის მოდელშიც იგივე და იმავე პოზიციასში მდგარი გვერდგახსნილი მეოთხედი კვადრატის კონტურია გამოყენებული და რომ ამიტომ გ-გრაფემის მარცხენა ზედა მეოთხედკვადრატული ელემენტი, რომელიც მარჯვენა ქვედა ელემენტის ანალოგიურია, გეომეტრიული ოდენობითაც მისი ექვივალენტური უნდა იყოს. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ „ლასი-პაე“ გრაფემების ზემოდან ვერტიკალურად ჩამოშვებული „მხრები“ (და მასთანადავე, „ენ-განის“ მხრებიც) მეოთხედკვადრატული ხაზის ტლიო უნდა იყოს, რადგან მათ გრაფიკულ მოდელშიც ღერძის ხაზთან „ენის“ ანალოგიურად შერწყმული გვერდგახსნილი კვადრატის ელემენტი ივლისსხმება. „ლასი“ გრაფემის მოდელში განსაკუთრებულ სიცხადით საჩინოდდება ეს ელემენტი, რასაც შესაფერის ფონს უქმნის „ლასის“ მეოთხედკვადრატული წრე. (იხ. ნახაზი 5.), იგივე შეიძლება ითქვას „პაე“ გრაფემის მოდელზეც.



თუ „ლასის“ ანალოგიურად მასაც კვადრატში დიაგონალურად განლაგებულ ორ მეოთხედკვადრატულ ელემენტად მოვიანზებთ, — ზევიდან ქვევით ორიენტირებულ „გვერდგახსნილ კვადრატად“ და ქვევიდან ზევით ორიენტირებულ ნალისებურ ელემენტად ასევე ორ ნაწილად შეგვიძლია მოვიანზებოთ „კინის“ მოდელიც და მაშინ გარკვეულ გრადიენტის მიყოლებით, „კინის“ მოდელში დიაგონალურად განლაგდება ორი ერთნაირი „გვერდგახსნილი კვადრატის“ მარჩხივი ელემენტი, „ლასის“ მოდელში — ეგვევი ელემენტი და წრე, „პაეს“ მოდელში — ეგვევი ელემენტი და ნალისებური ელემენტი. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში ყოველივის ივლისსხმება, რომ ეს ელემენტები დაეკავშირებული არიან ღერძის ხაზთან, ე. წ. ნაწილობრივი დათხვევით (ოვერლპოინგ), რომელიც მეტ ინტენსიობასა და „სიმკვრივეს“ ანიჭებს ასონიშნის მოდელს.

შეიძლება ვეითხიან, რომ ჩვენ სწორად არ გამოვიყოფთ ამ „გვერდგახსნილი მეოთხედ კვადრატს“, რომ ის თავად ვერტიკალური ღერძის ხაზი ასონიშნების მოდელის უქმნილერესი და უპირატესი ელემენტია და მას სამკვერდიანი ელემენტი კი არ უერთდება, არამედ ორი გვერდისაგან კონსტრუირებული ელემენტი ისევე, როგორც „ყარ“ გრაფემის ღერძს უერთდება პორიზონტალურად ორიენტირებული ნალისებური ელემენტი, ან როგორც „წილის“ ღერძს უერთდება ქვედა, წრის სამი მეოთხედისაგან კონსტრუირებული ელემენტი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ე. ი. მაშინაც, თუ ევლუსსხმებთ, რომ ღერძის ხაზს „ორგვერდიანი“ ელემენტი უერთდება, ცხადი უნდა იყოს, რომ სხვადასხვა პოზიციით ღერძთან დაეკავშირებული ეს „ორგვერდიანი“ ელემენტი ღერძის ხაზთან ერთად ჰქონის ზევით და ქვევით (და მარჯვნივ) ორიენტირებულ ისეთ

სპეციფიკურ შიდა სივრცეს (ინტერიერს), რომელსაც ერთბაშად და ძლიერი ვიზუალური აღქმით აფიქსირებს თვალი. ეს შიდა სივრცე მეთიხედი კვადრატის შიდა სივრცეა. ასეთია „ვიზუალური განსჯის“ უცილობელი ფაქტი და ამიტომ შეუძლებელია მან შესაბამისობის ნიშნით არ გამოაჟყოს და ერთბაშით არ დაუყავიროს ასონიშნების მოდელში ამ შიდა სივრცის გამომატველი გვერდგახსნილი მეთიხედი კვადრატი. საერთოდ, მეთიხედეკვადრატულ ინტერიერს გარდუვალად ჰქვინს კვადრატის კონტურში ნახაზული ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ღერძები, რომლებიც ულამაზესი და უძლიერესი ვიზუალური ხატით ასახეიბენ „ქან“ ასონიშნის მოდელს. კვადრატის კონტურთან ერთად იგი დასაბამს აძლევს სწორხაზოვანი ასონიშნების მიეღვ ცვაფეს, რომელთა კონტრულირება მეთიხედეკვადრატული გვერდებისა და ინტერიერების გარეშე შეუძლებელია.

ზემოთ ვახსენეთ „ოვერლეინინგი“, რაც „ნაწილობრივ დამთხვევას“ ან „გადაფარვას“ ნიშნავს (რ. არნჰეიმი). ნაწილობრივ დამთხვევას ადვლი აქვს მაშინ, როცა, ვთქვათ, რაიმე ნახაზის ერთი მონაკვეთი გადაფარავს ან დაემთხვევა მეორეს. მაგალითად, „ან“ გრაფემის მოდელში კვადრატის ზედა გვერდის შესაბამისი თავსაქმელო ხაზის ნახევარი ემთხვევა ან ზევიდან ეფარება მისკულ ნალისებური კორპუსის ასეთსავე მეთიხედეკვადრატულ ხაზს (ამ „გადაფარვას“ კარგად ასაჩინოებს „ქან“ გრაფემის დაშლა „ინ-ნარ“ გრაფემებად, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ). „ოვერლეინინგი“ ნიშნით გამოკვეთილ ჩვენ A, B და CP გრაფეებში გვერდგახსნილი მეთიხედი კვადრატები, რომლებიც ერთიანი გრაფიკული მოდელის შიგნით, ერთსა და იმავე დროს, აქტიურ და პასიურ ხასიათს ატარებენ (იხ. ნახაზი 3). „ოვერლეინინგი“ ამასთანავე, შეუძლია „გაუაქმოს“ ვიზუალური ობიექტის რომელიმე ნაწილი. მაგალითად, „ქან“ და „თან“ გრაფემების შებირისპირებობას ცხადი ზღედა, რომ „თანის“ დაწული ნახევარზე უფრო ერთი მხრივ, ფარავს „ქანის“ — ტოლწელავება ჯგერის — მარცხენა მკლავს, ზოლო მეორე მხრივ, ნიღბავს „ქანის“ ვერტიკალურ ღერძს, რომელიც ამ შემთხვევაში დამიგრად არის ქცეული. ასევე, „პ3“ გრაფემის მოდელში მეთიხედეკვადრატული ნალისებური ელემენტი, რომელიც ღერძის ხაზს („ბანის“ ტიპის ანალოგიური ასონიშნებისაგან განსხვავებით) შუაში ერთვის, ზუსტად ამგვარავე ფარავს ჰორიზონტალური ღერძის იმავე, მარცხენა ნახევარს.


ასევე დაფარულია ყელიანი „დონის“ მოდელში ღერძის ხაზი, მის ესთეტიკურ ხატში ამ ღერძის მხოლოდ „ყელი“ საჩინოვდება, მაშინ როცა „ფარის“ მოდელში საჩინოა წრის ორად გამოციფი ღერძის ხაზი.

ყელა ამ მაგალითში „ოვერლეინინგი“ ინტენსივობას მატებს გრაფიკულ მოდელს. იგი ფარავს და სწორედ ამ „დაფარვით“ აცნაურებს ასონიშნების მოდელის უხილავ შინაგან კავშირებს, რომლის საფუძველსაც კვადრატის შიდა სტრუქტურაში მოქმედი ღერძების სისტემა ჰქვინს.

სტრუქტურა. ამ აზრით, ასომთავრულში განხორციელებული კაპიტული ვერ დამწერლობათა „ზოგადი პრინციპი“ კონკრეტულად ეს პრინციპი ასეთა გრაფიკის „გეომეტრიულ სტრუქტურაში“ ვლინდება. ქართული ანბანის თვითეული ასონიშანი, ბერძნულ-ლათინური ასონიშნების ანალოგიურიად, გეომეტრიულ კანონთა შესაბამისად არის ჩაწერილი კვადრატის ცხარებში, რომელსაც მის შიდა სტრუქტურაში მოქმედი ღერძების სისტემა ჰქვინს. ამასთანავე, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ქართული ანბანის გრაფიკულ სისტემაში დასტურდება ასონიშნობერება, რომელიც ასონიშნების სრულ და მეთიხედეკვადრატული ნაწილუბის გეომეტრიული ნახაზის იდენტურობას ასაჩინოებს. ეს ეხება წრეს, წრის სამი მეთიხედეკვადრატული ნახევარწრისაგან კონსტრუირებულ ასონიშნების სრულ-კვადრატოვან კორპუსებს, რომლებიც მეთიხედეკვადრატული მოდიფიკაციით, იმავე ან ფანსხვავებული პოზიციით მეორედგანს სხვა ასოების გრაფიკაში. გამომსახველობით საშუალებათა ასეთი ეკონომია ანბანების არცერთ გრაფიკულ სისტემაში არ არის დადსტურებული. ასომთავრულის გრაფიკაში ეკონომიის ეს პრინციპი ჰქვინს სწორედ იმ კონსტრუირებულ გეომეტრიზმს, რომლის მეოხებითაც, ასონიშნთა სიმრავლის მიუხედავად, ვიზუალური განსჯა მათ გრაფიკულად ურთიერთომონათეავე ელემენტებად აფიქსირებს.

უკვე არა ერთხელ გვაქვს აღნიშნული, რომ ერთი და იმავე გრაფიკულ-გეომეტრიული ნახაზის მქონე მეთიხედეკვადრატული ელემენტები სხვადასხვა პოზიციით მეორედგანს ასონიშნების მოდელში. ასევე, სხვადასხვა პოზიციია აქეთ, მაგალითად, „ან-ლანისა“ — და „დე-ცანის“ კორპუსებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მბრუნავ სიმეტრიას ექვემდებარებიან. ბერძნულ ანბანში მბრუნავი სიმეტრიის პრინციპით არის აგებული ორი ასონიშნის მოდელი ZN და ამას ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა. მბრუნავ სიმეტრიას ამკლავებს ლათინურ ანბანში „დე-უ“ ასონიშნების კორპუსებიც და საგარეუდებელია, რომ ქართული ანბანის შემოქმედს ბერძნულ და ლათინური ანბანების გრაფიკული ანალოზის საფუძველზე აქვე შემუშავებული ეს მეთოდი.

ამვე დროს, ასონიშნის სრულკვადრატოვანი კორპუსის მეთიხედეკვადრატული მოდიფიკირების ფაქტი, ოღონდ ერთიანი გრაფიკული სისტემიდან იზოლირებული სახით, ლათინურ ანბანშიც საჩინოვდება და საჩინოვდება იმავე ესთეტიკური ხატის მქონე ნაწილით, რომელიც ქართულ ანბანშია დადასტურებული. მაგალითად, ლათინური „ბე-პე-ნე“ ასონიშნების მოდელი ჰორიზონტალურად ორიენტირებულ ნალისებური ელემენტი „დე-უ“ ასონიშნების კორპუსების მეთიხედეკვადრატულ ხაზს ასახეივებს ისევე, როგორც „ბანის“ ტიპის გრაფემების ჩვეულ „ან-ლანის“ კორპუსებს, აქედან კი ის ცნობრდება, რომ ლათინური „დე-უ“ ასონიშნებისა და ქართული „ან-ლან“ ასონიშნების მოდელებში ნალისებური კორპუსების მოხაზულობა იდენტურია (ნახაზი 6).



ასომთავრულის გრაფიკული სისტემის „ანალოგიური პრინციპი“ კვადრატია, იგივე კვადრატი, რომელსაც დასაზღვრა ბერძნულ-ლათინური ანბანების გრაფიკული

აღსანიშნავია ისიც, რომ ლათინური „დე-უ“ მოდელე-ბის ანალოგიურად ქართული „ან-ლან“ მოდელეების კვადრატში მდებარეობა (პოზიცია) 90°-ით არის განსხვავებული, ხოლო ერთობლივ „დე-უ“ და „ან-ლან“ წყვილებებისა 180°-ით. ასე რომ „ან“ გრაფემა ზუსტად იმეორებს 180°-ით მობრუნებული ლათინური „უ“ გრაფემის კონფიგურაციას. იგივე უნდა ითქვას „ან“ და ლათინური „დე“ გრაფემების შესახებაც იმ განსხვავებით, რომ „დე“ გრაფემის ნალისებური კორპუსის დახშეული ვერტიკალი (კვადრატის მარცხენა გვერდი) „ან“ გრაფემის ასეთივე კორპუსის თავსარქველი ხაზია (კვადრატის ზედა გვერდი). მაგრამ საქმე ისაა, რომ თავიანთი კონფიგურაციის შესაბამისად „ან-ლან“ ასონიშნებს ასომთავრულის სტრუქტურაში განსაკუთრებულ ადგილი აქვთ მიჩენილი. ისინი ანაზურა რიგის თანმიმდევარი კვადრატული რიცხვების თავსა და ბოლოში არიან განლაგებულნი ფონეტიკური ნიშნელების გათვალისწინებით (ამაზე შემდეგ). მაშასადამე, ანაზურა რიგში მათ მოხაზულობას გარკვეული ფუნქცია აქვს. აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ... კიდევ ერთი მაგალითი.

ლათინური „ცე“ გრაფემის პორიზონტალურად ორიენტირებულ, მარჯვნივ პირვანხნო წრე, გეომეტრიულ კანონთა შესაბამისად ისე ვერ ჩაიხაზება კვადრატში თუ არ ვუფიქსსებთ, რომ მის წრითელ კიდურებს „ქქ“ გრაფემის დიაგონალური ღერძები საზღვრავს (**ნახაზ 7**).



ამრიგად, „ცე“ გრაფემის მოდელი წრის სამ მეოთხედს მოიცავს. აი, ამ „ცე“ გრაფემის მეოთხედკვადრატულ მოდიფიკაციას წარმოადგენს „ეს“ გრაფემის ორი ერთმანეთისადმი ზურგშექცეული, ზემო და ქვემო მეოთხედ კვადრატებში ჩახაზული ელემენტი, რომელთა პოზიცია 45°-ით განსხვავდება „ცე“ გრაფემის პოზიციისაგან. ამავე დროს, თუ „ეს“ გრაფემის კვადრატის ღერძის ხაზზე დაეყენებთ, მის წრითელ კიდურებსაც მარჯვნიდან მარცხნივ აღძვავალი დიაგონალი დასაზღვრავს.

ასომთავრულშიც შესაბამისი ვითარება გვაქვს. ერთი მხრივ, „ჟე-ცანის“ ურთიერთიმეტრიული, მარცხნივ და მარჯვნივ ორიენტირებული წრითელი კორპუსები „ჯანის“ დიაგონალური ღერძებით არის დასაზღვრული, ხოლო მეორე მხრივ, „ჟე-ცანის“ კორპუსების მეოთხედკვადრატული მოდიფიკაციით არის კონსტრუირებული „რადან-პარ-წილის“ წრის სამი მეოთხედის შემცველი ელემენტები, რომელთა პოზიცია აგრეთვე 45°-ით განსხვავდება სრულკვადრატული „ჟე-ცანის“ კორპუსების პოზიციისაგან. მაშასადამე, ლათინურ ანაზურა შენიშნული გეომეტრიული კანონზომიერება **სისტემა**ში უნდა იქნას ასომთავრულში. ქართული ანაზის შემოქმედი, როგორც ჩანს, არ მალავს ამას, ვინაიდან არა მარტო „ცან“ გრაფემის წრითელი კორპუსი ამდენგნებს სრულ იდენტურობას

„ცე“ გრაფემის კორპუსთან, არამედ „ჟარ“ ასონიანიც, ჩვენი აზრით, სრულად იმეორებს „ეს“ გრაფემის მოდელს. ამ მავალთებიდან ერთი რამ შეიძლება დავასკვნათ: ლათინურ ანაზში **ემბრიონალურად** მოცემული გრაფიკული სისტემის ოზოლირებული ფაქტი ქართული ანაზის შემოქმედმა, ერთი მხრივ, **სისტემურად განავრცო** და სრულყო, ხოლო მეორე მხრივ, **ასოქმნადობის პრინციპად აქცია**.

როგორცა ჩანს, ასომთავრულის შემოქმედს არა მარტო ვანკონიერებული აქვს ბერძნულ-ლათინური ანაზების გრაფიკულ-გეომეტრიული სტრუქტურის რაობა და განალაზღვრული აქვს ასონიშნათა შორის არსებული გრაფიკული ურთიერთვაშირებისა და შესაბამისობის კანონზომიერება, არამედ ამ ანაზის საფუძველზე გამოშვებული ელემენტი აქვს ვარკვეული **მეილი**, რომელშიც მას **ორიგინალური** ინტერპრეტაცია შეაქვს. ეს მეთოდი მას იცავს პერიფერიული თვინებობისა და „შინზრდილი იმპროვიზაციისაგან“ (ს. ქობულაძე), იმისაგან, რითაც კლასიკული და უნივერსალური უპირისპირდება ხოლმე შენიღბული ეპიგონობა. ამიტომ მთლად სწორი არ უნდა იყოს დებულება, რომლის თანახმად „ასოთა წარმოების ერთიანი წესი **გამორიგავს** თუნდაც რომელიმე ასოს სხვა ანაზის გრაფიკული ნიშნისაგან წარმოშობის შესაძლებლობას“ (ელ. მაკავარიანი, ქართული ანაზის გრაფიკული საფუძველები, „საბჭოთა ხელოვნება“ № 10, 1977, გვ. 109). სწორედ ასომთავრულის ასონიშნების „**სტილისტურად ერთიანი გრაფიკული სისტემა**“, „ასოთა წარმოების ერთიანი წესი“ და მათი გრაფიკული ურთიერთვაშირების **ორიგინალურად** ვაზრდებული კოორდინაციული ბაღე“ (პარდერი) ჰქმნის იმის საფუძველს, რომ კლასიკური ანაზებიდან აუცილებლობის ძალით მოხმობილი ცალკეული გრაფიკული ხატის, კანონზომიერების ან მეოთხედის ესა თუ ის ელემენტი არ განიხილებოდეს როგორც მარტივად გაგებული „გავლენა“ და „კობირება“, არ განიხილებოდეს როგორც ამა თუ იმ ქართული ასონიშნის რომელიმე უცხოური ანაზის ცალკეული ასონიშნისაგან „წარმოშობა“.


ანაზის შემქმნელს წინ უძღვის სისტემის შემქმნის აქტი. ამ სისტემის შიგნით არსებული კავშირები და შესაბამისობანი (არა მარტო გრაფიკული ხსიათისა) განასაზღვრავს ასონიშნათა ესთეტიკურ-გეომეტრიული მოდელის სტრუქტურას. ქართული ასომთავრულის გენიალობით აღბეჭდილი **„ერთიანი გრაფიკული სისტემა“** თავისთავად გენიალობის მისი ერთადერთობასა და განუყოფლობას.

P. S. რ. პარდერის შრომა „ბერძნული დამწერლობის შემქმნა“ (ლოკაივი, 1942 წ.) გ. ბოლდერმა გამოამოგზავნა, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

გ. ბოლდერმა თავისი გამოკვლევა „ძველი ქართული ანაზის ანალიზისთვის“ წაითხა მაშხრამდე 1975 წ. სლავისტების სემინარზე. ეს შრომა ჩემი თხოვნით თარგმნა ზ. ორბელიძემ (შტაინლია „მოთარგმნელთა კოლეჯის“ საგამომცემლო გვეგმაში)..

წინამდებარე წერილში ვასწორებელი „წილ“ ასონიშნის გეომეტრიული მოდელი (იხ. ნახაზ 2), რომელიც წერილში „ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა“ მდებარე მქონდა დასაზღვრული.

# ალექსი



## მარინე კერესელიძე



ალექსი ბაბუაშვის კარგად იცნობენ მხატვართა, ჟურნალისტთა და მხატვრული ფოტოგრაფიის ოსტატთა წრეებში, როგორც საგამომცემლო საქმის ერთ-ერთ ნამყვან სპეციალისტს. დიდია მისი ამაგი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში. მას ეკუთვნის რესპუბლიკაში გამოცემული მთელი რიგი წიგნებისა და ალბომების გრაფიკული სამკაული.


ა. ბაბაბუაშვიის ნამუშევართა პირველმა პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც გასული წლის ბოლოს, მხატვრის დაბადების 61 წლისთავთან დაკავშირებით, მოეწყო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ამ დაუღალავი და თავის თავის მიმართ ძალზე მომთხოვნი ხელოვანის ნიჭის კიდევ ერთი ნახნაგი გაგვაცნო.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შექმნილი გრაფიკული ნამუშევრები. ბევრი მათგანი გუშით, ტემპერით, ტუშით და ფერადი ფანქრებითაა შესრულებული, მაგრამ უპირატესობას მხატვარი აკვარელს ანიჭებს, იტაცებს მისი სიმსუბუქე, გამჭვირველება, ქალაქის ზედაპირზე ფერთანაზი, სადაფისებური ლივლივი, წყლის საღებავის ლამაზი ჩამონადენით.

ა. ბაბაბუაშვიის შემოქმედების ნამყვანი ფართი პეიზაჟია. მისი აკვარელები გვიხილავენ გულწრფელობით, ნათელი ხედვით, ბუნების მშვენიერების სათუთი შვებულებას.



# ბალაზუშვი - 60



ბით, ამჟღავნებენ ავტორის ფაქიზ გემოვნებას. ამ ნამუშევრებს აღვიქვამთ როგორც ლირიკულ ლექსს, მხატვრის სულში აჟღერებულ მუსიკას. გამოფენაზე ვერ ნახავდით ბუნების დიდებულ პანორამებს, ფერადოვანი ხშიერებით ამღერებულ პეიზაჟებს. ა. ბალაზუშვი უფრო ბუნების მწვიდი, იდუმალი სურათები ხიზლავს. ბუნებას იგი ლირიკოსის თვალთ უყურებს და მის ყველაზე უმნიშვნელო, თითქმის შეუმჩნეველ გამოვლინებებშიც კი პოეზიას აღმოაჩენს.


სანაპიროზე

ტრაულური

ფიქვები

შემოდგომის მოტივი

ქვის უღბანი



ბუნების ამა თუ იმ ხედსა და მოტივს მხატვარი ნატურიდან ასრულებს, ცდილობს ფერში აღბეჭდოს მომენტის განუყოფრებლობა. ასეთი ნამუშევრების გვერდით არის მებსიერებით ან წარმოსახვით შექმნილი სურათებიც. ა. ბალაბუევის პეიზაჟებს არ გააჩნია ბუნების სურათის დოკუმენტური ფორმა, „პორტრეტულობა“. იგი გვთავაზობს განზოგადებულ, გაპოეტურებულ ხატს, ეს პეიზაჟები უფრო მხატვრის განწყობილებების, განცდების, შთაბეჭდილებების, მოგონებების ხორცშესხმა, რაღაც ღრმასა და ფაქიზზე, ადამიანის სულთან მიახლოებაზე მინიშნებაა.

ა. ბალაბუევის ნამუშევრებს შორის შეხედვით მისთვის განსაკუთრებით საყვარელ მოტივებს, — ჩამავალი მზის სხივებით განათებულ ბორცვსა თუ ტყისპირს; ცას — ხან განთიადის პირველი სხივით შევარდისფერებულს, კამკამასა და მონმენდილს. ხან კიდევ მიქუფრულსა და სანვიმრად გამზადებულს; მუდამ ცვალებად ზღვას—ბობოქრსა და აზვირთებულს, ხანაც მშვიდსა და ათასფრად მოლივლივს. ყოველი მოტივისათვის მხატვარი პოულობს შესატყვის კომპოზიციურ თუ ფერადოვან გადაწყვეტას, ზუსტად მიგნებულ კოლორით ვადმოსცემს ბუნების მდგომარეობას წლის სხვადასხვა დროსა და დღის სხვადასხვა მონაკვეთში („შემოდგომა“; „შემოდგომის მოტივი“; „წვიმის შემდეგ“; „დაისი“; „განთიადისას“).

ბუნების განწყობილების გამომახატველ რომანტიკულ პეიზაჟებში თითქმის ყოველთვის სიმშვიდე და მყუდროება სუფევს. შთაბეჭდილება, განწყობილება — ეს ცნობები თან გდევს ნამუშევრების დათვალიერებისას და, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ შექმნილა ისეთი სურათი, როგორცაა „დასენება“. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივით განათებული ციოთა და ცხენისა და კაცის სილუეტური გამოსახულებებით. ამავე განწყობილებას აღძრავს ის სურათებიც, რომელთა სახელწოდება პეიზაჟის ადგილმდებარეობაზე მიუთითებს — „ველი“, „ნაჯირი“, „ფიჭვნარი“, „ბორცივი“ და სხვ.

ა. ბალაბუევის ნამუშევრებს შორის არის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამსახველი პეიზაჟებიც („კახეთი“, „ქართლი“, „გომბორი“ და სხვ.), აგრეთვე სხვა რესპუბლიკებში მოგზაურობისას ნანახი ბუნების ხედები („ძინტარი“, „ბალტიისპირეთი“, „რიგა, სანაპირო“, „ფინეთის ყურე“, „ლენინგრადის შემოგარენი“). მხატვარი ეძებს დამახასიათებელს, ანზოგა-

დებს ფორმას, ყოველივეს თავის ფერწერულ ხედვას უმოჩილებს. არჩეულ სიუჟეტსა თუ მოტივს ა. ბალაბუევის ნამუშევრებში ყოველთვის შეესატყვისება აკვარელური ფერწერის განსაკუთრებული წყობა, მხატვარი არასდროს არ მიმართავს თეთრას. იგი, ანუ ექვათა, „სუფთა“ აკვარელით მიუშობს.

ა. ბალაბუევი ოსტატურად იმორჩილებს წყლის საღებავის ურთულეს, „ჯიუტ“ ტექნიკას, წარმართავს მის ბუნებრივ თვისებებს საკუთარი მხატვრული ამოცანების გადასაწყვეტად. რიგ შემთხვევაში მხატვარი ინარჩუნებს აკვარელის საღებავის სისუფთავესა და გამჭვირვალეობას, ქალღმრთე წყლის ლამაზ ჩამონაღვენთს. ასეთ სურათებში („შემოდგომა“, „შემოდგომის მოტივი“, „დაისი“, „ფინეთის ყურე“ და სხვ.) ფერადოვანი ლაქები სხივისებურად იშლებიან, გადადიან ერთმანეთში, ქმნიან ზედაპირის ხავერდოვნებას. ზოგჯერ გამოყენებულია მშრალ ქვედა ფენაზე დაწველი ნერის ტექნიკა, ფერთა რთული ნიუანსირება. რიგი ნამუშევრებისა კი ორივე ამ მეთოდის კომბინირებას ამჟღავნებს. არის ისეთებიც („წითელი მდელი“), სადა დაწველიზანებულნი ფერადოვანი ლაქები პასტოზურად, მსუყედ არის დადებული ქაღალდზე. ასეთ სურათებში ფერწერულ-კოლორისტული საწყისი ქარბობს.

ფერთა დაქუცმაცებულობას, მათ მოზაიკურ ურთიერთშეხამებას ხშირად მიმართავს მხატვარი, მაგრამ მისი ნამუშევ-



რების უმრავლესობა ერთი ფერის სხვადასხვა ტონალობათა გრადაციითაა შექმნილი. სწორედ ტონალური სიმდიდრე წარმოადგენს სამყაროს იმ პარმონიის საფუძველს, რომლის ასახვასაც ასე ესწრაფვის მხატვარი.

ა. ბალაბუევის ფერთა პალიტრა ძალზე ძუნწია, სურათებში ნაზ მუსიკალურ აკორდებზედ ჟღერს ორი-სამი ფერი, რომელსაც ეხმიანება ნატიფად ნიუანსირებული ცის ფონი.

თავის პეიზაჟებში მხატვარი ცდილობს აკვარელის ფერწერული სანწყისის გამოვლენას, თუმცა გაზოფენაზე წარმოდგენილი იყო ისეთი ნამუშევრებიც, სადაც გარკვეული ძალა გრაფიკულ სანწყისაც ენიჭება («კახეთი», «ზღვის ნაპირი»).


დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრისთვის ექსპერიმენტს, ახალი ტექნოლოგიური ხერხების ძიებას, რაც ბუნების მრავალფეროვნების მხატვრული ხორცშესხმის კიდევ ერთი საშუალებაა. მისი ნამუშევრები მუდამ გამოირჩევა სათქმელის სიცხადით, პარმონიულობით, ამიტომაც გვანიჭებს სიხარულს.

აკვარელი სულ უფრო თამამად იკიდებს ფეხს ქართულ სახვით ხელოვნებაში უკანასკნელი წლების რესპუბლიკური გამოფენები თვალსაჩინოს ხდის ამ რთული და სპეციფიკური სახეობის მაღალ მხატვრულ დონეს. ვფიქრობთ, ა. ბალაბუევის პოეტური, ნატიფი ლირიზმით აღბეჭდილი ნამუშევრებიც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ ქართულ აკვარალურ ფერწერაში.



მოქუფრული ცა

ბალბა



წარსულის გახსენება

# ლირიკოსი მხატვარი

ცისანა კუხიანიძე

ალექსი ბალაბუშვილის შემოქმედებაში გარემო ფაქიზი ლირიკოსის თვალთაა დანახული. საქართველოს მთა-ბარის კონტრასტები ამ სურათებში განსაკუთრებულ ელფერს იძენს. მის ნაწარმოებებში ბუნება თითქოს ხელშეუხებია, გვიბლავს თავისი უმეანოებით.

აკაერელის საღებავთა სიფაქიზე და გამჭვირვალობა მხატვრის ნაწარმოებებში ხავერდოვნებით გამოირჩევა, რაც ხელს უწყობს პეიზაჟის ინტიმურ განცდას. იგრძნობა ავტორის ტკიბობა ბუნების სურათებით, თუნდაც იგი სტიქიის მკაცრ მომენტს გამოხატავდეს, მისი ცათაწვდილი მთებიც კი ნაზი გრძნობებით აღგვავსებენ.

თითქოს აღარ დარჩა ზღვის მიმოქცევის არცერთი მომენტი, ფერის უამრავი ნიუანსი რომ არ გვეხილა სხვადასხვა ქვეყნისა თუ ეპოქის მხატვართა შემოქმედებაში, და მაინც ალექსი ბალაბუშვილმა აზღებურად გვაგრძნობინა, თავისებურად დავანახა ბუნების საოცრება ნაწარმოებში „ქარიშხალი“, „ზღვის ნაპირი“, „ესკადრა“ და სხვა ნამუშევარში ზღვის სილამაზის სხვადასხვა მხარეა გადმოცემული. ტალღებში გაბნეული ნაცრისფერი ტონების გამჭვირვალეობა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ვის არ უნახავს სოფლის ორღობეში ამოსული ბაღა, მაგრამ მხატვრის პოეტური ხედვა განსაკუთრებულ სიცოცხლეს იძენს ტილოზე, ლირიზმითაა გამთბარი. ბალაბუშვილის ყვითულ „ბაღას“ გულგრილია ვერ ჩაუვლით, იგი შეგაჩერებთ და გაგაკვირვებთ. მხატვრის ეს თვისება, ჩვეულებრივსა და ყოველდღიურში მოთლოდნელის აღმოჩენა, მთელ მის შემოქმედებას გასდევს. ყოველთვის იგრძნობა, თუ როგორ შეხვარის მხატვარი ბაღასა თითოეულ ღეროს, განმარტოებულ ნაძვს, ღრუბელს, მზის სხივს, ფოთოლზე შერჩენილ ცვარს. ტალღის შეფერვების სიქათქათეს, ჰაერის გამჭვირვალეობას, გრძნობს თუ, როგორ ეტრფის შემოქმედი გაციკრონებულ დოლასა და სალამოს ბინდს, შემოდგომის მწიფე, ნოყიერ ფერებს, გაზაფხულის ცინცხალ სუნთქვის და მასაც ეუფლება ეს განცდა. ბალაბუშვილის მიერ მოძებნილ ფერთა გამა მკაფურებელზე ვილონოს ფაქიზი ბგერების სიძლიერით ზემოქმედებს. მხატვარი მასალასა და ხატვის თავისებურ ტექნიკას ისტატურად უმორჩილებს დასახულ მხატვრულ ამოცანებს. იგი მალალი პროფესიონალიზმით ახორციელებს ჩანადიქრს და შეუმჩნეველ გვიზიდავს, გადაყვართ მხატვრული აზროვნების საყუთარ სამყაროში. მის ნაწარმოებებში გამოსა-

ხვის საშუალებანი ძალზე ჩვეულებრივია, მხატვარი არ არის ვატაცებელი აბსტრაქტული სახებით ხერხებით, ან რაიმე განსაკუთრებული მეთოდით. თუმცა მის შემოქმედებაში ვხვდებით ფორმების სტილიზაციასა და ფერის პირობითობასაც („ხეხილის ბაღი“, „წითელი ხეები“), მაგრამ ეს ერთეული შემთხვევებია. ალექსი ბალაბუშვილი ძირითადად მიჰყვება რეალიზმის გზას მუდამ წარმატებით.

განვაში, 1942 წ.





ქარიშხალი

მხატვარს თითქოს არ სურს ბუნების მყუდროება დაარღვიოს, ამიტომაც პეიზაჟებში იშვიათად ვხვდებით ადამიანს თავისი მოუსვენარი ცხოვრებით, იშვიათად ვხვდებით ცხოველებსაც. იალაღებსა თუ მწვანე ბორცვებზე შეფენილი ცხენები, თითქოს უტყვი ბუნების ნაწილია, მისი მრავალფეროვნების კიდევ ერთი გამოხატულება.

ნაწარმოებში „დაისი“, სადაც მთის ბილიკზე, აღმართზე მიმავალი ხანდაზმული წყვილია გამოხატული, კვლავ ბუნება დომინირებს. მხატვარი მარტივი კომპოზიციით აღწევს დაისის განწყობის გაღმოცემას. საღამოს მზის სხივებით შეფენილი ნაცრისფერი ღრუბლები და მთის ფერღობის მწვანე, ხავერდოვანი საფარი დაისის სევდიან მშვენიერებას შეგვაგრძნობინებს, ხოლო მცხოვანი ქალისა და მამაკაცის მეგობრული განწყობა, რაც მათ შეწყვილებულ ფიგურებში იკითხება, სიმბოლურად ეხმიანება ბინდის მიახლოებას და აღრმავებს ნაწარმოების ჩანაფიქრს.

როგორც ბევრი სხვა მხატვარი, არც ალექსი ბალაბუევი დაუტოვებია გულგრილი ძველ თბილისს. მას იზიდავს ერთმანეთზე მიჯრილი სახლები ათასგვარი სახურავებით; ბებერი სახლების განუწყვრელი „მეგობრების“ — კატების სიანცე მთვარიან ღამეში, მაგრამ მხატვრისთვის მთავარი მაინც უტყვი ბუნების

ცხოვრებაა, რომელშიც მისი მდიდარი ფანტაზია ეძებს და პოულობს ფერთა განსაკუთრებულ პარმონიას, გაღმოცემს მას აკვარისის სპეციფიკური სიფაქის გამოვლენით.

პერსონალური გამოფენა პირველი იყო მხატვრის ცხოვრებაში, რაც მის მოკრძალებულ ბუნებაზე მეტყველებს (მას სამოცი წელი შეუსრულდა). ომგადახდილმა მხატვარმა გამოფენაზე გამოიტანა საბრძოლო ცხოვრების ქაღალდზე აღბეჭდილი ორიოდე ეპიზოდი, — ერთი მცირე ფურცელი წარსული ბიოგრაფიიდან.

ზაზთა რიტმულობით, სისადავითა და მკაფიო კომპოზიციებით გამოირჩევა ალექსი ბალაბუევის ნამუშევრები წიგნისა და საეჭრნალო გრაფიკაში. მას მრავალი გამოცემა გაუფორმებია, მათგან მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოვლიდგინა გამოფენაზე. ეს ნაწარმოებები კვლავ ცხადად მეტყველებენ მხატვრის გრაფიკულ ოსტატობაზე.

ალექსი ბალაბუევის სახით ქართულ სახვით ხელოვნებას ერთ-ერთი ნიჭიერი და თვითმოყოფადი ოსტატი ჰყავს.

ძალში ადრე, 17 წლის ასაკში შეწყდა დათო  
კრწანულის გზა ხელოვნებაში. თბილისის  
ი. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის მე-  
ორე კურსის მოსწავლის შემოქმედებას უკვე  
ახასიათებს ყველა ის ნიშან-თვისება, რომელ-  
თა განვითარებაც მას, ჩვენი ღრმა რწმუნა-  
თა თვალსაზრისით მხატვრის სახელს მოუტანდა.

რა თქმა უნდა, დღეს ძნელი ვილაპარაკოთ  
განუხორციელებელ მომავალზე, მაგრამ ნიჭის  
პოტენციური შესაძლებლობები და ჰაბტუა  
შემოქმედლის თუნდაც რამდენიმე ნაწარმოები  
უკვე იძლევა სერიოზული განსჯის საფუძველს  
და ღრმა გულისტეივილსაც იწვევს მათი  
ავტორის დაკარგვის გამო.

დათოს პირველ სერიოზულ ნამუშევრად  
შეიძლება მივიჩნიოთ 11 წლის ასაკში შეს-  
რულებული კახეთის პეიზაჟი. გამოსახელო-  
ბითი ხერხები ჯერჯერობით პრიმიტიულია:  
სიბრტყობრივი ნახატი, ლოკალური ფერები,  
მარტივი კომპოზიცია, ქარისგან გადახრილ  
ხეთა რიტმული წყობა, წვიმის პირობითი  
შტრიხები... მაგრამ სურათის ემოციურ წყო-  
ბაში უკვე იგრძნობა ახლადთვალახელილი  
მხატვრის ბუნებასთან შემოქმედებითი შეხე-  
ბით გამოწვეული განცდა. იგი ყველაფერს  
შხედველობითი აღქმით ითვისებს, ინტუიტ-  
ურად, გულბრტყვილად. გარემოსთან დამო-  
კიდებულება გრძნობებზეა აგებული.

უკვე ერთ წელიწადში დათოს ნახატები  
მნიშვნელოვნად იცვლება. იგი იწყებს ნატუ-  
რის აქტიურ შესწავლას, ხელისა და თვალის  
ვარჯიშს. წმინდა ინტუიციითა და ბუნებით  
მიმადლებული ნიჭის წყალობით ქმნის რეა-  
ლისტურ პეიზაჟებს, კომპოზიციებს, ნატურ-  
მორტებს; „მენავე“, „ლადა“, „მამანურის  
ბოლო და ჭიქა“, „ბანაობა“, „თუთიუშვი“  
და სხვა — ამ ნამუშევრებში ფორმა უკვე  
დახვეწილია, დეტალები — შერჩეული, პრო-  
პორციები განსაზღვრული, სივრცე — ღრმა  
და ჰეროვანი, მოცულობა — ხელშესახები.  
პლასტიკურ-სახეობრივი აზროვნება თანდა-  
თან იხვეწება და ძალიან მაღე უბრალო მექა-  
ნიკური მიზაქიდან დათო გადადის საყარო-  
სადმი უფრო ღრმა, კრიტიკულ დამოკიდებუ-  
ლებაზე.

საკმარისა დავასახელოთ გრაფიკული ჩა-  
ნახატი — „მოხდერალო“. იდნამიური ხაზი  
ერთი ამოსუნთქვით შემოწერს მამაკაცის სა-  
ოცრად მტყველ ფიგურას, რომელიც თავდა-  
ვიწყებით ტკება საყუთარი ხმის მელოდუ-

# გზის დასაწყისთან

## ეთერ შაგვულიძე

რობით. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ხელე-  
ბის მოძრაობა, წაგრძელებული, ზეწეული,  
ფრთხეხსმული სხეული და ყვავილად ქცე-  
ული მიკროფონი, რომელიც მუსიკის ჭადოს-  
ნური ჰანგების ზეგავლენით თითქოს სიამო-  
ვნებისაგან იკლავება, თვითონაც ფრთხელად  
ფოთლებს ისხამს და გაფრენას ლამობს. სრ-  
ვითი ზედმეტი დეტალი, ზედმეტი შტრიხი.  
ყველაფერი ემსახურება ერთ მიზანს — მუ-  
სიკის ესთეტიკურ-ემოციური არსის მხატვ-  
რულ-იუმორისტულ ინტერპრეტაციას.

დათოს ამ პერიოდის ნამუშევრებში სახი-  
თი ხერხებისადმი ყურადღების გამახვილებაც  
იგრძნობა. ფორმის ორიგინალური ორგანიზა-  
ციით გვხიბლავს 1977 წელს დახატული „ბე-  
ბიას პორტრეტი“. სახე ჩაწერილია ჩხირებგა-  
ყრილი ძაფის გორგალში, მაგრამ თითოეული  
ინარჩუნებს შეფარდებით დამოუკიდებლობას  
და თან ნახატის მთლიანობაც არ ირღვევა.  
ბებია და საქსოვი — ეს ორი მცენება განუყო-  
ფელია შვილიშვილის ცნობიერებაში და გა-  
ნუყოფელია გრაფიკულ ფურცელზეც.

დათო ცდილობს აღმოაჩინოს ფორმა ფორ-  
მაში, ეცებს მის მრავალმნიშვნელობას. ასეთია  
გრაფიკული კომპოზიცია, რომელზეც გამო-



დათო კრაწამელი

სახელია მზისაკენ ხელმბაბურობილი, ძამე-  
ბით მოსილი ქალი, ფოთლმეგამარცხელი ხე,  
მოხუცი მამაკაცის სახე და ადამიანის შიშვენი  
ფეხის ტერფი. ფორმები ერთმანეთში  
ისეა ჩაწერილი, რომ ასოციაციური აღქმის  
პროცესში ერთ-ერთი სრულიად რეალური  
გამოსახულების სახით იწვევს წინა პლანზე,  
ხოლო სხვა დანარჩენი — ქრება. ავტორი  
თითქოს ითხოვს მაყურებლის გააქტიურებას,  
თანაშეყოფილად იწვევს მას და აიძულებს  
აღიქვას ყველა ფორმა ერთმანეთისაგან და-  
მოუქიდეგლად.

ფორმის მხატვრული გააზრება შინაგანი  
კავშირის ახალ საფეხურზე აყვანილი გრაფი-  
კულ ნამუშევარში „გალაქტონი“. ფეხმაგა-  
რი მუხის ხის ტოტემის არქიტექტონიკული  
წყობა წარმოვიჩინეს დიდი პოეტის საოცრად  
მეტყველ პორტრეტს. ეს არის ვალკატონის  
უკვედავი პოეზიის სიყვარულის განსახიფტება,  
რომელიც ნიშანდებულია ფიქრისა და ხედვ-  
ის „ემოციისა და აზრის მოძრაობით, ფანტაზი-  
ის აღმავრენითა და შემოქმედებითი ზომიე-  
რების გრძობით.

დათოს შემოქმედებით ფანტაზიას ასაზრ-  
დოებს რეალური გარემო. იგი ქმნის მშობლიუ-  
რი კანეთისა და სამეგრელოს პეიზაჟებს. აყე-

თებს უამრავ ჩანახატს. მათი ნაწილი წარმო-  
ვლდგენს სხვადასხვა ხასიათის ადამიანებს ყო-  
ველდღიური საქმიანობის პროცესში; ქმნ-ს  
პორტრეტების მთელ გალერეას; ასახავს ცხო-  
ველთა მრავალფეროვან სამყაროს; ლანდშაფ-  
ტის ფარულ მშვენიერებას და ყველგან იგრ-  
ძნობა სიცოცხლის ცხოველყოფილი ძალა.  
განსაკუთრებით აღვლევს და ინტერესებს  
წარსულის ქმნილებები: ჯვარი, ალავერდი,  
მეტეხი, ძველი ბაზილიკა... მაგრამ მისთვის  
ისტორიაა არა მარტო არქიტექტურული ძეგ-  
ლები, არამედ პაპისეული სახლიცა და ძველი  
საბძელიც. მეგრული ოდაც და მისი ნახევ-  
რადმონგრეული ღობეც. რამდენი სიტბო, სა-  
ყვარული, ტყვილი და განცდაა ამ ნამუშევ-  
რებში.

ამ პერიოდში დათო ითვისებს მისთვის ახ-  
ალ ტექნიკას. ამჯერად უკვე ფერწერული ტი-  
ლოები გამოირჩევიან კოლორიტის განცდილია  
და ზეთის საღებავების ფერის შესაძლებლო-  
ბათა გამოვლენის თანდაყოლილი უნარით. სა-  
კმარისია დავასახელოთ 1979 წელს შესრუ-  
ლებული ტილო „ალაზნის ველი“. ეს არის  
საყვარელი პეიზაჟის წმინდა ფერწერული ხა-  
ტი. გამოსახულება არსად ჩანს. შექიფდა და  
ტონებისაკენ ფერის გრადაციული გადასვლა  
ალაზნის ველის უკიდვგანო სივრცის შთაბეჭ-  
დილებს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ ფორმათქმნალობის მე-  
თოდის ძიების პროცესში დათო ცდილობდა  
კუბიზმის, სიურეალიზმის და სხვა მხატვრულ  
მიმდინარეობათა გამომსახველობითი საშუა-  
ლებების თავისებურ კრიტიკულ ათვისებას,  
ამჯერად კი, ახალი ტექნიკის სრულყოფილად  
დაუფლებს მიზნით, იგი მიმართავს ფერწე-  
რის რეფორმატორების, კერძოდ, იმპრესიო-  
ნისტების ხელოვნებას, დათოც ხატავს „წვი-  
მიან დღეს“, მაგრამ მოვლენასთან მისი სუ-  
ლიერი თანაზიარობა განსაზღვრავს ამ სურა-  
თის მხატვრულ ღირებულებას და არა წარსუ-  
ლის შემოქმედებითი შემკვიდრების ოსტა-  
ტურად ათვისების დონეს.

დათოს შემოქმედებაში ცალკე უნდა გამო-  
ვეყოთ ადამიანის არის პრობლემისადმი მიძ-  
ღვნილი გრაფიკული ნაწარმოებები, რომლე-  
ბიც გვაოცებენ ასე ახალგაზრდა მხატვრის  
საინტერესო ფილოსოფიური აზროვნებით.



ამ სერიის პირველი ნამუშევარია ბიბლიურ-სიუჟეტის გრაფიკული ფურცელი «ევას შექმნა». უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს თვით სიუჟეტის ორიგინალური ინტერპრეტაცია. კომპოზიცია ერთფიგურია—მარჯვლად აღმართული გამოსახულებაა ფართო პლანით წარმოდგენილი. აქ უფრო პორტრეტია მოცემული, ვიდრე წარწერის შესატყვისი მოვლენის ამსახველი სცენა და მინც აშკარაა, რომ ეს არის «ევას შექმნა». ლმერთის გამოსახულებაში შერწყმულია ორი საწყისი: მიწიერი და ზეციერი, ღვთაებრიობა ხაზგასმულია შარავანდოთ, სხეულის რთული რაკურსით, შებრუნებული ფეხის ტერფითა და აფრიალებული მოსასხამით ფიგურა თითქოს მიფრინავს, სიერცეში მოძრაობს და დედამიწას არც ეხება. ამასთანავე, საოცრად მიწიერია მოცულობითი, მკვრივი სხეულითა და შრომისმოყვარე, გამარჯე მამაკაცის ძლიერი ხელებით. სახე — შთაფონებული, თვალენი — მოელვარე — სწორედ ისეთი, მოღვაწეობის ყოვლისმძლე სურვილით აღტკინებულ ადამიანს რომ ახასიათებს. მთელი ყურადღება გადატანილია ნერვიულად დაძაბულ ხელებზე, რადგან ავტორისათვის ცხოველმოქმედების რეალური საშუალება, შრომის პროცესისა მნიშვნელოვანი და არა ქმნადობის აბსტრაქტული იდეა. «მხოლოდ ასეთ ხელებს შეეძლოთ ევას შექმნა», — თვითონვე უთქვამს მამონ დათოს.

ადამიანის წარმოშობა-არსებობაზე სიმბოლოების ენით მოგვიხიბრობს მეორე

გრაფიკულ ნამუშევარში, რომელსაც ავტორი «დაადებას» უწოდებს. კომპოზიციის ცენტრში მოცემულია სიცოცხლის წყარო — მზე, რომლის სხივებზეც წრიულადაა შემოვლებული ქალის სხეული — ნაყოფიერების სიმბოლო. განსაკუთრებით ხაზგასმულია მკერდისა და მუცლის არე, ხოლო თვით სხეული სუსტია და უღონო, პაერში გამოკიდებული, მაგრამ მინც უკვდავი, მარადიული, რადგან მზის სხივები კვებავენ და «ხე სიცოცხლისა» მფარველობს. ცივილიზაციის ზედამავალი პირობითი გზის თავში, ცხოვრების სპირალის გვერდით დგას მამაკაცის ძლიერი ფიგურა ხელში ცოლის ლამპარით, რომელიც მზეზე უფრო მეტად კამყაშებს — ადამიანის ცნობიერება ყველაზე მაღლა ღვას და ყველაფერს წვედება. არა რაღაც ღვთაებრივი ძალა, არამედ რეალური სინამდვილე — ბუნება და მისი განვითარების უშაღლესი ფორმა — ადამიანის თავის ტვინი შეადგენს სიცოცხლის არსს. დროსა და სიერცეში მარადიული მოძრაობა ხაზგასმულია მთელი კომპოზიციის ბორობლებთან ურთიკაზე მოთავსებით, ხოლო განვითარების უსასრულობა და უწყვეტებლობა ვერტიკალურის სპირალების სახითაა წარმოდგენილი.

საერთოდ, ნაწარმოების არქიტექტონიკა ზედმიწევნით გააზრებულია. ავტორი ოსტატურად იყენებს ვერტიკალურ, პორიზონტალურ და წრიულ ფორმებს ნახატი პლასტიკურ-ხაზობრივი გამომსახველობითობის მიღწევის მიზნით. ეს კი განსაზღვრულია თვით მასალის მხატვრული შესაძლებლობებ-



ბით — ჩვეულებრივი ბლოკნოტის ფურცლის თეთრი ფონითა და შავი ბურთულიანი ავტოკალმით. როგორც ჩანს, ეს არის მომავალი სამუშაოს ერთგვარი გეგმური მონახაზი, მხატვრული იდეის უბრალო ფიქსაცია და არა მისი გასაგნობრივება ხელოვნების ნაწარმოებში. მაგრამ თვით ეს მხატვრული იდეა იმდენად ღრმა შინაარსისაა და აზრობრივად ისე ძლიერაა დამუხტული, რომ ერთგვარი გამომსახველობითი დაუდევრობის მიუხედავად, ნახატის ემოციური ტონუსი საოცრად ზეაწეულია.

ფორმის უკიდურესი განზოგადება კიდევ უფრო თვალსაჩინოა გრაფიკულ ფურცელზე „ოჯახი“. საზოგადოების სოციალური ერთეული გააზრებულია როგორც „მრავალფეროვანთა ერთიანობა“ — დედა, მამა და შვილები. გამოსახულებათა ბუნებრივი საგნობრიობა სრულიად უარყოფილია და პირობით ფორმათა სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ ფიგურათა მარტივ მონახაზებში ადვილად იკითხება ოჯახის უფროსის მამაკაცური ღირსება ქალის დედური სითბო-სინაზე და პატარა ქალ-ვაჟის ბავშვური ხასიათები. ნაბატზე სუფევს სიყვარულით სავსე ოჯახური ატმოსფერო. ამგვარი ემოციური გამომსახველობითობა მიღწეულია კომპოზიციური წყობისა და გამოსახულებათა მოძრაობის საშუალებით ე.ი. შინაგანი საგნობრიობის ხარჯზე და არა სახეობრივ-პლასტიკური ან მოცულობით-დერწერული ხერხების საშუალებით. რა თქმა უნდა, ეს გამორიცხავს ფორმითქმნადო-

დაბადება.  
წვიმიანი დღე.  
კომპოზიცია.  
კაჟამეტის ხარები.  
ნატურმორტი.



ბის ტრადიციულ მეთოდს, მაგრამ გამართლებულია ჰუმანური, უაღრესად კეთილშობილური შინაარსის ღრმად რეალისტური საწყისებით.


საინტერესოა ამ სერიის კიდევ ერთი გრაფიკული ფურცელი „ადამი და ევა“, რომელიც ეძღვნება ქალისა და მამაკაცის ფიზიოლოგიურ-სოციალური არსის გარკვევას. თუკი „ოჯახში“ ყურადღება გადატანილია ქალის და მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულების ფაქტზე, მათი ერთიანობის შედეგზე, აქ წამყვანია თითოეულის სპეციფიკურ ნიშანთვისებათა, განსხვავებულ მისიათა მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრების სურვილი. აქედან გამომდინარე, პირველ ნამუშევარში ფორმა მთლიანად ექვემდებარება სიყვარულის იდეის ემოციურ-გამომსახველობითად გაცდის ამოცანას, ხოლო მეორე გრაფიკულ ფურცელზე ფორმა შედარებით უფლებამოსილია, რადგან აქ უკვე მოვლენის რაციონალური მხარეა წამყვანი და ემოციური. ადამის გამოსახულებაში ხაზგასმულია გონებრივი საწყისი — იგია კაცობრიობის მატერიალური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წამყვანი ძალა, ხოლო ევა წარმოდგენილია ადამიანთა გვარის გამრავლება-განვითარების სიმბოლოდ, სწორედ ისე, როგორც ნაყოფიერების ქალღმერთი პირველყოფილ ხელოვნებაში.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ამ ოთხ ნამუშევარს აქვს წარწერა. თითქოს ამით ავტორს სურდა მკურებლისათვის ნათელეუც საკუთარი ფილოსოფიური მსჯელობის მხატვრული განზოგადების მეთოდი, რომელიც ჯერ კიდევ არ მიჩანდა სრულყოფილად. როგორც ჩანს, ჰაბუკი მხატვარი მთელი სერიოზულობით უდგებოდა ნებისმიერი იდეის შემოქმედებითად განვითარების პრობლემას. ბევრს ფიქრობდა მისი ხორცშესხმის საშუალებებზე. ამაზე მეტყველებენ ესკიზები, რომლებიც მრავლად მოიპოვება დათოს მხატვრულ მემკვიდრეობაში და აგრეთვე ერთიდაიგივე წარმოდგენა რამდენიმე ვარიანტში.

ნორჩი ხელოვანის ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრება მრავალფეროვანი და უდავოდ საინტერესოა. აქ თითქმის ყველაფერია — პირველი გაუბედავი ნაბიჯები და თამამი განაცხადი, ძიება და გამარჯვების სიხარული, ფორმასთან მოწაფური ჭიდილი და ოსტატის მტკიცე ხელი, შემოქმედებითი წვა და ფანტაზიის აღმადრენა, ხელოვანის უტყუარი ინტელიცია, ფიქრიანი განსჯა და ჩვენ გვჯერა, რომ იგი თვალსაჩინო ძალად შეემატებოდა ქართულ მხატვრობას.

ცნობილ ქართველ დრამატურგსა და პოეტს იონა ვაკელს 80 წელი შეუსრულდა.

უკვე სამოცი წელია ი. ვაკელის ლექსებზე და პოემები იხებდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, თითქმის ნახევარი საუკუნეა მისი დრამატული თხზულებები იდგმება ქართულ სცენაზე.



იონა ვაკელის ლექსების პირველი კრებული „შარვანდელი“ 1922 წელს დაიბეჭდა. ამას მოჰყვება ლირიკული ლექსებისა და პოემების („მენისკვილე“, „შირთქიანი“, „ზელიმხანი“, „არსენა ჯორჯიაშვილი...“) ათობით კრებული.

ცალკე წიგნებად თუ კრებულებად გამოვიდა ი. ვაკელის დრამატული თხზულებები. რომელთაც გვერდს ვერ აუღლის ქართული საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრის ისტორიკოსი.

„აპრაკუნე ჭიმჭიმელი“ ჯერ კიდევ 1933 წელს დაიდგა მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში და მას აქეთ ამშვენებს ქართულ სცენას.

რესპუბლიკის თეატრებმა (მათ შორის რუსულმა და სომხურმა თეატრებმა) არაერთ-

გზის წარმოადგინეს იონა ვაკელის პიესები: „შამილი“, „გიორგი სააკაძე“, „რკალი“; „ხელაშვილის ოჯახი“ და სხვ.

ბევრ ქართველ რეჟისორსა და მსახიობს სწორედ ი. ვაკელის პიესების სცენაზე ხორცშესხმამ მისცა საშუალება თავიანთი მხატვრულმოქალაქეობრივი პოზიციის გამოსახატავად.

80

იონა

ვაკელი

ამ პიესებში ავტორი სვამს ჩვენი ერის წარსულისა და თანამედროვეობის მწვავე პრობლემებს, აქტიურად უჭერს მხარს ყოველივე ახალს, პოზიტიურს და ებრძვის ყოველივე მანიკერს, ნეგატიურს.

მსოფიანი მწერალი დღესაც ნაყოფიერად მუშაობს პოეზიასა და დრამატურგიაში.

გვჯერა, რომ იგი კიდევ ბევრჯერ გაახარებს ქართულ პოეზიისა და თეატრის მოყვარულთ.

ფურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია იონა ვაკელს ულოცავენ დაბადების 80 წლისთავს, ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებენ მას.

# ცარიელი სივრცე

პატერ ბრუკი

უხეზი თეატრი

მსხენლად, ისევ ხალხური თეატრი გვევლინება. მართალია, დროთა ვითარებაში მან ათასწიერი სახე მიიღო, მაგრამ, ნებისმიერი ხალხური თეატრისათვის, უხეშობა მთავარ დამახასიათებელ თვისებად დარჩა. მარილი, ოფლი, ხმაური, სუნი: თეატრი თეატრს გარეთ, თეატრი ოთხთვალბზე, ფურგონებზე, ფიცარნაგებზე; მაყურებელი ფეხზე დგას, ანდა მაგიდას უზის — თან ღვინოს წრუპავს, თან წარმოდგენაშია ჩართული და მსახიობებს ეპასუხება; თეატრი ცის ქვეშ, სხენეში, ფარდულში; ერთი საღამოსათვის აგებული სცენა, მთელ „დარბაზზე“ გადაჭიმული დახეული ზეწარი, გაჭინილი ტიხარი, რომლის იქითაც ფაციფუცი თ იცვლიან მსახიობები ტანსაცმელს — ყოველივე ეს, ისევე როგორც გაჩაჩაჩებულნი ჰალები, იმ საერთო ცნებას განეკუთვნება, რომელსაც ჩვენ თეატრს ვუძახით. მე ხშირად, ოლონდ უნაყოფოდ, მიკამათია იმ არქიტექტორებთან, რომლებიც თეატრის ახალ შენობებს აგებენ — ამაოდ ექებები სიტყვებს, რათა გამომეტქვა ჩემი რწმენა და თან იმათთვისაც დამემტკიცებინა, მთავარი შენობის აკაოგინაობა რომ არ არის: ადვილი შესაძლებელია, ბრწყინვალე შენობა ვერ აღმოჩნდეს სიცოცხლისათვის ბიძგის მიმცემი, ხოლო სახელდახელოდ შერჩეული დარბაზი—შეხვედრის დიდებულ ადგილად იქცეს; სწორედ ესაა თეატრის საიდუმლო, რომელიც მხოლოდ ამოხსნის შემდეგ შეიძლება მივიჩნიოთ კანონზომიერებად. როდესაც საქმე სხვა არქიტექტორულ ნაგებობებს ეხება, შენობის ზუსტად გააზრებული ნახაზი ამ შენობის ფუნქციათა ხე-

გაგრძელება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 1, 2, 3, 1981.

ლსაყრელად გამოყენებასაც განაპირობებს: კარგად და-  
პროექტებული საავადმყოფო, რა თქმა უნდა, უფრო  
უპასუხებს თავის დანიშნულებას, ვიდრე ჰაიპარად აგე-  
ბული; მაგრამ, თეატრის დაპროექტების პრობლემა, არ  
შეიძლება მხოლოდ ლოგვის მეშვეობით გადაიჭრას,  
მოთხოვნილებათა ანალიტიკურად განსაზღვრა და ამ  
მოთხოვნილებათა რაც შეიძლება უფრო განსაზღვრე-  
ლბელი გზების ძიება, ეტყობა, საკმარისი არ არის,  
რადგან ბოლოს, ჩვეულებრივ, ერთნაირად უდიდობაში,  
შაბლონური და სხვა დარბაზები შეაგროვება ხოლმე  
ხელში. თეატრთა აშენებისას, უპირველეს ყოვლისა,  
უნდა ვიცოდეთ, რა ბაღებს ყველაზე უფრო ცხოველ-  
ურთიერთობას ადამიანთა შორის და ისიც უნდა გავი-  
თვალისწინოთ, ხომ არ უწყობს ხელს ამ ურთიერთობე-  
ბის დამყარებას ასიმეტრიულობა, უწყსრიგობა კი? ხო-  
ლო თუ ასეა, რა კანონებს უნდა დემორჩილოს ეს  
უწყსრიგობა? კარგი არქიტექტორი ის არქიტექტორია,  
რომელიც თეატრალური მხატვრის მსგავსად, ინტუიციის  
კარნახით ქმნის და არა ნახაზის მიხედვით, ფაქტობრივად  
და სახაზავით შეიარაღებული. როცა ვიცით, რომ ნაკვეთი  
ლი კარგი სასუქია, აზიზობა ყოვლად გაუმართლებე-  
ლია: თუ ვხედავთ, რომ თეატრს რაღაც უხეში ელემენტი  
ესაპირობება, ესეც მისი ბუნებრივი ტუტყის ნაწილად  
უნდა მივიჩნიოთ. ელექტრონული მუსიკის გარეობა-  
ზე ბევრმა გერმანულმა სტუდიამ განაცხადა: შეგვიძო-  
ლია შექვიშათ ნებისმიერი ბგერა და თანაც უყუთეს,  
ვიდრე ჩვეულებრივი საყარე გამოსცემს; მაგრამ,  
აღმოჩნდა, რომ მათ მიერ შექმნილი ბგერები გარკვეულ  
ერთფეროვანი სტერეოტიპებით იყვნენ აღბეჭდილნი.  
როცა კლარნეტის, ფლეიტისა და ვიოლინის მიერ გა-  
მოცემული ხმები გამოიკვლიეს, ნათელი გახდა, რომ  
ყოველი ნოტი ჩვეულებრივი ხმაურის — უბრალო ხახუ-  
ნის, მიძიმე სუნთქვისა თუ ხის ხმის ნახაზი — მნიშვნე-  
ლოვნად მაღალ პრიციტს შეიცავდა; პურისისტი თვა-  
ლსაზრისით, ეს მხოლოდ და მხოლოდ ტუტყია, თუმ-  
ცა თავად კომპოზიტორებიც მათ იძულებულნი გახდ-  
ნენ სინთეტური ტუტყი შექმნათ — რათა „გაეადამი-  
ანურებინათ“ თავიანთი ნაწარმოებები. არქიტექტორე-  
ბისათვის ეს პრინციპი ჭეარც უცხოა. ამიტომაც, უკვე  
დღი ხანია, ყველაზე უფრო ცოცხალი თეატრალური  
მოვლენები ამ მიზნისათვის კანონიერად განვითარდნის  
ასპარაზის მიღმა ხდება. თითქმის ნახევარი საუკუნის  
მანძილზე მთელი ევროპა გორდნ კრატის ვალენტი-  
ქემში იმყოფებოდა, რომელმაც სულ ორიოდ წარმოად-  
გენა გამართა ჰემესტედში, ეკლესიის შენობაში; ბრეტ-  
ის თეატრის განმასხვავებელი ნიშანი თეთრი ნახევარ-  
ფარდაა, ალბათ, სარდაფში წარმოქმნილი, რომელიც  
კედლიდან კედლამდე გაკიშულ მავთულზე ჰკიდია. უხეში  
თეატრი ხალხისათვის ახლობელია: ის შეიძლება თო-  
ჯინების თეატრად იყოს, ანდა როგორც დღევანდლამდე  
გრძელდება საბერძნეთის სოფლებში — ჩრდილების  
წარმოადგენა. უხეში თეატრს, ჩვეულებრივ, არ გააჩნია  
ე. წ. სტილი. სტილს თავისუფალი დრო სჭირდება, შეზ-  
ღუდულ პირობებში რაიმეს დიდგმა კი, რვეოლუციას

ბგეს, რადგან ყველაფერი, რაც ხელში მოგვხვდება,  
იარაღად შეგვიძლია ვაყვიტო. უხეში თეატრი არც რა-  
ინეს ეძებს და არც რაიმეს ირჩევს: თუკი მაყურებელი  
მეტისმეტად გაჟინანდება, მაშინ აბრუნებენ უფრო უხეში-  
ანი იქნება, ამრევევის გაფრავა — ანდა სახელდახლოდ  
მოგონილი რბოლია — და არა იმის ცდა, როგორმე  
შევიწინაწინებოთ ამა თუ იმ სცენის სტრუქტურის ერთიანო-  
ბა. მაღალი კლასის ბრწყინვალე თეატრში ყველაფერი  
პარმონიულად უნდა ირქმოდეს ერთმანეთს, უხეში  
თეატრში კი, ვერაოთხე ბრახუთი გამოხატავენ ბრძო-  
ლის ორომტრიალს, ვჭკვილით ითხუზნებიან, რათა შიში-  
საგან გათვითრებული სახე გვიჩვენონ. არსენალი უსაზ-  
ღვროა: ფრთიანი სიტყვები, პლაკატი, ადგილობრივი  
დემატია, ადგილობრივი ხუმრობები, შემთხვევითობის  
გამოყენება, სიმღერები, ცეკვა, ხმაური, კონტრასტებისა  
და გახვიადებისაგან მიღრეკილება, ხელოვნური ცხვი-  
რები, ბანალური ტიპები, ბალიშის სიბრძნე... ხალხური  
თეატრი, განთავისუფლებული სტილის ერთიანობისა-  
გან, სინამდვილეში მტედ დახვეწილი და სტილიზი-  
რებული ერთი ლაპარაკობს: უბრალო მაყურებელს, ჩვე-  
ულებრივ, არც გამოთქმისა და ჩაცმულობის შეუთავ-  
სებლობის აღქმა უჭირს და არც მიმიკისა თუ დიალო-  
გის, რეალობისა თუ პირობითობის უყვარი მონაც-  
ვლეობა აზნებს. ის ამბის ძირითად ხაზს მიჰყვება და  
ეჭვიც არა აქვს, სადაც აქ, დამსხვრეული სტანდარ-  
ტები რომ იმალება. მარტინ გელინი წერდა, სანკვენტინის  
პატიმრებს, ცხოველებში პირველად რომ უყურებდნენ  
წარმოდგენას, თანაც ბეკეტის „გალოს“, „სრულბი-  
თაც არ განმეგობათ ამ პიესის აღქმა, რომელიც თეა-  
ტრალბისათვის გაუგებარი აღმოჩნდათ.

უკლიამ პოულიწ ერთობი პირველთანი იყო, ვინც  
ასლებურად წაიციხა შექსპირი. ამ ორმოცდაათიოდ  
წლის წინ პოულმა „აურზაურის არაფრის გამო“ დადგა;  
ეს სპექტაკლი მხოლოდ ერთხელ წარმოადგინეს ლონ-  
დონის რომელიდაც პირქუმ დარბაზში; როგორც სპე-  
ქტაკლის მონაწილე ერთმა ჩემმა მეგობარმა ქალმა მი-  
ამბო, პოული პირველ რეპერტივანზე აასწარილი ქლა-  
დლებით სავსე ჩანთით გარეცხადებულა, საიდანაც უც-  
ნაური ფოტოები, ნახატები და ჟურნალებიდან ამოხე-  
ული სურათები ამოულავებია. „ეს, თქვენ ხართო“ —  
უთქაქმა პოულს ამ მსახიობი ქალისთვის და რიოლ  
გარდენისა წვეულებამზე მისული დებუტანტის სურა-  
თი მიუტია: ვილაცას აბჯარში ჩამდარი რანდის სურა-  
თი რგებია, სხვებს — გეინსბოროსულთა, პორტრეტი თუ  
ჩვეულებრივი ქული. პოული ძალიან მარტყვად გამო-  
ხატვდა პიესის თავისებურ ხედვას; უშუალოდ, ბე-  
შვრად და არა მოწოდული კაციკით, რომელიც ის-  
ტორიისა და მოცემული ვეპოქის კონტით უნდა ხელ-  
ძღვანელობდეს. ჩემმა მეგობარმა ისიც მოთხრა, ამ  
ტრეტულურ პრე-პოპ-არტულ ნაერის არაჩვეულებრივი  
ერთგაროვნება ახასიათებდა. ვეპოქი არ მპარებდა, ასე  
რომ იქნებოდა. პოული უდიდესი ნივადირი იყო და  
ნათლად ხედვად, ლოგიკურ თანამიმდევრულობას სა-  
ერთო რომ არაფერი აქვს ქემპირტი შექსპირისულ  
სტილთან. ერთხელ, „სიყვარულის ამაო გარჯა“ დადგე

და პერსონაჟს, რომელსაც კონსტებლი დაღონ ჰქვია, ეკრძაოდა რა თუკი პოლიციელები ჩაევიცო, რადგან მისმა სახელმა რატონაც ლონდონელი ბობის ტიპური ფიგურა გამახსენა. სხვა მიზეზთა გამო, დანარჩენი პერსონაჟები მეთვამელ საუკუნის ვატისულელ ტანსაცმელში ყვენი გამაწყობილი, მაგრამ ანაქრონიზმი არაყის სეცენა თვალში. დიდი ხნის წინათ „ჭორვეულის მორჩულების“ დაღმა ენახე „სადაც ყველა მსახიობს ისე ჩაეცა, როგორადაც თავად ჰყავდა გმირი წარმოდგენილი; ახლაც მასსოვს ეგობრი და კიდევ ერთი ზონზრობა პერსონაჟი, რომელსაც მსახური ბიჭის ბოლომდე დიდებულური უნიფორმა ეცვა. მართალი ვითხრათ, ამ პისის უფრო დამაჯერებელი დაღმა მე არ მინახავს.

უხეშობის, რა თქმა უნდა, უმთავრესად ჭუჭყი ანიჭებს სიმწვანეს; უხამსობაცა და ვულგარობაც ბუნებრივია, უწყალოობა — მხიარულების იწყება; ამ თვისებთა წყალობით, სპექტაკლი სოციალურად განმთავისუფლებელ როლს იძენს, რამეთუ ხალხური თეატრი თავისი არსით ანტი-ავტორიტარული, ანტი-ტრადიციული, ანტი-პომპეზური და ანტი-პრეტენზიულია. ესა თეატრი ხმაურისა, ხოლო ხმაურის თეატრი, იგივე ტაშის თეატრია.

გახსენეთ ის ორი საშინელი ნიღაბი, თეატრისადმი მიძღვნილი უმარავი წიგნიდან რომ შემოგვეცქერის — როგორც გვასწავლიან, ეს ნიღაბები თურმე ორ თანასწორ ელემენტს — ტრაგედიასა და კომედიას — ანსახიებდნენ ანტიკურ საბერძნეთში. ყოველ შემთხვევაში, მათ მუდამ თანაბარფლებიან პარტნიორობად მიიჩნეოდნენ, თუმცა, რაც დრო გადის, „წესიერი“ თეატრი სულ უფრო მეტად ფასობს, უხეშ თეატრის კი, ნაკლებად სერიოზულად თვლიან. მაგრამ, ერთი კია: თეატრის გაცოცხლების ყოველი ახალი ცდა, ისევ და ისევ ხალხური წყაროებიდან იღებს სათავეს. მეგრებოლს მაღალი მიხნები ჰქონდა, მთელი ცხოვრების ჩვენება სურდა სცენაზე და, მიუხედავად იმისა რომ მისი ღმრთა პატრისაცემი მასწავლებელი სტანისლავსკი იყო, ხოლო ჩემებთან მეგობრობა აკავშირებდა — ბოლოს მაინც ცირკსა და მიუზიკ-ჰოლს მიუბრუნდა. ბრესტი ფესვებით კაპარეს უეკშირდებოდა; ჭიან ლითლუდში ბაზრობის სანახაობებს ესწარფავდა: კიკტოკ, არტოცა და ვახტანგოვიც; ეს უდიდესი ინტელექტუალები და ყველზე უფრო წარმოდგენილი კომპანიონები — ხალხს დაუბრუნდნენ; და საერთოდ, ტრატორი თეატრიც მხოლოდ და მხოლოდ ნახავია ამ ზემომართული ინგრედიენტებისა. ექსპერიმენტალური თეატრი აუცილებლად გამოდის თეატრის დარბაზიდან და თითხს — თუ არენას უბრუნდება: ამერიკულ ხელოვნებასთან შეხვედრის ჭეშმარიტი აღვლი ამერიკული მიუზიკლია, იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა დაანაირებს ასრულებს, და არა ოპერა. ამერიკეში პოეტები, ჭორეოგრაფები და კომპოზიტორები ბროდევის უბრუნდებიან. მაგალითად, ჭორეოგრაფმა ჯერომ რობინსმა<sup>8</sup> რთული გზა გაიარა მართა კრემისა და ბალანჩინის უხადი, ამტრაქტული

თეატრებიდან უხეშ, ხალხურ შოუმდე. მაგრამ, სიტყვა „ხალხური“, მთლიანად არ გამოხატავს ამ ცნების არსს: ეს სიტყვა წარმოდგენაში სოფლური დღესასწაულის სურათებსა და მხიარულ, უზრუნველ ხალხს აცოცხლებს; ხალხური ტრადიცია კი დათუზე ნადირობაცა, უღმობელი სატარაცა და გროტესკული კარიკატურაც. ეს თვისება ახასიათებდა ელისაბედის დროინდელ თეატრსაც, უდიდეს უხეშ თეატრთა შორის, და თანამედროვე ინგლისურ თეატრშიც სწორედ უხამსობა და უხეშობა იქცა აღორძინების მამოძრავებელ ძალად. უხეშობა სიურეალიზმი. უხეშობა ეარი<sup>9</sup>. სპაკი მილოვანის<sup>10</sup> თეატრს, სადაც ანარქისაგან განთავისუფლებული წარმოსახვა გაგვივებულ დამურასავით დაფრინავს ამა თუ იმ ფორმასა და სტილს შორის, ყველა ეს თვისება გაანჩნა. მილოვანი, ჩარლზ ვუდი<sup>11</sup> და კიდევ რამოდენიმე კაცი მგეულებმა იმ გზის მჩვენებლად, რომელსაც შეუძლია მძლავრ ინგლისურ ტრადიციამდე მივიყვანოს.

მე ეარის „მეფე უბის“<sup>12</sup> ორი დაღმა მინახავს, რომლებიც ნაოლად გამოხატავენ სხვაობას უხეშ და მხატვრულ ტრადიციებს შორის. ერთი დაღმა, სადაც ელექტრონული საშუალებებით დიდი ვირტუოზული ისტატობა იყო მიღწეული, ფრანგული ტელევიზიით ენახე. რეჟისორმა ბრწყინვალედ შესძლო ცოცხალი მსახიობების დახმარებით შე-თეთრი მარიონეტების შიდაქმნილება შეექმნა: ეკრანი წვირო ზოლებად იყო დაყოფილი და გზეთის იუმორისტულ გერდს ჰყავდა. ქალბები და ბატონი უბიუ-ეარის გაცოცხლებული ნახატები, წმინდა წყლის უბუები გავრენებოდათ, ოღონდ ეგ იყო რომ, ცოცხალი ელფერი არ დაჰკრავდათ და ამიტომაც, მაყურებელმა წამითაც ვერ აღიქვა ამბის უხეშ რეალობას: ეს მხოლოდ თიჯინების პირუტყვის შესეკეროდა, რამაც ჩერ საგონებელში ჩააგდო, მერე ვალიზიანა და ბოლოს, საერთოდ გამოათიშინა კიდევ ტელევიზორი. დაუნდებელი პროტესტის პიესა ინტელექტუალურ *jeu d'esprit*<sup>12</sup>-ად იქცა. დაახლოებით იმავე დროს, გერმანიის ტელევიზიითაც აჩვენეს „უბიუს“ ჩხურო ვერსია. ამ ვერსიაში ეარის ყველა მითითება უხეშებულყოფილი იყო: დამდგმებელმა საკუთარი, მარტივი პო-არტული სტილი მიიკონეს — სანაგვეების, ათასნაირი ხარახურისა და ძველი რკინის საწოლებისაგან შექმნილი: ბატონი უბიუ შენიღვნილი ნა-ცარევეკი კი არ იყო, არამედ აშკარა და გამოკლებული ბედოვალაი, ხოლო მისი მეუღლე — ტანკენარი, მიმღველი დემაკი. სოციალური კონტექსტი ნაოლი იყო. ბატონი უბიუს პირველი გამოჩენისა, როცა საც-ლებს ამარა ძლიერსლოვობით ვაძოვოფხვდება საწოლიდან, ბალირებზე მისვენებული ცოლი კი ებუზუნება — რატომ პოლენეთის მეფე არ ხარო — მაყურებლის ნდობა იქნა მოპოვებული, რის შემდეგაც, მაყურებელს უკვე თავისუფლად შეეძლო მიჰყოლოდა ამბის სიურე-ალისტურ განვითარებას, რამდენადაც უყიყმანოდ დაუ-ყვრა ამ პრიმიტიულ სიტუაციასაც და თავად პერსონა-დებსაც.

ყოველივე ეს, უხეშობის გარეგნულ ფორმებს ეხება. მაგრამ რა არის ამ თეატრის განზრახვა? უპირველეს

